

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დავით მესხიშვილი

**ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და
სისხლისსამართლებრივი დახასიათება საქართველოში**

დისერტაცია წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი ლლონტი
სამართლის დოქტორი,
სრული პროფესორი

თბილისი

2012

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი;

თავი პირველი - ორგანიზებული დანაშაულობის ცნება და ისტორია .

1.1 ორგანიზებული დანაშაულობის ცნება;

1.2 ორგანიზებული დანაშაულობის ისტორია;

1.3 ორგანიზებული დანაშაულობის ისტორია საქართველოსა და რუსეთში;

თავი მეორე - ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება.

2.1 ძირითადი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები;

2.2 ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების ძირითადი საქმიანობა;

თავი მესამე - ქურდული სამყარო - ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთი ფორმა.

3.1 ქართველი კანონიერი ქურდები – რეგიონული თავისებურებანი;

3.2 საზოგადოებრივი აზრი ორგანიზებული დანაშაულობისა და კანონიერი ქურდების შესახებ;

თავი მეოთხე - ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება.

4.1. ამერიკის შეერთებული შტატები;

4.2 იტალია;

4.3 გაერთიანებული ერების კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (2000 წლის 15 ნოემბერი,პალერმო);

4.4 ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციები ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში;

4.4.1 საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია – ინტერპოლი;

4.4.2 ევროპული პოლიციის სამსახური (ევროპოლი);

თავი მეხუთე - ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის გამოცდილება საქართველოში.

5.1 ორგანიზებული დანაშაულობის პრევენცია და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართებით;

5.2 ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საკანონმდებლო ნორმები;

დასკვნა.

გამოყენებული ლიტერატურა.

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა

აღიარებულია, რომ ორგანიზებული დანაშაულობა კრიმინალური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საშიში სახეობაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებზე. იგი ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხეს წამოადგენს თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებისათვის, რასაც ხელს უწყობს სატრანსპორტო და საინფორმაციო კომუნიკაციების განვითარება, კაპიტალის გამარტივებული მოძრაობა, სახელმწიფო საზღვრების გამჭვირვალობა, შრომითი მიგრაციის ზრდა და გლობალიზაციასთან დაკავშირებული სხვა პროცესები. თანამედროვე სამყაროში ორგანიზებული დანაშაულობა სულ უფრო და უფრო ტრანსნაციონალურ ხასიათს იღებს, კერძოდ, სხვადასხვა კრიმინალური გაერთიანების საქმიანობის სფეროები სცილდება ერთი რომელიმე სახელმწიფოს ფარგლებს. გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გლობალურმა ეკონომიკამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ორგანიზებული დანაშაულობის შემდგომი განვითარებისათვის. საერთაშორისო ვაჭრობის, ფინანსირების, კომუნიკაციების და გადაადგილების უპრეცედენტო გამარტივებამ, ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად, კრიმინალურს უამრავი შესაძლებლობა მისცა უკანონო ბიზნესის საწარმოებლად. მარტივად რომ ითქვას, უკანონო საქონელი შეიძლება დამზადდეს ერთ კონტინენტზე და მეორის გავლით გავცედდეს მესამეზე. მაფიური ტიპის დაჯგუფებები დღესდღეობით სწორედ ტრანსნაციონალურ საფრთხეს წარმოადგენენ, რომლებიც დარტყმას აყენებენ სახელმწიფო უსაფრთხოებას, ხელს უშლიან სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, განსაკუთრებით- განვითარებად და შიდა კონფლიქტებით მოცულ ქვეყნებში.

ასეთი ტიპის დაჯგუფებებს შეგვიძლია მივაკუთნოთ:

- ნარკოკარტელები ცენტრალურ ამერიკაში, კარიბის კუნძულებსა და აფრიკის კონტინენტის დასავლეთ ნაწილში, რომლებიც მიზანმიმართულად თესავენ ძალადობას და რიგ შემთხვევაში თავად ილაშქრებენ ლეგიტიმური სახელმწიფო სტრუქტურების წინააღმდეგ;
- აჯანყებულთა „ფსევდორევოლუციური“ დაჯგუფებები სამხრეთ-დასავლეთ აზიასა და ცენტრალურ აფრიკაში, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ სხვა კრიმინალურ გაერთიანებებთან და „კვებავენ“ ტერორიზმს;
- ტრეფიკინგის, არალეგალური მიგრაციისა და თანამედროვე მონობის სხვა ფორმების ხელშემწყობი დაჯგუფებები როგორც ევროპაში, ისე ლათინურ ამერიკასა და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში;
- საერთაშორისო დაჯგუფებები ყოფილი საბჭოთა კავშირის, აზიის, ევროპის და ამერიკის ქვეყნებში, რომლებიც დაკავებული არიან იარაღის, აღჭურვილობისა და სამხედრო ტექნოლოგიების უკანონო ვაჭრობით.

ამ სფეროსთან დაკავშირებული ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, ამჟამად, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაა, რადგან ამ ტიპის კრიმინალის გლობალური მასშტაბების გათვალისწინებით, ცალკეული ქვეყნის მიერ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისი და არაეფექტურია. ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში აქტიურადაა ჩართული გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით განსკუთრებულ როლს ასრულებს „საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია – ინტერპოლი“. მას მონაცემთადიდი ბაზა გააჩნია და ორგანიზებულ დანაშაულობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, პროცესების ანალიზის ძირითადი ორგანოა. ინტერპოლი ახორციელებს ორგანიზებული დანაშაულობის გლობალურ მონიტორინგს და კოორდინაციას უწევს საერთაშორისო გამოძიებას. ამ სახის კრიმინალთან მიმართებით ინტერპოლის ფუნქცია წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის წარმართვა, ამ სფეროში მოქმედი ყველა - ეროვნულ თუ საერთაშორისო უწყებას შორის ორგანიზებული დანაშაულისა და მასთან დაკავშირებული კორუფციის

შესახებ ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაა. რაც შეეხება მეორე, მნიშვნელოვან „პოლიციურ ორგანიზაციას“ - ევროპოლს, მისი შექმნის ძირითადი მიზანი, სწორედაც, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაა.

ბრძოლის ასეთი მასშტაბების მიუხედავად, ორგანიზებული დანაშაულის ფენომენი არასაკმარისადაა შესწავლილი. საკმაოდ მწირია ინფორმაცია ტრანსნაციონალურ კრიმინალურ ბაზრებსა და ტრენდებზე. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხსენებულ საკითხზე განხორციელებული კვლევების უმრავლესობა ფოკუსირებულია ერთ კონკრეტულ ქვეყანასა თუ გეოგრაფიულ ერთეულზე და არ ასახავს გლობალურ სურათს. ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, ორგანიზებული დანაშაულის ფენომენი მუდმივი მსჯელობის საგანია როგორც სამეცნიერო, ისე სამართალდამცავ სფეროებში. ამასთან, მსჯელობა მიმდინარეობს როგორც ზოგადად ინსტიტუტზე, ისე მის ცალკეულ ფორმასა თუ საქმიანობის მიმართულებებზე. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ორგანიზებული დანაშაულის ცნების, წარმოშობისა და განვითარების, მასთან ბრძოლის არსებული გამოცდილების შესწავლა საკანონმდებლო და პრაქტიკული მეთოდების საფუძველზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

სხვა გამოკვლევებისაგან განსხვავებით მოცემულ ნაშრომში სიახლეს განაპირობებს ის, რომ მასში განხილულია ორგანიზებულ დანაშაულობასთან დაკავშირებული მრავალი თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტი, კერძოდ, ორგანიზებული დანაშაულობის ცნება, მსოფლიოს ყველა ძირითადი ორგანიზებული დაჯგუფება, მათი წარმოშობა, განვითარება, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მეთოდები, აგრეთვე, ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის უცხოური თუ საერთაშორისო გამოცდილება როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული მეთოდების ანალიზის გზით. ნაშრომში არა მხოლოდ შედარებული და გაანალიზებულია ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, არამედ შემუშავებულია გარკვეული რეკომენდაციები მოცემული სახის კრიმინალთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლების მიზნით. ნაშრომში გაკეთებული დასკვნები დადებით გავლენას მოახდენს ამ კუთხით სამართლებრივი მეცნიერების განვითარებაზე. ასევე, აქ ასახული ცალკეული რეკომენდაცია თუ წინადადება დახმარებას გაუწევს სამართალდამცავ ორგანოებს აღნიშნული სახის კრიმინალთან ბრძოლის საქმეში.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველო არამარტო საერთაშორისო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სამიზნედ ჩაითვლება, არამედ აქ, ისევე, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ორგანიზებული დანაშაულის სპეციფიკური ფორმა „ბატონობდა“ ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის სახით. აღნიშნული ინსტიტუტის საფუძვლიანი შესწავლა, მისი წარმოშობის მიზეზებისა და განვითარების ეტაპების გაანალიზება, აგრეთვე, მის დასამარცხებლად გატარებული საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ღონისძიებების მიმოხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არამარტო ქართული დოქტრინისათვის, არამედ პრაქტიკოსი იურისტებისთვისაც. მოცემულ საკითხებს დიდი ყურადღება ეთმობა წინამდებარე კვლევაში. ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ კანონის განხილვა, რომელშიც პირველად ჩამოყალიბდა დანაშაულებრივი გაერთიანებისა და მისი წევრების - „კანონიერი ქურდების“ - დეფინიცია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში და განისაზღვრა მათ წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო მეთოდები. აღნიშნული კანონი იურიდიულ წრეებში, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იყო მსჯელობის საგანი. კამათობდნენ იმის თაობაზე, მოხდა თუ არა ამ კანონის საფუძველზე „სტატუსის“ კრიმინალიზაცია. ნაშრომში დეტალურადაა გაანალიზებული ხსენებული საკანონმდებლო აქტი, თეორიულადაა განმარტებული ყველა პრობლემური საკითხი და გამოტანილია დასკვნა, რომ ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის დანაშაულად გამოცხადებით ამ „სტატუსის“ კრიმინალიზაცია არ მომხდარა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებითა და სამეცნიერო თვალსაზრისით, ნაშრომი მეტად მნიშვნელოვანი და მრავალი სიახლის შემცველია.

კვლევის მიზნები და ამოცანები

ნაშრომის ძირითადი მიზანია ორგანიზებული დანაშაულის ცნების, ცალკეულ ქვეყანაში არსებული ორგანიზებული დაჯგუფებების წარმოშობის, განვითარების, საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და მათთან ბრძოლის საკანონმდებლო-

პრაქტიკული მეთოდების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე აღნიშნული კრიმინალის სამეცნიერო-პრაქტიკული ჩარჩოს (ორგანიზებული დანაშაულის ერთიანი მეცნიერული ცნების ჩამოყალიბების გზით), მისი წარმოშობა-განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების, რეგიონალური თავისებურებების დადგენა და მასთან ბრძოლის ეფექტური მეთოდების შემუშავება. აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ცალკეულ ქვეყანაში გავრცელებული ორგანიზებული დაჯგუფებებისა და მათ წინააღმდეგ არსებული საკანონმდებლო ბაზისა და ბრძოლის მეთოდების შედარებისა თუ სამართლებრივი ანალიზის გარეშე. ამ თვალსაზრისით ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იტალიასა და აშშ-ს. ეს განპირობებულია იმით, რომ იტალია სამართლიანად ითვლება ქვეყნად, სადაც პირველად აღმოცენდა და ჩამოყალიბდა ორგანიზებული დანაშაულის კლასიკური ფორმები და ტრადიციები (მაფია), რომლებიც შემდგომში ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი აშშ-ში („კოზა ნოსტრა“); აშშ-ში ორგანიზებული დანაშაული ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი სერიოზული ძალა, რომელმაც XX საუკუნეში დიდი გავლენა მოახდინა ამ ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე. შედეგად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იტალიაში შეიქმნა ყველაზე მრავალფეროვანი და დახვეწილი საკანონმდებლო ბაზა და დაგროვდა ფართო პრაქტიკული გამოცდილება ამ ნეგატიური ფენომენის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

გარდა ამისა, ნაშრომში დიდი ყურადღება დაეთმო ორგანიზებული დანაშაულობის სფეროში მოქმედი ძირითადი საერთაშორისო აქტების, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზს და მათ გავლენას ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის სტრატეგიაზე გლობალურ და ლოკალურ დონეებზე.

დისერტაციაში განხილულია ორგანიზებული დანაშაულის ისეთი სპეციფიკური და უნიკალური ფორმა, როგორცაა ე.წ. „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“, რომელიც აღმოცენდა და განვითარდა საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში და შეინარჩუნა თავისი გავლენა ამ რეჟიმის დაშლის შემდეგაც.

სადისერტაციო კვლევის ფარგლებში საფუძვლიანად იქნა შესწავლილი „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტთან ბრძოლის ეფექტური მეთოდები თანამედროვე საქართველოში, სადაც ქურდულ მენტალიტეტს ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები, ხოლო კრიმინალები სარგებლობდნენ დიდი ავტორიტეტით საზოგადოებრივი

ცხოვრების ყველა სფეროში. ნაშრომში გაანალიზებულია 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩატარებული პოლიტიკური, სტრუქტურული და სამართლებრივი რეფორმები და ახალი საკანონმდებლო ბაზა (საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“, ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში და სხვა), რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა დანაშაულის, მათ შორის, ორგანიზებული დანაშაულის მკვეთრი შემცირება.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავდა მრავალი თეორიული და პრაქტიკული დასკვნა და რეკომენდაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის დახვეწასა და მის პრევენციას.

კვლევის მეთოდები

სადისერტაციო კვლევა აგებულია ზოგად სამეცნიერო მეთოდოლოგიაზე, რომელიც უზრუნველყოფს ნაშრომის არქიტექტონიკის სტრუქტურულ ორგანიზაციას და ხელს უწყობს მისი ძირითადი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

ამასთან, კვლევისას აქტიურადაა გამოყენებული სხვადასხვა სოციოლოგიური მეთოდიკა, რომლებიც ითვალისწინებს შესწავლის ობიექტისა და საგნის სპეციფიკას, კერძოდ:

- სისტემური მიდგომის მეთოდი, რომელიც ორგანიზებული დანაშაულობის მრავალფეროვნებისა და იერარქიულობის გაანალიზების საშუალებას იძლევა;
- აბსტრაქტულ-ლოგიკური მეთოდი, რომელიც მოიცავს კვლევისადმი ისეთ მიდგომებს, როგორცაა: ანალიზი და სინთეზი, დედუქცია და ინდუქცია, ანალოგია, ფორმალური ლოგიკა და სხვა;

- ემპირიული მეთოდი, რომელიც აისახა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებსა და საექსპერტო დასკვნებში ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ;
- სტატისტიკური მეთოდი, რის საფუძველზეც შესწავლილ იქნა ორგანიზებული დანაშაულის რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები და განხორციელდა შედარებითი ანალიზი ქრონოლოგიურ და ტერიტორიულ ჭრილში;
- მონოგრაფიული მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ვრცლად და დეტალურად იქნა აღწერილი ორგანიზებული დანაშაულობა როგორც სოციალური მოვლენა და შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები;

სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლეები

- დისერტაციაში ორგანიზებული დანაშაულობის საერთაშორისო, უცხოური და ეროვნული სამეცნიერო წყაროებისა და კანონმდებლობის გაანალიზების საფუძველზე შემუშავდა მოცემული ნეგატიური მოვლენის ახლებური განმარტება (დეფინიცია);
- განხორციელდა ორგანიზებული დანაშაულობის ცალკეული ფორმის (რეკეტის, მევახშეობის, ტრეფიკინგისა და ა.შ.) კრიმინოლოგიური და სამართლებრივი ანალიზი და გამოვლინდა საქართველოსთვის ამ მხრივ ნიშანდობლივი თავისებურებები;
- ისტორიულ ჭრილში შესწავლილ იქნა მსოფლიოში არსებული კრიმინალური ორგანიზაციები და განხორციელდა მათი და ჩვენში არსებული დაჯგუფებების შედარებითი ანალიზი;
- საქართველოში არსებული ე.წ. "კანონიერი ქურდების" ინსტიტუტის თეორიული და ემპირიული კვლევის საფუძველზე გაანალიზდა ამ ფენომენის აღმოცენების

წინაპირობები, განვითარების ეტაპები, კულტურული თავისებურებები, მათი დანაშაულებრივი საქმიანობის მექანიზმები და სხვა;

- შემუშავდა "კლასიკური" და "თანამედროვე" "კანონიერი ქურდის" პიროვნული ტიპოლოგია და გამოიკვეთა მათ შორის არსებული განმასხვავებელი ნიშნები და საქმიანობის თავისებურებები;
- შემუშავდა "კანონიერი ქურდების" ინსტიტუტის სოციოლოგიურ-კრიმინოლოგიური კვლევის ირიგინალური მეთოდოლოგია, მომზადდა 40-პუნქტიანი საექსპერტო კითხვარი;
- სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრი ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლისა და მისი პრევენციის შესახებ;
- ექსპერტთა გამოკითხვის საფუძველზე მოხდა ორგანიზებული დანაშაულობის ძირითადი კრიმინოგენური ფაქტორების გამოვლენა საქართველოში, მათი დაჯგუფება და სისტემური კლასიფიკაციის მომზადება.
- ჩატარდა 300-ზე მეტი რეგისტრირებული ქართველი კანონიერი ქურდის დოკუმენტური კვლევა, ჩამოყალიბდა და შემუშავდა "კანონიერი ქურდის" პიროვნული, სოციალურ-ფსიქოლოგიური და კრიმინოლოგიური პროტრეტი.
- გაანალიზდა საქართველოს ახალი საკანონმდებლო ბაზა, მოხდა მისი კომენტირება;
- შეფასდა ორგანიზებული დანაშაულობის, განსაკუთრებით "კანონიერი ქურდების" ინსტიტუტის წინააღმდეგ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობა და მომზადდა სათანადო რეკომენდაციები.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავლის, ხუთი თავის, თექვსმეტი ქვეთავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის ბიბლიოგრაფია და დანართები.

1.ორგანიზებული დანაშაულობის ცნება და ისტორია

1.1 ორგანიზებული დანაშაულობის ცნება

ორგანიზებული დანაშაულობის არსის სირთულისა და დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მის განსასაზღვრავად სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერები დიდხანს მუშაობდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ორგანიზებული დანაშაულობის“ უნივერსალური ცნების ჩამოყალიბება მაინც ვერ მოხერხდა. მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით, აღნიშნული ცნების ჩამოყალიბებისას პრობლემაა არა სიტყვა - „დანაშაულობის“, არამედ - „ორგანიზებულის“ განმარტება (51, 5).

მითითებული საკითხის გადასაჭრელად ყველაზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ორგანიზებული დანაშაულობის არსის განსასაზღვრად იქმნებოდა სენატის კომიტეტები, პრეზიდენტთან არსებული კომისიები, ტარდებოდა მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ერთობლივი კონფერენციები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზებულ დანაშაულობაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად სასურველია, განხილულ იქნეს ზემოთმითითებულ მეცნიერთა და პრაქტიკოსების მიერ ჩამოყალიბებული, მეტ-ნაკლებად ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრებები და თეორიები.

ორგანიზებული დანაშაულობის კვლევისას ფრენკ ჰაგანის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა 11 ნიშანი, რომელიც, მისი აზრით, ახასიათებდა აღნიშნული სახის კრიმინალურ საქმიანობას. შემდგომ მაიკლ მალტცმა შეიმუშავა მითითებული მოვლენის დამახასიათებელი 9 ნიშანი, რომელთაგან ნაწილი ემთხვეოდა ჰაგანის

მოსაზრებს. მოგვიანებით, ყოველივე ზემოაღნიშნულის შეჯამებიდან გამომდინარე, ჯეიმს ფინკენაუერმა წარმოადგინა 12 ნიშანი, რომელებიც, მისი მოსაზრებით, ახასიათებს ორგანიზებულ დანაშაულობას. ესენია:

- არაიდეოლოგიურობა;
- ორგანიზებული იერარქია;
- დროში განგრძობადობა;
- ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენება;
- წევრობის შეზღუდვა;
- შემოსავლის მიღება არალეგალური წარმოების საშუალებით;
- მოსახლეობის არალეგალური საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფა;
- კორუფციის გამოყენება სახელმწიფო მოხელეთა და პოლიტიკოსთა გასანეიტრალებლად;
- სპეციალური მომსახურებისა და საქონლის მიწოდებისათვის ექსკლუზიური კონტროლის განსახორციელებლად სწრაფვა მონოპოლიური მდგომარეობის დასამყარებლად;
- ჯგუფის შიგნით საქმიანობის სპეციალიზაცია;
- საიდუმლო კოდექსი;
- ვრცელი გეგმა გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად (49, 3).

ფინკენაუერის აზრით, მითითებული ნიშნები ცალ-ცალკე ვერ განსაზღვრავს ორგანიზებულ დანაშაულობას, თუმცა, ერთად აღებული ამ მოვლენის ნათელ სურათს ქმნის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზებულ დანაშაულობაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად საინტერესო იქნება ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების ცალ-ცალკე განხილვა.

არაიდეოლოგიურობა ნიშნავს, რომ არ იზიარებენ რომელიმე პარტიის იდეოლოგიას, მათ არ გააჩნიათ პოლიტიკური პროგრამა, არ არიან ტერორისტები, რომელთა საქმიანობაც მიმართულია პოლიტიკური ცვლილებებისაკენ, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევებში ისინი მაინც იღებენ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში, ახორციელებენ სხვადასხვა ტერორისტულ ქმედებებს - მკვლევობებს, აფეთქებებსა და ა.შ. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორგანიზებული დანაშაულობის პოლიტიკასა თუ ქვეყნის მმართველობაში ჩართვის ერთადერთ ინტერესს წარმოადგენს სახელმწიფო აპარატისა და სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობის შესუსტება, რის ხარჯზეც მოხდება ორგანიზებული დანაშაულობის გაძლიერება, ხოლო მათ მიერ მკვლევობების, აფეთქებების, ადამიანთა გატაცების და სხვა ძალადობრივი დანაშაულების ჩადენა გათვლილია გარკვეული ფენების დაშინებასა და გავლენის სფეროების გაფართოებაზე, ანუ მათ, ტერორისტებისაგან განსხვავებით, მითითებული ქმედებების განხორციელებისას არავითარი პოლიტიკური მიზნები გააჩნიათ.

ორგანიზებული იერარქია წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან ნიშანს. დანაშაულებრივ დაჯგუფებას მართავს ხელმძღვანელი. მას ემორჩილება ყველა წევრი, რომლებიც, თავის მხრივ, გარკვეული თანრიგით ექვემდებარებიან ერთმანეთს. აღნიშნულ სტრუქტურაში თითოეულ საფეხურზე მდგომ წევრს გააჩნია გარკვეული ძალაუფლება. ყველა მათგანს აქვს თავისი ფუნქცია. მაგალითად: ხელმძღვანელი მოითხოვს რაიმე ქმედების განხორციელებას. ამის შემდეგ ყოველი მომდევნო საფეხურზე მყოფი პირი ახორციელებს საკუთარ მოვალეობას, ანუ, თავისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ზოგი წყვეტს, თუ რა ხერხით, ზოგი -თუ ვინ უნდა განახორციელოს ეს ქმედება, ხოლო, როგორც წესი, ყველაზე ქვედა რგოლის წარმომადგენლები უშუალოდ ასრულებენ ბრძანებებს. გარდა ამისა, ორგანიზებულ იერარქიას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კონსპირაციის დასაცავად, რადგან რიგ შემთხვევაში, დაჯგუფების ხელმძღვანელისგამქვლავნების თავიდან აცილების მიზნით, რიგითი წევრების უმეტესობამ საერთოდ არ იცის მისი

ვინაობა და ბრძანებებს უშუალო უფროსისაგანიღებს, რომელიც, თავის მხრივ, დირექტივებს ზემდგომისგან იღებს და ა.შ.

დროში განგრძობადობა ნიშნავს ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების არსებობის გაგრძელებას მისირომელიმე წევრის სიკვდილის ან საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაშიც კი. ლიდერებს, რომლებიც იღუპებიან ან ხვდებიან ციხეში, ცვლიან სხვა ხელმძღვანელები, წევრებს ანაცვლებენსხვა პირებით, რომელთაც დაჯგუფებაშისაქმიანობა სურთ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კრიმინალური ორგანიზაციის დროში განგრძობადობა დამოკიდებულია მასში გაწევრების მსურველთა რაოდენობაზე, რომელთა რიცხვიმიაზე მეტი უნდა იყოს, ვიდრე ეს დაჯგუფებას რეალურად სჭირდება, რათა მოხდეს გარდაცვლილი თუ სხვაგვარად დაკარგული წევრების „ღირსეული“ჩანაცვლება. სხვა შემთხვევაში გაერთიანება სიცოცხლისუნარიანი ვერ იქნება.

ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენება წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულობის ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას. კრიმინალური გაერთიანებები მითითებულ მეთოდს იყენებენ თავიანთი მიზნების მისაღწევად, რაც, ერთი მხრივ, შეიძლება ემსახურებოდეს კონკრეტული წინააღმდეგობის დაძლევას, ხოლო, მეორე მხრივ, ჰქონდეს დამაშინებელი ეფექტი, რათა სხვებმა მორჩილად შეასრულონ დაჯგუფების მითითებები და ბრძანებები.

წევრობის შეზღუდვა ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებშიხდება სხვადასხვა საფუძვლით. როგორც წესი, კრიმინალურ სინდიკატებში წევრები ერთიანდებიან რაიმე დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით, მაგალითად: რასობრივი, ეროვნული, ნათესაური, კრიმინალური წარსულის და სხვა საფუძვლით. გაერთიანების სახეობიდან გამომდინარე, მათ, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს,შემდეგ სჭირდებათ რეკომენდაცია, რომელიც უნდა გაუწიოს იმავე დაჯგუფების უფლებამოსილმა წევრმა. ამასთან, კანდიდატებმა უნდა დაადასტურონ თავიანთი ვარგისიანობა კრიმინალური გაერთიანებისათვის, რაც შეიძლება გამოიხატოს მათი მზადყოფნით დანაშაულის ჩასადენად, დადგენილი წესების შესრულებით, ბრძანებების ზედმიწევნით განხორციელებით და ა.შ. (17, 2). აღნიშნულთან დაკავშირებით, დონალდ კრესი მიუთითებს, რომ ყველას არ აქვს უფლება, ჩაერთოს დანაშაულებრივი ორგანიზაციის საქმიანობაში. ვილაცას არ

შეუძლია „უბრალოდ გადაწყვიტოს“ და გახდეს „კოზა ნოსტრას“ წევრი, ისევე, როგორც არ შეუძლია, გახდეს ბეისბოლის პროფესიონალი მოთამაშე. ამ სურვილს უნდა შეესაბამებოდეს მისი კომპეტენცია და შესაძლებლობები, ხოლო ეს ყველაფერი კი უნდა ემთხვეოდეს იმ პირთა სურვილებს, ვინც იღებს გადაწყვეტილებას დაჯგუფებაში გაერთიანების შესახებ (17, 242).

შემოსავლის მიღება არალეგალური წარმოების საშუალებით. ფაქტობრივად აღნიშნული ნიშანი წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების არსებობის მიზანს, რადგან, საბოლოო ჯამში, მათ მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ემსახურება ერთადერთ შედეგს - რაც შეიძლება მეტი შემოსავლისმიღებას. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ შემოსავალი შეიძლება მიღებულ იქნეს, ერთი შეხედვით, სრულიად კანონიერი საქმიანობიდანაც, მაგალითად, ბარების, რესტორნების ბიზნესით, მაგრამ, როგორც წესი, ეს ლეგალური დაწესებულებები, გამოიყენება ფულის გასათეთრებლად, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხის კანონიერ საქმიანობაში დასაბანდებლად ან სხვა კრიმინალური ქმედების ხელშესაწყობად. გარდა ამისა, ლეგალური ბიზნესის წარმართვისას მონოპოლიზებული მდგომარეობის მისაღწევად გამოიყენება ისეთი უკანონო ქმედებები, როგორიცაა დაშინება, ძალის გამოყენება და ა.შ.

მოსახლეობის არალეგალური საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფა. ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები ძალიან დიდ შემოსავალს იღებენ იმის ხარჯზე, რომ მოსახლეობას უზრუნველყოფენ მომსახურებითა და იმ საქონლით, რომელზედაც მოთხოვნა დიდია, ხოლო მიწოდება კი აკრძალული სახელმწიფოს მიერ, რაც მას განსაკუთრებულად მომგებიანს ხდის. მსგავს საქმიანობას ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოადგენდა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა „მშრალი კანონის“ მოქმედებისას. დღეს მოსახლეობის არალეგალური საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფა მოიცავს ნარკოტიკებით, იარაღით, ადამიანებით და სხვა უკანონო საქონლით ვაჭრობას, ასევე, პროსტიტუციას. ამ შემთხვევაში დანაშაულებრივი საქმიანობის წარმატების მთავარ გარანტიად გვევლინება ადამიანური სისუსტეები, რომელთა შესაბამისადაც, კანონით დადგენილი აკრძალვების მიუხედავად, მომხმარებლები უკანონო მომსახურებასა და საქონელზე უარს ვერ ამბობენ.

კორუფცია სახელმწიფო მოხელეთა და პოლიტიკოსთა გასანიტრალებლად. აღნიშნული ხერხით ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები ახერხებენ, თავიდან აიცილონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო საქმიანობაზე. კორუფციის მეშვეობით ისინი ხელშეუხებლები ხდებიან როგორც სამართალდამცავი ორგანოების, ასევე სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისაგან.

სწრაფვა მონოპოლიური მდგომარეობის დასამყარებლად სპეციალურ მომსახურებასა და საქონლის მიწოდებაზე ექსკლუზიური კონტროლის განსახორციელებლად. ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება მისწრაფვის გაბატონებული მდგომარეობის მოსაპოვებლად, როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ ბიზნესზე. ამ მდგომარეობის მისაღწევად კრიმინალური გაერთიანებები იყენებენ ყველა საშუალებას დაშინების, მკვლელობის, აფეთქების, ფიზიკური ძალის გამოყენების ჩათვლით. ასეთი საშუალებებით ისინი ამყარებენ მონოპოლიას შესაბამის სფეროზე და აქცევენ მას სრული გავლენის ქვეშ.

დაჯგუფების შიგნით საქმიანობის სპეციალიზაცია. ორგანიზებული დანაშაულებრივი სინდიკატის ერთ-ერთი მახასიათებელია კრიმინალურ გაერთიანებაში საქმიანობის სპეციალიზაცია. აღნიშნული ხორციელდება იმიტომ, რომ დანაშაულებრივი ქმედება იყოს განსაკუთრებით ეფექტური და ყველამ მაღალ დონეზე შეასრულოს თავისი „როლი“, რაც საბოლოო ჯამში, განაპირობებს დიდი ოდენობით შემოსავლების მიღებას. ჰოვარდ აბადინსკის მოსაზრების მიხედვით, დაჯგუფებაში არიან აღმსრულებლები – წევრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას, რაც დაკავშირებულია ძალადობის გამოყენებასთან, მკვლელობის ჩადენასთან და სხვა., შუამავლები, რომლებიც ახდენენ საჯარო მოხელეთა მოსყიდვას, ფულის „მატრიალებლები“ – რომლებიც ახდენენ უკანონო შემოსავლების ლეგალიზებას (17, 3).

ქცევის საიდუმლო კოდექსი განსაზღვრავს პირების წევრად მიღების რიტუალს, დაჯგუფების მოქმედების წესებს, საქმიანობის მიმართულებებს. გაერთიანების ხელმძღვანელები მოქმედებაში შეზღუდული არიან ამ კოდექსით დადგენილი წესებით. აღნიშნული კანონის დარღვევის შემთხვევაში წევრები ისჯებიან დაჯგუფებიდან გაგდებით ან სიკვდილით. მაიკლ ლიმანისა და გარი პოტერის

მოსაზრებით, დიდი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების უმეტესობას გააჩნია მკაცრად განსაზღვრული წესები (51, 8).

ვრცელი გეგმა გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. შორსმომავალი და რთული კრიმინალური საქმიანობა მოითხოვს წინასწარ დეტალურ დაგეგმვას. ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები არ მოქმედებენ იმპულსურად, რადგან მეთოდური, მაღალდისციპლინებული და საიდუმლო საქმიანობა სპონტანურად ვერ ხორციელდება (49, 6).

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მეცნიერები აყალიბებენ ორგანიზებული დანაშაულობის დამახასიათებელ უნივერსალურ ნიშნებს. მათ საფუძველზე, სავარაუდოდ, ადვილი შესაძლებელია ამ სახის კრიმინალის ცნების ჩამოყალიბება, თუმცა იმისათვის, რომ მითითებული დეფინიცია იყოს უფრო სრული, სასურველია, ასევე განხილულ იქნეს სახელმწიფო ორგანოთა პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ჩამოყალიბდა ამ მოვლენის ხანგრძლივი შესწავლისა და ანალიზის შედეგად.

ორგანიზებული დანაშაულობის განმარტების ერთ-ერთი პირველი მცდელობა განხორციელდა 1915 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩიკაგოს საგამოძიებო კომისიის მიერ, რომელმაც ჩამოაყალიბა ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების რამდენიმე ნიშანი, რითაც იგი გამოირჩეოდა დანაშაულის სხვა ფორმებისაგან, კერძოდ, ეს ნიშნებია:

- სპეციალური ტრადიციები;
- სისტემატიზებული პრაქტიკა;
- კრიმინალური ჟარგონი და ა.შ.

გამომდინარე იქიდან, რომ იმ დროისათვის ეროვნულ დონეზე ორგანიზებულ დანაშაულს არ ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება, გამოკვლევების შედეგებს მითითებული სახის კრიმინალის შესწავლაზე დიდი ზეგავლენაარ მოუხდენია (51, 13).

1950-51 წლებში ამერიკაში შეიქმნა სენატის სპეციალური კომიტეტი შტატებს შორის ვაჭრობაში ორგანიზებული დანაშაულობის გამოსაძიებლად. სახალხო

მოსმენების შედეგად ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ მითითებული სახეობის კრიმინალის ძირითადი ასპექტები კონტროლდებოდა და იმართებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედი საიდუმლო ორგანიზაციის - „მაფიის“ მიერ (54, 57), თუმცა, მეცნიერთა აზრით, კომიტეტის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების არასწორად განმარტების გამო უსაფუძვლოდ გაზვიადდა დანაშაულებრივი სამყაროს ცენტრალიზებული დაგეგმვის უნარი.

აღნიშნულმა კომიტეტმა ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ სცადა, განემარტა, თუ რას წარმოადგენდა ამერიკაში მოქმედი, ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანება:

- „მაფია“ მთელი ქვეყნის მომცველი დანაშაულებრივი სინდიკატია, რომლის კვალიც აღმოჩენილია ბევრ დიდ ქალაქში. მას გააჩნია საერთაშორისო კავშირები, რაც განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოხატული ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან მიმართებით.
- მაფიის ლიდერები, როგორც წესი, აკონტროლებენ ყველაზე შემოსავლიან რეკეტებს ქალაქებში. გვხვდება ამ საქმიანობის წარმართვის ცენტრალიზაციის ნიშნები, მაგრამ როგორც ჩანს, ხელმძღვანელობა უფრო ხშირად ხორციელდება ჯგუფურად, ვიდრე ინდივიდუალურად.
- მაფიისთვის დომინანტი „ძალადობა“ და „მკვლევლობა“. იგი არის საიდუმლო ორგანიზაცია კანონისა და წესრიგის წინააღმდეგ, რომელიც შეუბრალებლად უსწორდება ნებისმიერს, ვინც წინ აღუდგება მის წინსვლას და კრიმინალურ საქმიანობას, ანადგურებს ყველას, ვინც გასცემს მაფიის საიდუმლოებებს; ის იყენებს ყველა შესაძლებლობას: პოლიტიკურ გავლენას, ქრთამის მიცემას, დაშინებას და ა.შ., რათა წინ აღუდგეს სამართალდამცავთა ნებისმიერი მცდელობას, განახორციელონ სხვადასხვა მოქმედებები ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელების წინააღმდეგ ან პრევენციის მიზნით ჩაერიონ მაფიის საქმიანობაში (106, 1).

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, კომიტეტის მიერ ჩამოყალიბდა მაფიის განმარტება როგორც მკაცრად ცენტრალიზებული, მყარი ორგანიზაციის, რომელიც ორიენტირებულია შემოსავლის მიღებაზე და გააჩნია მძლავრი კავშირები როგორც

ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ; აკონტროლებს რეკეტის ყველაზე შემოსავლიან სფეროებს; იმართება ხელმძღვანელთა ჯგუფის მიერ; საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებს ყველა საშუალებას ძალადობის, მკვლელობის, პოლიტიკური ზეგავლენის, ქრთამის მიცემისა და დაშინების ჩათვლით.

ორგანიზებული დანაშაულობის განსაზღვრის მომდევნო მცდელობას წარმოადგენს 1965-66 წლებში ჩატარებული „ოისტერ ბეის“ კონფერენციები. მათი დიდი მნიშვნელობა განპირობებული იყო იმით, რომ იქ შეკრებილი იყვნენ ექსპერტები მთელი ქვეყნიდან ერთმანეთისათვის საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად. კონფერენციებში მონაწილეობას იღებდნენ მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები, იურისტები, მეცნიერები, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები და სხვები, რომლებიც ყოველგვარი პოლიტიკური მიზნის გარეშე ცდილობდნენ, შეექმნათ ახალი თეორია ორგანიზებული დანაშაულობის ბუნების შესახებ და განესაზღვრათ მისი კონტროლის ყველაზე ეფექტური საშუალებები (73, 129).

კონფერენციების მუშაობის შედეგად შეიქმნა მოხსენება „ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, რომელშიც აღნიშნული კრიმინალური საქმიანობის ცნება შემდეგნაირად განისაზღვრა:

„ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება არის მყარი, თვითრეგულირებადი, საიდუმლო, კრიმინალური გაერთიანება, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოებიდან განუზომლად დიდი შემოსავლის მიღებაზე ყველა შესაძლო საშუალებით – კანონიერი თუ უკანონო გზით. მიუხედავად მასში წევრთა ცვლილებისა, საიდუმლო ორგანიზაცია აგრძელებს არსებობას; ეს არის ავთვისებიანი პარაზიტი, რომელიც იკვებება ადამიანური სისუსტეებით; იგი არსებობს შიშისა და კორუფციის ხარჯზე; სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით მას გააჩნია მაღალი ხარისხის ხელშეუხებლობა სამართალდამცავ ორგანოთა მხრიდან; წარმოადგენს ტოტალიტარულ ორგანიზაციას; იგი ადგენს ცხოვრების წესს, რომელიც დაფუძნებულია მკაცრ დისციპლინაზე დაბალი რანგის კრიმინალთათვის, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ „შავ“ საქმეს, მაშინ, როდესაც ხელმძღვანელი პირები, როგორც წესი, იზოლირებული არიან

კონკრეტული დანაშაულების ჩადენისაგან და, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის საშიშროებისგანაც“ (49, 10).

როგორც ვხედავთ, მითითებული დეფინიციის თანახმად, ორგანიზებული დანაშაულობის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს:

- არსებობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში;
- ჯგუფის სიმყარე, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი არ იშლება მიუხედავად მასში წევრთა ცვლილებისა;
- ორიენტირებულობა დიდი ოდენობით შემოსავლების მიღებაზე, იმისდა მიუხედავად, კანონიერად თუ უკანონო გზით;
- საქმიანობის განხორციელება დაშინებისა და კორუფციის ხარჯზე;
- არის ტოტალიტარული ორგანიზაცია;
- მკაცრად განსაზღვრული დისციპლინა დაბალი რანგის დამნაშავეთათვის (უშუალო შემსრულებელთათვის);
- ხელმძღვანელ პირთა იზოლირება უშუალოდ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობისაგან, რაც შემდგომში გამორიცხავს მათთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

ფაქტობრივად, მითითებული ნიშნები შინაარსობრივად იმ მახასიათებლების იდენტურია, რომლებიც ჩამოაყალიბა ჯეიმს ფინკენაუერმა.

ორგანიზებული დანაშაულობის დეფინიციის განსაზღვრებასთან დაკავშირებით საინტერესოა ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ სპეციალური კომისიის (1967 წ.) მუშაობის განხილვა. აღნიშნული იყო როგორც პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის მიერ 1965 წელს შექმნილი „კანონის აღმასრულებელი და მართლმსაჯულების განმახორციელებელი“ კომისიის ნაწილი. მითითებულმა სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა ორგანიზებული დანაშაულობის საქმიანობის სახეობები, ასევე ის, თუ სად ახორციელებდნენ კრიმინალურ ქმედებას, როგორ იყო ორგანიზებული ე.წ. „კარტელები“ და ვინ იყვნენ მათი წევრები.

აღნიშნულ საკითხზე მუშაობის შედეგად კომისიამ თავის მოხსენებაში ჩამოაყალიბა ორგანიზებული დანაშაულობის შემდეგი დეფინიცია:

„ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანება არის საზოგადოება, რომელიც ცდილობს, განახორციელოს თავისი მოქმედება ამერიკელი ხალხისა და მათი მთავრობის კონტროლის გარეშე. იგი მოიცავს ათასობით კრიმინალს, რომლებიც საქმიანობენ დიდ კორპორაციაზე არანაკლებ რთულსტრუქტურებში. მისი მოქმედება არ არის იმპულსური, არის რთული, კონსპირაციული, ჩამოყალიბებული მრავალი წლის განმავლობაში, ორიენტირებული იმაზე, რომ თავისი კონტროლის ქვეშ მოაქციოს საქმიანობის ყველა სფერო, რათა მიიღოს ძალიან დიდი შემოსავალი.

ორგანიზებული დანაშაულობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო საქონლის მოწოდება და მომსახურების გაწევა – აზარტული თამაშები, მევახშეობა, ნარკოტიკები და სხვ., მაგრამ მითითებული კრიმინალური დაჯგუფებები ასევე საფუძვლიანად არიან გარეული კანონიერ ბიზნესში და პროფკავშირებში, თუმცა, ლეგალურ საქმიანობაში ისინი იყენებენ უკანონო მეთოდებს: გადასახადებისაგან თავის არიდებას, მონოპოლიზაციას, დაშინებას, გამოძალვას, რათა შეავიწროვონ ან გააკონტროლონ სხვათა კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონება და უკანონოდ გამოსძალონ საზოგადოებას შემოსავლები. თავის მრავალფეროვან საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის აცილების მიზნით, დანაშაულებრივი გაერთიანების წარმომადგენლები ახდენენ ასევე სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვას.

ორგანიზებული დანაშაულობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფული და ძალაუფლება. ეთიკური და მორალური სტანდარტები, რომელთაც კრიმინალები ინარჩუნებენ, კანონები, რომელთაც ემორჩილებიან, მოქმედების წესი, რომელსაც მიჰყვებიან, პირადი და საიდუმლოა, შემუშავებულია მათ მიერ, ცვლიან, როდესაც ამას საჭიროდ თვლიან, მართავენ მარტივად და უხილავად“ (106, 1).

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, მითითებული კომისიის მიერ ჩამოყალიბდა ორგანიზებული დანაშაულობის საკმაოდ მოცულობითი დეფინიცია, რომელშიც მითითებული ნიშნები ფაქტობრივად შეესაბამებაჯეიმს ფინკენაუერისა და „ოისტერ

ბეის“ კონფერენციაზე ჩამოყალიბებულ ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

1968 წელს აშშ კონგრესმა მიიღო კანონი „სხვადასხვა სახის დანაშაულის კონტროლისა და უსაფრთხო ქუჩების“ შესახებ, რომელიც შეიცავდა ორგანიზებული დანაშაულობის განმსაზღვრელ, პირველ სპეციფიურ დეფინიციას:

„ორგანიზებული დანაშაულობა არის მაღალ დონეზე ორგანიზებული, დისციპლინირებული გაერთიანების წევრების უკანონო საქმიანობა, დაკავშირებული უკანონო მომსახურებისა და საქონლის მიწოდებასთან, რომელთა შორისაა ახარტული თამაშები, პროსტიტუცია, მევახშეობა, ნარკოტიკები, შრომითი რეკეტი და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები“ (150).

ორგანიზებული დანაშაულობის გამოსაკვლევადა 1976 წელს კიდევ ერთი სპეციალური კომისია შეიქმნა, როგორც სისხლის სამართალწარმოების სტანდარტებისა და მიზნების შეხებ ეროვნული მრჩეველთა კომიტეტის ნაწილი. ამ კომისიას უნდა შეემუშვებინა საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა ორგანიზებული დანაშაულობისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

მითითებული სფეროს შესწავლის შედეგად კომისიამ აღნიშნა, რომ ეს დანაშაულობა ამერიკაში წარმოადგენდა ყველაზე ნაკლებად შესწავლილ და უგულვებელყოფილ კრიმინალურ საქმიანობას. კომისიის თავმჯდომარემ ორგანიზებული დანაშაულობის არსი ჩამოაყალიბა შემდეგნაირად: „საიდუმლო დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელიც მოქმედებს სამყაროში, სადაც არ ექვემდებარებიან სახელმწიფო კანონებს, იზოლირებული არიან სისხლისსამართლებრივი დევნისა და სახელმწიფო წესრიგისაგან. ორგანიზებული დანაშაულობის მიზეზით ხდება საგადასახდო შემოსავლების დაკარგვა, ლეგალური ბიზნესების დაქვემდებარება, მოწმეთა დაშინება, დანაშაულების დაფარვა და საჯარო მოხელეთა მოსყიდვა“ (56, 2).

აღნიშნული ფენომენის სირთულიდან გამომდინარე, კომისიამ გადაწყვიტა, რომ შეუძლებელი იქნებოდა, ჩამოეყალიბებინათ ორგანიზებული დანაშაულობის ამომწურავი, ყოვლისმომცველი ცნება და შექმნეს სამუშაო მონახაზი, რომელიც ეფუძნებოდა ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის შემდეგ ნიშნებს:

- ორგანიზებული დანაშაულობა წარმოადგენს კონსპირაციული დანაშაულის ნაირსახეობას, რომელიც ზოგჯერ მოიცავს პირთა ჯგუფის იერარქიულ კოორდინაციას უკანონო ქმედების ჩადენის დასაგეგმად ან კანონიერი მიზნების მისაღწევად უკანონო საშუალებების გამოყენებით. ორგანიზებული დანაშაულობა გულისხმობს ძირითად წევრებს შორის განგრძობად კავშირს, თუმცა ზოგიერთმა პირმა, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება სპეციალურ სფეროში, შეიძლება მიიღოს ხანმოკლე მონაწილეობა დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობაში.
- ორგანიზებული დანაშაულობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფინანსური შემოსავლის მიღება, თუმცა დაჯგუფების ზოგიერთი წევრის მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს ძალაუფლება ან სტატუსი.
- ორგანიზებული დანაშაულობა არ არის შემოფარგლული მხოლოდ ისეთი, გამოკვეთილად უკანონო საქმიანობითა და მომსახურებით, როგორებიცაა: ახარტული თამაშები, პროსტიტუცია, ნარკოტიკები, მევახშეობა ან რეკეტი. იგი ასევე მოიცავს ისეთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებსაც, როგორცაა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია კანონიერი ბიზნესის მეშვეობით, მიწასთან დაკავშირებული თაღლითობა და კომპიუტერული მაქინაციები.
- ორგანიზებული დანაშაულობა დასახული მიზნის მისაღწევად და შემოსავლის მისაღებად იყენებს მტაცებლურ ტაქტიკას, კერძოდ: დაშინებას, ძალადობასა და კორუფციას.
- ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები გამოცდილების, ჩვევებისა და პრაქტიკის საფუძველზე ძალიან სწრაფად და ეფექტურად ამყარებენ კონტროლს და დისციპლინას თავის წევრებზე, თანამონაწილეებსა და მსხვერპლებზე. აქედან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები გაემიჯნონ კრიმინალურ ორგანიზაციას და, შესაბამისად, ძირითადად გამოუსწორებლები არიან.

- ორგანიზებული დანაშაულობა არ არის ყველაზე გამოცდილი, მრავალმხრივი და, სავარაუდოდ, ყველაზე დისციპლინირებული დანაშაულებრივი დაჯგუფების - „მაფიას“ ან „კოზა ნოსტრას“ (la cosa nostra) სინონიმი.
- ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანების წევრები ტერორისტების მსგავსად თავს არსწირავენ პოლიტიკური ცვლილებების მიზნით, თუმცა აღსანიშნავია, რომ ტერორისტულ და ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს აქვთ საერთო ნიშნებიც, მათ შორის, ჩადენილი დანაშაულების სახეობები და მკაცრად ორგანიზებული სტრუქტურა“ (56, 7-8).

აღნიშნული დასკვნა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, გარდა ჩამოთვლილი ზოგადი ნიშნებისა, პირველად გაეხვა ხაზი იმას, რომ ორგანიზებული დანაშაულობა ემიჯნებოდა პოლიტიკურ ტერორისტებს, ანუ დადგინდა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა იყო არაიდეოლოგიური. ამასთან ერთად, განიმარტა ისიც, რომ მითითებული სახის კრიმინალი არ იყო „მაფიის“ ან „კოზა ნოსტრას“ სინონიმი და შეიძლებოდა აღნიშნული საქმიანობა განეხორციელებინათ სხვა დანაშაულებრივ დაჯგუფებებსაც.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რეიგანის აღმასრულებელი ბრძანების საფუძველზე პრეზიდენტთან შეიქმნა კიდევ ერთი კომისია, რომელსაც ბრძანების შესაბამისად უნდა განეხორციელებინა „ორგანიზებული დანაშაულის სრულყოფილი ანალიზი თითოეული რეგიონის მიხედვით, განესაზღვრა როგორც ტრადიციული, ასევე ახლად შექმნილი, განვითარებადი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების თავისებურებები და მოეპოვებინა სრული ინფორმაცია ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელის წევრთა შესახებ“ (105, 9).

მუშაობის პროცესში კომისიამ ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

- ფედერალური სამართალდაცვის სტრატეგია;
- ფულის გათეთრება;
- აზიური წარმოშობის ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების საქმიანობა;

- ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა (განსაკუთრებით კოკაინისა და ჰეროინის იმპორტი და დისტრიბუცია);
- შრომისა და მენეჯმენტის რეკეტი;
- კანონიერი და უკანონო აზარტული თამაშები.

კომისიის საბოლოო მოხსენების შესაბამისად, მის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა სხვა დანაშაულებრივი დაჯგუფებების არსებობის სააშკარაოზე გამოყვანა, რომელთა მნიშვნელობაც მხოლოდ ბოლო ხანს იქნა გაცნობიერებული. კომისიის განმარტებით, მითითებული გაერთიანებები ძირითადად დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, თუმცა რიგ შემთხვევებში ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ კიდევ. მათ ჰქონდათ მსგავსი მისწრაფებები – კანონის უპატივცემულობა, მზადყოფნა სისასტიკისა და ძალის დემონსტრირებისათვის, კრიმინალური საქმიანობისა და კორუფციის გამოყენება საკუთარი მიზნების მისაღწევად. კომისიის მითითებით, ის ფაქტი, რომ სამართალდამცავები „კოზა ნოსტრას“ მიიჩნევდნენ ერთადერთ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებად, წარმოადგენდა დაბრკოლებას მასთან ბრძოლის საქმეში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ გაწეული სამუშაოს საფუძველზე ჩამოაყალიბა ორგანიზებული დანაშაულობის მისეული ცნება:

„ორგანიზებული დანაშაულობა წარმოადგენს შემდეგი სამი კომპონენტის - ერთობლივი ქმედების, ცოდნისა და დანაშაულებრივი საქმიანობის საერთო შედეგს:

1. დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, თვითოეულს ცალ-ცალკეჭყავთ ძირითადი წევრები, შეკავშირებულნი რასობრივი, ენობრივი, ეთნიკური ან სხვა საფუძველით;
2. დამცველები, რომლებიც იცავენ დაჯგუფების ინტერესებს;
3. სპეციალისტები, რომლებიც ეპიზოდურად, შეგნებულად უწევენ დახმარებას ორგანიზებულ ჯგუფს მისი ინტერესების სასარგებლოდ.“ (49, 16).

თითოეული კომპონენტის დეტალური ანალიზის შედეგად კომისიამ ჩამოაყალიბა შემდეგი დეფინიციები:

დანაშაულებრივი დაჯგუფება არის პირთა განგრძობადი, სტრუქტურის მქონე ერთობლიობა, რომელიც ახორციელებს კრიმინალურ ქმედებას, მოქმედებს სასტიკად და მზად არის ოფიციალურ მოხელეთა მოსასყიდად, რათა მოიპოვოს და შეინარჩუნოს ძალაუფლება და შემოსავლები. დანაშაულებრივი დაჯგუფების ნიშნები, რომლებიც ამავდროულად უნდა იყოს მამხილებელი, არის: განგრძობადობა, ჩამოყალიბებული სტრუქტურა, დანაშაულებრიობა, სისასტიკე, საერთო შეხედულებების საფუძველზე დამყარებული წევრობა, მზადყოფნა კორუფციაში მონაწილეობის მისაღებად და ძირითადი მიზანი - ძალაუფლება/შემოსავალი.

დამცველები არიან კორუმპირებული სახელმწიფო მოხელეები, ბიზნესმენები და ადვოკატები, რომლებიც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად იცავენ დანაშაულებრივ დაჯგუფებას მდგომარეობის და/ან პრივილეგიების ბოროტად გამოყენებითა და კანონის დარღვევით. დამცველების საქმიანობის შედეგად კრიმინალური გაერთიანება დაცულია როგორც ზოგადად სახელმწიფო უწყებების, ასევე, სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებებისაგან; დამცველების ძირითად იარაღს წარმოადგენს კორუფცია.

სპეციალისტების მხარდაჭერა გულისხმობს ინდივიდების ან პირთა ჯგუფის მიერ შეთანხმების საფუძველზე განხორციელებულ სპეციალურ მომსახურებას, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობას. მომხმარებელთა მხარდაჭერა გულისხმობს მათ მიერ კრიმინალური გაერთიანების მიერ მოწოდებული კანონსაწინააღმდეგო საქონლისა და მომსახურების შეძენას. სპეციალისტების მხარდაჭერის პარალელურად უნდა აღინიშნოს საზოგადოების - ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების თანადგომა, რომლებიც ანიჭებენ ძალაუფლებას და უქმნიან კანონიერების ატმოსფეროს როგორც ზოგადად ორგანიზებულ დანაშაულობას, ასევე ცალკეულ კრიმინალურ სინდიკატებს და მათ წევრებს (105, 25-32).

მითითებული კომისიის მუშაობა საკმაოდ საინტერესოა ორგანიზებული დანაშაულობის განსაზღვრის თვალსაზრისით. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია იმ საკითხზე, რომ ორგანიზებული დანაშაულობა არ მოიცავს მხოლოდ „მაფიას“, არამედ არსებობენ სხვა, ასევე არანაკლებ საშიში

კრიმინალური კარტელები, რომლებიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (რასობრივი, ეთნიკური და სხვა). კომისია შეეცადა, განესაზღვრა ორგანიზებული დანაშაულობის შემადგენელი რგოლებიც, განემარტა მათი ფუნქციები, ურთიერთქმედება, რაც, საბოლოო ჯამში, ქმნის ორგანიზებული დანაშაულობის განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს.

ამრიგად, ზემოთ მიმოხილულ იქნა ყველაზე ცნობილი თეორიული მოსაზრებები ორგანიზებულ დანაშაულობასთან დაკავშირებით. მიუხედავად მითითებულ საკითხზე თეორეტიკოსი, თუ პრაქტიკოსი იურისტების მიერ გაწეული უდიდესი შრომისა, მოვლენის სირთულიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა ორგანიზებული დანაშაულობის ერთიანი, უნივერსალური ცნების ჩამოყალიბება, რომელიც გაზიარებული და მოწონებული იქნებოდა როგორც დოქტრინაში, ასევე, პრაქტიკაშიც, თუმცა სხვადასხვა მეცნიერებისა, თუ სამუშაო კომისიების მუშაობას უკვე აღდგინდა არ ჩაუვლია. მათი შრომის შედეგად ჩამოყალიბდა ორგანიზებული დანაშაულობის დამახასიათებელი ნიშნები, რომელთა საფუძველზედაც შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დეფინიცია, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზებულ დანაშაულობას. ზემოთ მითითებული ნიშნების საფუძველზე შემუშავებული ცნება, ალბათ გარკვეულწილად კრიტიკის ობიექტი გახდება, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ცნების ჩამოყალიბება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ორგანიზებული დანაშაულობის დოქტრინალურ შესწავლასა და პრაქტიკულ გამოყენებაში.

ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ცნების ჩამოყალიბებამდე მართებული იქნება, პირველ რიგში, ხაზი გაესვას იმ აუცილებელ ნიშნებს, რომლებიც მას უნდა ახასიათებდეს, ნაშრომში ზემოთმითითებული მოსაზრებებიდან გამომდინარე, კერძოდ:

- არაიდეოლოგიურობა;
- ორგანიზებული იერარქია დაჯგუფების შიგნით;
- ჯგუფის არსებობის სიმყარე, ანუ მისი არსებობა არ არის დამოკიდებული წევრთა ცვალებადობაზე;

- ძალადობის, ან ძალადობის მუქარის გამოყენება;
- წევრობის შეზღუდვა;
- სახელმწიფოს წარმომადგენლებისა, თუ სხვა პირთა მოსყიდვა დაჯგუფების წევრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;
- სწრაფვა მონოპოლიური მდგომარეობის მისაღწევად;
- ჯგუფის შიგნით საქმიანობის სპეციალიზაცია;
- მოქმედება მათ მიერ დადგენილი/ადიარებული სპეციალური წესების შესაბამისად;
- დაჯგუფების ხელმძღვანელთა იზოლირება უშუალოდ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობისაგან მათი უსაფრთხოების მიზნით;
- დიდი ოდენობით შემოსავლების მიღება, იმისდა მიუხედავად, კანონიერი გზით მოხდება ეს თუ არა;
- ლეგალური საქმიანობის წარმოებისას უკანონო მეთოდების გამოყენება.

ორგანიზებული დანაშაულობის ცნების ჩამოსაყალიბებლად ასევე მნიშვნელოვანია იმის განხილვა, მითითებული ნიშნებით ფორმულირებული ცნება ელემენტების სიმრავლის ალტერნატიულ პირობას გულისხმობს თუ კუმულაციურს, ანუ მიზანშეწონილია დადგენილ იქნეს, ცნების რომელი ელემენტია სავალდებულო და რომლის არარსებობა არ გამორიცხავს ორგანიზებულ დანაშაულობას.

არაიდეოლოგიურობაერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია, რომლის გარეშეც ორგანიზებული დანაშაულობა წარმოუდგენელია, რადგან მისი საქმიანობის ერთადერთი მიზანი შემოსავლის მიღებაა და არავითარ პოლიტიკურ მიზანსისახავს. რიგ შემთხვევებში გამონაკლისი შეიძლება იქნეს დაშვებული და დაჯგუფებამ განახორციელოს გარკვეული სახის პოლიტიკური აქტივობა, მაგრამ მითითებული ქმედების ერთადერთი მიზანი კვლავ იქნება ფინანსური სარგებლის ნახვა და არა რომელიმე პოლიტიკური იდეის მხარდაჭერა.

ასევე უმნიშვნელოვანესია ორგანიზებული იერარქია დაჯგუფების შიგნით. ყველა გაერთიანებასჰყავს ლიდერი, რომელიც იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. დაჯგუფების ლიდერს ექვემდებარებიან რანგით დაბალ საფეხურზე მდგომი პირები, მაგალითად, მაფიაში (cosa nostra)- მრჩეველი (consiglieri - კონსილიერი) ან მოადგილე (under boss – ანდერ ბოსი) და ასე შემდეგ - რიგით წევრამდე. სტრუქტურული იერარქია მით უფრო რთულია, რაც უფრო დიდია დაჯგუფება.

ის, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების არსებობა არ უნდა იყოს დამოკიდებული მასში წევრთა ცვალებადობაზე, გამომდინარეობს იქიდან, რომ იგი ყოველთვის გათვლილია გრძელვადიან საქმიანობაზე და დიდი შემოსავლის მიღებაზე, ხოლო ეს ნიშანი თუ არ იქნება დაცული, მისი არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, რადგან ყოველთვის გამოიძებნებიან წევრები, რომელთა გადაბირებასაც პოლიცია მოახერხებს, რომლებიც შეწყვეტენ კრიმინალურ საქმიანობას საკუთარი სურვილისშესაბამისად, მოხვდებიან ციხეში ან დაიღუპებიან. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება დამოკიდებული იყოს მხოლოდ კონკრეტულ პირებზე და მათი ცვალებადობა გავლენას ახდენდეს მის არსებობაზე.

ძალადობის ან ძალადობის გამოყენების მუქარა არის ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების დამახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი. კრიმინალური გაერთიანებები ხშირად იყენებენ ძალადობას ან ძალადობის მუქარას როგორც საქმიანობისას, ასევე, დავების გადაწყვეტისას. იმისათვის, რომ დაჯგუფება იყოს წარმატებული, იგი უნდა იწვევდეს შიშს როგორც ხალხში, ასევე მოწინააღმდეგეებში, ხოლო ეს კი მიიღწევა სწორედ ძალადობით ან მისი გამოყენების მუქარით.

ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებაში გაწევრება ყოველთვის შეზღუდულია. შეზღუდვები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, მაგ. ეროვნული, რასობრივი, კრიმინალური წარსულის მიხედვით და ა.შ. აქვე აღსანიშნავია, რომ, თუ პირი აკმაყოფილებს ზემომითითებულ კონკრეტულ მოთხოვნებს, ეს ჯერ კიდევ არ არისამ დაჯგუფებაში მისი გაწევრების გარანტია. ამისათვის კანდიდატმა უნდა დაადასტუროს თავისი ვარგისიანობა ორგანიზებული დანაშაულობისათვის, მზად უნდა იყოს სხვადასხვა კრიმინალის

ჩასადენად და, ამასთან ერთად, შესაბამისი უნარებიც ჰქონდეს განვითარებული. რიგ შემთხვევებში პირის გაწვევებამდე გამოიყენება გამოსაცდელი ვადა. დაჯგუფების უფლებამოსილი წევრის რეკომენდაციის შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში, მის საქმიანობას აკვირდებიან და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება კანდიდატის წევრობის საკითხი.

სახელმწიფოს წარმომადგენლებისა თუ სხვა პირთა მოსყიდვა დაჯგუფების წევრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, სავარაუდოდ, თუ რომელიმე ნიშანი შეიძლება ჩაითვალოს ალტერნატიულად, ერთ-ერთი სწორედ ეს იქნება, რადგან მისი გამოყენება, მართალია, აადვილებს საქმიანობას, მაგრამ დაჯგუფება მაინც შეიძლება არსებობას სახელმწიფოს წარმომადგენელთა მოსყიდვის გარეშეც.

სწრაფვა მონოპოლიური მდგომარეობის მისაღწევად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ალტერნატიულ ნიშნად, რადგან გარკვეული გარემოებების არსებობისას (სხვა დაჯგუფებასთან დაპირისპირება და ა.შ.) ორგანიზებულმა დანაშაულებრივმა დაჯგუფებამ შეიძლება იარსებოს მონოპოლიური მდგომარეობის გარეშეც.

რაც შეეხება ჯგუფის შიგნით საქმიანობის სპეციალიზაციას, აღნიშნული წარმომადგენს სავალდებულო ნიშანს, რადგან ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანების საქმიანობა იმდენად რთული და მრავალმხრივია, რომ წარმატების მისაღწევად აუცილებელია ნებისმიერ ქმედებას ახორციელებდეს ამ საქმის სპეციალისტი, ხოლო, გამომდინარე იქიდან, რომ შეუძლებელია ყველამ ყველაფერი განახორციელოს უნაკლოდ, დღის წესრიგში დგება საქმიანობის სპეციალიზაცია (პროფესიონალის მიერ კონკრეტული ქმედების განხორციელება).

ყველა ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებაში თუ არა, უდიდეს უმრავლესობაში მაინც ლიდერი იზოლირებულია უშუალოდ კრიმინალური ქმედების განხორციელებლისგან. ამერიკულ მაფიაში დაჯგუფების რიგითმა წევრმა შეიძლება საერთოდ არ იცოდეს, თუ რეალურად ვინ ხელმძღვანელობს ჯგუფს, თუმცა რიგ შემთხვევებში გაერთიანების ხელმძღვანელმა შეიძლება მონაწილეობა მიიღოს კრიმინალურ ქმედებაში, ანუ აღნიშნული ნიშანიც შეიძლება ჩაითვალოს ალტერნატიულად.

რაც შეეხება შემოსავლის მიღებას, აღნიშნული წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ნიშანს, რომელიც კი შეიძლება გააჩნდეს ორგანიზებულ დანაშაულობას. ამ საკითხში ყველა თეორეტიკოსი თუ პრაქტიკოსი თანხმდება, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნის ძირეული იდეა არის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფინანსური მოგების მიღება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზებული დანაშაულობის ცნება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ორგანიზებული დანაშაულობა წარმოადგენს ორგანიზებული იერარქიის მქონე, არაიდეოლოგიურ, მყარ დაჯგუფებას, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი/აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად, რომელშიც გასაერთიანებლად პირი უნდა აკმაყოფილებდეს ამავე დაჯგუფების მიერ დაწესებულ მოთხოვნებს; ქმედების განხორციელებისას უმთავრეს ბერკეტს წარმოადგენს ძალადობა ან ძალადობის მუქარა; დაჯგუფება ნებისმიერ საქმიანობაში მიისწრაფვის მონოპოლიური მდგომარეობის მოსაპოვებლად, წევრთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ახორციელებს პირთა მოსყიდვას და მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს დიდი ოდენობით შემოსავლების მიღება, იმისდა მიუხედავად კანონიერად მოხდება ეს თუ უკანონოდ.

1.2 ორგანიზებული დანაშაულობის ისტორია

ორგანიზებული დანაშაულობის წარმოშობის დროსთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის არ არსებობს ერთგვაროვანი შეხედულება, თუმცაღა მიჩნეულია, რომ ორგანიზებული დანაშაულობის წარმოშობა წინ უსწრებს დროში თვითონ აღნიშნული ტერმინის დამკვიდრებას (4, 172).

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მითითებულ საკითხზე მსჯელობა და ვიწყობთ იტალიაში ორგანიზებული დანაშაულობის წარმოშობის მიმოხილვით, ვინაიდან თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გაერთიანებების - იტალიურ-ამერიკული მაფიოზური ოჯახების პირველი დამაარსებლები ბენიტო მუსოლინის რეპრესიების შედეგად იტალიიდან ამერიკაში ემიგრირებული კრიმინალები იყვნენ.

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულებრივი სინდიკატი - მაფია ჩამოყალიბდა რომის სამხრეთით, მეზოჯიორნოში, რომელიც მოიცავდა სიცილიის, ნეაპოლის, კამპანიის ტერიტორიებსა და კალაბრიის პროვინციას. ჯერ კიდევ ასეულობით წლის წინ ამ რეგიონში არსებულმა სახიფათო გარემომ ხელი შეუწყო ისეთი იდეალების ჩამოყალიბებას, როგორც იყო „ომერტა“ - ღუმლის კანონი, რომელიც, ინფორმაციის გაუცემლობასთან ერთად, გულისხმობდა სახელმწიფოსთან თანამშრომლობის დაუშვებლობასაც; „ვენდეტა“ - შურისძიება, რომლის შესაბამისადაც, ოჯახისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი არ უნდა დარჩენილიყო ადეკვატური პასუხის გარეშე. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ადგილობრივი მაცხოვრებლები ენდობოდნენ არც სახელმწიფოს და არც ეკლესიას. მათთვის ერთადერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი და წმინდა იყო ოჯახი, რომელიც აერთიანებდა როგორც სისხლით ნათესავებს, ასევე, რიგ შემთხვევებში - ნათელ-მირონით დაკავშირებულ პირებსაც. აღნიშნულ გაერთიანებებს ხელმძღვანელობდა ოჯახის უფროსი, რომელსაც ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა. მოგვიანებით სწორედ ამ ტრადიციული ოჯახების საფუძველზე ჩამოყალიბდა მაფიოზური კლანები.

აღნიშნული სახიფათო გარემოს გამო, ადგილობრივი მიწის მფლობელი არისტოკრატები თავს არიდებდნენ მეზოჯიორნოში ცხოვრებას, ხოლო თავისი ტერიტორიების მოსავლელად კი ქირაობდნენ ე.წ. „გაბელოტოს“ - მენჯერს, რომელსაც ჰქონდა ძლიერი ადამიანის რეპუტაცია (17, 147). მიწებს, რომელზედაც იგი იღებდა პასუხისმგებლობას, იცავდა ბანდიტებისგან, გლეხთა სხვადასხვა გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისაგან. აღნიშნულ საქმეში მას ეხმარებოდნენ ოჯახის წევრები, მეგობრები და „კამპიერები“ - კანონის საფუძველზე შეიარაღებული პირები. აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, „გაბელოტო“ უშუალოდ არ ახორციელებდა ზედამხედველობას ქონებაზე, რიგ შემთხვევაში იგი უბრალოდ

უფლებას აძლევდა ხალხს, რომ გამოეყენებინათ მისი ავტორიტეტი, რათა ცნობილი ყოფილიყო, თუ ვინ აგებდა პასუხს ტერიტორიის დაცვაზე (27, 28).

სწორედ „გაბელოტო“ და მისი გარემოცვა - ოჯახის წევრები, მეგობრები და „კამპიერები“ წარმოადგენდნენ იტალიური მაფიის პირველად ფორმას.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, სამხრეთ იტალიაში მაფიას წარმოშობასა და განვითარებას ხელი შეუწყო სახელმწიფოს უუნარობამ, განხორციელებინა თავისი ფუნქციები, კერძოდ, უზრუნველყო მოქალაქეთა დაცვა. ასეთ პირობებში ხალხისთვის მაფიოზების არსებობა მისასალმებელიც კი იყო, რადგან მათი დახმარებით შეეძლოთ, დაეცვათ თავისი სიმართლე. გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლების მეშვეობით ამის განხორციელების ფინანსური საშუალება მოსახლეობის უმეტესობას არ გააჩნდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ, ნდობა სახელმწიფო მოხელეთა მიმართ არ იყო მაღალი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ რიგ შემთხვევაში დავის საგანს შეიძლება ჰქონოდა უკანონო საფუძველი. შესაბამისად, აღნიშნულის გადასაწყვეტად ადგილობრივი მაცხოვრებლები ვერ მიმართავდნენ პოლიციას და სასამართლოს (38, 73), ხოლო მაფიოზს შეეძლო, მათი პრობლემები მოეგვარებინა სწრაფად და საბოლოოდ (55, 69).

იტალიის სამხრეთში შეუზღუდავი ძალაუფლების მოპოვებამ ხელი შეუწყო მაფიის წარმომადგენლების დამკვიდრებას პოლიტიკაშიც. ფაქტობრივად, ამ ტერიტორიაზე მითითებული კრიმინალური გაერთიანება წარმოადგენდა ერთადერთ, განუსაზღვრელი ძალის მქონე ორგანიზაციას, რომელსაც სრულად შეეძლო, გადაეწყვიტა პარლამენტის წევრობის კანდიდატთა არჩევნების ბედი რეგიონში. აქედან გამომდინარე, მაფიას მაღლე გამოუჩნდა პოლიტიკური მფარველები რომში, რომლებიც ოფიციალური ორგანოების დახმარების სანაცვლოდ მოითხოვდნენ, რომ დანაშაულებრივ ორგანიზაციას მათთვის დაეჭირა მხარი არჩევნებში. მაფია იყო ერთადერთი რეალური ძალა სიცილიაში, რომელიც წყვეტდა არჩევნების შედეგებს და ხელისუფლება იძულებული იყო, თვალი გაესწორებინა რეალობისათვის (50, 41).

ფაქტობრივად მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე მაფიას გააჩნდა შეუზღუდავი ძალაუფლება იტალიის სამხრეთით მდებარე რეგიონებში და ჰყავდა თავისი

ლობისტები პოლიტიკოსებს შორის. მაფიის განუსაზღვრელ ძალაუფლებას წვერტილი დაუსვა ბენიტო მუსოლინის ხელისუფლებაში მოსვლამ.

მუსოლინის და მაფიას შორის დაპირისპირება გამოიწვია ერთ-ერთი დანაშაულებრივი ლიდერის აგდებულმა დამოკიდებულებამ ქვეყნის ხელმძღვანელის მიმართ, როდესაც იგი სტუმრობდა სიცილიას. შედეგად მუსოლინის თანამებრძოლი ჩეზარე მორი დაინიშნა პალერმოს პრეფექტად, რომელმაც დაიწყო რეპრესიები მაფიოზების მიმართ. იტალიაში დანაშაულებრივი სამყაროს წინააღმდეგ გამართულმა ამ ბრძოლამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა შემდგომში ამერიკაში ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების შექმნასა და განვითარებაში - განხორციელებულ რეპრესიებს მაფიოზების უმრავლესობა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაერიდა და იქ განაგრძო საქმიანობა, რასაც შედეგად მოყვა იტალიურ-ამერიკული მაფიოზური ოჯახების ჩამოყალიბება, რომლებიც დღესაც აგრძელებენ დანაშაულებრივ საქმიანობას.

რაც შეეხება იტალიას, რეპრესიების შედეგად ნამდვილად შესუსტდა მაფია, თუმცა ეს ყველაფერი იყო დროებითი, რადგან ფაშისტური რეჟიმის დამხობისთანავე ადგილობრივმა კრიმინალურმა სინდიკატმა ხელახლა დაიწყო განვითარება. თვითონ ჩეზარე მორი მოგვიანებით აღნიშნავდა, რომ, მიუხედავად მის მიერ გატარებული მკაცრი ღონისძიებებისა, მაფიის განადგურება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან, „შეუძლებელია გაანადგურო ის, რაც ადამიანებს სისხლში აქვთ გამჯდარი“ (55, 69).

როგორც ვხედავთ, იტალიაში ორგანიზებული დანაშაულების წარმოშობის ძირითადი მიზეზი იყო სახელმწიფოს უუნარობა, ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე უზრუნველყო თავისი უფლებამოსილების განხორციელება. სწორედ ამ ფაქტმა და აქედან გამომდინარე - სახელმწიფო აპარატისადმი ხალხის უნდობლობამ წარმოშვა კანონგარეშე მყოფი, მიუკერძოებელი არბიტრის არსებობის აუცილებლობა, რომელიც ხალხს დაეხმარებოდა პრობლემების მოგვარებაში სასამართლოსა და პოლიციის გარეშე. მაფიამ შეძლო როგორც კომერციული, ასევე პოლიტიკური სტრუქტურების დაქვემდებარება, რის შედეგადაც იგი, ფაქტობრივად, განუსაზღვრელი ძალა-უფლების მფლობელი გახდა. ისევე, როგორც მუსოლინის მმართველობისას, სხვადასხვა დროს მაფიას ავიწროებდნენ, აძლიერებდნენ

ბრძოლას მის წინააღმდეგ, მაგრამ მაფიის საბოლოო დამარცხება მაინც ვერ მოხერხდა და იგი დღესაც მოქმედებს იტალიაში. აღნიშნული გარემოების ასახსნელად კი სწორედ ბენიტო მუსოლინის პრეფექტის - ჩეზარე მორის იგივე სიტყვებს გამოვიყენებთ: „შეუძლებელია გაანადგურო ის, რაც ხალხს სისხლში აქვს გამჯდარი“, ანუ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: თუ არ მოხდა ამგვარი ორგანიზებული დანაშაულებრივი სინდიკატების იდეოლოგიური დამარცხება, მათი წარმოჩენა იმ სახით, რომ საზოგადოება დარწმუნდეს ამ მოვლენის მანკიერებაში, ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ძირეულ ცვლილებებს ვერ გამოიწვევს, შეიძლება მხოლოდ მიღწეულ იქნეს მაფიის ძალაუფლების შეკვეცა დროის მცირე პერიოდში.

ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, ამერიკელ მეცნიერთა შორისაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ორგანიზებული დანაშაულის წარმოშობასთან დაკავშირებით. ჰოვარდ აბადინსკის მოსაზრებით, ორგანიზებული დანაშაულობის წარმოშობა უკავშირდება ამერიკაში მშრალი კანონის მოქმედების პერიოდს, კერძოდ, 1920-1933 წლებს. თუმცა, იგი ასევე აღნიშნავს, რომ მანამდეც მოქმედებდნენ დანაშაულებრივი დაჯგუფებები, როგორც ორგანიზებული დანაშაულობის წინამორბედები. აბადინსკი მათ ხელმძღვანელებს უწოდებს მძარცველ ბარონებს (49, 52). ამ საკითხთან მიმართებით განსხვავებული დამოკიდებულება გააჩნიათ დენის კენისა და ჯეიმს ფინკენაუერს. მათი მოსაზრებით, ორგანიზებული დანაშაულობის ფესვები უნდა ვეძებოთ უფრო ადრეულ დროში, ჯერ კიდევ მეკობრეთა შორის. აღნიშნული მოსაზრება საკმაოდ საინტერესოა და სასურველი იქნება ამერიკაში ორგანიზებული დანაშაულობის ისტორია სწორედ მეკობრეთა დაჯგუფებების განხილვით იქნეს დაწყებული.

მე-17 საუკუნეში მეკობრეობა ძალიან გავრცელებული იყო ამერიკის მიმდებარე ზღვებსა და ოკეანეებში, განსაკუთრებით სამხრეთ კოლონიების - კაროლინასა და ლუიზიანას მახლობლად. იგი წარმოადგენდა პოლიტიკური და კომერციული ცხოვრების შემდგენელ ნაწილს და მას არავინ აღიქვამდა განსაკუთრებული საფრთხის შემცველ დანაშაულებრივ საქმიანობად (51, 147). მეკობრეობა ქმნიდა დადებით გარემოს მოსახლეობისათვის. ხალხი კმაყოფილი იყო იმ ფაქტით, რომ ზღვის ყაჩაღები პორტში ყოფნის პერიოდში ხარჯავდნენ დიდი ოდენობით ფულს, ისინი იყვნენ სასურველი კლიენტები გასართობი სახლებისა და სალონების

მეპატრონეთათვის, ასევე, აზარტული მოთამაშებებისა და ვაჭრებისთვის. აღნიშნული ხელს უწყობდა ქალაქის მოსახლეობის შემოსავლის ზრდას. გარდა ამისა, მეკობრეებისგან შესაძლებელი იყო უკანონო გზით მოპოვებული საქონლის შექმნა დაბალ ფასად, რაც ასევე იწვევდა ხალხის კმაყოფილებას, შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობა მათთან თანამშრომლობაზე უარს არ ამბობდა და უმეტეს შემთხვევაში გამოთქვამდა მზადყოფნას, ხელი გაემართა და თავშესაფარი მიეცა ზღვის ყაჩაღებისათვის.

მეკობრეობის, როგორც ორგანიზებული დანაშაულობის ადრეული ფორმის ჩამოყალიბებას, საფუძვლად დაედო ინგლისის სამეფო კარის მცდელობა, პერმანენტულად თავს დასხმოდნენ, გაენადგურებინათ ესპანელი ახალმოსახლეები და მათი სავაჭრო გემები ამერიკაში. ითვალისწინებდნენ რა მათ მიერ ამერიკაში შექმნილი დასახლებების დაცვის სირთულეს, რომელიც მოითხოვდა ხანგრძლივ და საკმაოდ ძვირადღირებულ საზღვაო ექსპედიციებს, ასევე, ინგლისში არსებულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასა და უმუშევრობას, სამეფო კარზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ხალხისთვის შეეთავაზებინათ კერძო საზღვაო ექსპედიციების საკუთარი ხარჯებით მოწყობა, რომელთა მიზანიც იქნებოდა, თავს დასხმოდნენ, დაეწვათ, გაეძარცვათ ან სხვაგვარად გაენადგურებინათ ესპანეთის სამხედრო და სავაჭრო გემები (25, 54). მე-17 საუკუნის ბოლოს სწორედ ამგვარი ექსპედიციების მონაწილენი წარმოადგენდნენ ამერიკის ახალი მოსახლეობის რეალურ დამცველებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეზღვაურებს უფლება ჰქონდათ, თავს დასხმოდნენ მხოლოდ მტრის ხომალდებს, მაგრამ პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ ეკიპაჟის წევრები ხელფასს იღებდნენ მოპოვებული ნადავლიდან და, შესაბამისად, მათი მოქმედებების გაგრძელება ხშირად დამოკიდებული იყო ბედის წყალობაზე - ღია ზღვაში შეხვედროდნენ მოწინააღმდეგის გემებს. მითითებული საკითხი, თავისმხრივ, უბიძგებდა მათ უკანონო ქმედებებისკენ. აღნიშნული ფაქტის ნათელი დადასტურებაა კაპიტან უილიამ კიდის მოღვაწეობა. მე-17 საუკუნის ბოლოს ნიუ-იორკის გუბერნატორმა გადაწყვიტა, ბოლო მოეღო მეკობრეობისათვის. მისი გეგმა მდგომარეობდა შემდეგში: ბრიტანელი ინვესტორების დახმარებით უნდა აგებულიყო დიდი გემი მეკობრეებთან საბრძოლველად, რომელიც დაკომპლექტდებოდა გამოცდილი ეკიპაჟით - კაპიტნით და მეზღვაურებით. მათ შემოსავალი უნდა მიეღოთ როგორც ფრანგული გემების (რადგან იმ პერიოდში

ინგლისი საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა საფრანგეთთან), ასევე მეკობრეთა ხომალდების ხელში ჩაგდებათ. ხომალდის მეთაურად შეირჩა ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მეზღვაური - უილიამ კიდი. მიუხედავად იმისა, რომ გუბერნატორის იდეის შესაბამისად აიგო ბრწყინვალე ხომალდი და გამოცდილი მეზღვაურებითაც დაკომპლექტდა, გემმა წარმატებით მაინც ვერ განხორციელდა. ექსპედიციის დაწყებიდან 14 თვის განმავლობაში მათ არ შეხვედრიათ არც ერთი მეკობრეთა თუ მტრულად განწყობილი სახელმწიფოს გემი. გამომდინარე იქიდან, რომ ეკიპაჟის წევრებს ხელფასი მოპოვებული ნადავლიდან უნდა მიეღოთ, რომელიც არსად ჩანდა, უკმაყოფილება მეზღვაურთა შორის პერმანენტულად იზრდებოდა. ასეთი დაძაბულობის ფონზე, ერთ დღეს ექსპედიციის წევრებმა შეამჩნიეს გემი, მაგრამ, კაპიტანი კიდის და მისი მეზღვაურების სამწუხაროდ, იგი აღმოჩნდა პოლანდიური. ისარგებლეს რა იმით, რომ მითითებული ხომალდის კაპიტნის მიერ წარმოდგენილ იქნა ფრანგული ნებართვა ნაოსნობაზე, გემი გამოაცხადეს ფრანგულად და მისაკუთრეს ნადავლის სახით, რომლის რეალიზაციის შედეგადაც ამოღებული თანხა გადაეცათ მეზღვაურებს (71, 175). ფაქტობრივად, ნიუ-იორკის გუბერნატორის წამოწყებიდან რეალურად მიღებულ იქნა ის, რომ მეკობრეებთან საბრძოლველად შექმნილი ხომალდის კაპიტანმა თვითონ დაიწყო ყაჩაღობა, რითაც არსებული პრობლემა კიდევ უფრო გამძაფრდა.

ნიშანდობლივია, რომ მეკობრეთა შორის ყველაზე წარმატებული დაჯგუფებები იყვნენ არა შემთხვევით შეკრებილი, დანაშაულებრივი წარსულის მქონე ხალხი, არამედ დიდი გამოცდილების მქონე მეზღვაურები, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებულნი, მოქმედებდნენ მკაცრი დისციპლინის შესაბამისად და ზოგიერთ დაჯგუფებას, მაგალითად, კაპიტან ბართოლომე რობერტსის ეკიპაჟს, მკაცრად განსაზღვრული შინაგანაწესიც კი ჰქონდა, რომლითაც ზუსტად იყო დადგენილი ეკიპაჟის წევრების უფლება-მოვალეობანი - თვითოეული მათგანი ვალდებული იყო, დაედო ფიცი მათ შესასრულებლად. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, ფრენკ შერის მოსაზრებით, მიუხედავად მათი სასტიკი და დანაშაულებრივი საქმიანობისა, იმდროინდელი მეკობრეები წარმოადგენდნენ ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებს. მათ წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფო, სამხედრო გემების მეზღვაურებისაგან განსხვავებით, რომლებიც მკაცრად ემორჩილებოდნენ ზემდგომს, მეკობრეები თავს მოიაზრებდნენ ხომალდის

თანამფლობელებად. მათ მიერ გადაწყვეტილება- რომელი მიმართულებით წასულიყვნენ ან რას დასხმოდნენ თავს, მიიღებოდა ერთობლივად. საერთო სურვილის შემთხვევაში მეკობრეებს, ასევე, შეეძლოთ კაპიტნის შეცვლა, თუმცა, ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს „დემოკრატიული წესები“ მოქმედებდა მხოლოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხოლო ბრძოლის დროს ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა ხელმძღვანელის ბრძანებას (71, 186-187).

მეკობრეთა საქმიანობამ განსაკუთრებით სახიფათო მასშტაბები შეიძინა მე-17 საუკუნის ბოლოს, მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში. ამ პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დაჯგუფებას წარმოადგენდა ედუარდ თიჩის „შავწვერას“ სახელით ცნობილი კაპიტნის ეკიპაჟი. ედუარდ თიჩის წარმოშობა ბურუსითაა მოცული. ცნობილია, რომ დედოფალი ანას მიერ წარმოებული ომის დროს, 1702-1713 წლებში, იგი იბრძოდა ინგლისის მხარეს ერთ-ერთ სამხედრო ხომალდზე. ომის დასრულებისას მის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა 5 გემი, 400-500 კაციანი ეკიპაჟით. საბრძოლო მოქმედების დამთავრების შემდეგ „შავწვერამ“ მოიპოვა კაროლინას გუბერნატორის - ჩარლზ ედენის და ამავე კოლონიის საადმირალო სასამართლოს მფარველობა. უსაფრთხოებით გათამამებული ედუარდ თიჩი, თავის დაქვემდებარებაში მყოფი ხალხის მატერიალურად უზრუნველყოფის მიზნით, თავს ესხმოდა ნიუ-ინგლანდის გადამზიდავ გემებს, რომლებიც ნაოსნობდნენ კარიბის ზღვაში, ანუ ფაქტობრივად, ისევე, როგორც უილიამ კიდის შემთხვევაში, აქაც კანონიერი მიზნების შესასრულებლად არსებული შეიარაღებული საზღვაო დანაყოფი მეკობრეთა დაჯგუფებად გადაიქცა (63, 138).

მიუხედავად აქტიური დანაშაულებრივი საქმიანობისა, „შავწვერას“ წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებები არ ტარდებოდა, რადგან იგი ახერხებდა კაროლინას შტატის გუბერნატორისა და თანამდებობის პირების მოსყიდვას. რამდენიმეჯერ „შავწვერას“ მეკობრეები, თვით კაროლინას შტატის ტერიტორიებს დაესხნენ, თუმცა მათმა ხელმძღვანელმა მაინც მოიპოვა შეწყალება გუბერნატორისაგან. კაროლინას შტატის გუბერნატორის ამგვარი დამოკიდებულებისაგან განსხვავებით, ვირჯინიის შტატის მმართველმა ალექსანდერ სპოტსვუდმა გადაწყვიტა მოეწყო ექსპედიცია ამ მეკობრეების წინააღმდეგ, ვინაიდან მათი ქმედებები განსაკუთრებით სახიფათო გახდა მის დაქვემდებარებაში არსებული ტერიტორიისა და მოსახლეობისათვის. ამ მცდელობამ შედეგი გამოიღო და აღმოსავლეთ სანაპიროზე

ორწლიანი თარეშის შემდეგ ედუარდ თიხი ლიკვიდირებულ იქნა, ხოლო მისი დაჯგუფება - დაშლილი.

1715-1718 წლებში ამავე სანაპიროზე მოქმედებდნენ სტედ ბონეტი და მისი მეკობრეები. ისევე, როგორც დანარჩენ ზღვის ყაჩაღთა უმეტესობამ, ომის შემდეგ მანაც ბრძოლის შეწყვეტაზე უარი განაცხადა და დანაშაულებრივი საქმიანობა დაიწყო. იგი ძირითადად თავს ესხმოდა სანაოსნო გემებს, რომლებიც ტვირთს ეზიდებოდნენ ბოსტონიდან სამხრეთ ამერიკაში. იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით როგორც დატყვევებული გემების მგზავრების, ასევე საკუთარი მეზღვაურების მიმართაც. ხშირ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც ხელში ჩაიგდებდა გემს, იგი ცოცხალს არ ტოვებდა ეკიპაჟის არც ერთ წევრს. მიუხედავად მისი სისასტიკისა, სტედ ბონეტი იმდენად პოპულარული იყო უბრალო ხალხში, რომ პირველად, როდესაც იგი დატყვევებულ იქნა ინგლისის საბაჟოს წარმომადგენლების მიერ, სასამართლოს წინაშე წარდგომამდე ადგილობრივები მას საპრობილიდან გაქცევაში დაეხმარნენ, თუმცა, საბოლოოდ, 1718 წელს იგი დააპატიმრეს და სასამართლოს განაჩენით ჩამოახრჩეს.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, სახელმწიფო ცდილობდა მეკობრეთა განადგურებას და პერიოდულ წარმატებებსაც აღწევდა -მეკობრეებს იჭერდნენ ან სიკვდილით სჯიდნენ, მაგრამ მეკობრეობა მაინც ვითარდებოდა და არამცდარამც არ სუსტდებოდა. ამ ყველაფერს გააჩნდა კონკრეტული მიზეზები. ხალხი და ვაჭრები ლოიალურად იყვნენ განწყობილნი კრიმინალთა მიმართ. ფოლკლორის მეშვეობით ხდებოდა მათი განდიდება და დადებით პიროვნებად წარმოიჩინა. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ის კომერციული ინტერესიც, რომელიც ხალხს და ვაჭრებს მეკობრეების მიმართ გააჩნდათ. მათ, ფაქტობრივად, საშუალება ჰქონდათ, შეეძინათ საქონელი იმაზე ბევრად დაბალ ფასში, ვიდრე მათ კანონიერი ვაჭრები სთავაზობდნენ, ვინაიდან ზღვის ყაჩაღები არანაირ გადასახადებს იხდიდნენ და გარდა ამისა, საქონელიც უფასოდ, ძარცვით ჰქონდათ მოპოვებული. აქედან გამომდინარე, ხალხი მათ სასურველ პარტნიორებად უფრო მიიჩნევდა, ვიდრე - სასტიკ დამნაშავეებად.

მეკობრეების თავისუფლად თარეშის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენდა კორუფცია. თავისი უკანონო შემოსავლის ნაწილს ისინი ქრთამის

სახით უხდიდნენ ოფიციალურ პირებს ამერიკის სხვადასხვა კოლონიებში, რომლებიც შემწყნარებლურად ეკიდებოდნენ მათ კრიმინალურ საქმიანობას და ხშირ შემთხვევებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, იწყებდნენ ადრე ჩადენილი დანაშაულებისათვის, რაც მეკობრეებს კიდევ უფრო დიდ სტიმულს აძლევდა საქმიანობის გასაგრძელებლად.

სახელმწიფო მოხელეთა შორის კორუფციამ პიკს მიაღწია ნიუ-იორკის გუბერნატორად ბენჯამინ ფლექტერის დანიშვნის დროს, რომელიც თანამდებობაზე იმყოფებოდა 1682-1694 წლებში. თორმეტი წლის განმავლობაში ის და გუბერნიის თანამდებობის პირები მეკობრეთაგან იღებდნენ შემოსავლებს, მიღებულს უკანონოდ მოპოვებული საქონლით ვაჭრობიდან. შედეგად, მეკობრეთათვის სახელმწიფოს მხრიდან უსაფრთხო გარემოიქმნებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის ფაქტი იყო, რომ მხოლოდ ფლექტერი არ წარმოადგენდა კორუმპირებულ სახელმწიფო მოხელეს. სხვადასხვა კოლონიების მმართველები ახლო კონტაქტში იყვნენ მეკობრეებთან, (პენსილვანიის გუბერნატორის ქალიშვილი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეკობრის მეუღლეც კი გახდა) (47, 79). აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, თუ რა ზომებს გაატარებდნენ სახელმწიფო მოხელეები ზღვის ყაჩაღების წინააღმდეგ.

მე-17 საუკუნის ბოლოს ინგლისის მეფე უილიამმა გადაწყვიტა, ბოლო მოეღო მეკობრეობისა და კორუფციისათვის ამერიკაში. ამ მიზნის განსახორციელებლად მან გადაწყვიტა ნიუ-იორკის გუბერნატორის – ფლექტერის ისეთი პიროვნებით შეცვლა, რომელიც უზრუნველყოფდა კანონების, განსაკუთრებით კი ნავიგაციის შესახებ აქტების აღსრულებას. ამ პოსტისათვის შერჩეულ იქნა გრაფი ბელომონტი, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა მაღალი ხელფასით, რათა არ გასჩენოდა ქრთამის აღების საჭიროება და სურვილი.

ახალმა გუბერნატორმა მთელი ძალებით დაიწყო ბრძოლა მეკობრეობის წინააღმდეგ. პირველ რიგში, მან თავისი ფლოტი გაუშვა ნიუ-იორკის და ნიუ-ინგლენდის წყლებში, სადაც ისინი აკავებდნენ საეჭვო გემებს და ახდენდნენ უკანონო ტვირთების კონფისკაციას. მიუხედავად იმისა, რომ სანაოსნო წყლები სრულად ვერ კონტროლდებოდა, ძალიან მაღე მეკობრეთა უმეტესობა იძულებული გახდა, შეეწყვიტა დანაშაულებრივი საქმიანობა.

ბელომონტის დაწყებული საქმიანობა გაგრძელებულ იქნა ვირჯინიისა და ბაჰამის გუბერნატორების - ალექსანდერ სპოტსვუდისა და ვუდს როჯერსის მიერ. ისინი ენერგიულად იბრძოდნენ მეკობრეთა წინააღმდეგ, რამაც, ბუნებრივია, შედეგი გამოიღო. ასეთი ზომების მიღებით სპოტსვუდმა მოახერხა მეკობრეთა განდევნა ვირჯინიის სიახლოვიდან, მაგრამ თავისი ენერგიული ქმედებით იმდენად გადაიმტერა ზღვის ყაჩაღები, რომ ველარ ბედავდა ინგლისში დაბრუნებას. ის შიშობდა, რომ მეკობრეები, რომელთაც შეეძლოთ სულ უმნიშვნელო მიზეზის გამო ყურების და ცხვირის მოჭრით დაესაჯათ ადამიანი, თუ ხელში ჩაიგდებდნენ, სასტიკად მოექცეოდნენ მათ წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლისათვის.(63, 138).

მიუხედავად მეკობრეთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისა, მათი საბოლოო დამარცხება ვერ მოხერხდა, ვიდრე მაცხოვრებლებმა არ აიღეს ხელი კრიმინალების დახმარებაზე და არ განეწყვნენ დანაშაუვითა წინააღმდეგ. ქვეყანაში ვაჭრობის განვითარების შედეგად ამერიკის ეკონომიკა დამოკიდებული გახდა პროდუქციის ექსპორტზე, რომლის განვითარებასაც ხელს უშლიდა მეკობრეთა თარეში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მეკობრეთა არსებობა აღარ იყო სასურველი აღარც ბიზნესმენების და აღარც უბრალო მოქალაქეთათვის. შედეგად, პორტები, სადაც ადრე მზად იყვნენ, მასპინძლობა გაეწიათ მეკობრეთათვის, მათთვის უკვე დახურული იყო. ზღვის ყაჩაღები ველარ სარგებლობდნენ კორუმპირებულ მოხელეთა მფარველობით, ბაზრები, სადაც ვაჭრობდნენ ნაძარცვი საქონლით, მათთვის ასევე მიუწვდომელი გახდა და, საბოლოოდ, ამ ყველაფერმა ერთად შესაძლებელი გახდა, დასრულებულიყო მეკობრეთა ოქროს ხანად წოდებული პერიოდი, რომელიც გრძელდებოდა მე-18 საუკუნის 30-იან წლებამდე.

აღნიშნული პერიოდის განხილვის შემდეგ, საინტერესოა იმ ფაქტის გაანალიზება, შეიძლება თუ არა ამ პერიოდის მეკობრეთა დაჯგუფებების ჩათვლა ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთ სახეობად. ყოველივე მითითებულის საფუძველზე, სავარაუდოდ, შეგვიძლია ამ დაჯგუფებების მიჩნევა ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებად, რადგან მათ გააჩნდათ თითქმის ყველა ძირითადი ნიშანი, რომელიც მსგავსი ხასიათის კრიმინალს ახასიათებს. ის, რომ აღნიშნული დაჯგუფებები არაიდეოლოგიური იყო, ცხადად ჩანს - მათ არ გააჩნდათ არავითარი პოლიტიკური მოტივები; საქმიანობის ერთადერთ მიზანს კრიმინალური გზით დიდი ოდენობით შემოსავლების მიღება იყო; დანაშაულებრივი ქმედებების

განხორციელებისას ერთ-ერთ ძირითად ფორმას ძალადობა ან ძალადობის მუქარა წარმოადგენდა; წევრობა შეზღუდული იყო, რადგან ეკიპაჟში აპყავდათ მხოლოდ გამოცდილი მეზღვაურები, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ სოციალურ ნორმებს და მზად იყვნენ, ემოქმედათ კანონის წინააღმდეგ; მოსახლეობას უზრუნველყოფდნენ უკანონო და/ან უკანონოდ მოპოვებული საქონლით; საკუთარი უსაფრთხოების მიზნით, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფართოდ იყენებდნენ კორუფციას და ახორციელებდნენ ოფიციალურ პირთა მოსყიდვას; ასევე, მათ საქმიანობას ახასიათებდა დროში განგრძობადობა, რადგან მეკობრეთა დაჯგუფების არსებობა არ იყო დამოკიდებული ერთი კონკრეტული პირის ყოფნა-არყოფნაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მე-17- მე-18 საუკუნის მეკობრეთა დაჯგუფებების ჩათვლა თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულობის ისტორიულ ფორმად.

მითითებული ზღვის ყაჩაღების გაერთიანებების პარალელურად დიდ ქალაქებში ყალიბდებოდა თავისი ფორმით თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების მსგავსი კრიმინალური გაერთიანებები. აღნიშნულმა პრობლემამ ყველაზე მეტად თავი იჩინა ნიუ-იორკში.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან უკეთესი ცხოვრების საძიებლად ამერიკას მიაწყდა მიგრანტთა დიდი ნაკადი. აღნიშნული პირების უმრავლესობამ ბინა დაიღო ნიუ-იორკში, რის შედეგადაც ქალაქის ცენტრში, რომლის ფართობიც არ აღემატებოდა ორ კვადრატულ მილს, თავი მოიყარა მილიონზე მეტმა ადამიანმა. სიტუაციას განსაკუთრებით სავალალოს ხდიდა ის ფაქტი, რომ მათი უმრავლესობა იყო ღარიბ-ღატაკი. მიგრანტთა მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ არ გააჩნდათ პირობები საცხოვრებლად - არ ჰქონდათ გათბობა, მშრალი თავშესაფარი, ირგვლივ სუფევდა სრული ანტისანიტარია, არ იყო სამუშაო. ფაქტობრივად, თავის გადარჩენის ერთადერთ გზად რჩებოდა მათხოვრობა ან ქურდობა (25, 132).

აღნიშნული მდგომარეობა ახდენდა დანაშაულის დონის ზრდის პროვოცირებას. მიგრანტების უკანონო ქმედებებით შეწუხებული ნიუ-იორკის მაღალი ფენის წარმომადგენლები აიძულებდნენ სახელმწიფო მოხელეებს, რათა გაეტარებინათ კრიმინალთა წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები. მართლაც, რიგ შემთხვევაში,

ქალაქის ხელისუფლება სამაგალითოდ, სახალხოდ სჯიდა დამნაშავეებს. მაგალითად, 1824 წელს ვაშინგტონ პარკში ერთდროულად ჩამოსრჩეს 20 ქურდი და მძარცველი.

სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ასეთი ქმედებების შემდეგ კრიმინალები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თავის გადასარჩენად აუცილებელი იყო, ერთობლივი მოქმედება. შესაბამისად, მალევე წარმოიშვა სპონტანურად გაერთიანებული, მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურის არმქონე დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რასაც ეტაპობრივად მოჰყვა კარგად ორგანიზებული ბანდების ფორმირება, რომლებიც ბოსტნეულის მაღაზიებში იკრიბებოდნენ. აღნიშნული კი განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ბოსტნეულის ურიკების მიღმა, უკანა ოთახებში, ფარულად ხდებოდა დაბალ ფასებში ალკოჰოლის უკანონო გაყიდვა, რასაც კრიმინალური გაერთიანებებისათვის შემოსავალი მოჰქონდა.

ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების შემდეგ ეტაპად შეიძლება მიჩნეულ იქნეს დაჯგუფებების ჩართვა პოლიტიკურ მოვლენებში, განსაკუთრებით - არჩევნებში. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში პოლიტიკოსები მიხვდნენ, რომ მიგრანტებისათვის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევის აკრძალვაზე მეტად უფრო მომგებიანი იქნებოდა მათთვის საარჩევნო უფლების მინიჭება, რომელსაც, რა თქმა უნდა, თავის სასარგებლოდ გამოიყენებდნენ. შესაბამისად, უკვე 1827 წლის არჩევნებზე დაფიქსირდა, თუ როგორ ცდილობდა უცხოელ ადამიანთა ჯგუფი, რომელთაგან ყველას არც კი ჰქონდა საარჩევნო უფლება, სხვადასხვა უბნებზე რამდენიმეჯერხმის მიცემას.

აღნიშნული მოვლენებიდან გამომდინარე, პოლიტიკოსები მიხვდნენ, რომ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად იდეალური იქნებოდა, თუ შექმნიდნენ ალიანსს ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან. მართლაც, ისინი ხელს უწყობდნენ დანაშაულებრივი დაჯგუფებების შექმნას. როგორც კი გაერთიანება გახდებოდა კარგად ორგანიზებული, მათ ეხმარებოდნენ ბოსტნეულის მაღაზიის ან სალონის შექმნაში, რომელსაც იყენებდნენ შეკრების ადგილად. ამის შემდეგ, პოლიტიკური ლიდერები უზრუნველყოფდნენ მათ უსაფრთხოებას, იცავდნენ პოლიციისგან და ხელს უწყობდნენ გაძლიერებაში სუსტ მოწინააღმდეგეთა

ხარჯზე, სამაგიეროდ კი დანაშაულებრივი ჯგუფები ვალდებულებას იღებდნენ, ნებისმიერი გზით მოეხერხებინათ მათი მფარველის არჩევნებში გამარჯვება.

მე-19 საუკუნის შუა წლებში ნიუ-იორკში ბანდები კიდევ უფრო მჭიდროდ ჩაერთვნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ფაქტობრივად ისინი თამაშობდნენ გადამწყვეტ როლს არჩევნებში. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ერთ-ერთ განგსტერს - მაიკ უოლშს ეყო თავხედობა, რომ ბანდის გამოყენების მუქარით მოეთხოვა არჩევნებში მისი კანდიდატურის წარდგენა. მართალია, საბოლოოდ იგი დამარცხდა, მაგრამ მან მაინც მოახდინა იმის დემონსტრირება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განგსტერების მხარდაჭერას (61, 29).

ნიუ-იორკში ორგანიზებული დანაშაულობა თანამედროვე ეტაპზე გადაიყვანა საშუალო ფენის ებრაელის ოჯახში დაბადებულმა არნოლდ როტშტეინმა. პირველად იგი ასპარეზზე გამოჩნდა ნიუ-იორკის საბილიარდოებში როგორც პროფესიონალი მოთამაშე. შემდგომში მან დაიწყო მოპოვებული თანხების დაბანდება მევახშეობაში, შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა თანამოაზრისპოვნის აუცილებლობა, რომელიც დაეხმარებოდა პროცენტით გასესხებული თანხის ამოღებაში. აღნიშნული წინადადებით მან მიმართა ერთ-ერთი ბანდის ლიდერს - მონკ ისტმენს, რომელიც დათანხმდა, ყოფილიყო თანხის „შემგროვებელი“. ბიზნესის გაფართოების კვალდაკვალ როტშტეინმა მოგვიანებით თავის საქმიანობაში ჩართო ვაქსი გორდონი, ძმები - ლეგსი და ედი „ბრილიანტები“ და სხვა ავტორიტეტული კრიმინალები. იმავედროულად მას ჰქონდა კარგი ურთიერთობები პოლიტიკური ორგანიზაცია „ტამანის“ ლიდერ ტიმ სალივანთან, რომელიც უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას პოლიციისა და სხვა ოფიციალური დაწესებულებებისგან (17, 79). მოგვიანებით, არნოლდ როტშტეინმა ძალები მოსინჯა აზარტული თამაშების ბიზნესში და ბუკმეკერობაში. შედეგად მის მფლობელობაში გადავიდა არსებული სათამაშო დაწესებულებების დიდი ნაწილი, ხოლო თვითონ კი გახდა „ბუკმეკერების ბუკმეკერი“.

პოლიტიკოსებისა და ბანდების მხარდაჭერით გათამამებულმა როტშტეინმა გააფართოვა თავის საქმიანობის არეალი და მოპოვებული ფულის დაბანდება დაიწყო ნარკოტიკების, ბრილიანტებისა და სპირტიანი სასმელების კონტრაბანდაში (17, 79). ამ საქმიანობიდან იგი იმდენ შემოსავალს იღებდა, რომ ფიზიკურად ვეღარ

ასწრებდა თანხის ხელახლა დაბანდებას, ამიტომ, ფულის ბრუნვის მიზნით, დაიწყო დიდი ოდენობით პროცენტული სესხების გაცემა პოლიტიკოსებზე, პოლიციის წარმომადგენლებზე, მოსამართლეებზე, პროკურორებსა და, საერთოდ, ყველაზე ვისაც ფული სჭირდებოდა და მზად იყო პროცენტული სესხის აღებაზე როტშტეინისათვის მისაღები პირობებით. ამ საქმიანობამ კიდევ უფრო დიდი გავლენა შესძინა კრიმინალური დაჯგუფების ლიდერს. ჩვეულებრივ პირებს ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში სტუმრობდა მისი ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი თანამშემწე - ლეგს „ბრილიანტი“. პოლიტიკოსებს და სხვა თანამდებობის პირებს, რომელთაც არ შეეძლოთ ვალის გადახდა, სთხოვდნენ მეგობარი განგსტერების ციხიდან გამოშვებას, თვითონ როტშტეინის ან მისი ბანდის წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის შეჩერებას (51, 124). 1928 წლისათვის იგი წარმოადგენდა ნიუ-იორკის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მოქალაქეს, თუმცა ამავე წელს დამთავრდა მისი ტრიუმფალური დანაშაულებრივი კარიერაც. 4 ნოემბერს ცენტრალ პარკ ოტელის შესასვლელთან იპოვეს მომაკვდავი არნოლდ როტშტეინი. იგი მძიმედ იყო დაჭრილი და ისე გარდაიცვალა, რომ მკვლელი არ დაასახელა. მისი სიკვდილის შემდეგ გავრცელდა ხმები, რომ ინციდენტი უკავშირდებოდა როტშტეინის უარს, გადაეხადა ბანქოში წაგებული 300.000 დოლარი, რომელიც, მისი აზრით, მოტყუებით მოუგეს.

არნოლდ როტშტეინის ერთ-ერთი თანამონაწილე და გავლენიანი განგსტერი იყო ფრენკ კოსტელო. მისი დანაშაულებრივი კარიერა ბავშვობიდან დაიწყო, როდესაც იგი ეწეოდა წვრილმან ქურდობას. მალევე ის და მისი ძმა გაერთიანდნენ ოუნი მედენის ბანდაში. ცოტა ხანში კოსტელომ შეიძინა ხილის პატარა მაღაზიები, რომლებიც უკანონო აზარტული თამაშების საფარს წარმოადგენდა. იგი სისტემატურად უხდიდა ფულს პოლიციელებს და პოლიტიკოსებს, რათა დაეცვათ მისი უკანონო ბიზნესი. შემოსავლის გაზრდასთან ერთად იგი უფრო და უფრო გავლენიანი ფიგურა ხდებოდა. საქმიანობაში მას პარტნიორობას უწევდნენ იმ დროის ყველაზე ცნობილი განგსტერები: ვაქსი გორდონი, ლაკი ლუჩიანო, ოუნი მედენი, ჰოლანდიელი შულცი და ჯო ადონისი.

კოსტელო ცნობილი იყო პოლიტიკური გავლენის გამოც. ერთ-ერთი გახმაურებული ინციდენტისას ცნობილი გახდა ფრენკ კოსტელოსა და ტომას აურელიოს საუბარი, სადაც აურელიო განგსტერს მადლობას უხდიდა იმისათვის, რომ

უზრუნველყო დემოკრატიების მიერ მისი კანდიდატურის წარდგენა მანჰეტენიდან ნიუ-იორკის უმაღლეს სასამართლოში (64, 212-213).

მშრალი კანონის გაუქმების შემდეგ ფრენკ კოსტელომ სხვა დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერ მადერ ლანსკისთან ერთად ყურადღება გადაიტანა აზარტულ თამაშებზე ნიუ-იორკსა და მაიამიში, ხოლო მოგვიანებით მათ გააფართოვეს საქმიანობის არეალი და კუბის დიქტატორ ფულგენცია ბატისტას დახმარებით კაზინოები ააშენეს ჰავანაშიც.

1950-იანი წლებისათვის ფრენკ კოსტელო ამერიკაში ითვლებოდა მაფიის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ლიდერად. მას შესწევდა უნარი, გაეწია მხარეთა შორის არბიტრის ფუნქცია და გამოეყენებინა მოლაპარაკებები ძალადობის მაგივრად. აღნიშნული თვისების გამო, მას „პრემიერ მინისტრადაც“ მოიხსენიებდნენ (51, 128).

მიუხედავად დიდი გავლენისა, ძალაუფლების გადანაწილებასთან დაკავშირებული დავის გამო, 1957 წელს ფრენკ კოსტელოზე განხორციელდა თავდასხმა ვიტო ჯენოვეზე დავალებით მისი „მსროლელის“ - ვინსენტ ჯიგანტეს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობის მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა, ფრენკ კოსტელომ არ დაასახელა დამნაშავე და არც შურისძიება უცდია. რამდენიმე თვეში მოკლეს კოსტელოს პარტნიორი და მისი ახლო მეგობარი ალბერტ ანასტასია. არსებული ინფორმაციით, მითითებული ფაქტი იყო კოსტელოს მკვლელობის მცდელობის გაგრძელება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულებრივი სამყაროს „პრემიერ მინისტრი“ მიხვდა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ თავისი ნებით გაეცლებოდა მოწინააღმდეგეებს, გადადგა დაჯგუფების ლიდერობიდან და ლუჩიანოს ოჯახის ბოსად დატოვა ვიტო ჯენოვეზე (48, 293).

ნიუ-იორკის დანაშაულებრივი სამყაროს თანამედროვე სახით ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა მოვლენამ, რომელიც ცნობილია „კასტელმარეზის“ ომის სახელით. ფაქტობრივად, აღნიშნულმა გავლენა იქონია არა მარტო ნიუ-იორკზე, არამედ - მთელ ამერიკაზე, რადგან ომის შედეგად ჩამოყალიბებული იატალიურ-ამერიკული მაფიოზური ოჯახების მიერ კონტროლდებოდა თითქმის ყველა დანაშაულებრივი საქმიანობა.

აღნიშნული ომი 1930 წლის 26 თებერვალს დაიწყო. ამ პერიოდში ნიუ-იორკში მოქმედებდა ორი ძირითადი დანაშაულებრივი კლანი: მაზერია და მარანზანო. მითითებულ ომს „კასტელმარეზის“ სახელი ეწოდა, რადგან მარანზანოს კლანის უმეტესობა, წარმოშობით სიცილიის პატარა ქალაქ კასტელმარე დელ გოლფოდან იყო (49, 98). ამ დაპირსპირების პროვოცირება გამოიწვია მაზერიას ხელმძღვანელ ჯოს მოქმედებამ, რომელმაც მოითხოვა, ელიარებინათ ნიუ-იორკში მოქმედი ყველა მაფიოზის ბოსად და, შესაბამისად, მისთვის გადაეხადათ გარკვეული თანხა შემოსავლებიდან (62, 26). რაღა თქმა უნდა, დამორჩილებაზე უარი განაცხადა მარანზანოს კლანმა და ომიც დაიწყო. მიუხედავად მაზერიას რიგებში ისეთი „სახელოვანი“ განგსტერების არსებობისა, როგორებიც იყვნენ ჩარლზ „იბლიანი“ (Lucky) ლუჩიანო, ფრენკ კოსტელო, ვიტო ჯენოვეზე, ასევე, ალ კაპონე, უპირატესობა მოიპოვა მარანზანოს კლანმა. საკუთარი თავის გადარჩენის და მშვიდობის დამყარების მიზნით, მაზერიას კლანის განგსტერებმა ლუჩიანოს მეთაურობით გადაწყვიტეს, მოეცილებინათ დაჯგუფების ლიდერი, რაც ომის შეწყვეტას გამოიწვევდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი. სწორედ ამ ომის დასრულების შემდეგ დაიწყო ნიუ-იორკში საქვეყნოდ ცნობილი იტალიურ - ამერიკული მაფიოზური ოჯახების ჩამოყალიბება. ამ მოვლენამ დაუდო სათავე იტალიურ - ამერიკული დანაშაულებრივი სინდიკატის შემდეგში ოჯახებად დაყოფას, რომლებიც გარკვეული სახეცვლილებებით დღესაც არსებობენ.

ორგანიზებული დანაშაულობის ძირეულად შესწავლის მიზნით, არ იქნება ინტერესმოკლებული, თუ მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეულს ამ ოჯახთაგან და მათ საქმიანობას.

„კასტელმარეზის ომის“ შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან განგსტერად ჩამოყალიბდა „ბოსების ბოსი“ - ჩარლზ ლუჩიანო. მისი ოჯახისთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა როგორც ტრადიციული დანაშაულებრივი საქმიანობა - ალკოჰოლისა და ნარკოტიკების კონტრაბანდა, ასევე, სხვადასხვა სახის რეკეტი, რესტორნები, ღამის კლუბები, პროსტიტუცია. ფაქტობრივად, იგი იყო პირველი მაფიოზი, რომელმაც გააერთიანა და გავლენა მოიპოვა ნიუ-იორკის ყველა ბორდელზე. ლუჩიანოს ექვემდებარებოდა დაახლოებით ორასი ბორდელის მფლობელი ქალბატონი, რომელთაც დაქირავებული ჰყავდათ ათასზე მეტი გოგონა (51, 118). ცხადია, ამ საქმიანობიდან „იბლიანი“ ლუჩიანოს ოჯახი საკმაოდ დიდ

შემოსავალს იღებდა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მის წარმატებულ დანაშაულებრივ კარიერას წერტილი სწორედ ამ წამოწყებამ დაუსვა. 1936 წელს ჩარლზ ლუჩიანო დააკავეს და მის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენი სწორედ ამ ბორდელებში მომუშავე სამი გოგონას ჩვენების საფუძველზე იქნა გამოტანილი, რის შედეგადაც მას 30-დან 50 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა (49, 101). აღსანიშნავია, რომ ჩარლზ ლუჩიანო ციხეში დიდ ხანს არ მჯდარა, რადგან მეორე მსოფლიო ომის დროს, ამერიკის მთავრობისათვის გაწეული დახმარების გამო, პატიმრობის ვადა შეუმცირეს და 1946 წელს იტალიაში გააძევეს, სადაც 1962 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა. მისი დეპორტაციის შემდეგ ოჯახს სათავეში ფრენკ კოსტელო ჩაუდგა. მოგვიანებით, მისმა თანამონაწილე ვიტო ჯენოვეზემ აიძულა, რომ გადამდგარიყო და თვითონ გახდა კლანის ხელმძღვანელი. აღნიშნული ოჯახი დღესაც მოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა კოსტელოს გადაგომის შემდეგ ცნობილია ჯენოვეზეს ოჯახად და აერთიანებს დაახლოებით 300-400 წევრს (17, 102).

„კასტელმარეზის ომის“ შემდეგ ჩამოყალიბდა კიდევ ერთი დანაშაულებრივი სინდიკატი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვინსენტ მანგანო. 1957 წლიდან კრიმინალურ გაერთიანებას სათავეში ჩაუდგა კარლო გამბინო. დღესდღეობით დაჯგუფება ცნობილია გამბინოს ოჯახის სახელით. აღნიშნული კლანი იყო ყველაზე სისხლიანი დანაშაულებრივ სინდიკატებს შორის და გამოირჩეოდა გასაკუთრებული სისასტიკით. მითითებული ოჯახი ჩართული იყო ყველა სახის ბიზნესში, მათ შორის, ლატარიაში, „იტალიურ“ ლატარიაში, მევახშეობაში და ა.შ. (61, 183). 1975 წელს კარლო გამბინო გარდაიცვალა. ის გახდა ამ ოჯახის პირველი ბოსი, რომელმაც ბუნებრივი სიკვდილით დაამთავრა სიცოცხლე, მანამდე ამ კლანის ყველა ხელმძღვანელი მოკლულ იქნა. ეს ოჯახი კვლავაც აგრძელებს არსებობას და აერთიანებს დაახლოებით 200-300 წევრს (17, 102).

სხვა დანაშაულებრივ სინდიკატებთან ერთად ასევე ჩამოყალიბდა ჯოზეფ პროფაცის კრიმინალური გაერთიანება, რომელსაც მოგვიანებით სათავეში ჩაუდგა ჯოზეფ კოლომბო და, შესაბამისად, დაჯგუფებას ეწოდა კოლომბოს ოჯახი. იგი გახდა ყველაზე ახალგაზრდა ბოსი ნიუ-იორკის მაფიურ ოჯახებს შორის. უფლებამოსილების მიღებისას ის მხოლოდ 40 წლის იყო. ტრადიციულ მაფიოზურ საქმიანობასთან ერთად მას მჭიდრო კავშირები ჰქონდა მუშათა პროფკავშირებთან.

ამ კავშირებს აქტიურად იყენებდა გაფიცვების მოსაწყობად 1970 წელს, როდესაც გვბ-მ მის წინააღმდეგ დაიწყო გამოძიება. იმ პერიოდში, იგი ხშირად ჩნდებოდა ტელევიზორების ეკრანზე. ასეთმა პოპულარობამ, საბოლოოდ, ისევ მისთვის გამოიღო ცუდი შედეგი, რადგან ეს არ მოეწონათ სხვა ოჯახის ბოსებს და ჩათვალეს რა, რომ კოლომბოს ასეთი „პოპულარობა“ საბოლოო ჯამში ვნებდა მთლიანად მათ საქმიანობას, ქილერის ხელთ მოიშორეს თავიდან.

კიდევ ერთი ტრადიციული მაფიოზური გაერთიანება, რომელიც „კასტელმარეზის ომის“ შემდეგ ჩამოყალიბდა, იყო გაეტანო ჯაგლიანოს დაჯგუფება, რომელსაც მისი გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა ტომას ლუკეზი. შესაბამისად, დღესდღეობით მითითებული კრიმინალური სინდიკატი ცნობილია როგორც ლუკეზის ოჯახი. აღნიშნული დაჯგუფება ჩართული იყო აზარტულ თამაშებში, ბუკმეკერობაში და შრომით რეკეტში. თვითონ ტომას ლუკეზი რამდენჯერმე იქნა პასუხისმგებლობაში მიცემული. საბოლოოდ, იგი 1967 წელს, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

ყველაზე მეტი ინფორმაცია არსებობს ბონანოს ოჯახზე, რომელიც წარმოადგენდა ნიუ-იორკის მეხუთე მაფიოზურ დაჯგუფებას, რადგან ჯგუფის ბოსმა – ჯოზეფ ბონანომ სიბერეში ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერა, ხოლო ოჯახის ერთ-ერთი ბოლო ხელმძღვანელი – ჯოზეფ მესინო გვბ-სთან თანამშრომლობდა. გარდა ტრადიციული განგსტერული საქმიანობისა, მითითებული ოჯახი ასევე ცნობილია მათ წინააღმდეგ გვბ-ს მიერ განხორციელებული ოპერაციებით, რომელთაგან ერთ-ერთი აღწერილია ფილმში „დონი ბრასკო“. აღნიშნულსა და, ასევე, გვბ-ს მიერ განხორციელებული სხვა გაუხმაურებული ოპერაციებიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ მითითებულ ოჯახში კონსპირაციის დონე იყო დაბალი, რაც საფარქვეშ მყოფ აგენტებს დანაშაულებრივ დაჯგუფებაში ჩართვას უადვილებდათ. ბონანოს ოჯახიც, სხვა კრიმინალური გაერთიანებების მსგავსად, დღესაც არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, აგრძელებს საქმიანობას და დაახლოებით 100-125 წევრს ითვლის.

როგორც ვხედავთ, ორგანიზებულ დანაშაულობას ამერიკაში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი იწყება ჯერ კიდევ მე-17 საუკუნიდან და გარკვეული ტრანსფორმირების მიუხედავად დღესაც არსებობს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, თუ

როგორ იცვალბოდა, დროისა და სიტუაციიდან გამომდინარე, მოთხოვნების შესაბამისად: ზღვაზე დაწყებული მეკობრეობა გაგრძელდა ხმელეთზე ყაჩაღობით და ქურდობით. თვითგადარჩენის ინსტიქტმა აიძულა ბანდიტები, გაერთიანებულიყვნენ და უფრო ეფექტური გაეხადათ საქმიანობა. წარმატების მისაღწევად ნელ-ნელა დღის წესრიგში დადგა პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების აუცილებლობა, რასაც ასევე წარმატებით გაართვეს თავი და ფაქტობრივად მე-19-მე-20 საუკუნის მიჯნაზე წარმატებული პოლიტიკოსობა დამოკიდებული გახდა მაფიის სურვილზე. მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან იტალიელ დამნაშავეთა მიგრაციამ ამერიკაში კიდევ უფრო დაამძიმა კრიმინალური გარემო და შექმნა ხელსაყრელი ვითარება ორგანიზებული დანაშაულობის განვითარებისათვის, რასაც მოჰყვა კიდევ იტალიურ – ამერიკული მაფიოზური ოჯახების ჩამოყალიბება, რომლებიც დღესაც მოქმედებენ შეერთებულ შტატებში. ამ გაერთიანებებმა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ კონკურენტუნარიანობა და ძალაუფლება, რაც საბოლოო ჯამში დაკავშირებული იყო შემოსავლის ოდენობასთან, წმინდად კრიმინალური ქმედებების გარდა შეითავსეს კანონიერი კომერციული საქმიანობებიც. რიგ შემთხვევაში კი, განსაკუთრებით თანამედროვე პერიოდში, გაერთიანების წევრები გვევლინებოდნენ საზოგადოებისათვის ცნობილ სახეებად, რომელთაც გააჩნდათ ლეგალური ბიზნესი და/ან სამსახური და ერთი შეხედვით არაფერი ჰქონდათ საერთო დანაშაულებრივ საქმიანობასთან.

1.3 ორგანიზებული დანაშაულობის ისტორია საქართველოსა და რუსეთში

არსებობს მოსაზრება, რომ ორგანიზებული დანაშაულობის ისტორია საქართველოში არაერთ საუკუნეს ითვლის. მე-16-მე-17 საუკუნეებში განსაკუთრებით

ფართოდ იყო გაგრძელებული ისეთი საშიშიდანაშაულებები, როგორცაა გზებზე ყაჩაღობა, ადამიანის მოტაცება (12, 22) და ა.შ.

მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე პოლიტიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში ხელი შეუწყო სხვადასხვა, მათ შორის, პოლიტიკურ-კრიმინალური ორგანიზებული დაჯგუფებების შექმნას. ფაქტობრივად, შესაძლებელია, ერთად იქნეს განხილული ამ პერიოდში ორგანიზებული დანაშაულობის განვითარება საქართველოსა და რუსეთში, რადგან რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ეს სოციალური მოვლენა მსგავს პირობებში ვითარდებოდა.

საინტერესო იქნება, პოლიტიკურ-კრიმინალური ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების განხილვის დაწყება საქართველოში ბოლშევიკების სოციალურ-დემოკრატიულ პარტიას შეკედლებულ კრიმინალთა გაერთიანებებით. რევოლუციური მოძრაობის პარალელურად ისინი პარტიის სახელით სწადიოდნენ სხვადასხვა დანაშაულებრივ აქტებს, მათ შორის, გამოძალვას, ძარცვა-ყაჩაღობას, საიდანაც მიღებული შემოსავლის ნაწილი ხმარდებოდა პოლიტიკურ ინტერესებს, ხოლო ნაწილი კი იხარჯებოდა დამნაშავეთა შეხედულებების შესაბამისად. კრიმინალური მიდრეკილებების მქონე რევოლუციონერთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა კამოს. მისი და მისი თანამებრძოლების ანგარიშზე არაერთი ყაჩაღური თავდასხმის, ექსპროპრიაციისა და მკვლელობის ფაქტი. დასახული მიზნების განახორციელებლად იგი არ ერიდებოდა არც ადამიანურ დანაკარგებს, რასაც ცხადყოფს მის მიერ განხორციელებული თავდასხმა სახელმწიფო ბანკის კარეტაზე, რომლის შედეგადაც 250.000 მანეთი მიითვისა, ხოლო შეტაკებისას 12 ადამიანი დაიჭრა. ასევე განსაკუთრებული თავხედობითა და სისატიკით გამოირჩეოდა კამოს მიერ შედგენილი გეგმა ქვეყნის საცავზე თავდასხმისათვის. მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ამ ყაჩაღურ აქტს სავარაუდოდ ორასამდე ადამიანი ემსხვერპლებოდა, მაგრამ ამან ვერ ააღებინა ხელი მის განხორციელებაზე.

კამოს გარდა კიდევ მრავალი რევოლუციონერი ახორციელებდა კრიმინალურ საქმიანობას პარტიის სახელით და ხშირ შემთხვევაში - მისი ნამდვილი მიზნების შესაბამისად, თუმცა, აღსანიშნავია ერთი ფაქტი - ყველაფრის მიუხედავად, კამო

და მისი თანამებრძოლები არ წარმოადგენდნენ ანარქიულ ბანდიტებს, ისინი უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ ლენინს (12, 30).

ამ პერიოდის საქართველოში, პოლიტიკური ვითარების არასტაბილურობიდან გამომდინარე, ბოლშევიკების გარდა მრავალი სხვა, როგორც წმინდად დანაშაულებრივი, ასევე პოლიტიკურ-კრიმინალური დაჯგუფება არსებობდა. რიგ შემთხვევებში ისინი, მართლაც, კანონსაწინააღმდეგო ქმედების პარალელურად პოლიტიკური წინააღმდეგობის კერებსაც აღვივებდნენ, მაგრამ უფრო ხშირად საკუთარ დაჯგუფებაზე ხალხში დადებითი წარმოდგენის შესაქმნელად, თავიანთ ქმედებას ფორმალურად უკავშირებდნენ პარტიულ საქმიანობას.

მითითებული პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და სასტიკ დანაშაულებრივ დაჯგუფებას წარმოადგენდა შაქრო მოსულიშვილის (მეტსახელად „გიჟოს“) ბანდა, რომელმაც თავისი საქმიანობით ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს გაითქვა სახელი და ალბათ მალევე დაამთავრებდა დანაშაულებრივ კარიერას, რომ არა პოლიტიკური არასტაბილურობა და მთავრობის შეცვლა. მენშევიკების მთავრობაში მოსვლის შემდეგ იგი დაუბრუნდა თავის საცხოვრებელ ადგილს, მაგრამ კვლავინდებურად აგრძელებდა ძარცვა-ყაჩაღობას თავისი დაჯგუფების წევრებთან ერთად. რევოლუციის შემდეგ „გიჟო“ თავის გადარჩენასა და წარსულის მიჩქმალვას „წითლებთან“ თანამშრომლობით შეეცადა, თუმცა, კრიმინალური საქმიანობა არ შეუწყვეტია (15, 8). შედეგად იგი კვლავ გახდა ხელისუფლების დეენის ობიექტი და ღიად განაგრძო კანონგარეშე ცხოვრება. ის და მისი დაჯგუფება 5 წლის განმავლობაში აწიოკებდა როგორც უბრალო მოსახლეობას, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. საბოლოოდ, 1922 წლისთვის, ბოლშევიკური მთავრობის ძალისხმევით, ეტაპობრივად განხორციელდა მისი დანაშაულებრივი გაერთიანების განადგურება, ხოლო თვითონ შაქრო კი შეწყალების შემდეგ მოკლეს პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით.

პოლიტიკურ-კრიმინალურ დაჯგუფებას წარმოადგენდა ივანე კრაწაშვილის ბანდა. მიუხედავად მისი დანაშაულებრივი წარსულისა, მოგვიანებით იგი ოფიციალურად გახდა მენშევიკური პარტიის წევრი და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეკავა სხვადასხვა თანამდებობა. ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ, მან შემოიკრიბა ყოფილი გვარდიელები და დაუპირისპირდა

ხელისუფლებას. იგი მიემხრო ჩამოყალიბების პროცესში მყოფ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ იქ დიდხანს არ გაუჩერებიათ სწორედ მისი კრიმინალური მიდრეკილებების გამო. ამის შემდეგ იგი და მისი თანამონაწილეები ფაქტობრივად ჩვეულებრივ აგრძელებდნენ დანაშაულებრივ ცხოვრებას, თუმცაღა თავს ასალებდნენ პოლიტიკური ორგანიზაციის მებრძოლებად. აღნიშნული დაჯგუფება მოქმედებდა 1922-23 წლებში. ამ ხნის განმავლობაში ჩაიდინეს უამრავი დანაშაული, მათ შორის, 22 მკვლელობა (15, 52). მიუხედავად მათი შეხედულებისა, რომ წარმოადგენდნენ პოლიტიკურ მებრძოლებს, ფაქტობრივად, ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი ყაჩაღური დაჯგუფებებისაგან.

ამ პერიოდის საქართველოში მოქმედებდა ზემოთ აღნიშნულის მსგავსი უამრავი დანაშაულებრივი დაჯგუფება. მათი ნაწილი ცდილობდა, გაემართლებინა თავიანთი საქმიანობა პოლიტიკური მიზნებით, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს არავითარ შედეგსაც აღწევდამწვიდობიან მოსახლეობას, რომლებიც მათი თარეშის შედეგად ზარალდებოდა.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში ორგანიზებული დანაშაულობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოსა და რუსეთში იდენტურად ვითარდებოდა, ამდენად, შესაძლებელია მათი ერთად განხილვა.

1930-იანი წლებიდან, ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც ჩამოყალიბდა ახალი ორგანიზებული დანაშაულებრივი კასტა „კანონიერი ქურდებისა“. ქურდული სამყაროს წარმოშობის პერიოდთან დაკავშირებით არ არსებობს ერთგვაროვანი მოსაზრება. საბჭოთა კავშირის შრომა-გასწორებით კოლონიებზე (გულაგზე) შექმნილი ერთ-ერთი ნაშრომის ავტორი უაკ როსი მიუთითებს, რომ კანონიერი ქურდები არსებობდნენ ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს. მონახოვი ასევე მიუთითებს, რომ კანონიერი ქურდები რუსეთის სოციალისტურმა საზოგადოებამ „მემკვიდრეობით მიიღო“ მეფის რუსეთისაგან, თუმცა, იგი ასევე აღნიშნავს, რომ 1920-იან წლებში მოხდა ყოფილიკაპიტალისტების შერწყმა კრიმინალებთან, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა „კანონიერი ქურდების“ კასტა. მითითებულ საკითხთან დაკავშირებით გუროვი მიუთითებს, რომ რევოლუციამდელი კრიმინოლოგები არ ახსენებენ არც მსგავს

ფენომენს, არც ტერმინს, შესაბამისად, იგი თვლის, რომ კრიმინალთა კასტა - „კანონიერი ქურდები“ არ არსებობდა მეფის რუსეთში და ჩამოყალიბდა მხოლოდ რევოლუციის შემდეგ (79, 160).

გუროვის მოსაზრებას იზიარებენ სხვა მეცნიერებიც: ჯოზეფ სერიო, ვიაჩესლავ რაზნიკინი, გიორგი ღლონტი და სხვ. მათი მოსაზრებით, კანონიერი ქურდების წინამორბედები რევოლუციის შემდეგმალევე გამოჩნდნენ. ესენი იყვნენ პირები, რომლებიც დანაშაულებრივ გზას დაადგინეს საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის გამო. მათ არ გააჩნდათ კრიმინალური საქმიანობის დიდი გამოცდილება, მაგრამ მალევე მოიპოვეს ლიდერის პოზიციები დანაშაულებრივ საზოგადოებაში, რაც გამოწვეული იყო მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოყენებით, რადგან ისინი ბევრად უფრო განათლებული და ერუდირებული იყვნენ, ვიდრე მეფის რუსეთის დროინდელი სტაჟიანი კრიმინალები. აღნიშნული პირები თავიანთ თავს უწოდებდნენ „ჟიგანებს“, ხოლო მათ დაქვემდებარებაში არსებული დაჯგუფების წევრებს კი „შპანას“ (12, 41). მითითებული დამნაშავეების მიერ მოხდა ძველი კრიმინალური ტრადიციების მოდელირება მცირე იდეოლოგიური ელემენტებით თანამედროვე რეალობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად, რათა ყოფილიყვნენ განსხვავებული კლასიკური კრიმინალური საზოგადოებისაგან და შეიმუშავეს მკაცრი წესები, რომელთა შესაბამისად აიკრძალა:

- შრომა ან საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება;
- ოჯახის შექმნა;
- იარაღით ხელში სამშობლოს დასაცავად ბრძოლა;
- სახელმწიფო დაწესებულებებთან თანამშრომლობა მოწმის ან დაზარალებულის სტატუსით;
- ყველა წევრს დაევალა საერთო ფონდში თანხის შეტანა (108, 73).

ზემოთ მითითებული დებულებები ფაქტობრივად წარმოადგენდა საწყის საფუძველს, რომლის შესაბამისადაც მოგვიანებით ჩამოყალიბდა ე.წ. ქურდული ცხოვრების კანონი. აღსანიშნავია, რომ „ჟიგანების“ ლიდერობა არ გაგრძელებულა დიდხანს. 1920-იანი წლების მიწურულს მათ დაქვემდებარებაში მყოფმა

კრიმინალებმა, რომლებიც თავიანთ თავს „ურკებს“ უწოდებდნენ, განაცხადეს პრეტენზიები ხელმძღვანელობაზე, რასაც სისხლიანი დაპირისპირება მოჰყვა. შემდეგად, რევოლუციამდელი კრიმინალური ტრადიციების საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი უნივერსალური წესები, სადაც გათვალისწინებული იყო „უიგანების“ მიერ შექმნილი დებულებებიც. ფაქტობრივად, ამით განხორციელდა პირველი ქურდული კანონის ჩამოყალიბება და „კანონიერი ქურდების“ წარმოშობა.

მითითებული დანაშაულებრივი ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდეგ ქურდული ქცევის კოდექსი კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა, გაიზარდა აკრძალვები, შეიზღუდა ქურდული სამყაროს ქცევის წესები. მითითებული კოდექსის ძირითად დებულებას წარმოადგენდა შემდეგი წესები:

- კანონიერმა ქურდმა ზურგი უნდა შეაქციოს თავის ოჯახს, კერძოდ: დედას, მამას, ძმებს, დებს . . . მის ოჯახს წარმოადგენს კრიმინალური გაერთიანება;
- აკრძალულია საკუთარი ოჯახის – ცოლის, შვილებისყოლა;
- დაუშვებელია მუშაობა; კანონიერმა ქურდმა უნდა იცხოვროს მხოლოდ კრიმინალური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების ხარჯზე;
- ქურდი ვალდებულია, გაუწიოს სხვა ქურდს როგორც მორალური, ასევე, მატერიალური დახმარება საერთო სალაროში („ობშიაკში“) არსებული თანხების გამოყენებით;
- ქურდს შეუძლია, გაამხილოს ინფორმაცია თანამონაწილეთა შესახებ, მხოლოდ მკაცრი კონფიდენციალურობის დაცვით;
- იმ შემთხვევაში, თუ კანონიერ ქურდზე წარმოებს გამოძიება, წერილმანმა ქურდმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ჩადენილი დანაშაულისათვის, რათა მიმალვის საშუალება მისცეს ეჭვმიტანილ კრიმინალურ ავტორიტეტს;
- დაპირისპირება კრიმინალური დაჯგუფებების შიგნით ან ქურდებს შორის უნდა გადაწყდეს შეხვედრაზე („სხოდკაზე“);

- საჭიროების შემთხვევაში კანონიერი ქურდი ვაღდებულება, დაესწროს შეხვედრას („სხოდკას“), რათა განსაჯოს სხვა კანონიერი ქურდის ქმედება;
- ქურდების შეხვედრის („სხოდკის“) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა აღსრულდეს;
- კანონიერმა ქურდმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს კრიმინალური უარგონი;
- კანონიერმა ქურდმა არ უნდა ითამაშოს კარტი, თუ არ აქვს თანხა, რომ გადაიხადოს წაგების შემთხვევაში;
- კანონიერი ქურდი ვაღდებულება, გაუზიაროს თავისი გამოცდილება დამწყებ კრიმინალებს;
- ალკოჰოლური სასმელის დალევის დროს კანონიერმა ქურდმა არ უნდა დაკარგოს აზროვნება;
- კანონიერ ქურდს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს შეხება ოფიციალურ პირებთან;
- კანონიერმა ქურდმა არ უნდა მიიღოს იარაღი სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლებისგან; მან არ უნდა იმსახუროს ჯარში;
- კანონიერმა ქურდმა უნდა შეასრულოს სხვა ქურდებისათვის მიცემული სიტყვა (108, 79-80).

ზემოთ მითითებული თითოეული წესი იყო მეტად მნიშვნელოვანი, გააჩნდა შესაბამისი დატვირთვა და მათი დაცვა ქურდული სამყაროს ყველა წევრისათვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა. ის ფაქტი, რომ კანონიერ ქურდს ეკრძალებოდა ოჯახის შექმნა, განპირობებული იყო შეხედულებით, რომლის შესაბამისადაც, კრიმინალური წოდების მიღების შემდეგ მისი ოჯახი სწორედ ქურდული სამყარო ხდებოდა, ხოლო კავშირის შენარჩუნება სისხლით ნათესავეებთან პიროვნულ სისუსტედ აღიქმებოდა.

მუშაობის აკრძალვა გამომდინარეობდა ზოგადი შეხედულებიდან, რომ კანონიერ ქურდს არ უნდა ჰქონოდა არანაირი შეხება ოფიციალურ სტრუქტურებთან. აქვე

ხაზგასმული იყო ვალდებულება, რომ „ტრადიციული“ კრიმინალისათვის შემოსავლის წყარო მხოლოდ დანაშაულებრივი საქმიანობა ყოფილიყო. მითითებული წესი სავალდებულო იყო შესასრულებლად კრიმინალისათვის, იმისდა მიუხედავად, იმყოფებოდა ციხეში, თუ მის გარეთ. კანონიერი ქურდებისათვის განსაკუთრებით რთული იყო ამ აკრძალვის დაცვა, როდესაც ისინი იმყოფებოდნენ გისოსებს მიღმა, რადგან უმუშევრობა დასჯადი იყო, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შრომა-გასწორებითი ბანაკების ადმინისტრაცია ერიდებოდა ავტორიტეტულ კრიმინალებთან ღია კონფრონტაციას. ამ კუთხით მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა, როდესაც მიღებულ იქნა კანონი, რომლის შესაბამისადაც, ტუსაღი თუ სამჯერ ზედიზედ განაცხადებდა უარს სამუშაოს შესრულებაზე, დაისჯებოდასიკვდილით. მითითებულის მიუხედავად, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ კრიმინალები მაინც ახერხებდნენ სასჯელის თავიდან აცილებას, კერძოდ, ისინი არასდროს ამბობდნენ სამჯერ ზედიზედ უარს მუშაობაზე, უბრალოდ, როდესაც მსგავს საფრთხეს ხედავდნენ, სხვადასხვა პროვოკაციების გზით - ჩხუბის, დაჭრის ან მკვლელობის ჩადენითაც კი თავიდან ირიდებდნენ შრომას (37, 40).

ქურდების მიერ ურთიერთდახმარების ვალდებულებას, ზოგადად, იდეოლოგიურის გარდა, მეტად დიდი პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა. ერთი მხრივ, გამოცდილი ქურდები მორალურად ამხნევებდნენ ახალბედებს და ეხმარებოდნენ, რათა არ მოქცეულიყვნენ ოფიციალური სტრუქტურების თანამშრომელთა გავლენის ქვეშ, არ შეეცვალათ კრიმინალური მიდრეკილებები, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგადად, ქურდული სამყაროს წარმომადგენლების ვალდებულება ურთიერთდახმარების შესახებ აღიქმებოდა სამართალდაცავ ორგანოთა მხრიდან შევიწროების პირობებში თავის გადარჩენის ერთადერთ გზად. აქვე აღსანიშნავია ურთიერთ ფინანსური მხარდაჭერაც. მითითებული ხორციელდებოდა საერთო სალაროში – ე.წ. „ობშიაკში“ არსებული თანხის ხარჯზე. მითითებული სალარო ივსებოდა ქურდული სამყაროს წევრთა მიერ, რომლებიც ვალდებულები იყვნენ, ნებისმიერი კრიმინალური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გარკვეული ნაწილი შეეტანათ ერთიან ფონდში. როგორც წესი, აღნიშნული თანხა გამოიყენებოდა სასჯელადსრულების დაწესებულებებში მოთავსებული კრიმინალების დასახმარებლად ან ოფიციალური

სტრუქტურების მოსაქრთამად ქურდული სამყაროს რომელიმე წევრის სასარგებლოდ.

კანონიერი ქურდის სტატუსის აღმატებულობა ნათლად ჩანს შემდეგი წესიდან - წერილმანი კრიმინალი რიგ შემთხვევებში ვაღდებულია, თავის თავზე აიღოს დანაშაული, რათა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან დაისხნას კრიმინალური ავტორიტეტი. ფაქტობრივად, ამით ხდებოდა მომავალი დანაშაულებრივი ელიტის იდეოლოგიური დამუშავება, რომლის შესაბამისადაც ისინი მზად უნდა ყოფილიყვნენ, რომ, ტრადიციული კრიმინალური კანონებიდან გამომდინარე, თვითონ დასჯილიყვნენ სტატუსით მათზე მაღლა მდგომი ავტორიტეტის გადასარჩენად.

მეტად მნიშვნელოვანია წესი, რომლის შესაბამისადაც, კანონიერ ქურდებს შორის წარმოშობილი უთანხმოება უნდა გადაწყდეს საერთო შეხვედრაზე „სხოდკაზე“. მითითებული კანონი თანამედროვე პერიოდის ქურდულ სამყაროშიც სავალდებულო იყო, რაც გამომდინარეობს შეხედულებიდან, რომ ქურდის ღირსება ხელშეუხებელია, ანუ მისთვის ხელის დარტყმა კატეგორიულად დაუშვებელია თვით მეორე კრიმინალური ავტორიტეტისგანაც. სწორედ ამიტომ დაპირისპირებული ქურდები ერთმანეთს არ უნდა გასწორებოდნენ ფიზიკურად, შეხვედრაზე უნდა წაეყენებინათ პრეტენზიები, რომლის შემდეგაც მტყუანი მხარე სავარაუდოდ გამოეთხოვებოდა წოდებას და ამის შემდეგ მოხდებოდა მასთან ფიზიკური ანგარიშსწორება. აღსანიშნავია ისიც, რომ, ზოგადად, ქურდისათვის სავალდებულო იყო ამ შეხვედრებზე დასწრება, რაც თანამოქმისათვის გვერდით დგომასაც ნიშნავდა, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, კრიმინალური ავტორიტეტების მონაწილეობის გარეშე დაპირისპირებული კანონიერი ქურდების შეთანხმება ან მტყუან-მართალის გარკვევა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონიერი ქურდისათვის სავალდებულო იყო კრიმინალური ქარგონის ზედმიწევნით ცოდნა. მითითებულს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქონდა, რადგან სწორედ ამ ფაქტორის მეშვეობით იყო შესაძლებელი, ამოეცნოთ ერთმანეთი დანაშაულებრივი სამყაროს წევრებს. სხვა მრავალ ნიშანთან ერთად ესეც ერთ-ერთ განმასხვავებელს წარმოადგენდა კრიმინალური ელიტისათვის.

აკრძალვა, რომლის მიხედვითაც, კანონიერი ქურდისათვის დაუშვებელია თანხაზე კარტის თამაში, თუ მას არ გააჩნია გადასახდელი ფული, ისევე ამ სტატუსის პატივისცემითა და მოფრთხილებითაა განპირობებული. თამაშისას ყოველთვის არსებობს დამარცხების ალბათობა შესაბამისად, წაგებული თანხის ე.წ. „ჩაუბარებლობა“ დამამცირებელი იყო და იწვევდა ქურდის სტატუსის ავტომატურ დაკარგვას. აქედან გამომდინარე, კრიმინალურ ავტორიტეტს არ ჰქონდა უფლება, რომ სასწორზე დაედო თავისი წოდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლებოდა, რომ იგი არ იყო ამ სტატუსის ღირსი.

ამავე მიზეზითაა განპირობებული აკრძალვა, რომლის მიხედვითაც, კანონიერმა ქურდმა უზომოდ არ უნდა დალიოს ალკოჰოლი, რადგან იგი წარმოადგენს მისაბამ მაგალითს დამწყები კრიმინალებისათვის, შესაბამისად, არა აქვს უფლება, თავისი სტატუსისათვის შეუფერებელ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კრიმინალური ავტორიტეტი პასუხისმგებელი იყო, თავის თითოეულქმედებაზე. შესაბამისად, ალკოჰოლის უზომო ოდენობით დალევის გამო, შესაძლებელი იყო, თუნდაც ერთი დაუსაბუთებელი სიტყვის ან ქცევის საფუძველზე დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩენილიყო.

საბოლოოდ, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან აკრძალვას წარმოადგენდა ოფიციალურ სტრუქტურებთან თანამშრომლობის დაუშვებლობა. მითითებული გამომდინარეობდა იქიდან, რომ ქურდები არასოდეს აღიარებდნენ სახელმწიფო დაწესებულებებს, გარდა ამისა, ისინი ყოველთვის შეურიგებელ მტრად აღიქვამდნენ სამართალდამცავ სისტემას.

ამავე შეზღუდვაში მოიაზრებოდა სამხედრო სამსახურში ყოფნა, ქვეყნის დასაცავად ბრძოლა. ერთი მხრივ, ქურდებისათვის სამშობლო არავითარ ღირებულს წარმოადგენდა, რადგან სწორედ ამ ქვეყნის ოფიციალური სტრუქტურები დევნიდნენ მათ, ხოლო, მეორე მხრივ კი ომში ყოფნისას, ბრძოლის პარალელურად, თვითონ კრიმინალი შეიძლება გამოეყენებინათ რომელიმე ციხის მცველად, რათა აღეკვეთა იქიდან დამნაშავეთა გაქცევა ან სხვა უკანონო ქმედება. შესაბამისად, იგი იარაღით ხელში დაუპირისპირდებოდა საკუთარ ძმებს.

როგორც მითითებულიდან ჩანს, საწყის ეტაპზე ქურდული კანონების შესაბამისად ცხოვრება საკმოდ დიდ სირთულეს წარმოადგენდა. მითითებული აკრძალვების დაცვა საჭირო იყო ყოველ მიზეზგარეშე და არავითარი კომპრომისი დაიშვებოდა.

ზემოთ მითითებული ქცევისა და ცხოვრების წესების გარდა, კანონიერი ქურდები ასევე გამოირჩეოდნენ განსხვავებული ჩაცმულობით, ტატუირებით, ჟარგონით და ა.შ. მათთვის დამახასიათებელი იყო ხელნაკეთი ალუმინის ჯვრისა და ჯაჭვის ტარება. აღნიშნულთან ერთად, თუ დავამატებთ იმასაც, რომ კრიმინალური ავტორიტეტების მიერ სხეულზე გაკეთებული ტატუირებები რელიგიური შინაარსის იყო, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი მორწმუნეები იყვნენ. თუმცა, სავარაუდოდ, მითითებული უფრო სიმბოლური დატვირთვის მახვენებელი იყო (41, 144), ისევე, როგორც მათი დამოკიდებულება დედის მიმართ. კანონიერი ქურდების უმრავლესობას ამოსვირინგებული ჰქონდათ ტანზე სხვადასხვა წარწერები დედასთან დაკავშირებით. ასევე, ფართოდ იყო გავრცელებული დედის კულტი ქურდულ პროზასა და პოეზიაში, მაგრამ ესეც მხოლოდ სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა. ერთი შეხედვით, ასეთი თბილი დამოკიდებულების მიუხედავად, თითქმის არასოდეს ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მათგანი საკუთარ მშობელს თუნდაც მცირე თანხით დახმარებოდა (79, 152-153).

ზემოთ მითითებულ ქურდულ წესებში პირველი არსებითი ცვლილების მიზეზი გახდა მეორე მსოფლიო ომი და ამ დროს განვითარებული მოვლენები. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გერმანელების შემოჭრის შემდეგ ისევე, როგორც ყველა დამნაშავეს, კანონიერ ქურდებსაც შესთავაზეს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება. როგორც ცნობილია, ქურდული კანონი კატეგორიულად კრძალავდა იარაღით ხელში და სამხედრო ფორმით სამშობლოს დასაცავად ბრძოლას, თუმცა, ამისდა მიუხედავად, კრიმინალურ ავტორიტეტთა ნაწილმა მაინც მიიღო ეს წინადადება, ნაწილმა კი გაუძლო არაადამიანურ პირობებს და დარჩა დადგენილი წესების ერთგული. ომის დამთავრების შემდეგ, ნაბრძოლი კანონიერი ქურდების ნაწილი დააბრუნეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და სწორედ აქ დაიწყო დიდი დაპირისპირება. დაბრუნებულმა ქურდებმა მოინდომეს დაკარგული ავტორიტეტის აღდგენა, რასაც არაფრით ურიგდებოდნენ ქურდული სამყაროს წევრები, რომლებმაც დიდი ზეწოლის, ასევე, ფიზიკური განადგურების შიშის მიუხედავად არ მიიღეს მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში. ისინი ნაომარ

კრიმინალებს „ფრონტავიკებსა“ და „ძუკნებს“ უწოდებდნენ. ხსენებულ საფუძველზე დაიწყო დიდი დაპირისპირება ამ ორ დაჯგუფებას შორის, რომელიც „ძუკნების ომის“ სახელწოდებითაა ცნობილი. საბოლოოდ, ხანგრძლივი სისხლისღვრის შემდეგ თავდაპირველი იდეების ერთგული კანონიერი ქურდები იძულებული გახდნენ, დაეთმოთ „ფრონტავიკებისათვის“ და დათანხმებულიყვნენ მათ წინადადებებს. სწორედ ამ მოვლენებს უკავშირდება პირველი სერიოზული ცვლილებები ქურდულ წესებში, კერძოდ, ექსტრემალურ ვითარებაში კანონიერ ქურდებს მიეცათ უფლება, დაეკავებინათ გარკვეული პოზიციები, მაგალითად, გამხდარიყვნენ ჯგუფის ან კამერის ხელმძღვანელნი, რაც გამართლებული იყო იმ ფაქტით, რომ ამ პრივილეგირებული მდგომარეობიდან მათ ეძლეოდათ შესაძლებლობა, გაჭირვების შემთხვევაში ეშოვათ საჭმელი ან სხვაგვარად დახმარებოდნენ თანამოძმეებს. გამომდინარე იქიდან, რომ მითითებული დაპირისპირება შეთანხმებით დასრულდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ცვლილება ასევე შეეხო ჯარში სამსახურის აკრძალვას, თუმცა აღნიშნული გარემოება შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს, რადგან ქართველ სამართალდამცავთა ხელთ არსებული ინფორმაციით ერთ-ერთ ცნობილ კანონიერ ქურდს მას შემდეგ ჩამოერთვა ეს წოდება, როდესაც მისმა მოწინააღმდეგემ საერთო შეკრებაზე („სხოდკაზე“) წარმოადგინა სურათი, სადაც ეს პირი გადაღებული იყო აფხაზეთის დასაცავად ბრძოლის დროს, სამხედრო ფორმაში ტანკზე მჯდარი. მითითებული ჩაითვალა სერიოზულ დაღვევად, რასაც ავტომატურად მოყვა აღნიშნული პიროვნების წოდების გარეშე დატოვება. აქედან გამომდინარე, ძნელად სავარაუდოა, რომ გასული საუკუნის 50-იან წლებში ქურდულ წესებში შესული ცვლილებები მითითებულსაც შეეხო (ექსპერტი კონსტანტინე მჭედლიშვილი).

ზემოთ მითითებულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრებები, რომ ამ ყველაფერს სახელმწიფოს, კერძოდ კი უშიშროებისა და შსს ორგანოების ჩარევის გარეშე არ ჩაუვლია. გამომდინარე იქიდან, რომ კანონიერი ქურდები ანტისაზოგადოებრივ ელემენტებად მიიჩნეოდნენ, ამ დაპირისპირებას ხელს უწყობდნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რაც, საბოლოო ჯამში, დაასუსტებდა კრიმინალურ სამყაროს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ექსპერტ დავით გოგიბერიძის მოსაზრება, რომ მითითებული მოვლენები ოსტატურად გამოიყენეს სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებმა, რათა გაემყარებინათ

კონტროლი დანაშაულებრივ საზოგადოებაზე, რაც გამოიხატა შემდეგში: სამართალდამცავ ორგანოთა ხელშეწყობით „ძუკნების ომში“ დამარცხებულნი გამოვიდნენ ტრადიციული ქურდები, რაც, ცხადია, ე.წ. „ძუკნებთან“ ერთად შსს თანამშრომლების დამსახურებაც იყო. ფაქტობრივად, სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების ხელშეწყობით კრიმინალური სამყაროს სათავეში მოვიდა ტრადიციულ კანონიერ ქურდებზე - შეუპოვარ „ჟიგანებზე“ - ბევრად უფრო ადვილად სამართავი ადამიანთა წრე. იმის მტკიცებულებად, რომ ამ ყველაფერში სახელმწიფოს ხელი ურევია და ამ შემთხვევაში მოხდა ფარული გარიგება კრიმინალთა და სახელმწიფო წარმომადგენელთა შორის, ექსპერტი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ამ პერიოდში ქურდული ცხოვრების მოსურნეთათვის კანონიერი ქურდების მიერ დაწესებული აკრძალვები ზუსტად შეესაბამებოდა სახელმწიფო ინტერესებს. კერძოდ, დადგენილი წესების შესაბამისად, ტრადიციული კრიმინალური ელემენტისათვის არ იყო სასურველი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენა, მაგალითად, მკვლელობის, განსაკუთრებით სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლისათვის სიცოცხლის მოსპობა, ყაჩაღობა სისასტიკის გამოყენებით, ადამიანის გატაცება და ა.შ. ცალკე საუბრის თემაა გაუპატიურება, რომელიც არათუ სასურველი იყო, არამედ მითითებული დანაშაულის ჩამდენი ციხეში მოხვედრის შემდეგ უმკაცრესად დაისჯებოდა ისევე ტრადიციული კრიმინალური საზოგადოების წარმომადგენლებისაგან და მას ვეღარ ექნებოდა პრეტენზია ქურდული სამყაროს წევრობაზე. კანონიერი ქურდის საპატიო სტატუსის მქონე პირები ძირითადად ნასამართლენი იყვნენ ქურდობის ან ჯიბიგრობისთვის, ანუ ნაკლებად მძიმე დანაშაულებისათვის. ამ ნაბიჯებით ფაქტობრივად ხდებოდა დამწყები კრიმინალების ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება - არ ჩაედინათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები, რადგან ეს მათ კარიერას სასიკეთოდ არ წაადგებოდა. ცხადია, ზემოთ მითითებული აკრძალვები პირდაპირ შეესაბამებოდა სახელმწიფოს ინტერესებს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკმაოდ ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ ქურდული სამყაროს ფორმირებაში არცთუ მცირე როლი მიუძღვის სამართალდამცავ ორგანოებს. მითითებული სიტუაცია შეიძლება შევადაროთ იაპონური ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანების „იაკუძას“ და ადგილობრივი პოლიციის დამოკიდებულებას. იშვიათად - საჩვენებელი სპეცოპერაციების ჩატარების გარდა ადგილობრივი სამართალდამცავები ხელს არ უშლიან „იაკუძას“ საქმიანობაში, რაც აიხსნება

ორმხრივი თანამშრომლობით. მითითებული გამოიხატება შემდეგში - სახელმწიფოს მხრიდან ლოიალური დამოკიდებულების სანაცვლოდ დანაშაულებრივი დაგუფება უზრუნველყოფს ქვეყანაში არაორგანიზებული კრიმინალების ქმედების კონტროლს (17, 209).

ქურდულ სამყაროში ცვლილებების შემდეგი ტალღა დაიწყო მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში. აღნიშნული უკავშირდება ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებას. ე.წ. „ცეხავიკების“ გააქტიურება, რომლებიც იატაკქვეშა წარმოებების გზით უზრუნველყოფდნენ ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას დეფიციტური საქონელით, არ დარჩენილა კანონიერი ქურდების ყურადღების მიღმა. შედეგად, კრიმინალურმა ლიდერებმა მალევე მოაქციეს ისინი კონტროლის ქვეშ, რასაც განუზომლად დიდი შემოსავლების მიღება მოჰყვა. შესაბამისად, ამ პერიოდიდან დაიწყო რიგი მოთხოვნების უგულვებელყოფა, რომელთაც ადგენდა ტრადიციული დანაშაულებრივი კანონი - თავდაპირველად ქურდებს ოჯახის შექმნასთან ერთად ეკრძალებოდათ საკუთარი ქონების დაგროვება ან შექენა და რაც გააჩნდათ, ყველაფერი ითვლებოდა საერთო საკუთრებად (კრიმინალური ავტორიტეტისათვის შეიძლებოდა წოდების დაკარგვის საფუძველი გამხდარიყო ისეთი უმნიშვნელო და უწყინარი ქმედებაც კი, როგორცაა სიგარეტის დამალვა თანამოძმეთაგან (79, 152)). ხსენებულ პერიოდში ქურდული სამყაროს წევრებმა მიღებული შემოსავლებით მდიდრული ცხოვრება დაიწყეს, შეიძინეს ძვირფასი სახლები, მანქანები. მითითებული ქმედებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ ამით ძირეული ცვლილებები განიცადა დადგენილმა კრიმინალურმა ტრადიციებმა, არამედ იმიტომ, რომ ამით მოხდა ქურდული სამყაროსა და კანონიერი ქურდების პოპულარიზაცია. აღნიშნული სამყარო ძალიან მიმზიდველი გახდა არასრულწლოვანთათვის, რადგან მათთვის იგი ასოცირდებოდა მდიდრულ ცხოვრებასთან, ძვირფას მანქანებთან, პოპულარულობასთან, რასაც რეალურად არაფერი ჰქონდა საერთო ტრადიციულ ქურდულ იდეოლოგიასთან.

ქურდული წესების ცვლილებებისა და თანამედროვე ცხოვრებასთან ადაპტაციის შემდგომი ნაბიჯები გადაიდგა გასული საუკუნის 80-იან წლებში. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში წამყვანი როლი ქართველმა ქურდებმა ითამაშეს. ოფიციალურად მითითებული ცვლილებების მისაღებად 1982 წელს ქალაქ თბილისში ჩატარდა ქურდების საერთო შეკრება, სადაც განიხილებოდა ქურდული

სამყაროს წევრების ურთიერთობის საკითხი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, ასევე, მათი ჩართულობა პოლიტიკურ საქმიანობაში და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ პერიოდში საბჭოთა კავშირში გამეფებული ტოტალური კორუფციის შედეგად ქურდული სამყაროს წარმომადგენლებისათვის სიტუაცია უკვე მომწიფებული იყო თავიანთი გავლენის სფეროების გასაფართოვებლად სახელმწიფოს ადმინისტრაციული აპარატის ხარჯზე (136). შეხვედრაზე დაფიქსირებული განსხვავებული პოზიციების საფუძველზე მითითებული პრობლემა ღიად დარჩა. ოთხი წლის შემდეგ ხსენებული საკითხი კვლავ წამოიჭრა, რომლის განხილვის დროსაც საწინააღმდეგო პოზიცია დააფიქსირა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა ქურდმა ვასილი ბაბუშკინმა, იგივე „ვასია ბრილიანტმა“ (137), რომელსაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი – 40 წელზე მეტი გატარებული ჰქონდა ციხე კოლონიებში და ე.წ. „ნეპმანელი“ ქურდების უკანასკნელ წარმომადგენლად ითვლებოდა (133). იგი მიიჩნევდა, რომ დანაშაულებრივი ავტორიტეტები უნდა დარჩენილიყვნენ ქურდული კანონის ერთგულნი, რომლის შესაბამისადაც, სახელმწიფოსთან არანაირი თანამშრომლობა დაიშვებოდა. მიუხედავად ასეთი გავლენიანი ქურდის შეხედულებებისა, მის წინააღმდეგ გამოვიდნენ ქართველი კრიმინალური ავტორიტეტები (108, 93). მათ შორის გამოირჩეოდა ჯაბა იოსელიანი, რომელმაც აქტიურად დაუჭირა მხარი ცვლილებებს და განმარტა მათი აუცილებლობა ქურდული სამყაროს შემდგომი განვითარებისათვის. შეხვედრაზე დაფიქსირებული წინააღმდეგობრივი პოზიციების გამო, საკითხის გადაწყვეტა კვლავ ვერ მოხერხდა, თუმცა აღნიშნულის მიმართ აღარ იყო თავდაპირველი ცალსახა დამოკიდებულება. ფაქტობრივად, ამ პერიოდიდან, შეხვედრაზე განხილული საკითხებისგარდა, ბევრი ძირეული პრინციპი შეიცვალა ქურდულ კანონებში. თუ მანამდე კრიმინალური ავტორიტეტები თავს იწონებდნენ ციხეში გატარებული წლებით, ტატუირებული სხეულითა და, რეალურად, საპრობილემოში გატარებული ხანგრძლივი დროის გარეშე შეუძლებელი იყო გავლენის მოპოვება, კანონიერი ქურდის სტატუსის მიღება, ამჯერად უკვე ამ კრიმინალურ წოდებას იღებდნენ პირები, რომლებიც საერთოდ არ იყვნენ ციხეში ნამყოფნი (139), საჭირო აღარ იყო სავალდებულო ტატუირებები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გახშირდა კანონიერი ქურდის წოდების მიღება გარკვეული თანხის გადახდის საფუძველზე, რასაც კატეგორიულად კრძალავდა ტრადიციული კრიმინალური პრინციპები.

როგორც ვხედავთ, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, კიდევ უფრო შეიცვალა ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ქცევის კოდექსი. ნაცვლად ტრადიციული კრიმინალური ავტორიტეტებისა, ჩამოყალიბდნენ ამერიკული ტიპის კლანურ-ოჯახური დაჯგუფებები. დავიწყებას მიეცა წესი, რომლის შესაბამისადაც ქურდისთვის აკრძალული იყო საკუთარი ქონების ფლობა. თუ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ტრადიციულ კრიმინალებს ჰქონდათ ტანსაცმელი და ხელთარსებული თანხა, 80-90-იან წლებში კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფლობდნენ მდიდრულ სახლებს, ძვირფას მანქანებს, სოლიდურ საბანკო ანგარიშებს და ა.შ. ასევე წარსულს ჩაჰბარდა ოჯახის შექმნის აკრძალვაც. უზულვებელყოფილ იქნა კანონი, რომლის შესაბამისადაც კანონიერ ქურდს შემოსავალი მხოლოდ დანაშაულებრივი საქმიანობიდან უნდა მიეღო. საწყის ეტაპზე კრიმინალური ავტორიტეტების სრული შემადგენლობა ასეც იქცეოდა, რომელთა უმრავლესობის ძირითად საქმიანობას ჯიბის ქურდობა წარმოადგენდა და თავს ამითი ირჩენდნენ, ხოლო განსახილველ პერიოდში კანონიერი ქურდების უმრავლესობამ მოპოვებული თანხები ლეგალურ ბიზნესში დააბანდა, რითაც მათ, ფაქტობრივად, რესპექტაბელური საქმოსნების იმიჯი შეიძინეს. აღკოპოლის აკრძალვა, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საერთოდ აღარ მიიღებოდა მხედველობაში, რადგან კანონიერი ქურდების თითქმის მთელი შემადგენლობა ნარკოტიკული ნივთიერებებს იყენებდა. აქვე უნდა შევეხოთ ოფიციალურ სტრუქტურებთან ყოველგვარი თანამშრომლობის აკრძალვას, რომელსაც წარსულში ზედმიწევნით იცავდნენ კანონიერი ქურდები, ხსენებულ პერიოდში კი აქტიურად იყვნენ დაკავშირებულნი სახელმწიფოს როგორც სამართალდაცავი, ასევე სხვა ოფიციალური სამსახურების საკვანძო თანამდებობის პირებთან, ანუ, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოიკვეთა ამერიკული მაფიის მსგავსი კრიმინალური გაერთიანების არსებობისა და საქმიანობის აშკარა ნიშნები.

ქურდული სამყაროსათვის ახალი ასპარეზი და თავის დამკვიდრებისათვის ბრძოლის კიდევ ერთი პერიოდი, რომელიც, თავისმხრივ, კვლავ მოითხოვდა ტრადიციებში ცვლილებებს, დაიწყო კომუნისტური წყობილების დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

მითითებული წლები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდს, როდესაც უკიდურესად დამძიმდა კრიმინოგენური ვითარება ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე. ამ მომენტიდან მოყოლებული კანონიერ ქურდებს მოუხდათ

დიდი ბრძოლების გადატანა სხვა კრიმინალებთან თავიანთი გავლენის შესანარჩუნებლად, თუმცა, ისევე, როგორც 1950-იან წლების „ძუკნების ომის“ დროს, ახლაც საბოლოო ჯამში, ტრადიციული დანაშაულებრივი ავტორიტეტები გარკვეულ კომპრომისებზე წავიდნენ, რის შედეგადაც კვლავ განიცადა გარკვეული ცვლილებები ქურდულმა ტრადიციებმა.

1990-იანი წლების პერიოდში განსაკუთრებით მომრავლდნენ დანაშაულებრივი დაჯგუფებები. მითითებული გაერთიანების წევრებს ძირითადად წარმოადგენდნენ ყოფილი სპორტსმენები, ანუ ის ადამიანები, რომლებიც ნებისმიერი პრობლემის გადასაწყვეტად აზროვნებაზე მეტად ძალას იყენებდნენ. ასეთი გაერთიანების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენდა „ორეხოვოს“ დაჯგუფება, რომელიც 1988 წელს მოსკოვში ჩამოყალიბდა. ისინი სხვა კრიმინალური ორგანიზაციებისაგან გამოირჩეოდნენ იმით, რომ არ ცნობდნენ ავტორიტეტებს, უარყოფდნენ წესებს და ე.წ. „გაგებას“. მათთვის მთავრი იყო, არ შელახვოდათ ინტერესები, არ შემცირებულიყო მათი გავლენის სფეროები და შემოსავალი. აღნიშნული ნათლად გამოჩნდა 1993 წელს, როდესაც გავლენის სფეროების გადანაწილებისას წარმოშობილ დაპირისპირებაში მათ ჩაიღინეს უპრეცედენტო საქციელი - მოკლეს კანონიერი ქურდი ვიქტორ კოვანი, ზედმეტსახელად „მონია“. ცხადია, ეს არ იყო ერთეული შემთხვევა. გამომდინარე პოსტსაბჭოთა სივრცის უზარმაზარი ტერიტორიისა და იმ უზარმაზარი ბიზნესებისა, რომლებსაც ამ ტერიტორიაზე ახორციელებდნენ, გავლენის სფეროების გადასანაწილებლად სისხლის მღვრელი ბრძოლები დაიწყო, რომელსაც უამრავი ადამიანი შეეწირა. ახალგაზრდა სპორტსმენტა დანაშაულებრივი გაერთიანებები არ ეპუებოდნენ კრიმინალურ ავტორიტეტებს და არ აღიარებდნენ ქურდულ გაგებას. ტრადიციული კრიმინალური გაგების შესაბამისად ისინი „ბეზპრედელურად“ მოქმედებდნენ, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ქურდულ ტრადიციებს. კანონიერი ქურდები ცდილობდნენ, რომ შეენარჩუნებინათ სხვებთან შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა, რასაც, როგორც აღინიშნა, არ ეგუებოდნენ სხვა, ახლად ჩამოყალიბებული სპორტულ-კრიმინალური გაერთიანებები. ტრადიციულ კრიმინალურ ავტორიტეტებს საქმე იმანაც გაურთულა, რომ ახალგაზრდული კრიმინალური გაერთიანებების გარდა შიდა დაპირისპირებაც საკმაოდ გამწვავდა. ეს მდგომარეობა გრძელდებოდა დაახლოებით 1990-იანი წლების შუა პერიოდამდე. საბოლოო ჯამში, ქურდულმა

სამყარომ კვლავ მოახერხა სიტუაციის მეტ-ნაკლებად თავის სასარგებლოდ გამოსწორება, განახორციელა რა რიგი ცვლილებებისა თავის ტრადიციებში, რითაც უპასუხა თანამედროვე გამოწვევებს. ექსპერტ დავით გოგიბერიძის აზრით, აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა კრიმინალურ ავტორიტეტთა და ახალგაზრდული ბანდების წევრთა ინტერესების თანხვედრამ, კერძოდ, ორივე მხარემ გააცნობიერა, რომ ზავის დამყარებისა და ურთიერთთანამშრომლობის პირობებში უფრო მომგებიან პოზიციებში აღმოჩნდებოდნენ. ყოველივე მითითებულიდან გამომდინარე, ფაქტობრივად მოხდა სხვადასხვა მიმართულებისა და შეხედულებების მქონე დანაშაულებრივ გაერთიანებათა შერწყმა. ეს იყო უპრეცედენტო ფაქტი. ამით კრიმინალურმა ავტორიტეტებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს უარი მათთვის სავალდებულო კანონების დაცვაზე, რომლის შესაბამისადაც, ეგრეთ წოდებული „ბეზპრედელშიკებს“ არავითარ შემთხვევაში არუნდა ჰქონოდათ რაიმე საერთო ქურდული სამყაროს წევრებთან. მდგომარეობის გადასარჩენად კანონიერმა ქურდებმა უარი თქვეს ქურდული „გაგებისათვის“ დამახასიათებელ ფუნდამენტურ პრინციპზე და თავისი შეხედულებებისათვის მიუღებელი პირები თანამონაწილეებად გაიხადეს. ამ პერიოდიდან კანონიერმა ქურდებმა და მათმა დაჯგუფებებმა ფაქტობრივად სრულად მოირგეს დასავლური მაფიოზურ-განგსტერული როლები. ჩამოაყალიბეს კლანები, რომლებშიც ადამიანები ერთიანდებოდნენ ეროვნული ან ტერიტორიული პრინციპების შესაბამისად. ფაქტობრივად, კანონიერი ქურდები გახდნენ მაფიოზური დაჯგუფების წევრები, ერთ-ერთი ლიდერის პოზიციით, ანუ ეს იყო ბოლო ეტაპი, რა დროსაც კიდევ ერთხელ და ფაქტობრივად საბოლოოდ შეიცვალა ქურდული ტრადიციები. 1930-იანი წლების კანონიერი ქურდები, რომლებიც თავს ქურდობით ირჩენდნენ, შეცვალეს მაფიოზური დაჯგუფების ხელმძღვანელებმა, რომლებმაც სახელი და წოდება შეინარჩუნეს, მაგრამ, ფაქტობრივად, არაფერი საერთო დარჩათ იმ ტრადიციულ კრიმინალურ ავტორიტეტებთან. როგორც მრავალჯერ აღინიშნა, კანონიერი ქურდის ერთადერთი შემოსავლის წყარო შეიძლება ყოფილიყო დანაშაულებრივი საქმიანობა, თანამედროვე ავტორიტეტები კი, ტრადიციული იტალიურ-ამერიკული ოჯახების ბოსების მსგავსად, მართავენ დაჯგუფებას, ორგანიზებას უკეთებენ კრიმინალურ საქმიანობას, ხოლო თვითონ მონაწილეობას არ იღებენ კრიმინალურ ქმედებებში. ისევე, როგორც მაფიის ბოსები, რიგ შემთხვევაში, მათაც შორს უჭირავთ თავი დაჯგუფების რიგითი წევრებისაგან, რათა ვერ მოახერხონ

სამართალდამცავმა ორგანოებმა მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება.

საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ, ქვეყანაში არსებულმა ქაოსმა ხელი შეუწყო სხვადასხვა ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების ჩამოყალიბებას. მათ შორის გამორჩეული იყო „მხედრიონი“, რომელიც შექმნა ყოფილმა კანონიერმა ქურდმა - ჯაბა იოსელიანმა. იმ პერიოდში წარმოადგენდა რა ხელისუფლების ერთ-ერთ ლიდერს, მისი გავლენით „მხედრიონს“ მიენიჭა მაშველთა კორპუსის სტატუსი და ნორმატიული აქტის საფუძველზე მის წევრებს იარაღის ტარების ნებართვამიეცათ. აღსანიშნავია, რომ მხედრიონის ბირთვის წარმოადგენდნენ კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანები, რომლებიც არც დაჯგუფებაში გაერთიანების შემდეგ წევრდნენ თავიანთ საქმიანობას. ისინი, ფაქტობრივად, აღჭურვილი იყვნენ სრული ხელშეუხებლობით და დაუფარავად ახორციელებდნენ დანაშაულებრივ ქმედებას. მხედრიონის წევრები აკონტროლებდნენ ყველა სფეროს, საიდანაც შესაძლებელი იყო შემოსავლის მიღება, ეს იყო როგორც კრიმინალური საქმიანობა, რომელსაც უშუალოდ სხადიოდნენ, თუ ნებისმიერი სახის ბიზნესის რეკეტი. მათი წარმომადგენლები ინიშნებოდნენ რესპუბლიკაში საკვანძო თანამდებობებზე, რაც კიდევ უფრო დიდი ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდა მხედრიონის კრიმინალურ ნაწილს კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში. მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ქურდული სამყაროსაგან განსხვავებით, მხედრიონმა ვერ გაძლო დიდ ხანს და მოგვიანებით სამართალდამცავი ორგანოების აქტიური ქმედებების შედეგად დაიშალა, ხოლო მისი წევრების უმრავლესობა აღმოჩნდა გისოსებს მიღმა წინათ ჩადენილი დანაშაულებისათვის.

ამავე პერიოდში ქვეყანაში არსებულმა არასტაბილურმა ვითარებამ ხელი შეუწყო, თბილისში სხვადასხვა დანაშაულებრივი დაჯგუფებების ჩამოყალიბებას, რომლებიც ძირითადად იყოფოდნენ ტერიტორიული პრინციპით და შედგებოდნენ არასრულწლოვანი წევრებისაგან. ამ გაერთიანებების თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ პირველ ეტაპზე მათი მოქმედების ძირითად მიზანს წარმოადგენდა არა უკანონო შემოსავლის მიღება, არამედ ქალაქში კრიმინალური ავტორიტეტის მოპოვება. სხვადასხვა დანაშაულებრივი აქტების, მათ შორის, მკვლევლობების განხორციელებისას, ისინი არ იცავდნენ კონსპირაციას, პირიქით -

ცდილობდნენ, რაც შეიძლება თავხედურად და ხალხმრავალ ადგილას ჩაედინათ დანაშაული, რათა ამას გამოეწვია შიში მოწინააღმდეგე დაჯგუფების წევრებს შორის. მოგვიანებით მათ, ისევე, როგორც ყველა დანაშაულებრივ დაჯგუფებას, გაუჩნდათ ფინანსური ინტერესები, დაიწყეს სხვადასხვა ბიზნესების რეკეტი და ქალაქი დაინაწილეს გავლენის სფეროებად. საბოლოო ჯამში, ამ დაჯგუფებების მოქმედებას არაერთი ახალგაზრდა შეეწირა, რომელთა შორის იყვნენ თვით კრიმინალური გაერთიანებების წევრებიც. დაჯგუფებებს შორის დაპირისპირებას და ურთიერთგანადგურებას, ბუნებრივია, მოჰყვა კრიმინალური გაერთიანებების დასუსტება, რამაც ხელი შეუწყო სამართალდამცავებს მათ განეიტრალებაში. ფაქტობრივად, 90-იანი წლების ბოლოსთვის მსგავსი სახის ტერიტორიული ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფებები ძირითადად განადგურებულ იქნენ.

როგორც ვხედავთ, ორგანიზებული დანაშაულობის არსებობა ასწლეულებს ითვლის. საუკუნეების განმავლობაში, გარემო პირობების შეცვლასთან ერთად იცვლებოდა მისი საქმიანობა, მიმართულება, სფეროები. მიუხედავად სხვადასხვა ქვეყნებში მისი განვითარების განსხვავებულობისა, მას, ძირითადად, მსგავსი მახასიათებლები აქვს. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ორგანიზებული დანაშაულობის ძირითად მიზანს წამოადგენდა უკანონო შემოსავლის მიღება და არ გააჩნდა პოლიტიკური მიზნები. მოგვიანებით ამას დაემატა ოფიციალური გავლენის მოპოვების მცდელობაც, მაგრამ აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამით დაჯგუფებებში არაიდეოლოგიურობის პრინციპი არ შეცვლილა. პოლიტიკური გავლენის მოპოვება პირდაპირ იყო დაკავშირებული ორგანიზებული დანაშაულობის წევრების ხელშეუხებლობასთან და უფრო დიდი ოდენობით შემოსავლის მიღებასთან.

რაც შეეხება ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების ტრანსფორმაციას, აღსანიშნავია, რომ წარსული დროისგან განსხვავებით, როცა ბანდის ლიდერი ძირითადად ყველაზე აქტიურად სჩადიოდა დანაშაულს და თავხედადებულ პირს წარმოადგენდა, თანამედროვე პერიოდში დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერებმა მოირგეს რესპექტაბელური ბიზნესმენების იმიჯი, თუმცა ეს მათ ხელს არ უშლის, თანამონაწილეთა მეშვეობით მართონ ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები, გააფართოვონ გავლენის სფეროები და მიიღონ განუზომლად დიდი შემოსავალი.

2. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება

2.1. ძირითადი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები

მსოფლიოში უამრავი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება მოქმედებს. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეთნიკური შემადგენლობით, საქმიანობისა თუ ცხოვრების წესით, მოქმედების სფეროებით და ა.შ., თუმცა საერთო ნიშნებიც ბევრი გააჩნიათ. იმისათვის, რომ ამ დანაშაულებრივ სინდიკატებზე ზოგადი წარმოდგენა შეიქმნას, სასურველია, განვიხილოთ იქნეს მათ შორის ყველაზე მძლავრი და ცნობილი კრიმინალური გაერთიანებები.

ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ გაერთიანებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ჩინურ ორგანიზებულ კრიმინალურ დაჯგუფებებს, რომელთა შორისაა „ტრიადები“ და „ტონგები“.

აზიაში „ტრიადები“ წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და საშიშ დაჯგუფებებს. სახელწოდება „ტრიადა“ უკავშირდება ჩინურ სიმბოლოს – ტოლგვერდა სამკუთხედს, რომელიც აღნიშნავს სამ ძირითად კონცეფციას: ზეცას, დედამიწას და ადამიანს (17, 212). „ტრიადები“ შეიქმნა მე-17 საუკუნეში, რომლებშიც ხალხი გაერთიანდა ჩინეთის მმართველი ჩინგის დინასტიის წინააღმდეგ და საბოლოოდ, 1911 წელს მიაღწიეს კიდევ წარმატებას - ქვეყნის სათავეში მოვიდა „ტრიადების“ წევრი სუნ იატ-სენი. ამ პერიოდს უკავშირდება მითითებული დაჯგუფების წარმომადგენლების ჩართვა დანაშაულებრივ საქმიანობაში. ისინი ეწეოდნენ გამოძალვას, მევახშეობას, აზარტულ თამაშებს და ასევე ახორციელებდნენ ნარკოტიკების უკანონო ტრაფიკს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის „ოქროს სამკუთხედიდან“. „ტრიადების“ სხვადასხვა ქვეყნებში გადინება დაიწყო 1949 წლიდან, რასაც საფუძვლად დაედო ჩინეთის ხელისუფლებაში კომუნისტური ძალების მოსვლა მათ თსე თუნის მეთაურობით. ამ ფაქტის შემდეგ მითითებული გაერთიანების წევრები ძირითადად მიმოიფანტნენ ამერიკაში, ევროპასა და

ჰონკონგში. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, მიუხედავად „ტრიალების“ სხვადასხვა ტერიტორიაზე დამოუკიდებლად მოქმედებისა, მათ ერთმანეთთან გარკვეული კავშირები მაინც ჰქონდათ. აღნიშნული დაჯგუფების მთავარი მმართველი ორგანო განთავსებულია ჰონკონგში. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის მონაცემებით, 1989 წლისთვის ჰონკონგის 50 „ტრიადას“ ექვემდებარებოდა 100.000-ზე მეტი წევრი (51, 321). ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ტერიტორიებზე მოქმედი „ტრიალების“ თითოეული დაჯგუფება დამოუკიდებლად მოქმედებს, ჰყავს ლიდერი, მაგრამ ისინი მაინც არ არიან სრულიად თავისუფალნი - ითვლება, რომ ამ ორგანიზაციის ნებისმიერი მცირე გაერთიანებაც კი სულიერადაა დაკავშირებული წარმოშობის ქვეყანასა (104, 43) და მმართველებთან.

„ტრიალებს“ გააჩნიათ საკმაოდ რთული იერარქიული სტრუქტურა. დაჯგუფებას ხელმძღვანელობს შან ჩუ - ლიდერი, რომელსაც ჰყავს მოადგილე - ფუ შან ჩუ. იერარქიულად მათ შემდეგ მოდიან ჰუნგ ჩუ, რომელიც ზედამხედველობს რიტუალური ცერემონიების შესრულებას და სინგ ფუნგი, რომელიც კონტროლს უწევს დაჯგუფების შევსებას ახალი წევრებით (22, 33). ზემოაღნიშნულების გარდა, მითითებული სინდიკატის თითოეულ გაერთიანებაში არიან ხელმძღვანელები, რომლებიც პასუხს აგებენ სხვადასხვა მიმართულებებზე. ერთ-ერთს წარმოადგენს ჰუნგ კვანი - მებრძოლი, რომელიც ზედამხედველობს დისციპლინას და თავდაცვას. ჰუნგ კვანების დაქვემდებარებაში არიან „ტრიალის“ რიგითი წევრებით - ჯარისკაცებით დაკომპლექტებული დამრტყმელი ჯგუფები. „ტრიალებში“ სხვადასხვა თანამდებობები აღინიშნება ციფრებითაც. უბრალო ჯარისკაცის ნომერია, მაგალითად, 49, მებრძოლის - 426, ხოლო ხელმძღვანელს კი მიკუთვნებული აქვს 489. წევრთათვის ნომრების მინიჭება ეფუძნება ძველ ოკულტურ ნუმერაციას და სწორედ ამიტომ ყველა მათგანი იწყება ციფრი 4-ით.

მრავალფეროვანი დანაშაულებრივი საქმიანობის მიუხედავად, „ტრიალები“ ძირითად შემოსავალს იღებენ აზარტული თამაშებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი დიდ მოგებას ნახულობენ ნარკოტიკებით ვაჭრობითაც. ამ სფეროში მათი საქმიანობა შემოიფარგლება ოპიუმის კონტრაბანდით სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის „ოქროს სამკუთხედიდან“, რომელსაც შემდეგ გადაამუშავებენ ჰეროინად და ჰყიდნიან

სხვადასხვა ნარკოდღეებზე. აღსანიშნავია, რომ „ტრიალები“ არ არიან ჩართული ნარკოტიკებით წვრილმან, ქუჩის ვაჭრობაში.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ მითითებულისა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „ტრიალების“ ყველა წევრი არ არის ჩართული დანაშაულებრივ საქმიანობაში. ზოგიერთ მათგანს სხვადასხვა ოფიციალური თანამდებობა უკავია, ზოგი კი თავისი პროფესიის შესაბამისად პატიოსნად საქმიანობს (100, 12).

„ტრიალებისაგან“ განსხვავებით, „ტონგების“ ორგანიზებული დაჯგუფებები შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი მე-19 საუკუნის 50-იან წლებშისან-ფრანცისკოში. აღნიშნული გაერთიანების ჩამოყალიბება საჭირო გახდა ამერიკაში საცხოვრებლად ჩასული ჩინელების თეთრკანიანი რასისიტული ბანდების ძალადობისაგანდასაცავად (51, 323). მიგრანტთა ნაწილი სამშობლოში „ტრიალების“ წევრი იყო, შესაბამისად, ამერიკაში ჩამოსვლის შემდეგაც განაგრძეს უკანონო საქმიანობა. ეტაპობრივად ეს პირები გახდნენ „ტონგების“ წევრები და, შესაბამისად, დასაწყისში კეთილშობილური მიზნებით შექმნილმა დაჯგუფებებმა ნელ-ნელა უკანონო ქმედებების განხორციელებაც დაიწყეს. მათ საქმიანობას ძირითადად შეადგენდა აზარტული თამაშებისა და პროსტიტუციის ორგანიზება, ასევე, ჩინეთიდან ქალების იმპორტი სექსინდუსტრიაში ჩასართავად. თავიანთ კრიმინალურ ქმედებას ისინი ძირითადად ახორციელებდნენ ეთნიკური ჩინელებით დასახლებულ უბნებში. „ტონგების“ შემადგენლობაში შედიოდნენ სხვადასხვა დაჯგუფებები. თვითოეულ გაერთიანების წევრები სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ, რომლებსაც ერთმანეთთან ძალიან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ და, შესაბამისად, ხშირად მცირე კონფლიქტიც კი „ტონგების“ ლოკალურ დაჯგუფებებს შორის შეიძლება გამხდარიყო სისხლისმღვრელი შეტაკების მიზეზი მათ მომხრეებს შორის, მთელი ქვეყნის მასშტაბით „ჩაინა თაუნებში“ (98, 472). მხოლოდ 1909 წელს გაჩაღებულ ომს „ტონგების“ ორ ყველაზე ძლიერ დაჯგუფებას - ონ ლეონგსა და ჰიპ სინგს შორის 350-მდე ადამიანი შეეწირა.

თანამედროვე „ტონგების“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უკანონო აზარტული თამაშები, თუმცა, პარალელურად, ასევე ახორციელებენ ფულის გათეთრებას, ოფიციალურ პირთა მოსყიდვას და სხვა კრიმინალურ საქმიანობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც ჩამოყალიბების დროს „ტონგების“

წვერთა ნაწილი დღესაც იღებს მონაწილეობას სხვადასხვა კანონიერ საქმიანობაში, მათ შორის, პოლიტიკაშიც.

როგორც მითითებულიდან ჩანს, ჩინური ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი დაჯგუფებებიდან ყველაზე ცნობილები - „ტრიადები“ და „ტონგები“ წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან და ძლევამოსილ კრიმინალურ ორგანიზაციებს. საქმიანობისას ისინი არ არიან შეზღუდულნი გარკვეული ტერიტორიებით და წარმომადგენლები პყავთ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, საიდანაც შესაძლებელია შემოსავლების მიღება უკანონო ქმედების შედეგად. მიუხედავად ცალკეული დაჯგუფებების დამოუკიდებლად მოქმედებებისა, ისინი კარგად არიან ორგანიზებულნი და ურთიერთ დაქვემდებარებულნი. „ტრიადების“ მმართველი საბჭო ერთადერთია ამ ორგანიზაციის მრავალი გაერთიანებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოყალიბებისას არც ერთი, ზემოთ მითითებული დაჯგუფების მიზანს არ წარმოადგენდა უკანონო საქმიანობა. „ტრიადები“ შეიქმნა პოლიტიკური ბრძოლის საწარმოებლად, ხოლო „ტონგები“ კი ემიგრირებულ ჩინელთა უფლებების დასაცავად, მაგრამ მცირეოდენი ძალაუფლების მოპოვებისთანავე ორივე ორგანიზაცია ერთ-ერთ წამყვან, დანაშაულებრივ სინდიკატად იქცა.

აზიური ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთი ნაწილია იაპონური მაფია – „იაკუძა“. 2500 დაჯგუფებაში გაერთიანებული 110.00 წევრით იგი მსოფლიოში ყველაზე დიდ კრიმინალურ ორგანიზაციად ითვლება. მისი წარმოშობა უკავშირდება იაპონიაში ფეოდალური ხანის დასრულებას, მაშინ როცა სამურაებმა დაკარგეს თავიანთი სოციალური ფუნქცია ქვეყანაში. შედეგად, მათი უმეტესობა დახეტიალობდა იაპონიაში, ახორციელებდა სხვადასხვა კრიმინალურ ქმედებას და სწორედ ამ პირებს – უპატრონო სამურაებს - მოგვიანებით ეწოდათ „იაკუძები“.

დღესდღეობით „იაკუძები“ თავიანთ თავს თანამედროვე სამურაებს უწოდებენ და ინარჩუნებენ ძველ ეგზოტიკურ რიტუალებს, მათ შორის, ტანის მოსვირინგებას, ბოდიშის მოხდის მიზნით საკუთარი თითის მოკვეთას და ასე შემდეგ. თანამედროვე იაპონიაში „იაკუძა“ უდიდესი გავლენის მქონე ორგანიზაციაა. ამ დაჯგუფების წევრები საქმიანობენ როგორც იაპონიის ყველა დიდ ქალაქში, ასევე ჰავაიზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, განსაკუთრებით კალიფორნიაში, სან ფრანცისკოსა და ნევადაში (49, 260-261). ამერიკული მაფიისაგან განსხვავებით,

იაპონური „იაკუძა“ არ იყენებს კონსპირაციას. მაგალითად, აღნიშნული სინდიკატის ყველაზე მძლავრი დაჯგუფების – „იამაგუჩი გუმის“ საკონტაქტო მოაცემები შეგიძლიათ ნახოთ ტელეფონების წიგნში, ხოლო მისი წევრების გამორჩევა კი ადვილია გულზე დამაგრებული სპეციალური სამკერდე ნიშნებით, რომლებზეც დაჯგუფების ლოგოა გამოსახული. საჯაროობას იმდენად დიდი ყურადღება ეთმობა ამ ორგანიზაციაში, რომ, როდესაც აზრთა სხვადასხვაობის გამო, წევრთა მცირე ნაწილმა დატოვა „იამაგუჩი გუმი“, ლიდერმა მასაჰისა ტანაკამ აღნიშნული განაცხადა პრესკონფერენციაზე იაპონიის ქალაქ კობეს ერთ-ერთ ფეშენებელურ რესტორანში (92, 6).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იშვიათად ჩატარებული საჩვენებელი სპეცოპერაციების გარდა, ადგილობრივი პოლიცია ხელს არ უშლის „იაკუძას“ საქმიანობაში, რაც აიხსნება ორმხრივი თანამშრომლობით, მათ შორის, სამართალდამცავთა მხრიდან ლოიალური დამოკიდებულების სანაცვლოდ, დანაშაულებრივი დაჯგუფება უზრუნველყოფს ქვეყანაში არაორგანიზებული, მცირე კრიმინალების ქმედების კონტროლს.

„იაკუძას“ გააჩნია მჭიდრო კავშირები სახელმწიფო ხელისუფლებასა და პოლიტიკოსებთან. იაპონური მაფიის აღ კაპონედ წოდებულ კაზუო ტაოკას საქმიანი და მეგობრული კავშირები ჰქონდა ქვეყნის უმაღლეს თანამდებობის პირებთან, რომელთა შორისაც იყო იაპონიის ორი ექსპრემიერმინისტრი. აღნიშნულმა განაპირობა არა მხოლოდ ტაოკას პირადი წარმატებები, არამედ საფუძველი ჩაუყარა მჭიდრო კავშირებს „იაკუძასა“ და მთავრობის უმაღლესი რანგის თანამდებობის პირებს შორის (96, 17).

რაც შეეხება „იაკუძას“ საქმიანობას, მის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ბიზნესს წარმოადგენს იარაღის უკანონო იმპორტი ამერიკის შეერთებული შტატებიდან იაპონიაში. დაჯგუფების წევრები ასევე მჭიდროდ არიან ჩართული ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობაში. განსაკუთრებულ პრობლემას იაპონიაში წარმოადგენს მეტამფეტამინები, რომელიც, იარაღის მსგავსად ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოაქვთ და თვითონაც ამზადებენ საიდუმლო ლაბორატორიებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ფილიპინებსა და კორეაში. „იაკუძას“ წევრები სექსუალურ ინდუსტრიაში ჩართვის მიზნითმონებით ვაჭრობენ. ყოველივე

აღნიშნულის გარდა, მითითებული კრიმინალური სინდიკატი ჩართულია სხვა ტრადიციულ ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობაში. სინდიკატის წევრები გეგმავენ და ახორციელებენ შეკვეთილ მკვლევრობებს, გამოძალვას, აზარტულ თამაშებს, მევახშეობას, პორნოგრაფიას, პროსტიტუციას და ა.შ. გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში „იაკუდა“ განსაკუთრებით გააქტიურდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მათ დააბანდეს თანხები რესტორნებში, უძრავ ქონებაში, ტურისტულ ბიზნესში ჰავაიზე (95, 12-17). ამერიკაში დაჯგუფების წევრები სისტემატურად აშანტაჟებენ იქ არსებულ იაპონური კომპანიების თანამშრომლებს ფულის გამოძალვის მიზნით.

„იაკუდა“ სხვა დანაშაულებრივი ორგანიზაციებისაგან, ეგზოტიკური ტრადიციებისა და რიტუალების გარდა, განსხვავდება თავისი მისწრაფებებით ლეგალური საქმიანობისაკენ. ზემოთ ჩამოთვლილი ტიპური კრიმინალური ქმედებების გარდა, როგორც უკვე აღინიშნა, იგი ჩართულია კანონიერ ბიზნესშიც – საბანკო საქმიანობაში, უძრავი ქონების ფირმებში, ტურისტულ ბიზნესსა და სხვადასხვა კორპორაციებში.

როგორც მითითებულიდან ჩანს, იაპონური „იაკუდა“ წარმოადგენს ყველაზე მრავალრიცხოვან ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებას, რომელსაც გააჩნია წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებში. იგი არის ტრადიციული ეთნიკური კრიმინალური ორგანიზაცია, რომელიც ჩართულია თითქმის ყველანაირ უკანონო საქმიანობაში. სხვა დანაშაულებრივი სინდიკატებისაგან „იაკუდა“ რამდენიმე განსხვავებული ნიშნით გამოირჩევა: პირველი - ფაქტობრივად ყოველდღიურ ცხოვრებაში „იაკუდას“ წევრები არ იყენებენ კონსპირაციის წესებს, ანუ მოქმედებენ საჯაროდ, რაც ფრიად არადამახასიათებელია ორგანიზებული დანაშაულობისათვის. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამ ორგანიზაციის ლიდერები დაჯგუფების შიგნით მომხდარ სერიოზულ ძვრებს არათუ მაღავენ, არამედ რიგ შემთხვევებში აღნიშნულთან დაკავშირებით პრესკონფერენციებსაც კი მართავენ. აქვე გასათვალისწინებელია დაჯგუფების წევრების განსაკუთრებულად კარგი დამოკიდებულება და ახლო ურთიერთობა სახელმწიფო ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლებთან.

ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და მრავალრიცხოვან ტრანსნაციონალურ დაჯგუფებებს წარმოადგენენ კოლუმბიური დანაშაულებრივი ორგანიზაციები. ისინი თითქმის მთელს მსოფლიოში აკონტროლებენ კოკაინით უკანონო ვაჭრობას. აღნიშნულ საქმიანობას ხელს უწყობს კოლუმბიის გეოგრაფიული მდებარეობა. იგი არის ერთადერთი სამხრეთამერიკული სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია გასასვლელი როგორც წყნარ ოკეანეში, ასევე კარიბის ზღვაზე. გარდა ამისა, ქვეყანაში არის ძალიან დიდი დაუსახლებელი ტერიტორიები, რომლებიც იზოლირებულია მიუვალი მთებით (66, 75), სადაც ხდება კოკაინის უკანონო კულტივირება და შემდეგ უკვე საბოლოო მასალად გადამუშავება იქვე მოწყობილ საიდუმლო ლაბორატორიებში. კოლუმბიური ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული სისასტიკე. სწორედ ეს, ზღვარს გადამეტებული დაუნდობლობა იმის საფუძველი, რომ დამნაშავეები განსაკუთრებული ინდიფერენტულობით ეკიდებიან მკვლელობის ჩადენას, (68 მკვლელობა ყოველ 100000 ადამიანზე, რაც რვაჯერ აღემატება ამერიკის შეერთებული შტატების სტატისტიკას) (68, 37) და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს ქვეყანაში 15-დან 44 წლამდე მამაკაცების სიკვდილის ძირითად მიზეზს.

კოლუმბიური დანაშაულებრივი სამყაროს ყველაზე ცნობილ დაჯგუფებებს წამოადგენენ მედელინისა და კალის კარტელები.

მედელინი არის ქალაქი ანტიოქიის პროვინციაში, რომელიც იყო კოლუმბიის ყველაზე მსხვილ ნარკოტიკებით მოვაჭრეთა სამოქმედო ტერიტორია და სადაც განთავსებულია მსოფლიოში ცნობილი მედელინის კარტელის შტაბბინა. აღნიშნული დაჯგუფება დაფუძნებულ იქნა კარლოს ლედერ-რივასის, კარლოს ესკობარისა და ოჩოას კლანის მიერ.

როგორც კარლოს ლედერ-რივასმა და პაბლო ესკობარმა, ასევე, ოჩოას კლანის წარმომადგენელმა ხორხე ოჩოამაც საქმიანობა დაიწყეს როგორც წვრილმანმა ნარკოტრეფიკორებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში. საბოლოოდ, სხვადასხვა მიზეზების გამო, სამივეს მოუხდა კოლუმბიაში, კერძოდ, მედელინში დაბრუნება და სწორედ ამ დროიდან იწყება მათი აღმასვლა დანაშაულებრივ კარიერაში. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს ჰყავდა მძლავრი და მრავალრიცხოვანი დაჯგუფება, რომლებსაც დამოუკიდებლად მართავდნენ და ამავე დროს მჭიდროდ

თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან. შესაბამისად, მათ შექმნეს კოალიცია, რომელიც მართავდა კოკაინის ბაზარსამ ნარკოტიკული ნივთიერების ყველაზე ფართოდ გავრცელების პერიოდში (43, 50).

აღსანიშნავია, რომ კარლოს ლედერ-რივასიც და პაბლო ესკობარიც კრიმინალურთან ერთად ცდილობდნენ, გაეძლიერებინათ პოლიტიკური გავლენაც. ამ მიზნით კარლოს ლედერ-რივასმა შექმნა „ნაციონალური ლათინური სამოქალაქო მოძრაობა“, რომელსაც უნდა წარედგინა კანდიდატები და მიეღო მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში. მან ასევე დაარსა ახალგაზრდული მოძრაობა - „ხისმჭრელები“, ამის შემდეგ ტელევიზიით მოუწოდა რევოლუციურ მოძრაობებს, რომ მონაწილეობა მიეღოთ კოკაინის კონტრაბანდაში ამერიკის შეერთებულ შტატებში. თავის მოწოდებას იგი მიიჩნევდა მტრული ქვეყნის მიმართ ბრძოლის ერთ-ერთ ხერხად. ფაქტობრივად, მან ნარკოტიკებით ვაჭრობა იდეოლოგიურ დონეზე აიყვანა და გაუთანაბრა სამშობლოს საკეთილდღეოდ ბრძოლის წარმოებას.

რაც შეეხება პაბლო ესკობარს, იგი ჯერ კიდევ 1982 წელს აირჩიეს ოფიციალურ წარმომადგენლად ენვიგადოში. ხალხის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით იგი ძალიან დიდ თანხას ხარჯავდა ქველმოქმედებაში, ააშენა 500 სახლი და 80 ფეხბურთის მოედანი მედელინში. სწორედ ამ საქმიანობისა და სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვით ახერხებდა იგი, მოეპოვებინა ხელშეუხებლობა მისი უკანონო საქმიანობისათვის, თუმცა, მიუხედავად მის მიერ ოფიციალური თანამდებობის პირების მოსყიდვისა და საკუთარი უსაფრთხოების მიზნით განხორციელებული სხვა უამრავი ღონისძიებისა, საბოლოოდ, 1993 წელს იგი მოკლეს პოლიციელთა და ნარკომოვაჭრეთა შორის გამართულ შეიარაღებულ დაპირისპირებაში.

მედელინის კარტელი ძირითადად ხელმძღვანელთა გავლენის, წევრთა მიერ ხალხის დაშინებისა და რიგ შემთხვევაში - სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვის გზით ახერხებდა მშვიდ საქმიანობას, თუმცა პერიოდულად სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათ წინააღმდეგ ხორციელდებოდა სხვადასხვა სპეცოპერაცია. აღსანიშნავია, რომ ასეთ დროს დამნაშავეები შეტევაზე გადადიოდნენ. მაგალითად, როდესაც შეიქმნა სპეციალური დაჯგუფება ნარკოტიკების დამამზადებლებთან ბრძოლის მიზნით, კარტელის წევრებმა ამას დიდი სისატიკით უპასუხეს, რასაც

უამრავი პოლიციელი ემსხვერპლა. 1984 წელს იუსტიციის მინისტრ ლარა ბონილას მიერ დაგეგმილი ოპერაციის შედეგად განადგურებულ იქნა მილიარდ დოლარამდე ღირებულების კოკაინი, ორი თვის შემდეგ კი ბონილა მოკლულ იქნა დანაშაულებრივი დაჯგუფების მიერ. როგორც ზემოთ აღინიშნა, კრიმინალებსა და პოლიციელებს შორის ხშირად ხდებოდა შეტაკება, რის მიზეზსაც სამართალდამცავთა მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენდა, თუმცა 1990 წელს მსგავსი დაპირისპირება კრიმინალთა ინიციატივით დაიწყო, კერძოდ, პაბლო ესკობარმა დააწესა ჯილდო - 4.200 აშშ დოლარი პოლიციელის მკვლელობისთვის (85, 4). შედეგად, წლის განმავლობაში მოკლულ იქნა 250-მდე პოლიციელი.

მედელინის კარტელთან დაკავშირებითექსპერტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაარსებობს. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ იგი აღარ ფუნქციონირებს, ზოგიერთების მოსაზრებით კი აღნიშნული დანაშაულებრივი დაჯგუფება კვლავ აგრძელებს საქმიანობას, თუმცა შედარებით მცირე მასშტაბებით, რადგან წევრთა დიდმა ნაწილმა დატოვა მისი რიგები და სხვა კრიმინალურ ორგანიზაციებში გაერთიანდა (51, 313).

მაშინ, როდესაც კოლუმბიის პოლიცია ცდილობდა, გაენადგურებინა მედელინის კარტელი, მათი მოქიშპე კალის დანაშაულებრივი ორგანიზაცია აფართოებდა კოკაინის წარმოებას და იპყრობდა მსოფლიო ბაზარს. 1990-იან წლებამდე კალის კარტელი მშვიდად ვითარდებოდა მედელინის კარტელის ჩრდილში, რამაც, საბოლოოდ, საშუალება მისცა, ჩამოყალიბებულიყო კოლუმბიის წამყვან კრიმინალურ ორგანიზაციად. თავისი საქმიანობის პიკზე კალის კარტელი აკონტროლებდა ამერიკაში კოკაინის ბაზრის 70%-ს, ხოლო ევროპაში - 90%-ს (109, 29). ისევე, როგორც ყველა დანაშაულებრივი დაჯგუფება, კალის ორგანიზაციაც ფართოდ იყენებდა პოლიტიკურ გავლენას და კორუფციას. მედელინელი კრიმინალებისაგან განსხვავებით, ისინი ძალადობაზე წინ აყენებდნენ თანამდებობის პირთა მოსყიდვას. ამ მიზეზის გამო სამართალდამცავები მათ ხშირად უწოდებდნენ ჯენტლმენებს. თუმცა დაჯგუფების წევრთა ინტერესების დასაცავად ისინი არც განსაკუთრებულ სისასტიკეზე ამბობდნენ უარს. მაგალითად, როდესაც მათ დაუპირისპირდნენ პროფკავშირების წევრები და პარტიზანების მომხრეები, კალის კარტელის მებრძოლების მიერ გატარებული ღონისძიებების

შედეგად ნაწამები და ლიკვიდირებულ იქნა 107 პირი, რომელთა უმეტესობა დაანაწევრეს ბენზოხერხებით (85, 7).

როგორც ზემოთ აღინიშნა, კალის კარტელი ნარკოტიკების კონტრაბანდას და გასაღებას ეწეოდა სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც ჰქონდათ კოკაინით ვაჭრობის კარგად ორგანიზებული ქსელი. ყველა გაერთიანებას ჰყავდა ხელმძღვანელი ორი მოადგილით, რომელთაგან თვითოეულს ექვემდებარებოდა 70-100 დამნაშავე. მიუხედავად ასეთი მრავალრიცხოვანი წევრებისა, სამართალდამცავებისათვის პრაქტიკულად შეუძლებელი იყო აგენტების შეგზავნა ორგანიზაციაში. მითითებული განპირობებული იყო იმით, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ქსელის ხელმძღვანელები ნარკოტიკებს ყიდიდნენ მხოლოდ მათზე, ვისაც იცნობდნენ, ძირითადად კოლუმბიელებზე, ხოლო სხვა ნარკოდილერები ვაღდებულები იყვნენ, ჯერ უშუალო კავშირი დაემყარებინათ კალიში კარტელის ხელმძღვანელებთან. დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში სავალდებულო არ იყო თანხის წინასწარ გადახდა, უბრალოდ მყიდველს გირაოდ უნდა დაეტოვებინა ქონება, რომელიც აანაზღაურებდა ზიანს დილერის დაჭერის შემთხვევაში. გარდა ამისა, გარანტიის სახით წარდგენილი უნდა ყოფილიყო მყიდველის ოჯახი, რომლებიც ზღადავდნენ საკუთარი სიცოცხლით ნარკოდილერის მიერ ინფორმაციის გაცემას (109, 32).

ნარკოტიკებით ვაჭრობის გარდა კალის დანაშაულებრივი ორგანიზაცია დიდი ოდენობით თანხას ათეთრებდა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ამ ორგანიზაციის ზოგიერთი დაჯგუფება თვეში 7-12 მილიონი აშშ დოლარის გათეთრებას ახერხებდა. თანხის დიდი ნაწილი იგზავნებოდა კალიში, სადაც აბანდებდნენ სხვადასხვა ბიზნესში და უძრავ ქონებაში.

მიუხედავად კალის კარტელის დიდი გავლენისა და კავშირებისა, 1995 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ზეწოლის შედეგად კოლუმბიელი სამართალდამცავების მიერ დაპატიმრებულ იქნა დაჯგუფების რამდენიმე ლიდერი. აღნიშნულს შედეგად მოჰყვა სახელმწიფო თანამდებობის პირების, მათ შორის, თავდაცვის მინისტრის დაკავება კარტელის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ბრალდებით. მითითებულმა ქმედებამ ძალიან დიდი დარტყმა მიაყენა ამ დანაშაულებრივ ორგანიზაციას, რამაც გამოიწვია უმუშევრობის გაორმაგება და კალიში ეკონომიკის შესამჩნევი ვარდნა.

მიუხედავად სამართალდამცავთა მიერ გატარებული ღონისძიებებისა, რომელსაც მოჰყვა გაერთიანების ლიდერთა დაპატიმრება, მიიჩნევენ, რომ აღნიშნული დანაშაულებრივი ორგანიზაცია კვლავაც განაგრძობს საქმიანობას, რადგან, ერთი მხრივ, ნარკოტიკების დამზადებისა და რეალიზაციის ქსელი ისე იყო აწყობილი, რომ ნებისმიერი კონკრეტული პირისა თუ შუალედური დაჯგუფების განადგურების შემთხვევაში არ შეწყვეტილიყო საქმიანობა, მეორე მხრივ კი დაპატიმრებული ლიდერები საპრობილეებიდან ახერხებდნენ კარტელის დანაშაულებრივი საქმიანობის მართვას.

დღესდღეობით კოლუმბიაში ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენლებად უფრო მეტად გვევლინებიან ზემოთ აღნიშნულ კარტელებზე უფრო მცირე დაჯგუფებები, რომლებიც კალისა და მედელინის სინდიკატებისაგან განსხვავებით ახდენენ საქმიანობის სპეციალიზაციას, კერძოდ, ნაწილი მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერებების ნათესებს უვლის, ნაწილი ნარკოტიკულ ნივთიერებებს ამზადებს, ნაწილი კი ახდენს მის რეალიზაციას და ა.შ. (126)

როგორც ვხედავთ, ორგანიზებული დანაშაულობა კოლუმბიაში მკაცრად ორგანიზებული, მრავალრიცხოვანი კარტელების სახითაა ჩამოყალიბებული. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, კოლუმბიაშიც დანაშაულებრივი სინდიკატები ახორციელებენ მრავალნაირ უკანონო საქმიანობას, თუმცა აქ ძირითადად აქცენტი კეთდება ნარკოტიკების დამზადებაზე, კონტრაბანდასა და სხვა ქვეყნებში გასაღებაზე. ადგილობრივი კრიმინალები ასევე გამოირჩევიან განსაკუთრებული სისასტიკით. მართალია, მითითებული ნიშანი დამახასიათებელია ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისთვისაც ნებისმიერ ქვეყანაში, თუმცა ასეთი ზღვარს გადასული არაადამიანური ქმედება და მკვლელობისადმი გულგრილობა სხვა დანაშაულებრივ ორგანიზაციებში ნაკლებად გვხვდება. ასევე განსაკუთრებულად შეიძლება ჩაითვალოს რიგ შემთხვევებში დამანაშავეთა ღია დაპირისპირება სახელმწიფო აპარატთან. თუ, ძირითადად, ორგანიზებული დაჯგუფებები დაკავებული არიან კორუფციით, რათა თავიდან აიცილონ შეტევა სამართალდამცავთა მხრიდან, კალისა და განსაკუთრებით მედელინის კარტელის წევრები ყოველთვის მზად იყვნენ იქით გადასულიყვნენ შეტევაზე მთავრობის წინააღმდეგ, თუ ისინი ოდნავ მაინც შელახავდნენ კრიმინალთა ინტერესებს.

ძირითადი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების მიმოხილვისას აუცილებლად უნდა შევეხოთ იტალიურ დანაშაულებრივ გაერთიანებებს, კერძოდ, „კოზა ნოსტრას“, რომელიც მოქმედებს სიცილიაზე, „კამორას“, რომელიც საქმიანობს ნეაპოლში და „ნდრანგეტას“, რომლის ადგილსამყოფელიც კალაბრიაა.

აღნიშნული კრიმინალური ორგანიზაციების განხილვა, სასურველია, დაწყებულ იქნეს „კოზა ნოსტრათი“, რადგან იგი წარმოადგენს ყველაზე ცნობილსა და ძლევამოსილს, გარდა ამისა, დაჯგუფების წევრები დღესაც ახორციელებენ სხვადასხვა კრიმინალურ საქმიანობას. თანამედროვე პერიოდში მარტო პალერმოს პროვინციაში აღნიშნული ორგანიზაცია შედგება 67 ოჯახისაგან, რომლებიც აერთიანებენ 1500-მდე წევრს. მაფიის სტრუქტურული იერარქიის სათავეში არის ე.წ. „კოზა ნოსტრას“ მთავრობა. იერარქიის შემდეგ საფეხურზე დგას პროვინციის კომიტეტი, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულია კაპომანდამენტო (პოლკოვნიკი), რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებელია სამი ოჯახის საქმიანობაზე. თითოეულ ოჯახს გააჩნია თავისი სამოქმედო ტერიტორია და ჰყავს ხელმძღვანელი (capo - კაპო), რომელიც აირჩევა წევრთა მიერ. თავის მხრივ, ლიდერი ნიშნავს მოადგილეს (sotto-capo – სოტო-კაპო) და ერთ ან ორ მრჩეველს (consiglieri - კონსილიერი). თითოეულ ოჯახში რიგითი ჯარისკაცები გაერთიანებული არიან ათკაციან ჯგუფებში, რომელთა საქმიანობასაც ზედამხედველობს კაპიტანი (76, 64). მითითებული დანაშაულებრივი დაჯგუფების განხილვისას ცხადად ჩანს მსგავსება ამერიკულ მაფიასთან, რაც ნამდვილად არაა გასაკვირი იმის გათვალისწინებით, რომ შეერთებულ შტატებში „კოზა ნოსტრა“ სწორედ იტალიიდან ემიგრირებულმა კრიმინალებმა ჩამოაყალიბეს. მიუხედავად ამ მსგავსებისა, ამერიკული და იტალიური მაფიების მოქმედება განსხვავდება ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით, სახელმწიფოს წარმომადგენლებთან მიმართებით. მაშინ, როდესაც შეერთებულ შტატებში ოფიციალურ მოხელეთა გასანეიტრალებლად ძირითადად მოსყიდვის ხერხს იყენებენ, იტალიაში თავიდანვე უპირატესობას ძალადობას ანიჭებდნენ. მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ, მუსოლინის მიერ გატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციების მიუხედავად, შესუსტებული მაფია მუდმივად თანამშრომლობდა პოლიტიკურ ძალებთან, რაც გამოიხატებოდა სამოქმედო ტერიტორიაზე სრული ძალაუფლების განხორციელებაში არჩევნებში დახმარების სანაცვლოდ, მაგრამ

ასეთი თანამშრომლობის მიუხედავად, იტალიის მთავრობა პერიოდულად ახორციელებდა მასშტაბურ ოპერაციებს ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ, რომლებსაც კრიმინალური გაერთიანების წევრები არათუ თავს არიდებდნენ, არამედ განსაკუთრებული სისასტიკითა და ძალადობით პასუხობდნენ, არ ინდობდნენ კონკრეტულ თანამდებობის პირებს თუ ისინი მათი ნების წინააღმდეგ წავიდოდნენ. აღნიშნულის ნათელი მაგალითია მოსამართლე ჯოვანი ფალკონეს მკვლელობა, რომელმაც ღიად გაილაშქრა მაფიის წინააღმდეგ და აგროვებდა მტკიცებულებებს სასამართლო პროცესისათვის. 1992 წელს იგი მეუღლესთან და პირად მცველებთან ერთად პალერმოს გარეუბანში ააფეთქეს ავტომანქანით მგზავრობისას. ამ ფაქტმა რიგითი მოსახლეების პროტესტი გამოიწვია (125). ფალკონეს დაკრძალვის დროს ხალხმა კორუმპირებული მთავრობის მისამართით მძაფრი კრიტიკა გამოთქვა, ხოლო მაფიის წინააღმდეგ კი 40000 კაციანი დემონსტრაცია მოაწყო (88, 6), თუმცა ვერც მოქალაქეთა განწყობამ შეახერხა ორგანიზებული დაჯგუფების წევრები. რამდენიმე თვეში მოკლულ იქნა პაოლო ბორსელინო – პალერმოს პროკურორი. მითითებულთან შედარების თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1930-იან წლებში ნიუ-იორკის ერთ-ერთი მაფიური დაჯგუფების ლიდერი - ჰოლანდიელ შუღცად წოდებული არტურ ფლეგენჰეიერი მოკლულ იქნა სხვა დანაშაულებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელების, მათ შორის, ლაკი ლუჩიანოს მითითებით, რადგან მან გადაწყვიტა ამერიკის შეერთებული შტატების პროკურორის - თომას დიუის მოკვლა, რათა ამ უკანასკნელს არ ეწარმოებინა სისხლისსამართლებრივი დევნა მის წინააღმდეგ. დანაშაულებრივი სამყაროს ლიდერები მიუღებლად თვლიდნენ სახელმწიფოსთან ღია კონფრონტაციაში შესვლას, რაც, მათი აზრით, ისევ საერთო კრიმინალურ საქმიანობას მიაყენებდა ზიანს (74, 39). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო წარმომადგენლების მიმართ წარმოებული სისასტიკითა და ძალადობით იტალიური „მაფია“ ამერიკულ „კოზა ნოსტრაზე“ მეტად წააგავს კოლუმბიურ კარტელებს, რომლებიც ყოველთვის ღიად და დიდი აგრესიულობით უპირისპირდებოდნენ როგორც სამართალდამცავებს, ასევე მთელ სახელმწიფო აპარატს.

რაც შეეხება კრიმინალური საქმიანობის სფეროებს, მაფია ახორციელებს ტრადიციულ დანაშაულებრივ საქმიანობას - გამოძალვას, ადამიანების გატაცებას,

რეკეტს, ფულის გათეთრებას და ა.შ. მათ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნარკოტიკებით ვაჭრობას. მათ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაამყარეს დანაშაულებრივი კავშირები როგორც სამხრეთ ამერიკის კოკაინის დამამზადებელ კარტელებთან, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან, რის შედეგადაც მოიპოვეს მონოპოლია ევროპის ბაზარზე კოკაინისა და ჰეროინის კონტრაბანდაზე, რაც უდიდეს მოგებასთანაა დაკავშირებული. სიცილიური მაფიის შემოსავლის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო კონტრაქტებიდან შემოსული თანხები. რეგიონების განვითარების მიზნით, რომიდან დიდი ოდენობით სახსრები იგზავნებოდასიცილიაში, რომელთა განკარგვა მაფიის ზედამხედველობით ხდებოდა. შედეგად, ამ თანხების უდიდესი ნაწილი აკუმულირდებოდა სწორედ დანაშაულებრივი ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებზე.

დანაშაულებრივი გაერთიანებაა „კამორაც“, რომლის სამოქმედო ტერიტორიას ნეაპოლი წარმოადგენს. მისი წევრები აკონტროლებდნენ ყოველგვარ საქმიანობას თავის მხარეში. ისინი იყვნენ მჭიდროდ, ცენტრალიზებულად და იერარქიულად ორგანიზებულნი (45, 55). მათ უმთავრეს საქმიანობას გამოძალვა წარმოადგენდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლიან არც სხვა დანაშაულების ჩადენაზე ამბობდნენ უარს. ასევე, გარკვეული თანხის ფასად ახორციელებდნენ სახვადასხვა პირთა მკვლელობებს (53, 244). „კამორა“ პოლიციაზე ბევრად ეფექტურად მოქმედებდა და სამართალდამცავთაგან განსხვავებით, ბევრად ორგანიზებულ და დისციპლინირებულ გაერთიანებას წარმოადგენდა (107, 724).

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან „კამორამ“ დიდი გავლენა მოიპოვა ხელისუფლებაზე, რაც განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ მთავრობის წარმომადგენლები სწორედ მათი მეშვეობით ახერხებდნენ რეგიონში წესრიგის შენარჩუნებას. „კამორამ“ ძალაუფლების პიკს მე-19-მე-20 საუკუნის მიჯნაზე მიაღწია, როდესაც მათ სამოქმედო ტერიტორიაზე ყველაფერი დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრების თანხმობით წყდებოდა, თუმცა 1912 წელს „კუოკოლოს საქმეზე“ დაჯგუფების წევრის მიერ მიცემული ჩვენების საფუძველზე ორგანიზაციის 27 ხელმძღვანელი დააპატიმრეს, რომელთაც, ჯამში, 354 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ (113). შემდგომი მძიმე დარტყმა „კამორას“ მუსოლინის მთავრობამმიაყენა. ისევე, როგორც ყველა კრიმინალური

ორგანიზაციისათვის, „კამორასთვისაც“ მეტად მნიშვნელოვანი იყო სუსტი ხელისუფლების არსებობა. ფაშისტების მმართველობის დამყარებამ კი ფაქტობრივად ბოლო მოუღო აღნიშნულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას, რეპრესიებს გადარჩენილი წევრები კი ოფიციალურ სტრუქტურებს შეერწყნენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში „კამორამ“ კვლავ მოახერხა გაძლიერება და რეგიონში პოლიტიკურ პროცესებზე კონტროლის დამყარება. შესაბამისად, დაჯგუფებას მიეცა სახელმწიფო თანხების დატაცების შესაძლებლობა.

თანამედროვე პერიოდში „კამორა“ შედგება მრავალი დაჯგუფებისაგან, რომლებიც პერიოდულად ერთიანდებიან, გარკვეული დროის შემდეგ კი კვლავ იშლებიან ხან მშვიდობიანად, უფრო ხშირად კი სისხლისმღვრელი შეტაკებების შედეგად (89, 36). ისინი დაყოფილი არიან ტერიტორიული პრინციპის მიხედვით და აკონტროლებენ თავის ზედამხედველობაში არსებულ რეგიონებს (113). მათ ძირითად საქმიანობას უკანონო აზარტული თამაშები და მევახშეობა წარმოადგენს, თუმცა, კვლავ აქტიურად ახდენენ გავლენის დემონსტრირებას პოლიტიკურ პროცესებზე, კერძოდ, არჩევნებზე.

ასევე აღსანიშნავია დანაშაულებრივი გაერთიანება „ნდრანგეტა“, რომელიც კალაბრიაში მოქმედებდა. მითითებული ორგანიზაცია ხალხში მე-19 საუკუნის მიწურულს მეტად პოპულარული იყო, რაც განპირობებული იყო ცენტრალური ხელისუფლების მიმართმათი შეურიგებელი პოზიციით(39, 289). მითითებული გაერთიანების წევრები პოლიტიკურ წინააღმდეგობას ბანდიტობასაც უთავსებდნენ, შესაბამისად, გლეხებს შორის მათი ცხოვრების წესის რომანტიზება და პოპულარიზაცია ხდებოდა.

დღესდღეობით „ნდრანგეტა“ შედგება 100-ზე მეტი დაჯგუფებისაგან, დაახლოებით - 6000 წევრით(124). ისევე, როგორც „კამორა“, „ნდრანგეტას“ დაჯგუფებებიც საქმიანობენ ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ გარდა ჩრდილოეთ იტალიური ქალაქებისა, სადაც „ნდრანგეტას“ თავიდანვე მყარი პოზიციები ეკავა, მისმა წევრებმა დიდი გავლენა მოიპოვეს ევროპაშიც, კანადასა და ავსტრალიაში (101, 231). დღესდღეობით გაერთიანების ძირითად საქმიანობას ადამიანების გატაცება, იარაღითა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა და გამოძალვა წარმოადგენს, თუმცა ისინი უარს არც სხვა, შემოსავლიან

კრიმინალურ ქმედებებზე ამბობენ. მხოლოდ 2007 წლის განმავლობაში ხსენებული დანაშაულებრივი გაერთიანების შემოსავალმა 43 მილიონ ევროს გადააჭარბა (124).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იტალიური ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანებები წარმოადგენენ დიდი ისტორიის მქონე, ტრადიციულ კრიმინალურ გაერთიანებებს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ სიცილიაზე, კალაბრიაში და ნეაპოლში და აღიქმებოდნენ რეგიონალურ პრობლემად, თუმცა დროთა განმავლობაში მითითებული დაჯგუფებები განვითარდნენ, შედეგად კი დიდი გავლენა და დანაშაულებრივი კავშირები მოიპოვეს როგორც მთელ იტალიაში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ისინი ახორციელებენ ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ კრიმინალურ საქმიანობას და მათი ამერიკული მოკავშირისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული სისასტიკითა და აგრესიულობით გამოირჩევიან სახელმწიფოს წარმომადგენლების მიმართ.

რუსული ორგანიზებული დანაშაულობის თანამედროვე სახით ჩამოყალიბება დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. საბჭოთა კავშირის დაშლამ არსებული რეალობა შეცვალა და განუსაზღვრელი შესაძლებლობების ასპარეზი წარმოაჩინა კრიმინალებისათვის. კომუნისტური წყობის დაშლის შემდეგ განვითარება დაიწყო კერძო ბიზნესში სხვადასხვა სფეროებში და, შესაბამისად, დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლებმაც აქტიურად დაიწყეს მზარდი კერძო მეწარმეობის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევა.

რუსეთში წამყვანი ადგილი უჭირავთ კანონიერი ქურდების გავლენიან ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს. როგორც წინა თავებში აღინიშნა, კანონიერი ქურდების არსებობა რუსეთში ათეულობით წლებს ითვლის. მათი ცხოვრების წესი მკაცრად იყო შეზღუდული მათ მიერვე აღიარებული წესებით (მაგალითად, საკუთარი ოჯახის შექმნის (12, 42), სახელმწიფო თუ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის დაუშვებლობა და ა.შ.). სახელმწიფოში მდგომარეობის ცვალებადობასთან ერთად, რათა არ ჩამორჩენოდნენ თანამედროვეობასა და ასევე შეენარჩუნებინათ კონკურენტუნარიანობა სხვა დაჯგუფებებთან მიმართებით, მოხდა აღნიშნული წესების რამდენადმე ლიბერალიზაცია და კანონიერი ქურდები აქტიურად ჩაერთნენ სხვადასხვა

ბიზნესებში, რაც გამოიხატებოდა დაწესებულების საქმიანობის უშუალო ზედამხედველობაში, რიგ შემთხვევაში - კრიმინალური გზით მოპოვებული ფულის დაბანდებით სხვადასხვა კანონიერ კომერციულ დაწესებულებებში, მაგალითად, კაზინოებში, რომლებსაც შემდგომში აქტიურად იყენებდნენ უკანონო გზით მოპოვებული სხვა შემოსავლების გასათეთრებლად. თუ კანონიერი ქურდის წოდების მისაღებად ადრე აუცილებელი იყო ციხეში სასჯელის მოხდა, იქ გამოცდილების მიღება და სხვა, თანამედროვე პერიოდში მითითებული პროცედურა ბევრად გაიოლდა და საკმარისი გახდა მხოლოდ სამი კანონიერი ქურდის ერთობლივი გადაწყვეტილება კანდიდატის „ქურდად მოსანათლად“. ასევე, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ქურდად კურთხევა გარკვეული საფასურის გადახდით(ერთ შემთხვევაში კი, წოდების მინიჭების სანაცვლოდ, ქურდებს გადასცეს უცხოური მარკის ავტომანქანები) (83, 52). რაც შეეხება უშუალოდ ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის სტრუქტურას, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელების მიუხედავად, ქურდული სამყაროს წევრები მხოლოდ კანონიერი ქურდები არ არიან, თუმცა ამ გაერთიანების ყველა წევრი ვალდებულია, იცხოვროს ქურდული სამყაროს წესების შესაბამისად. კანონიერი ქურდები იერარქიულად ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგომი ფენაა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ისინი უშუალოდ დანაშაულს, როგორც წესი, არ სჩადიან. ამისათვის მათ ჰყავთ დაქვემდებარებული პირები. მითითებულ გაერთიანებაში მნიშვნელოვანი საკითხები წყდება „დემოკრატიულად“, ურთიერთშეთანხმებით, რომელიც ხორციელდება ე.წ. „სხოდკაზე“ - ქურდების შეხვედრაზე. როგორც წესი, ყველა კანონიერ ქურდს გააჩნია თავისი სამოქმედო ტერიტორია, რომელიც აღიარებულია სხვა კრიმინალების მიერ. იგი ხელმძღვანელობს საკუთარ დანაშაულებრივ დაჯგუფებას. 1992 წელს ყველაზე ავტორიტეტული ქურდების მიერ რუსეთის ტერიტორია დაიყო 12 რეგიონად, თვითოეული სამოქმედო ადგილად გადაეცა სხვადასხვა კანონიერ ქურდს (17, 194). საქმიანობის პარალელურად ყველა გაერთიანება ვალდებულია, შეაგროვოს ფული ე.წ. „საერთო სალაროში“, რაც გულისხმობს მათ მიერ მოპოვებული თანხებიდან გარკვეული წილის გადაღებას, რომელიც შემდგომში იგზავნება ყველა დაჯგუფების – ანუ სრულიად ქურდული სამყაროს გაერთიანებულ „საერთო სალაროში“, რათა გამოყენებულ იქნეს ქურდული სამყაროს სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად.

უდიდესი ძალაუფლებისა და ავტორიტეტის მიუხედავად, 1990-იანი წლების დასაწყისში რამდენადმე შემცირდა ქურდების გავლენა რუსეთის ტერიტორიაზე. როგორც აღინიშნა, კომუნისტური ეპოქის ნგრევის შედეგად განვითარდა კერძო მეწარმეობა, შესაბამისად, მითითებულ ბიზნესებზე გავლენის გავრცელებასა და რეკეტში ქურდულ სამყაროს ტოლი არ დაუდეს ლოკალურმა ახლაგაზრდულმა დაჯგუფებებმა, რომლებიც ძირითადად სპორტსმენებისაგან შედგებოდნენ.

მსგავსი ხასიათის დანაშაულებრივ დაჯგუფებას წარმოადგენდა ქ. ეკატერინბურგში მოქმედი, ადგილობრივი სპორტსმენებისაგან შექმნილი დანაშაულებრივი გაერთიანება „ურალმაში“, რომელიც აკონტროლებდა ურალის მანქანათმშენებლობის ქარხანას, ადგილობრივ ბაზარს, კერძო წარმოების სექტორს და ასევე ალკოჰოლით უკანონო ვაჭრობას. ცხადია, ასეთ დიდ სფეროებზე გავლენის მოპოვება იოლი არ იყო, მაგრამ მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „ურალმაშელებმა“ დაამარცხეს თვით ტრადიციული ქურდული სამყაროს წესების შესაბამისად მოქმედი „ლურჯების“ დაჯგუფება (12, 87). როგორც ვხედავთ, აქაც ვერ მოიპოვეს კანონიერმა ქურდებმა დომინირებული მდგომარეობა. ე.წ. უხეშმა ძალამ გაიმარჯვა და არა ტრადიციულმა კრიმინალურმა იდეოლოგიამ. „ურალმაშელებთან“ დაკავშირებით კი აღსანიშნავია, რომ მათ ფაქტობრივად ზუსტად გაიარეს ამერიკულ-იტალიური მაფიის გზა, მოახერხეს რა კრიმინალური გზით მოპოვებული ქონების ლეგალურ ბიზნესში დაბანდება, განავითარეს ურთიერთობები სახელწიფოს ოფიციალურ წარმომადგენლებთან ხოლომამთმა ლიდერებმა დაიწყეს პოლიტიკური საქმიანობა (138).

ამჟამად რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანია „სოლნცევოს“ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება. ზემოთაღნიშნული კრიმინალური გაერთიანებისგან განსხვავებით, იგი არ წარმოადგენს ქურდული იდეოლოგიის წინააღმდეგ მოქმედ დაჯგუფებას, რის ერთ-ერთ დამადასტურებელს წარმოადგენს ფაქტი, რომ ხელმძღვანელთა შორის მოქმედებს წარმოშობით ქართველი, მეტად ავტორიტეტული კანონიერი ქურდი ჯემალ ხაჩიძე, რომელსაც აბარია „საერთო საღარო“ და ახორციელებს არბიტრის როლს დაჯგუფების წევრებს შორის. „სოლნცევოს“ ლიდერად ასევე მოიაზრებოდა ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული კანონიერი ქურდი ვიახესლავ ივანკოვი, ზედმეტსახელად „იაპონჩიკი“. დაჯგუფების ძირითად საქმიანობას დაარსებიდანვე

წარმოდგენდა რეკეტი და ბიზნესის მფარველობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შემოსავლის მისაღებად მათ არ გასჭირვებიათ დასაცავი ობიექტების მოძებნა. 1990-იან წლებში რუსეთში ვითარება იმდენად არეული იყო, რომ პირები, რომელთაც შემოსავლიანი ბიზნესი ჰქონდათ, თვითონვე მიდიოდნენ თხოვნით „სოლნცევოს“ ლიდერებთან, რათა ისინი გამხდარიყვნენ მათი საქმიანობის ე.წ. „კრიშა“, ანუ მფარველები. გარდა იმისა, რომ ამ დაჯგუფების გავლენა ვრცელდებოდა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე, ორგანიზაციის ლიდერებს საერთაშორისო კავშირებიც ჰქონდათ. გავლენის ტერიტორიების გაზრდის მიზნით „სოლნცევოს“ ხელმძღვანელების მიერ სხვადასხვა ქვეყნებში იგზავნებოდნენ დაჯგუფების წარმომადგენლები, რომელთა შორის იყვნენ ვიახესლავ ივანკოვი - „იაპონიკი“, რომელიც გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1993 წელს და კანონიერი ქურდი იური ესინი, ზედმეტ სახელად „იურა სამასვალი“, რომელმაც დამკვიდრება სცადა იტალიაში, „სოლნცევოს“ ლიდერების მიერ რუსეთის ფარგლებს გარეთ დაჯგუფების გავლენის გასაფართოებლად მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად (79, 171). მითითებულ კრიმინალურ ორგანიზაციას ასევე მნიშვნელოვანი კავშირები გააჩნდა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან, რომელთა მეშვეობით ბანდის წევრები გარკვეული თანხების საფასურად იღებდნენ სხვადასხვა სახელმწიფოების მოქალაქეობას. დაჯგუფების ლიდერი სერგეი მიხაილოვი უფრო შორსაც წავიდა და მოახერხა, რომ კოსტა-რიკის რესპუბლიკამ იგი დანიშნა საპატიო კონსულად რუსეთში, რამაც, ფაქტობრივად, მას მოუპოვა დიპლომატიური ხელშეუხებლობა რუსი სამართალდამცავებისაგან (138).

რაც შეეხება სოლნცევოს დაჯგუფების საქმიანობას, უმთავრესს დასაწყისიდანვე წარმოდგენდა რეკეტი და სხვადასხვა ფორმების მფარველობის ქვეშ აყვანა. მათ საქმიანობას აადვილებდა ის მდგომარეობა, რომ სახელმწიფო აპარატი ვერ უზრუნველყოფდა როგორც უბრალო მოქალაქეთა, ასევე მსხვილ ბიზნესმენტა უფლებების კანონიერი გზით დაცვას. შესაბამისად, ისინი იძულებული იყვნენ მიემართათ კრიმინალური დაჯგუფებების ლიდერებისათვის, რომლებიც პრობლემებს მოუგვარებდნენ სახელმწიფოს წარმომადგენლებზე ბევრად სწრაფად და ეფექტურად. მითითებულთან ერთად, დაჯგუფება ასევე ჩართული იყო ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობაში, პროსტიტუციაში, სექსუალური მომსახურების მიზნით ქალების ტრეფიკინგში და ა.შ.

ზემოაღნიშნულის გარდა, რუსული ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანებებიდან შეგვიძლია გამოვყოთ ჩეჩნური კრიმინალური დაჯგუფებები. მითითებული გაერთიანებები უნიკალურია იმ მხრივ, რომ შედგება მხოლოდ ეთნიკური ჩეჩნებისაგან, რომლებიც საქმიანობენ მხოლოდ თანამემამულეებთან ერთად. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ისინი არ აღიარებენ ქურდულ წესებს და ანგარიშს მხოლოდ ეროვნულ ტრადიციებს უწევენ. მითითებულის დასტურად გამოდგება ის ფაქტი, რომ 1990-იან წლებში მოსკოვში მოქმედებდა ერთადერთი ჩეჩენი კანონიერი ქურდი – სულთან ბალაშიხინსკი. ქვეყანაში გავრცელებული მოსაზრებით, ჩეჩენი კრიმინალები წარმოადგენენ დანაშაულებრივი სამყაროს ყველაზე სახიფათო წევრებს (36, 130), რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული სისასტიკით. სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ოპერატიული მუშაობის თვალსაზრისით, დიდ სირთულეს წარმოადგენს ჩეჩნური კრიმინალური გაერთიანებები, რადგან მეტად რთულია მათ შორის ინფორმატორების ჩანერგვა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში ისინი მხოლოდ ეთნიკურ ჩეჩნებს აწევრებენ და გარდა ამისა, ძირითადად დაჯგუფების რიგებს სამშობლოდან ჩამოყვანილი ახალგაზრდებით ავსებენ, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წესში იშვიათად, მაგრამ გამონაკლისს მაინც უშვებენ, რადგან, არსებული ინფორმაციით, მოსკოვში მოქმედი ერთ-ერთი ჩეჩნური კრიმინალური დაჯგუფების ლიდერებში მთავარსა და ქართველი კანონიერი ქურდი გურამ ოდიშარია, მეტსახელად „ბუია“. განსაკუთრებულ სისასტიკესთან ერთად, ამ დაჯგუფებებს დიდი შეუპოვრობა და სიმამაცე ახასიათებთ, რაც კარგად გამოჩნდა მოსკოვში მათი დამკვიდრების პირველ პერიოდში, როდესაც საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად ისინი თამამად უპირისპირდებოდნენ ისეთ ძლევამოსილ კრიმინალურ ორგანიზაციებს, როგორებიც იყვნენ „სოლნცევოს“, „ბალაშიხინსკის“, „ლიუბერცის“ და „დოლგოპრუდენსკაიას“ გაერთიანებები (79, 178). რაც შეეხება მათ საქმიანობას, ისინი რეკეტის პარალელურად ეწევიან ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობას, აკონტროლებენ ბენზინის ბაზარს და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ორგანიზებული დანაშაულობა რუსეთში საკმაოდ მრავალფეროვანია. ტრადიციული კრიმინალური გაერთიანების - კანონიერი ქურდების პარალელურად, არაერთი დანაშაულებრივი ორგანიზაცია მოქმედებს რუსეთში. „ურალმაშელების“ მაგალითზე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ

მათმა ნაწილმა მოახერხა კრიმინალური გზით მოპოვებული თანხის კანონიერ ბიზნესში დაბანდება და ბანდისათვის ლეგალური სახის მისანიჭებლად პოლიტიკური პარტია დაარსა, რაც ასევე გამოიყენეს ოფიციალური ძალაუფლების მოსაპოვებლად, თუმცა ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, მსგავსი წარსულის მქონე პარტიის წევრები რამდენად „კეთილსინდისიერად“ განახორციელებენ პოლიტიკურ უფლება-მოვალეობებს. „სოლნცევოს“ დაჯგუფების წევრთა ნაწილმა კრიმინალური გზით მოპოვებული თანხები ლეგალურ, მათ შორის, სათამაშო ბიზნესშიდააბანდა, მაგრამ არც დანაშაულებრივი საქმიანობა შეუწყვეტია და ამ კანონიერ ბიზნესებს, განსაკუთრებით კი კაზინოებს, უკანონო გზით მიღებული შემოსავლების გასათეთრებლად იყენებს. ორგანიზებულ დაჯგუფებებში ეთნიკური ნიშნით, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოირჩევიან ჩეჩური დაჯგუფებები, რადგან ისინი არ ცნობენ ტრადიციულ დანაშაულებრივ წესებს და ასევე ინარჩუნებენ დისტანციას სხვა ეროვნების კრიმინალებისაგან. სხვა კრიმინალურ დაჯგუფებებშიც, ძირითადად, წევრები ეროვნული ნიშნის მიხედვით არიან გაერთიანებული, მაგალითად, ქართველები, სომხები და ა.შ, მაგრამ ისინი ამ მოტივით სხვებთან ურთიერთობას და საქმიანობას თავს არ არიდებენ, რადგან დაუწერელი ქურდული კანონების თანახმად, აღნიშნული სამყაროს წევრს ეროვნება არ გააჩნია და ყველა საერთო საქმეს ემსახურება. რაც შეეხება რუსეთის დანაშაულებრივი სამყაროს ელიტას – კანონიერ ქურდებს, ისინი წარმოადგენენ ტრადიციულ დანაშაულებრივ კასტას ხანგრძლივი ისტორიით, რომელიც თავისი არსებობის წესით ძალიან ჰგავს იატლიურ მაფიას: აქვთ ცხოვრებისა და საქმიანობის მათ მიერვე აღიარებული წესები, რომელთა დამრღვევიც საუკეთესო შემთხვევაში დაჯგუფების რიგებიდან გარიცხვით ისჯება, ხოლო უარეს შემთხვევაში - სიცოცხლით ზღავს საკუთარ შეცდომას; აქვთ გაწევრების განსაკუთრებული რიტუალი, რომლის შემდეგაც კანდიდატი ხდება დაჯგუფების პრივილეგირებული წევრი. აღნიშნული გაერთიანება ითვლება, პირველ რიგში, ღირსეულ ადამინთა ერთობად. როგორც წესი, კანონიერი ქურდები, ისევე, როგორც მაფიის ლიდერები, უშუალოდ არ სჩადიან დანაშაულებს, ისინი უფრო კრიმინალური გაერთიანების ერთპიროვნულ მმართველებად და დანაშაულებრივი საქმიანობის ორგანიზატორებად გვევლინებიან.

როგორც ვხედავთ, მსოფლიოში მოქმედ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს აქვთ როგორც საერთო, ასევე განმასხვავებელი ნიშნებიც. პირველ რიგში, აღსანიშნავია

ის ფაქტი, რომ არსებული, წამყვანი კრიმინალური გაერთიანებების უმეტესობა ჩინური, იაპონური, იტალიური, რუსული ორგანიზაციები, ტრადიციული დანაშაულებრივი დაჯგუფებებია. თვითოეულ მათგანს გააჩნია ცხოვრებისა და საქმიანობის მკაცრად განსაზღვრული წესი, რომელიც აღიარებულია მათი წევრების მიერ და რომელთა დარღვევაც უმკაცრესად ისჯება. მათ ასევე აერთიანებთ წევრად მიღების სპეციფიური რიტუალები და რაც მთავარია, არც ერთი კრიმინალური გაერთიანება არ პატიობს თავის წევრებს დუმილის დარღვევას განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით; ზემოთ მითითებული სინდიკატების წევრობა დაკავშირებულია გარკვეულ პრივილეგიებთან და ითვლება, რომ ისინი წარმოადგენენ საპატიო საზოგადოებებს, თუმცა ტრადიციულ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს შორისაც არის საკმაოდ განსხვავება. მაგალითად, იაპონურ „იაკუძას“ საქმიანობისას ახასიათებს საჯაროობა. ფაქტობრივად, მოქმედებს, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია და დაჯგუფების შიგნით მიმდინარე მოვლენების შესახებ პრესკონფერენციებსაც კი მართავენ. მითითებული არაა დამახასიათებელი სხვა გაერთიანებებისათვის. ზოგიერთ მათგანში, განსაკუთრებით რუსულ და იტალიურ მაფიაში, მსგავსი მოქმედება კატეგორიულად იკრძალება და მკაცრადაც ისჯება, რის მაგალითადაც შეგვიძლია მოვიყვანოთ არსებული ინფორმაცია ამერიკულ-იტალიური მაფიის ერთ-ერთი ოჯახის ხელმძღვანელის - ჯოზეფ კოლომბოს მკვლელობაზე, რომლის თანახმადაც, იგი თავიდან იქნა მოცილებული ასევე დანაშაულებრივი ორგანიზაციის ლიდერის - კარლო გამბინოს გადაწყვეტილებით, რადგან იქცეოდა პოპულისტურად, ხშირად ჩნდებოდა ტელევიზიებში და იქმნიდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის იმიჯს, რაც, გამბინოს აზრით, სასურველი არ იყო მთლიანად კრიმინალური სამყაროსთვის (49, 107). მითითებულ ტრადიციულ ორგანიზებულ დანაშაულებრივი დაჯგუფებების პარალელურად, როგორც ზემოთ აღინიშნა მოქმედებენ კოლუმბიური კარტელები და მექსიკური კრიმინალური გაერთიანებები. აღნიშნული ორგანიზაციები ძირითადად ორინტირებული არიან ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობაზე. მრავალრიცხოვნობით და განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევიან კოლუმბიური კრიმინალური გაერთიანებები. კიდევ ერთი თვისება, რაც მათ სხვა დანაშაულებრივი სინდიკატებისაგან გამოარჩევთ, ეს არის ღია კონფრონტაცია სახელმწიფოს წარმომადგენლებთან, რაც ხშირად სისხლის ღვრაშიც გადაზრდილა, ანუ, თუ სხვა კრიმინალური ორგანიზაციების ძირითადი

იარაღი სახელმწიფოსთან ურთიერთობაში კორუფციაა, კოლუმბიური კარტელები წინა პლანზე ძალადობას აყენებდნენ. მსგავს მეთოდებს იტალიური დანაშაულებრივი გაერთიანებებიც იყენებდნენ, რის მაგალითადაც შეგვიძლია მოვიყვანოთ მაფიის წინააღმდეგ მებრძოლი პროკურორების - ჯოვანი ფალკონესა და პაოლო ბორსელინოს მკვლელობები, თუმცა, ამ მხრივ იტალიური მაფია ვერც კი შეედრებოდა „კალის“ კარტელს, თუნდაც მარტო პაბლო ესკობარის მითითება რად ღირს, რომლის შესაბამისადაც მან დააწესა გარკვეული ფულადი ჯილდო პოლიციელის მკვლელობაზე.

საბოლოო ჯამში, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ეთნიკური და ტერიტორიული კუთვნილების მიუხედავად, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობის სფეროები მეტნაკლებად წააგავს ერთმანეთს. ესაა ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობა, რეკეტი, პროსტიტუცია, სექსუალური გამოყენების მიზნით ქალთა ტრეფიკინგი, უკანონო აზარტული თამაშები, ფულის გათეთრება, აღნიშნული ქმედებების წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად და სახელმწიფო სტრუქტურებისაგან ხელშეუხებლობის მოსაპოვებლად ძალადობისა და კორუფციის აქტიურად გამოყენება.

2.2. ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების ძირითადი საქმიანობა

ორგანიზებული დანაშაულობის საფუძვლიანად შესასწავლად აუცილებელია, ძირეულად განხილულ იქნეს ორგანიზებულ დამნაშავეთა მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითადი სახეობები, მათი სახეცვლილება დროთა განმავლობაში და თავისებურებები ეთნიკური თუ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით.

ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან უკანონო საქმიანობას წარმოადგენს მევახშეობა – ფულის გასესხება შეუსაბამოდ დიდი

პროცენტით. აღსანიშნავია, რომ მითითებული სახის კრიმინალური ქმედება ძირითადად ახასიათებთ ამერიკის შეერთებული შტატების ტრადიციულ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს.

მევახშეობა, როგორც კრიმინალური საქმიანობა, დაიწყო მე-20 საუკუნის 30-იან წლებში. ჩვეულებრივი კანონიერი სესხის ხელშეკრულებისაგან მითითებულ ქმედება განსხვავდება ორი ძირითადი ნიშნით: პირველი ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში მოვალეს ფიზიკურად უსწორდებიან; მეორე - თანხის გასესხება ხდება განუზომლად მაღალი პროცენტით. აღნიშნული საქმიანობის წარმატება განპირობებულია იმით, რომ ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც, აუცილებლობიდან გამომდინარე, მზად არიან, ისესხონ ფული ამ მევახშეებისაგან. ესენი შეიძლება იყვნენ კანონიერი ბიზნესმენები, რომლებიც თავიანთი კომერციული საქმიანობის გადასარჩენად საჭირო ფულის საშოვნელად იძულებული არიან, წავიდნენ მსგავს გარიგებაზე, რადგან ამოწურული აქვთ სხვა საშუალება, აზარტული მოთამაშეები, ნარკოტიკებით მოვაჭრეები, რომლებსაც თანხა ჭირდებათ საქონლის ბრუნვაში დასაბანდებლად (72, 229) და ა.შ.

ძალიან ხშირად ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები აღნიშნულ კრიმინალურ ქმედებას პირადად არ ახორციელებენ. ისინი პოულობენ თანამონაწილეებს, რომლებსაც აფინანსებენ და საქმიანობაში მისი სახელის გამოყენების უფლებას აძლევენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია უკანონო ბიზნესის შემდგომი განვითარებისა და წარმატებისათვის, რადგან, ხშირ შემთხვევაში მევახშეები თანხებს გასცემენ სხვა დანაშაულებრივი გაერთიანების წევრებზეც და შესაბამისად, ფულის გამსესხებლის მფარველის ავტორიტეტიეროთადერთი გარანტია ამ თანხის დაბრუნების, რადგან ჩვეულებრივი დამნაშავე, რომელიც მაფიის წევრის მიმართ ძალას გამოიყენებს, უკიდურესად მკაცრად იქნება დასჯილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მევახშეებისგან ფულს სესხულობდნენ როგორც არაკანონიერი, ასევე კანონიერი საქმიანობის განსახორციელებლად. რიგ შემთხვევებში, როდესაც საქმე რაიმე მომგებიან ბიზნესს ეხებოდა, ვალის დაბრუნების სანაცვლოდ კრიმინალები საქმიანობის წილის გადაცემას ითხოვდნენ, მონაწილეობდნენ ბიზნესის მართვაში და არცთუ წარუმატებლად. მაგალითად, ასე

მოიქცა ლუკეზის ოჯახის წევრი ჯოზეფ ვალაჩი, რომელმაც ფული ასესხა ტანსაცმლის ფაბრიკას და მას შემდეგ, რაც ვერ დაუბრუნეს ვალი, გახდა ამ ფირმის პარტნიორი. შესაბამისად, ვალაჩის ფინანსური დახმარებითა და მისი უნართ, დაეცვა ბიზნესი პროფკავშირების გაფიცვებისგან, თანამშრომლობა მეტად წარმატებული გამოდგა (52, 72).

რაც შეეხება მევახშეების საქმიანობის სისტემას, ისინი ფულის გასესხებას ძირითადად ორი მეთოდით ახორციელებენ. ერთ შემთხვევაში მათ მიერ პირდაპირ ხდება თანხის გადაცემა განსაზღვრული პერიოდით და ფიქსირებული ღირებულებით, რომელიც, ძირითადად, კვირაში 20%-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი მსესხებელი ყოველ მიღებულ 5 დოლარზე ვალდებულია, დააბრუნოს 6 დოლარი. უმეტეს შემთხვევაში ვალის დაბრუნება ხდება ეტაპობრივად, მაგალითად, კვირაში ერთხელ გარკვეული თანხით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი გადააცილებს კონკრეტულ თარიღს, პროცენტი იზრდება და ერთი შეხედვით უმნიშვნელო თანხის დაბრუნება შეიძლება უკიდურესად რთული გახდეს. მაგალითად, 1980-იან წლებში პირს, რომელმაც მევახშისაგან ისესხა 1.900 დოლარი, საბოლოოდ მოუწია 14.000-ის გადახდა და ვალად დარჩა 5.000 დოლარი.

დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, დანაშაულებრივი სამყაროს წევრები მევახშეობაში ავლენენ თავის სასტიკ ბუნებას, რადგან გაცემული თანხის დასაბრუნებლად ისინი ყველანაირ მეთოდს იყენებენ, თუმცა მევახშეები ხშირად ცდილობენ, თავიანთი ქმედება განახორციელონ როგორც კანონიერმა ბიზნესმენებმა გადამეტებული ძალადობის გარეშე, რაც სულაც არაა განპირობებული მათი გულმოწყალებით - ისინი ორიენტირებული არიან შემოსავლის მიღებაზე, ხოლო მკვდარი ან არაქმედუნარიანი დებიტორისაგან ვერანაირ თანხას მიიღებენ. გარდა ამისა, ძალადობა მიიპყრობს სამართალდამცავთა ყურადღებას, რაც აშკარად შეუშლის ხელს მათი ბიზნესის განვითარებას (65, 98-99), ანუ ნათელია, რომ საქმიანობის განხორციელებისას მევახშეებისათვის ძალადობა თვითმიზანს არ წარმოადგენს. მას მიმართავენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ფულის დაბრუნების ყველანაირი საშუალება ამოიწურება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რიგ შემთხვევაში მევახშეები უიღბლო მევაღეებისაგან ავსებდნენ დანაშაულებრივი გაერთიანებების რიგებს, ანუ ვალის

დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მათგან ითხოვენ სხვადასხვა სახის კრიმინალური ქმედების განხორციელებას. მაგალითად, როდესაც მევალემ ვერ დაუბრუნა თანხა ერთ-ერთ გავლენიან ბანდის წევრს, იგი იძულებული გახადეს, დაეთესა და გაეზარდა მარისუანა (17, 239). რიგ შემთხვევაში, ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენლები მითითებულ საქმიანობას ოფიციალურ სტრუქტურებში გავლენის მოსაპოვებლად იყენებდნენ. მაგალითად, ცნობილი კრიმინალი, ერთ-ერთი დანაშაულებრივი დაჯგუფების ხელმძღვანელი არნოლდ როტშტეინი დიდი ოდენობით პროცენტთან სესხს აძლევდა პოლიტიკოსებს, პოლიციისა თუ სხვა სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებს, ხოლო ვალის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, იგი მათგან ითხოვდა როგორც პირადად მის, ასევე, თანამონაწილეთა სასარგებლოდ სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებას (51, 124).

ამრიგად, როგორც ზემოთ აღინიშნა, უკანონო მევახშეობა ძირითადად ამერიკული ტრადიციული დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობას წარმოადგენს და არსებობის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ ფულის სესხება დანაშაული არაა, მაგრამ აქ გამსაზღვრელია ფულის დაბრუნების მეთოდი, რომელიც ხშირად სასტიკ ძალადობასთანაა დაკავშირებული და ასევე – დაკისრებული, უსამართლოდ მაღალი პროცენტი. სწორედ ეს ორი ნიშანი აქცევს მითითებულ ქმედებას დანაშაულებრივ საქმიანობად, ხოლო, რაც შეეხება მევახშეობის დიდ მნიშვნელობას დანაშაულებრივი სინდიკატების საქმიანობაში, იგი გამოწვეულია უზარმაზარი შემოსავლით, რომელიც მას მოაქვს კრიმინალთათვის. დაუზუსტებელი ინფორმაციით, გასული საუკუნის 70-იან წლებში მითითებული არალეგალური ბიზნესის მოგება წელიწადში შეადგენდა ორ მილიარდამდე ამერიკულ დოლარს (36, 220).

ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რეკეტი. მითითებული საქმიანობის ნაირსახეობაა შრომითი რეკეტი, რაც ნიშნავს პროფკავშირების ძალისა და ავტორიტეტის გამოყენებას პირადი შემოსავლების მიღების მიზნით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პროფესიული კავშირების შექმნა დაიწყო მე-20 საუკუნის მიჯნაზე. მითითებული გაერთიანებები ყალიბდებოდა მშრომელთა

უფლებების დასაცავად და თავდაპირველად მათ არავითარი კავშირი ჰქონდათ დანაშაულებრივ სინდიკატებთან. აღსანიშნავია, რომ საწყის ეტაპებზე ხსენებული გაერთიანებების ქმედებები, რომლებიც გამოიხატებოდა გაფიცვებისა და პიკეტების მოწყობაში, არცთუ წარმატებული იყო, რასაც დიდ წილად განაპირობებდა დამქირავებლების მიერ ძალადობის მიზნით შექმნილი დაჯგუფებების აქტიური ჩარევები და, ასევე, მუშებს შორის შეგზავნილი აგენტები, რომლებიც ადგენდნენ, თუ ვინ იყვნენ გაერთიანების ლიდერები, რომელთაც შემდეგ ათავისუფლებდნენ სამსახურიდან და გაერთიანებაც ხელმძღვანელების გარეშე დიდ წინააღმდეგობას ვეღარ სწევდა. მითითებული გარემოებების აღმოსაფხვრელად კონტროლს მიმართეს პროფკავშირების წარმომადგენლებმა, რომლებმაც დაიქირავეს ე.წ. „დელეგატები“ და „ბიზნეს აგენტები“, რომელთა მოვალეობაშიც შედიოდა გაფიცვის დაუყოვნებელი მოწყობა, მისი აქტიური მხარდაჭერა. მითითებული პირები ძირითადად იყვნენ ფიზიკურად ძლიერი, „მაგარი ბიჭები“ და სწორედ ეს წარმოადგენდა დაქირავებულთა მთავარ ღირსებას, რადგან მათგან დიდ გონებრივ შესაძლებლობებს არავინ მოითხოვდა. ისინი არ მუშაობდნენ დამსაქმებლებთან, რომელთა წინააღმდეგაც მიმართული იყო გაერთიანების ქმედება და, შესაბამისად, მათზე ზემოქმედების ბერკეტები ბევრად ნაკლები იყო. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ეს დაქირავებული პირები იმდენად გაძლიერდნენ, რომ საკუთარი სურვილის შესაბამისად მათ შეეძლოთ ნებისმიერ დროს მოეწყობათ მუშათა გაფიცვები. მალევე გამოიკვეთა ფაქტები „ბიზნეს აგენტების“ მიერ ამ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, მაგალითად, ერთ შემთხვევაში რამდენიმე პირმა დაიქირავა პროფკავშირების მიერ გაფიცვაზე უფლებამოსილი პირი და პიკეტი მოაწყობინა დაწესებულებასთან, სადაც ამ გაერთიანების წევრები იყვნენ დასაქმებული. ფაბრიკის მეპატრონის კითხვის პასუხად, თუ რას უკავშირდებოდა ეს აქცია, მათ მოსთხოვეს გარკვეული თანხის გადახდა, რის საფუძველზედაც გაფიცვა შეწყდებოდა და დაწესებულების მფლობელს საშუალება ექნებოდა, ჩვეულ რეჟიმში აემუშავებინა თავისი ქარხანა. იმ პერიოდისათვის მსგავსი აქტები ხორციელდებოდა, თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ეს ქმედებები ჯერ კიდევ არ იყო დაკავშირებული დანაშაულებრივ სინდიკატებთან (59, 72).

პროფკავშირებთან ორგანიზებული დანაშაულობის კავშირები პირველად გამოიკვეთა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, კრიმინალური სამყაროს წევრების მიწვევა მოხდა შრომითი გაერთიანების ერთ-ერთი ხელმძღვანელის - ბენჯამინ ფეინის მიერ მუშათა წინააღმდეგობრივი კერების მოწყობის დახმარების მოტივით. შრომითი რეკეტის პირველ წარმომადგენლებად გვევლინებიან მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ნიუ-იორკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი განგსტერები - ლუის „ლეპკე“ ბუჩალტერი და მისი დამხმარე იაკობ „გურაჰ“ შაპირო. დამხმარეების სტატუსით მოწვეულმა კრიმინალებმა დაინახეს რა, თუ როგორდნენ შემოსავალსა და ძალაუფლებასთან იყო დაკავშირებული შრომით კავშირებზე გავლენის მოპოვება, აქტიურად დაიწყეს დასახული მიზნისკენ სწრაფვა და მალევე მათი მომწვევი ბენჯამინ ფეინი მიხვდა, რომ საქმიანობაში განგსტერების ჩართვა ბევრად უფრო იოლი იყო, ვიდრე შემდგომ მათი გავლენისაგან თავის დაღწევა (70, 57). მითითებული პერიოდიდან მოყოლებული ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენლები პერმანენტულად ცდილობდნენ, მოექციათ თავიანთი გავლენის ქვეშ სხვადასხვა შრომითი გაერთიანებები და მათი მეშვეობით მიეღოთ განუზომლად დიდი შემოსავლები. მართლაც, მაფიის დაქვემდებარებაში ეტაპობრივად მოექცა ამერიკაში მოქმედი ისეთი უდიდესი პროფკავშირები, როგორებიც იყო:

- მუშათა საერთაშორისო კავშირი, რომელიც 800.000-მდე წევრს აერთიანებდა;
- სასტუმროთა და რესტორნების მოსამსახურეთა საერთაშორისო კავშირი, რომელიც 260.000-მდე წევრს აერთიანებდა;
- ნავსადგურის მტვირთავთა საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც ნიუ-იორკის 700 მილიან სანაპირო ზოლსაკონტროლებდა;
- მძღოლთა საერთაშორისო საძმო, რომელიც 1.400.000 სატვირთო ავტომობილის მძღოლებსაერთიანებდა.

მითითებული ციფრებიდან ცხადად ჩანს, თუ როგორი დიდი გავლენა და რამდენი ხალხით მანიპულირების საშუალება ეძლეოდათ დანაშაულებრივი სინდიკატის წარმომადგენლებს შრომითი გაერთიანებების საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევის შემდეგ. მოსამსახურეთა გაფიცვის მუქარით ისინი აიძულებდნენ, მათ მიერ

შეთავაზებული პირობების შესაბამისად ემუშავათ ამა თუ იმ სფეროში არსებულ სხვადასხვა ფორმებსა თუ ქარხნებს. მაგალითად, აკონტროლებდა რა ფილადელფიაში სასტუმროებისა და რესტორნების მოსამსახურეთა კავშირს, ადგილობრივი კრიმინალური ოჯახის ხელმძღვანელი ანჯელო ბრუნო აიძულებდა ატლანტიკ სიტის სასტუმროებს, რომ ფუნქციონირებისათვის საჭირო საკეები თუ სხვა მასალები შეეძინათ თავის საკუთრებაში არსებული კომპანიებიდან, ცხადია, დანაშაულებრივი გაერთიანებისათვის მომგებიან ფასად. ანალოგიური საფუძვლით, ხშირად ბიზნესის მფლობელები იძულებული იყვნენ, კრიმინალური დაჯგუფების მოთხოვნის შესაბამისად გადაეხადათ დიდი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვლენები მათი ბიზნესისათვის სავალალოდ განვითარდებოდა, თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ, შრომითი რეკეტი არ ხორციელდებოდა დიდი კორპორაციების - მანქანათმშენებლობისა თუ მეტალურგიული ქარხნების წინააღმდეგ. მსხვერპლად ირჩეოდა უფრო ადვილად დასაშინებელი, შედარებით მცირე საწარმოები და დაწესებულებები. რაც შეეხება იოლად დამორჩილებას, იგი განისაზღვრებოდა სხვადასხვა ფაქტორით. მაგალითად, ადვილი იყო ზღვის პროდუქტებით მოვაჭრეთა დაყოლიება, რადგან მათი საქმიანობის საგნის მალეფუჭებადობიდან გამომდინარე, ბიზნესმენები იძულებული იყვნენ, დაუყოვნებლივ დათანხმებოდნენ კრიმინალთა მიერ შეთავაზებულ პირობებს, რათა მთლიანად არ გაფუჭებოდათ საქონელი და მეტად არ ეზარალებათ (57, 20).

ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენლებს დიდი გავლენა საშუალებას აძლევდა, ხშირ შემთხვევაში მთლიანად გაეკონტროლებინათ ბიზნესის სხვადასხვა სფერო. აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს მანჰეტენზე ფულტონის თევზის ბაზარში შექმნილი სიტუაცია, სადაც ყოველწლიურად იყიდებოდა 125 მილიონი ტონა ზღვის პროდუქტი. 1920-იანი წლებიდან მითითებულ ბაზარს აკონტროლებდა ჯენოვეზეს ოჯახის ერთ-ერთი კაპიტანი (capo - კაპო) - ჯოზეფ ლანზა. აღნიშნულ ტერიტორიაზე თევზის ყველა გამყიდველი უხდიდა მას გარკვეულ თანხას და მითითებულ სფეროში იმდენად დიდი ავტორიტეტი შეიძინა, რომ იგი გავლენას ახდენდა თევზის პროდუქტების ფასზე არა მხოლოდ ადგილობრივად, არამედ მთელ ქვეყანაში. ძალაუფლების შესაბამისად, შემოსავალიც სოლიდური ჰქონდა ლანზას - მისი მოგება თევზის ბაზრიდან წელიწადში 20.000.000 აშშ დოლარს შეადგენდა (58, 245). ლანზას კონტროლის

არეალი ასევე ვრცელდებოდა თევზმჭერ გემებზე, რადგან მას შეეძლო, დაებლოკა მუშახელი ტვირთის ჩამოსაცლელად. მის გავლენის სფეროში შედიოდა ფულტონის ბაზრის დარაჯთა ასოციაციაც. მიიღველებს, რომლებიც ბაზარს სტუმრობდნენ და მანქანას სამეთვალყურეოდ ღანზას დარაჯებსარ უტოვებდნენ, როგორც წესი, მანქანების საბურავები დახვრეტილი ხვდებოდათ (61, 173).

ამჟამად შრომითი რეკეტი კვლავ რჩება ამერიკული ორგანიზებული დანაშაულობის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ. ამ საქმიანობის სამ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მოგების მიღება შემდეგი ხერხებით:

- „საყვარელი“ (sweetheart) კონტრაქტები;
- შრომითი კავშირების თანხების გაფლანგვა და არამიზნობრივად გამოყენება;
- გამოძალვა გაფიცვის მოწყობის მექანიზმით.

„საყვარელი“ (sweetheart) კონტრაქტების დადების დროს დამქირავებელი და პროფკავშირების წარმომადგენელი გაერთიანების წევრებისათვის ადგენენ შრომით შეთანხმებას არასტანდარტული პირობებით, რომლებიც ზიანს აყენებს დაქირავებულებს, ხოლო დამსაქმებელს - მომგებიან პოზიციაში, რის საფუძველზედაც ბიზნესმენი უხდის თანხას პროფკავშირების კორუმპირებულ წარმომადგენელს.

პროფკავშირების საპენსიო ფონდისა და სხვა შემოსავლების რეზერვების განკარგვის უფლება უზარმაზარი თანხების არამიზნობრივად გამოყენების საშუალებას იძლევა, რითაც, რა თქმა უნდა, სარგებლობენ დანაშაულებრივი გაერთიანებების წარმომადგენლები. მითითებული რეზერვების ბოროტად გამოყენება ხდება სხვადასხვა ხერხების მეშვეობით. რიგ შემთხვევებში გაიცემა ყოვლად უპასუხისმგებლო, დაუცველი და უკანონო სესხები დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებზე, რომელთა დაბრუნება საბოლოოდ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რის შედეგადაც ზარალდებიან პროფესიული გაერთიანების წევრები. ხშირად ხდება თანხის გადარიცხვა სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად კრიმინალთა საკუთრებაში არსებული ფირმებისათვის, თუმცა, უნდა აღინიშნოს,

რომ ეს სამუშაოები არ სრულდება, ანუ თაღლითური გზით ხდება შემოსავლის უკანონოდ მიღება.

რაც შეეხება გამოძალვას გაფიცვის მოწყობის მუქარით, ამ ხერხს, ასევე, „გაფიცვის დაზღვევას“ უწოდებენ, ანუ როგორც ზევით აღინიშნა, ფირმის ხელმძღვანელობას ახდევინებენ განსაზღვრულ თანხას, რის შემდეგაც აძლევენ მშვიდად მუშაობის გარანტიას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმიანობის პერიოდში ექმნებათ პრობლემები, იწყება დაქირავებული მუშების გაფიცვები, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება ბიზნესზე. როგორც წესი, დანაშაულებრივი გარიგებით დაწესებული „მშვიდი მუშაობის გადასახადი“ შეადგენს კონტრაქტის ღირებულების 2%.

შრომითი რეკეტის პარალელურად დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლები მთელ მსოფლიოში მუდმივად ახორციელებენ სხვადასხვა ბიზნესის რეკეტსაც. მითითებულ საქმიანობაში ისინი სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ. რეკეტის განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს მეთოდს წარმოადგენს გამოძალვა მუქარის საფუძველზე. აღნიშნული ქმედება დიდი პოპულარულობით სარგებლობდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ როგორც რუსეთში, ასევე სხვა, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის, საქართველოშიც. ხსენებულ პერიოდში ფაქტობრივად არ არსებობდა არც ერთი დიდი თუ მცირე საწარმო, სავაჭრო ობიექტი, უდიდესი სუპერმარკეტები, თუ უბრალო ჯიხური, რომლებსაც ფულს არ სძალავდნენ. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები დაკავებული იყვნენ გამოძალვით მხოლოდ უდიდესი და შემოსავლიანი ბიზნესებისაგან, ხოლო მცირე ბიზნესები კი ჩავარდნილი იყო წვრილმან დამნაშავეთა ხელში. თანხის გამოძალვა, როგორც წესი, არ ხდებოდა პირდაპირ მუქარით. დასაწყისისთვის დაჯგუფების წარმომადგენელი ბიზნესმენს სოლიდური თანხის საფასურად სთავაზობდა დაცვას. უარის შემთხვევაში ამ პირების მიმართ ხორციელდებოდა დამაშინებელი აქტი, რომელიც, როგორც წესი, საწყის ეტაპზე მხოლოდ ქონებრივი ზარალით შემოიფარგლებოდა და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არ ეხებოდა. ამის შემდეგ, კვლავ უარის შემთხვევაში, რეკეტორების მხრიდან ზომები უფრო მკაცრდებოდა. შესაბამისად, მსხვერპლი იღებდა ფიზიკურ დაზიანებას ან განუზომლად დიდ ფინანსურ ზარალს. საბოლოო ჯამში, იგი იძულებული ხდებოდა, მიეღო შემოთავაზებული დაცვის პირობა, რადგან ამ ნაბიჯის გადადგმის

გარეშე იგი დაკარგავდა საკუთარ ბიზნესს ან უარეს შემთხვევაში - ჯანმრთელობას და შესაძლოა სიცოცხლესაც კი. სწორედ მსგავს შემთხვევას აღწერს თავის წიგნში „რუსული მაფია“ ფედერიკო ვარეზე, რომელიც თავს გადახდა ერთ-ერთი იტალიური რესტორნის მეპატრონეს რუსეთში. თავდაპირველად მასთან მივიდა ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც შესთავაზა დაცვა, რაზედაც მიიღო უარი. ცოტა ხნის შემდეგ სასტუმროს მეპატრონის მანქანა გაანადგურეს დაუდგენელმა პირებმა, რის შემდეგაც მასთან ამჯერად უკვე კარგად ჩაცმული ჯენტლმენი მივიდა ანალოგიური შემთავაზებით, რომელიც, მძიმე გაკვეთილიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა ბიზნესმენის მიერ (79, 69). ძალიან ხშირად ხდებოდა ისეც, რომ კრიმინალური დაჯგუფების წევრებს საკუთარი გავლენის ქვეშ ჰქონდათ მოქცეული საქმიანობის რომელიმე სფერო და გარდა იმისა, რომ ფულს სძალავდნენ, მათი ნებართვის გარეშე ვერავინ დაიწყებდა მითითებულ საქმიანობას. აღნიშნულის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ თბილისში სამარშრუტო ტაქსების ბიზნესთან დაკავშირებული ფაქტი. ეს საქმიანობა სრულად იყო ერთ-ერთი დანაშაულებრივი გაერთიანების დაქვემდებარებაში და მათი ნებართვის გარეშე მანქანის მეპატრონე მძღოლს სამუშაოდ ვერ გაუშვებდა (110).

საქმიანობის სფეროების სრული გაკონტროლება არც ტრადიციული ამერიკული ორგანიზებული დანაშაულობისათვის არის უცხო. აღნიშნულის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მაფიოზების მიერ ნიუ-იორკში ტანსაცმლის ინდუსტრიაზე სრული კონტროლის დამყარება. ტანსაცმლის დამამზადებლები ქალაქში არ კერავდნენ საქონელს. ისინი ზრუნავდნენ მხოლოდ დიზაინზე, ხოლო შემდეგ კი მასალას უგზავნიდნენ სხვადასხვა კონტრაქტორებს, რომლებიც კერავდნენ ტანსაცმელს. მათი ბიზნესის წარმოების საკვანძო ელემენტს წარმოადგენდა მასალების მიტანა კონტრაქტორებთან და დასრულებული სახით უკან დაბრუნება, ანუ ტრანსპორტირება. შესაბამისად, მაფიის წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს გადამზიდავი კომპანია, რომლის დაქვემდებარებაში შედიოდა ყველა სატვირთო მანქანა. შესაბამისად, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, ექსკლუზიური ფასები შეეთავაზებინათ ბიზნესმენებისათვის, რომლებიც, ცხადია, არ იყო სახარბიელო მათთვის, თუმცა, სხვა არჩევანის არ არსებობის გამო, იძულებულნი იყვნენ, დასთანხმებოდნენ. აღნიშნულის საფუძველზე, გარდა იმისა, რომ რეკეტირები, ფაქტობრივად, არაპირდაპირი გზით ფულს სძალავდნენ მითითებული სფეროს

წარმომადგენლებს, მათ შეძლეს ტანსაცმლის ინდუსტრიის მთლიანად გაკონტროლება. იმისათვის, რომ სრულად წარმოვიდგინოთ დანაშაულებრივი საქმიანობით ამ სფეროს წარმომადგენლებისაგან მიღებული თანხის მოცულობა, საკმარისია, მხოლოდ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც აშშ სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევით შედეგად აღნიშნული ბიზნესი გათავისუფლდა გამოძალვისაგან, ფასმა გასაყიდ ტანსაცმელზე 7%-ით დაიკლო (17, 263).

ყოველივე ზემოთ მითითებულის მიუხედავად, რიგ შემთხვევებში ბიზნესმენები საკუთარი სურვილით უხდიან თანხას დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლებს, უფრო მეტიც, ზოგჯერ თვითონვე ეძებენ ძლიერ კრიმინალურ გაერთიანებებს, რომლებიც მათი საქმიანობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. მითითებული შემთხვევები ძირითადად პოსტსაბჭოთა სივრცეში ხდებოდა, სადაც კომუნისტური ეპოქის დაშლის შემდეგ, კრიმინალების მომრავლების გამო, იმდენად არეული და სახიფათო იყო სიტუაცია, რომ მსხვილ ბიზნესმენებს ერჩიათ, სოლიდური თანხა მიეცათ ერთი, რომელიმე „სახელოვანი“ დანაშაულებრივი დაჯგუფებისათვის, რომელიც უზრუნველყოფდა მათ უსაფრთხოებას ყველა სხვა წვრილმანი დამნაშავისაგან. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც პასუხისმგებლობას იღებენ ბიზნესის დაცვაზე, დანაშაულებრივი დაჯგუფების წარმომადგენლები ცდილობენ, ხელი შეუწყონ მეპატრონეს საქმიანობის გაფართოებაში, რაც გამოიხატება საჭირო ხალხთან კონტაქტების დამყარებაში, მათი გაგლენის ქვეშ მყოფი ბანკებიდან კრედიტების გამოტანაში (79, 69) და ა.შ.

როგორც ვხედავთ, შრომით და ბიზნესის რეკეტს შორის არ არის არსებითი განსხვავება. ხშირ შემთხვევაში ისინი მჭიდროდ არიან შერწყმულნი. შრომითი რეკეტის შემთხვევაში ფულის გამოძალვაში ჩართული არიან პროფესიული კავშირები. სწორედ მათი გაგლენის გამო და სხვადასხვა აქციებისა თუ პიკეტების მოწყობის მუქარით ხდება საწარმოთა მფლობელებისაგან ფულის გამოძალვა. ბიზნესის რეკეტის მეთოდები უფრო მრავალფეროვანია, რომლის დროსაც ერთნი პირდაპირ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისა, თუ ქონების განადგურების მუქარის გამოყენებით სძალავენ ფულს მეწარმეს, მეორენი არაპირდაპირი ზეწოლით აიძულებენ სოლიდური გადასახადის გადახდის საფუძველზე ისარგებლონ მათი დაცვით, მესამენი, ყოველგვარი მუქარის გარეშე, იძულებლი არიან,

ითანამშრომლონ ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენლებთან, რადგან (ტანსაცმლის დამაზადებელი ცენტრის შემთხვევის მსგავსად), მათ სფეროში ბიზნესის საარსებო ძირითადი საშუალებები მონოპოლიზებულია კრიმინალთა მიერ.

ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმიანობას წარმოადგენს ფულის გათეთრება, ანუ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. მითითებული ქმედება ყველაზე მნიშვნელოვანია კრიმინალური გაერთიანებების მიერ წარმოებულ დანაშაულებრივ ქმედებათა შორის, რადგან უკანონო გზებით მიღებული შემოსავლების გამოსაყენებლად აუცილებელია მათთვის ლეგალური სახის მიცემა, რათა არ განხორციელდეს სისხლის სამართლებრივი დევნა და ქონების ან თანხის კონფისკაცია სახელმწიფოს მიერ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით აღნიშნული ქმედება განმარტებულია შემდეგნაირად: უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე, მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა, რაც ლეგალიზებული ქონების ღირებულებისა და ქმედებაში მონაწილე პირების ოდენობიდან გამომდინარე ისჯება 3-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით. ანალოგიურად, სხვა ქვეყნებშიც ამ მიმართულებით ბრძოლის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და მათი კანონმდებლობითაც საკმაოდ მკაცრად ისჯება ფულის გათეთრება. აღნიშნულ სფეროში კანონმდებლობისა და კონტროლის გამკაცრების შედეგად კრიმინალურ სინდიკატებს ერთმევათ შესაძლებლობა, გამოიყენონ უკანონო გზით მოპოვებული თანხები, რაც, თავის მხრივ, საერთოდ უკარგავს აზრს მათ დანაშაულებრივ საქმიანობას. მიუხედავად სახელმწიფოთა მიერ გატარებული მკაცრი ღონისძიებებისა, დადგენილია, რომ წლის განმავლობაში ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების მიერ ხდება უკანონოდ მოპოვებული მილიარდობით დოლარის გათეთრება, რისთვისაც კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები ათასგვარ საშუალებებს იყენებენ.

ფულის გათეთრების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს მისი გადაცემა საბანკო ჩეკებზე, რადგან ფიზიკურად ბევრად უფრო იოლია საბანკო ჩეკების გადატანა სხვადასხვა ქვეყნებში, ვიდრე - ნაღდი ფულის. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოებს კვალის აღებაბევრად უძნელდებათ, რადგან საბანკო ჩეკებზე არაა აღნიშნული მიმღების საიდენტიფიკაციო მონაცემები.

მითითებული საქმიანობის განსახორციელებლად როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე პოსტსაბჭოთა სივრცეშიც, აქტიურად გამოიყენება სათამაშო ბიზნესი, განსაკუთრებით კაზინოები. სამართალდამცავ ორგანოთა ინფორმაციით, 1990-იანი წლებიდან ქალაქ მოსკოვში არსებული რამდენიმე კაზინო იყო კანონიერი ქურდების გავლენის ქვეშ, რომელთაც აქტიურად იყენებდნენ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხის გასათეთრებლად. კერძოდ, მათი წარმომადგენლები შედიოდნენ კაზინოში გარკვეული თანხით, საიდანაც განსაზღვრულ პროცენტს უტოვებდნენ დაწესებულების მესაკუთრეებს, ხოლო ძირითად ნაწილზე კი იღებდნენ ოფიციალურ საბუთს, როგორც თამაშის დროს მოგებულზე. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მაგალითად, ნიუ-ჯერსიში ნარკოტიკებით მოვაჭრეთა დაჯგუფებამ კაზინოში სათამაშოდ გახსნა ანგარიში 118000 დოლარის ოდენობით, თუმცა, აღნიშნული თანხა არავის გამოუყენებია. მოგვიანებით, მათ კაზინო დატოვეს ანალოგიური ღირებულების მქონე ჩეკებით, რომლებითაც შესაძლებელი იყო ანგარიშსწორება მესამე პირებთან მიმართებით. შემდეგ დამნაშავეთა მიერ მოხდა აღნიშნული ჩეკების დეპონირება ფასინი ქაღალდების ფირმებში. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ეს თანხა უკან დაიბრუნეს, რომელიც ამჯერად უკვე სრულიად ლეგალური იყო (104, 12).

ფულის გათეთრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საბანკო სექტორის გამოყენებას. ამ გზით ხდება თანხის გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში, თუმცა, აღსანიშნავია, რომ თითქმის არასდროს ხდება პირდაპირ გადარიცხვები, კვალის ასაბნეველად ძირითადად გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის, პანამის, კაიმანის კუნძულების და ა.შ ბანკები, რის შემდეგაც დანიშნულების ადგილზე ჩარიცხვისას, მეტად რთულია ამ თანხების წარმომავლობის დადგენა (80, 4). ხშირად დანაშაულებრივი ორგანიზაციები იყენებენ არა საბანკო კავშირებს, არამედ იძენენ რომელიმე ფინანსურ დაწესებულებას. შედეგად, სამართალდამცავი ორგანოების მიერ მეტად რთული

შესამჩნევი ხდება უკანონოდ მოპოვებული თანხის ლეგალიზაციის დადგენა, ვინაიდან მითითებული დაწესებულების ოპერატორებს დაუბრკოლებლად შეუძლიათ გადარიცხონ თანხები სხვადასხვა მიმართულებით, რის შენიღბვასაც უპრობლემოდ ახერხებენ.

ხშირად უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისათვის დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლები იყენებენ სხვადასხვა კანონიერ ბიზნესებს. ითვლებიან რა რომელიმე კანონიერი კომერციული საქმიანობის მფლობელებად, ისინი იქმნიან რესპექტაბელურ იმიჯს საზოგადოებაში, რის საფუძველზედაც საშუალება ეძლევათ, არალეგიტიმურად მოპოვებული თანხა, თავის საქმიანობიდან მიღებულად გამოაცხადონ. ზოგჯერ კრიმინალური დაჯგუფების წევრების მიერ კომერციის საფარ ქვეშ ხდება ფულის გათეთრება, რაც შეიძლება განხორციელდეს შემდეგნაირად: სხვადასხვა საქონელს იძენენ არარეალურად დაბალ ფასად, ხოლო შემდეგ დარჩენილ თანხას გადაცემენ სხვადასხვა ოფშორული საბანკო ანგარიშების მეშვეობით, ან პირიქით - ქონებას იძენენ შეუსაბამოდ მაღალ ფასად, რის შემდეგაც სხვაობა რეალურ ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის უკან უბრუნდება მყიდველს. კოლუმბიური ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენლები ამერიკაში უკანონოდ მოპოვებული თანხის გადატანას სამშობლოში სხვადასხვა საქონლის ექსპორტის საშუალებით ახერხებდნენ. კერძოდ, კალის კარტელის წარმომადგენლები საქონლის იმპორტიორების ნაცვლად ამერიკიდან ექსპორტიორებს უხდიდნენ თანხას, რის შემდეგაც შეთანხმების საგანი იგზავნებოდა კოლუმბიაში და მიმღები ფირმები დანაშაულებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებს უნაზღაურებდნენ მათ მიერ გადახდილ თანხას, რა თქმა უნდა, გარკვეული ღირებულების საფასურად (97, 4), ხოლო ზოგ შემთხვევაში კი კრიმინალები ადვილად გასაღებად საქონელს იძენდნენ, რომელთაც შემდგომ მნიშვნელოვანი (20-30%) ფასდაკლებით ყიდდნენ სამშობლოში.

უკანონოდ მოპოვებული თანხის სხვადასხვა ქვეყანაში გადაზიდვის ხერხებთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ „ჰავალას“ - ფულის სამოძრაო ქსელს, რომელიც გამოიყენება სამხრეთ აზიაში. აღნიშნული სისტემა დაფუძნებულია ნდობასა და კავშირებზე (123). კლიენტები ენდობიან „ჰავალას“ ბანკირებს - „ჰავალადარებს“, რომელთაც გააჩნიათ კავშირები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მითითებული ხერხით თანხის ფიზიკური გადატანა არ ხდება. ფულის გამგზავნი მიდის

„ჰავალას“ წარმომადგენელთან და აძლევს მას განსაზღვრულ თანხას, რომელსაც, ცხადია ემატება მომსახურების ღირებულება, რის შემდეგაც ბანკირისაგან იღებს კოდს. შემდეგ თანხის მიმღები აცნობებს აღნიშნულს თავის წარმომადგენელს რომელიმე ოფშორულ ტერიტორიაზე და ისიც კლიენტისათვის გადაცემული კოდის წარდგენის შემთხვევაში უხდის პირს მითითებულ თანხას. აღსანიშნავია, რომ „ჰავალას“ სისტემა ძალიან დიდი ხანია მოქმედებს და დღესაც მისით აქტიურად სარგებლობენ სხვადასხვა ქვეყნების ტერორისტები.

როგორც ვხედავთ, ფულის გათეთრება წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმიანობას, რადგან მასზეა დამოკიდებული სხვა ნებისმიერი კრიმინალური ქმედებიდან მოპოვებული თანხის გამოყენება. ცხადია, სახელმწიფოები ებრძვიან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას. გარდა ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე ზომების მიღებისა, იქმნება საერთაშორისო დოკუმენტებიც, რომელთა შორისაა ევროსაბჭოს კონვენცია „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“. ამის მიუხედავად, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები, ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა ხერხების გამოყენებით მაინც ახერხებენ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდამცავები გატარებული ღონისძიებების მეშვეობით ყოველწლიურად ახერხებენ დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ათეულობით მილიონი დოლარის კონფისკაციას.

მსოფლიოში წლის განმავლობაში მომხმარებლების მიერ იხარჯება ათეულობით მილიარდი დოლარი ნარკოტიკების შეძენაზე. ცხადია, ორგანიზებული დანაშაულობა გვერდს არ აუვლიდა ასეთ მომგებიან ბიზნესს. მითითებულ საქმიანობაში სხვადასხვა კრიმინალური გაერთიანებები სხვადასხვაგვარად მონაწილეობენ. მაგალითად, ზოგიერთი კრიმინალური გაერთიანება, მათ შორის, ტრადიციული იტალიური და იტალიურ-ამერიკული მაფიოზური ოჯახები აკონტროლებენ თავიანთ ტერიტორიებზე ნარკოტიკებით ვაჭრობას და იღებენ წილს. ზოგიერთები, როგორებიცაა, მაგალითად - კოლუმბიური კარტელები, ეწევიან ნარკოტიკული ნივთიერებების როგორც მოყვანას, ასევე გადამუშავებას, გადაზიდვასა და გასაღებას.

ბოლო 200 წლის განმავლობაში საზოგადოების შეხედულება ნარკოტიკული საშუალებების მიმართ არ ყოფილა ერთგვაროვანი. მე-19 საუკუნეში მიიჩნეოდა, რომ ოპიატებსა და კოკაინს გააჩნდა სამკურნალო თვისებები. დიდი ხნის განმავლობაში ოპიუმი გამოიყენებოდა როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. მოგვიანებით დაიწყო მისი გამოყენება სხვადასხვა დაავადებების, მათ შორის, დიზენტერიის, დიარეის, ქოლერას, ასთმის, რევმატიზმის, მალარიას და ა.შ. სამკურნალოდ, თუმცა მე-20 საუკუნის მიჯნაზე ცნობილი გახდა ნარკოტიკების მოხმარების მავნე შედეგების შესახებ და, შესაბამისად, ჩამოყალიბდა საკანონმდებლო აკრძალვებიც.

მსოფლიოში ყველაზე პოპულარული და გასაღებადი ნარკოტიკები - კოკაინი და ჰეროინი ძირითადად მოპოვება აზიაში და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. აზიაში ჰეროინს ძირითადად აწარმოებენ ე.წ. „ოქროს სამკუთხედში“, რომელიც მოიცავს 587.000-მდე კვადრატულ კილომეტრზე მდებარე ტყიან შემადღებულ ტერიტორიას, ლაოსში, ტაილანდში, ბირმაში, ვიეტნამში (120) და „ოქროს ნახევარმთვარეს“, რომელიც მოიცავს ირანის, ავღანეთისა და პაკისტანის სახელმწიფოების ნაწილს. 1960-70-იან წლებში „ოქროს სამკუთხედი“ წარმოადგენდა ყველაზე დიდ, ოპიუმის მწარმოებელ რეგიონს მსოფლიოში, თუმცა 70-იანი წლების შემდეგ „ოქროს სამკუთხედში“ მითითებული საქმიანობა შესუსტდა, რაც გამოიწვია რამდენიმე ფაქტორმა, მათ შორის, რეგიონში სამართალდამცავთა გააქტიურებამ, ოპიუმის მწარმოებელ დაჯგუფებათა ურთიერთ დაპირისპირებამ, ბუნებრივმა პირობებმა, რაც, თავის მხრივ, აუარესებდა ნარკოტიკების ხარისხს და ზრდიდა მათ თვითღირებულებას. შესაბამისად, ნელ-ნელა „ოქროს სამკუთხედმა“ ჰეროინის დამზადებაში ლიდერობა დაუთმო „ოქროს ნახევარმთვარეს“. მითითებულ ტერიტორიებზე ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ოპიუმის ყაყაჩოს საკმაოდ დიდი მოსავლის მიღებაა შესაძლებელი. გარდა ამისა, სამართალდამცავთა არცთუ დიდი აქტიურობა საშუალებას იძლევა ადგილზევე ოპიუმის ჰეროინად გადამუშავებას. ამასთან, იაფი მუშახელი ფაქტობრივად იდეალურ გარემოს ქმნის ნარკობიზნესის განვითარებისათვის. „ოქროს ნახევარმთვარის“ ტერიტორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ავღანეთში მდებარეობს, რომელიც 2001 წლისათვის ოპიუმის წარმოებით მსოფლიოში მეორე ადგილზე იდგა. ავღანეთი ჰეროინით ამარაგებდა ამერიკის შეერთებული შტატების ნარკობაზრის ერთი მესამედს, ხოლო

ევროპის ბაზრების 80%-ს (17, 290). აღნიშნულ რეგიონში ნარკოტიკებით ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდა არსებული გარემო: ავღანეთის ერთ-ერთ მეზობელ ქვეყანაში – ტაჯიკეთში ქვეყნის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს წარმოადგენს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ახალგაზრდობა, რომელიც ჩართულია ნარკოტრაფიკში. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ჰეროინით ვაჭრობაზე დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის 50%-მდე, რის საფუძველზედაც ხერხდება ეროვნული ვალუტის კურსის შენარჩუნება, რაც გამოწვეულია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხალხის დასაქმებით მითითებულ კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში. რეგიონში წარმოებული ნარკოტიკების ტრანსპორტირება ხდება ევროპაში თურქეთის მეშვეობით, სადაც უკვე ტრადიციული ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანებები, მათ შორის, იტალიური მაფია ახდენენ დისტრიბუციას. ცხადია, ნარკოტიკების ტრაფიკის ასეთი აქტიურობა უყურადღებოდ არ რჩება მეზობელი ქვეყნების სამართალდამცავთა მიერ, თუმცა, უნდა ითქვას, რომ დროთა განმავლობაში ჰეროინით მოვაჭრეთა ორგანიზებული დაჯგუფებები იმდენად გაძლიერდნენ, რომ ავტომატებისა და პისტოლეტების გარდა მათ შეიარაღებაში გაჩნდა სარაკეტო მოწყობილობები და სხვა მძიმე შეიარაღებაც, რაც, ცხადია, მათ თავდაცვის განსაკუთრებულ საშუალებას აძლევს. შესაბამისად, როდესაც ირანმა დაიწყო მასიური ბრძოლა ნარკოტიკებით მოვაჭრეების წინააღმდეგ, შედეგად მიიღო რამდენიმე ათასი მოკლული სამართალდამცავი, რაც სწორედ იმ შეიარაღების დამსახურება იყო, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ. ფაქტობრივად, ნარკომოვაჭრეები ირანის სპეცსამსახურებზე ბევრად უკეთესად იყვნენ შეიარაღებულნი.

როგორც ვხედავთ, აზია წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს ნარკოტიკების, განსაკუთრებით, ჰეროინის ერთ-ერთ უმთავრეს მწარმოებელსა და მომწოდებელს მსოფლიოს სხვადასხვა განვითარებული ქვეყნებისათვის. აღნიშნული, პირველ რიგში, განპირობებულია ამ ტერიტორიის თავისებურებებითა და არსებული პოლიტიკური ვითარებით. სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებით (ტიმ ვეინერის, ამი ვალდმანის), ამ ქვეყნების მოსახლეობას ფაქტობრივად სხვა რესურსი არ გააჩნია თავის სარჩენად. არსებული ბუნებრივი პირობები რამდენადაც ხელსაყრელია ნარკოტიკული ნივთიერებების დასამზადებელი ნედლეულის - ოპიუმის ყაყაჩოს მოსაყვანად, იმდენადვე უსარგებლოა საკვებად ვარგისი მცენარეულის გასახარებლად. გარდა ამისა, რეგიონში დაძაბული სამხედრო ვითარება არ

იძლევა საშუალებას, რომ ხალხმა განავითაროს სოფლის მეურნეობა ან სხვა რაიმე საქმიანობას მიჰყოს ხელი თავის სარჩენად. ამასთან ერთად, პოლიტიკური იდეოლოგიის ირგვლივ გაერთიანებული და მებრძოლი სხვადასხვა დაჯგუფების შესანახად, ასევე, შეიარაღებისა და საქმიანობისათვის საჭირო თანხის მოსაძიებლად ყველაზე ადვილ გზას წარმოადგენს ნარკოტიკული ნივთიერებების მოყვანა, მათი გადამუშავება და შემდგომში ტრანსპორტირება. საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისა და ნარკოტიკულ ნივთიერებებზე მსოფლიოში არსებული მზარდი მოთხოვნილების გამო, რაც განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის ამ საქმიანობას, ეს რეგიონი დღესაც წარმოადგენს ჰეროინის ერთ-ერთ ძირითად მწარმოებელს.

ახიასთან ერთად ნარკოტიკული ნივთიერებების დამზადება-გავრცელებაში წამყვანი ადგილი უკავია სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს, რომელთაგან შეიძლება განსაკუთრებით გამოვარჩიოთ მექსიკა და კოლუმბია. გეოგრაფიული ადგილმდებარებიდან გამომდინარე, მექსიკიდან ყველაზე უფრო მოსახერხებელია ნარკოტიკული ნივთიერებების შეტანა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვინაიდან მათ გააჩნიათ საერთო საზღვარი, რომლის სიგრძეც 3.000 კილომეტრზე მეტია და რომელიც არცთუ სრულყოფილადაა დაცული სწორედ მისი სიდიდის გამო. გარდა ამ მიზეზისა, ქვეყანაში გამეფებული კორუფცია, ეკონომიკის დაბალი დონე, ასევე, ბუნებრივი პირობები, რომელიც მეტად სასარგებლოა ოპიუმის კულტივირებისათვის და სამართალდამცავთა საქმიანობის დაბალი ეფექტურობა საშუალებას იძლევა მიღებული მოსავლის ადგილზე გადასამუშავებლად და ხელს უწყობს უკანონო საქმიანობის განვითარებას. შესაბამისად, მექსიკური ჰეროინი ადვილად ხელმისაწვდომია ამერიკის შეერთებულ შტატებში (102, 107). როგორც აღინიშნა, მექსიკა არამარტო სატრანზიტო, არამედ ნარკოტიკული ნივთიერებების დამამზადებელიცაა, თუმცა, განსხვავებით კოლუმბიური კარტელების საქმიანობისაგან, ამ ქვეყანაში მოქმედი დანაშაულებრივი გაერთიანებებისათვის არაა დამახასიათებელი ოპიუმის ყაყაჩოს დიდი ნათესების ფლობა, რაც გამოწვეულია კრიმინალთა სიფრთხილით, რადგან განსხვავებით კოლუმბიისაგან, სადაც არის უზარმაზარი, მთა-გორიანი, დაუსახლებელი ტერიტორიები, რომლებიც საერთოდ მოწყვეტილია გარესამყაროს, მექსიკაში დიდი ნათესები ადვილად შესამჩნევია. გამომდინარე აქედან, ოპიუმის ნათესების დამუშავება მცირე

ტერიტორიებზე კერძო პირების ან მცირე ჯგუფების მიერ ხდება, რომელსაც შემდგომში თავს უყრიან ორგანიზებულ ნარკომოვაჭრეთა დაჯგუფებების წარმომადგენლები და გადაამუშავენ კერძონად. როგორც ზემოთ აღინიშნა, მწარმოებლის გარდა, მექსიკა ასევე წარმოადგენს ნარკოტრანზიტის ქვეყანას სხვა სამხრეთ ამერიკული სახელმწიფოთათვის. ადგილობრივი დანაშაულებრივი კარტელების მონაწილეობით უცხო ქვეყნების კრიმინალურ ორგანიზაციებს ამერიკის შეერთებულ შტატებში უპრობლემოდ შეაქვთ დიდი ოდენობით მზა ნარკოტიკული ნივთიერებები. ამ საქმიანობის განხორციელებას ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული კორუფციის მაღალი დონე. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ნარკომოვაჭრეთა კარტელები თავიანთი შემოსავლების 10%-ს ოფიციალურ პირთა მოსასყიდად ხარჯავენ, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მათი შემოსავალი წელიწადში 30 მილიარდ დოლარამდეა (51, 228), ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დონის კორუფციაზეა საუბარი. აღნიშნულის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემთხვევა - ამერიკული სპეცსამსახურის აგენტი, რომელიც მექსიკაში მუშაობდა ნარკოტიკებით ვაჭრობის საქმეზე, მოკლულ იქნა ამავე ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების მიერ ერთ-ერთი ადგილობრივი კარტელის ლიდერის - რაფაელ კარო კუინტეროს ბრძანების შესაბამისად.

ნარკოტიკების დამზადებისა და ექსპორტის მხრივ, კოლუმბიას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია არა მარტო სამხრეთ ამერიკაში, არამედ - მსოფლიოშიც. მას ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა აქვს, რაც ხელს უწყობს პერუსა და ბოლივიიდან კოკაინის მიღებასა და გადაზიდვას ამერიკის შეერთებულ შტატებში (102, 78-79). მითითებული ტერიტორია, რომელიც ძირითადად ტყეებითაა დაფარული და მოწყვეტილია გარესამყაროს, მეტად მოხერხებულია როგორც ოპიუმისა და კოკას პლანტაციების გასაშენებლად, ასევე, მათი გადასამუშავებელი ლაბორატორიების მოსაწყობად. გარდა მითითებული მიზეზებისა, ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო კოლუმბიური კარტელების მიერ მსოფლიოში ნარკოტიკებით ვაჭრობის მონოპოლიის დამყარებას, არის მათი შეუპოვრობა და არაადამიანური სისხტიკე. სწორედ ასეთი ქმედებების გამო, მათ ფაქტობრივად ჩამოიმორეს გზიდან სხვა სამხრეთ ამერიკული დანაშაულებრივი გაერთიანებები და თვითონ ახორციელებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული

ნარკოტიკების 70%-ის შეტანას. თუმცა, აღნიშნული ბაზარი არ აღმოჩნდა მათთვის დამაკმაყოფილებელი, ამიტომ აითვისეს ევროპაც, სადაც შეუპოვრობისა და სისასტიკის ხარჯზე დაძლიეს ისეთი ტრადიციული დანაშაულებრივი გაერთიანების წინააღმდეგობა, როგორცაა იატალიური მაფია. ამ უკანასკნელის წარმომადგენლებმა სცადეს, დაემყარებინათ მონოპოლია კოკაინის ბაზარზე ევროპაში და შეებრძოლნენ კოლუმბიური კარტელების წარმომადგენლებს, თუმცა ის ფაქტი, რომ სამხრეთ ამერიკელი ნარკოკურიერები კვლავაც საქმიანობენ ევროპაში, ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ მაფიამ თავის მოთხოვნაზე, დაემყარებინა მონოპოლია ამ საქმიანობაზე, მტკიცე უარი მიიღო (66, 75).

ნარკოტიკებით ვაჭრობის განვითარებას კოლუმბიაში, გეოგრაფიული მდებარეობის გარდა, ასევე ხელი შეუწყო ეკონომიკური განვითარების დაბალმა დონემ და მაღალმა კორუფციამ. რეგიონების მოსახლეთა უმეტესობა ჩართულია კრიმინალურ საქმიანობაში, რათა შეძლოს საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენა, რადგან სხვა პერსპექტივა არ არსებობს. ამას თან ერთვის ეკონომიკური არასტაბილურობა და უმუშევრობის მაღალი დონე. რაც შეეხება სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვას, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში კორუფციაში ჩართვა შეიძლება არც შეესაბამებოდეს სამართალდამცავთა ან სხვა ოფიციალურ წარმომადგენელთა ნებას, მაგრამ სახელმწიფოს უუნარობის პირობებში, დაიცვას საკუთარი მოხელე, ასევე, კრიმინალური დაჯგუფებების ზღვარს გადასული სისასტიკე ყველა იმ პირის მიმართ, ვინც ხელს უშლის მიზნის განხორციელებაში, აიძულებს მათ, ჩაერთონ უკანონო ქმედებებში გარკვეული თანხის ფასად. ფაქტობრივად, დანაშაულებრივი გაერთიანების წარმომადგენლები დიდ არჩევანს არ უტოვებდნენ სახელმწიფო მოხელეებს, აყენებდნენ რა მათ დილემის წინაშე: ან ქრთამი ან ტყვია. მათთვის, რომ არაფერს ნიშნავს სიცოცხლის განადგურება, მოწმობს კოლუმბიის იუსტიციის მინისტრის – ლარა ბონილას მკვლელობა, რომელიც თავდაუზოგავად იბრძოდა ნარკომოვაჭრეთა დაჯგუფებების წინააღმდეგ, ასევე, მედელინის კარტელის ერთ-ერთი ლიდერის – პაბლო ესკობარის დაპირება, რომ იგი გადაიხდიდა 4.200 აშშ დოლარს თვითოეული პოლიციელის მკვლელობაში, რასაც შედეგად მოჰყვა 42 სამართალდამცავის სიკვდილი მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში და სხვა უამრავი მსგავსი ფაქტი.

როგორც ვხედავთ, ნარკოტიკებით ვაჭრობა წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან ბიზნესს. ნათლად ჩანს, რომ ყველა ქვეყანაში მითითებული საქმიანობის განვითარებას ხელს უწყობს მსგავსი მიზეზები: სუსტი სახელმწიფო აპარატი, რაც გამოსატულია უძღურ სამართალდამცავ სისტემაში; ცხოვრების დაბალი ეკონომიკური დონე, რის გამოც მოსახლეობა იძულებულია, ჩაერთოს კრიმინალურ საქმიანობაში, ვინაიდან სახელმწიფო თავის მოქალაქეებს ვერ სთავაზობს თავის რჩენის ალტერნატიულ გზას; ხელსაყრელი გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობები; მითითებულ საქმიანობას შორეული წარსულიდან დღევანდლამდე თითქმის არ შეუცვლია პროფილი. ნარკომოვაჭრეთა დაჯგუფებები კვლავაც ანალოგიური მეთოდებით მოქმედებენ. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სისასტიკე, ძალადობა და ძალადობის მუქარა საერთოდ ორგანიზებული დანაშაულობის თანამდევია, მაგრამ ამ კუთხით აშკარად გამოირჩევიან ნარკოტიკებით ვაჭრობაში ჩაბმული კრიმინალური გაერთიანებები. აღნიშნულის დასადასტურებლად მარტო მეთოდი - „კოლუმბიური ჰალსტუხიც“ კი კმარა, რომლითაც კოლუმბიური კარტელის წევრები ხოცავდნენ მოწინააღმდეგეებს - მსხვერპლს სჭრიან ყელს და ჭრილობაში აყოფინებენ ენას, რომელიც ჰალსტუხივით ჰკიდია და ახდენს შემადრწუნებელ ეფექტს. ასევე ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ნარკობიზნესში ჩართული გაერთიანებები ასეთი სისასტიკით მხოლოდ ერთმანეთს არ ებრძვიან. ისინი გამოირჩევიან სახელმწიფოს წარმომადგენლების მიმართ წარმოებული შეუბრალებელი და არაადამიანური მოპყრობით. დაჯგუფებები შეიარაღებული არიან ყველანაირი იარაღით, რომელთაც აქტიურად იყენებენ ქვეყნების ოფიციალურ მოხელეთა წინააღმდეგ, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკუთარ თავზე გამოსცადეს ირანისა და კოლუმბიის მთავრობებმა.

ორგანიზებული დანაშაულობის საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს პროსტიტუციის, ანუ სექსის ბიზნესის ორგანიზება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მეორე კრიმინალურ ქმედებასთან - სექსუალური მომსახურების მიზნით ადამიანებით უკანონო ვაჭრობასთან - ტრეფიკინგთან. ფაქტობრივად, უმრავლეს შემთხვევებში ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგი სწორედ სექსუალური მომსახურების ბიზნესში უკანონო და იძულებით ჩართვას უკავშირდება. მითითებული საქმიანობა უცხო არ არის ფაქტობრივად არც ერთი

ტრადიციული ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანებისათვის. მაგალითად, იაპონური „იაკუძა“ აკონტროლებს სექსუალური ხასიათის გასართობ ცენტრებს ტოკიოში. თავის ტრანსნაციონალური კავშირებისა და გავლენის გამოყენებით, ისინი ასევე ორგანიზებას უწევენ მსგავს საქმიანობას იაპონიის ფარგლებს გარეთაც. „იაკუძას“ წევრების მიერ არის დაარსებული და თანამედროვე პერიოდშიც ხორციელდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური სექსტურები, სადაც არალეგალურად იყენებენ ქალებისა და ბავშვების მომსახურებას, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს აზიელ ბიზნესმენებში. მითითებულ საქმიანობას იაპონური დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრები სწორედ ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალების და ბავშვების ხარჯზე ახორციელებენ. გარდა ამისა, მათ ტრეფიკინგის მსხვერპლნი გაჰყავთ საზღვარგარეთაც და ჰყიდიან მონებად სხვადასხვა ქვეყნებში სექსუალური მომსახურების მიზნით.

მითითებულ საქმიანობაში აქტიურად არიან ჩართული რუსული დანაშაულებრივი დაჯგუფებები. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების უმეტესობაში უმუშევრობის ძალიან მაღალი დონეა. შესაბამისად, ამ სახელმწიფოებში მაცხოვრებელი ქალები იძულებული არიან, თავის გასატანად სამსახური ეძიონ საზღვარგარეთ. მსგავსი ადამიანების ტრეფიკინგი და მათი იძულებითი ჩართვა სექსინდუსტრიაში ხდება გაზეთებში გამოქვეყნებული რეკლამების მეშვეობით, სადაც მათ სთავაზობენ საზღვარგარეთ დასაქმებას მდივნად, მოსამსახურედ, მომვლელად და ა.შ. ხშირ შემთხვევაში, ტრეფიკიორები მსხვერპლს ეხმარებიან ყალბი სამგზავრო დოკუმენტების დამზადებაში, ტრანსპორტირებაში, საზღვრების გადაკვეთაში, საზღვარგარეთ ცხოვრებაში. როგორც წესი, მას შემდეგ, რაც მსხვერპლი ჩადის დანიშნულების ადგილას, მას აცნობებენ, რომ ვეღარ ხერხდება დაპირებულ სამუშაოზე დასაქმება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ვალშია ტრეფიკიორების წინაშე იმ თანხის ოდენობით, რომელიც მისი საბუთების დამზადებისთვის და მგზავრობაში დაიხარჯა. შედეგად, მსხვერპლს აიძულებენ ანაზღაურებად სექსუალურ მომსახურებას. მათ მიმართ, რომლებიც არ თანხმდებიან შეთავაზებულ წინადადებას, გამოიყენება ძალადობა და, რიგ შემთხვევაში, ისინი შეიძლება სიცოცხლესაც გამოასალმონ (132). რუსული ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები ქალების ექსპორტს ახორციელებენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, ბელგიაში, შვეიცარიაში, პოლონეთში,

ნიდერლანდებში, ჩინეთში, იაპონიაში, ტაილანდში და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სახელმწიფოებში ექსპორტის პარალელურად, ისინი რუსეთშიც ახორციელებენ ქალთა იმპორტს. მომწოდებელ ქვეყებს ძირითადად უკრაინა და მოლდავეთი წარმოადგენენ. გარდა ზემოთ მითითებული ეკონომიკური მიზეზებისა, ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულებრივი გაერთიანების წევრებს, დაუბრკოლებლად განახორციელონ ადამიანების ტრეფიკინგი, ესაა მსხვერპლთა და ზოგადად მოქალაქეთა უნდობლობა საკუთარი ხელისუფლების, განსაკუთრებით, სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. სწორედ მითითებული მიზეზის გამო, რიგ შემთხვევაში ადამიანები, რომლებიც ახერხებენ თავის დაღწევას იძულებითი სექსუალური მონობისგან, არ თანამშრომლობენ პოლიციასთან და არ აწვდიან შესაბამის ინფორმაციებს, შედეგად, ტრეფიკიორები შეუფერხებლად განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას. აქ აღსანიშნავია ერთი ფაქტორიც, რომ ხშირად მსხვერპლთათვის არ წარმოადგენს საიდუმლოს, თუ რა საქმიანობა უნდა განახორციელონ საზღვარგარეთ, მაგრამ მათ უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ შემდეგ ვეღარ იღებენ დაპირებულ თანხას და იძულების წესით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ტრეფიკიორთა მიერ შემოსავლის მისაღებად ერთვებიან სექსუალურ მონობაში.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების გარდა, სექსინდუსტრიისათვის ერთ-ერთ მომწოდებელ ქვეყანას 21-ე საუკუნის დასაწყისიდან წარმოადგენდა ალბანეთი. მითითებულ საქმიანობაში ფართოდ იყვნენ ჩართული იტალიური დანაშაულებრივი გაერთიანებები, რომლებიც ევროპის მრავალ ქვეყანაში ახორციელებდნენ ალბანელების ექსპორტს, ხოლო ალბანეთის მოსაზღვრე მაკედონია კი ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა სექსუალური ინდუსტრიის ვაჭრობის ცენტრად (90, 6).

პროსტიტუციის ბიზნესის დაქვემდებარება ამერიკულმა ტრადიციულმა დანაშაულებრივმა გაერთიანებებმა დაიწყეს მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. მითითებული საქმიანობის პიონერს წარმოადგენდა „კოზა ნოსტრას“ ერთ-ერთი ლიდერი - ჩარლზ „ლაკი“ ლუჩიანო. გახდა რა მაფიოზური ოჯახის ხელმძღვანელი, შემოსავლების გაზრდის მიზნით, მან გადაწყვიტა მოეხდინა პროსტიტუციის ორგანიზება, ანუ დაექვემდებარებინა და ერთ სისტემაში გაერთიანებინა ნიუ-იორკში მოქმედი სექსუალური ხასიათის დაწესებულებები. მართლაც, სულ ცოტა ხანში მისი გავლენის ქვეშ მოექცა საროსკიპოების მფლობელი, დაახლოებით, 200

ქალბატონი, რომელთაც დაქირავებული ყავდათ 1000-ზე მეტი გოგონა (51, 118). მითითებული სფეროდან მაფია საკმაოდ დიდ შემოსავალს იღებდა, კერძოდ, წელიწადში 12 მილიონ დოლარამდე. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სექსინდუსტრიაში დასაქმებული, მის დაქვემდებარებაში მყოფი გოგონები „ლაკი“ ლუჩიანოს ინფორმატორებიც იყვნენ. დროთა განმავლობაში იტალიურ-ამერიკული ორგანიზებული დანაშაულობისათვის პროსტიტუციიდან მიღებული შემოსავალი სხვადასხვა ოდენობის იყო. მშრალი კანონის შემდგომ პერიოდში შემოსავლები მითითებული საქმიანობიდან უფრო გაიზარდა. თანამედროვე პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ პროსტიტუცია ლეგალიზებული გახდა რამდენიმე შტატში, ფაქტობრივად, ორგანიზებული დანაშაულობა ამ სფეროს კვლავ აკონტროლებს – დანაშაულებრივი დაჯგუფებები ამ დაწესებულებებს ფლობენ, მათ ფულს სხვადასხვა მფარველობისა და უსაფრთხოების პირობით. რაც შეეხება ქალთა ტრეფიკინგს ამერიკაში მითითებული მიზნებისათვის, უნდა აღინიშნოს, რომ, ქვეყნების უმეტესობისაგან განსხვავებით, სექსინდუსტრიაში ჩასაბმელად ქალების ტრეფიკინგი საზღვარგარეთის პარალელურად ხორციელდება ქვეყნის შიდა ტერიტორიებიდან, ძირითადად, მიყრუებული სოფლებიდან - მეგაპოლისებში.

როგორც ვხედავთ, პროსტიტუცია და ტრეფიკინგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოადგენდა და რიგ შემთხვევებში დღესაც წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისათვის შემოსავლიან საქმიანობას. პროსტიტუციისა და ტრეფიკინგის განვითარების ყველაზე მეტად მასტიმულირებელ მიზეზს წარმოადგენს მოთხოვნილება ამ სახის მომსახურებაზე. პროსტიტუციადიდი პოპულარულობით სარგებლობს მსოფლიოს დიდ ქალაქებში. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ამ ბიზნესის მომარაგება ქალებით მითითებულ სფეროში დასასაქმებლად, რაც, თავის მხრივ, იწვევს ტრეფიკინგის განვითარებას. გარდა ზემოთ მითითებული მიზეზისა, ამ საქმიანობის მაპროვოცირებელი ამა თუ იმ ქვეყნის ან რეგიონისეკონომიკური მდგომარეობაცაა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სწორედ რომ უმუშევრობა და დაბალი ეკონომიკური დონე ახდენს გავლენას პროსტიტუციისა და ტრეფიკინგის განვითარებაზე.

უკანონო აზარტული თამაშები ჯერ კიდევ ორი ასეული წლის წინ წარმოადგენდა ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანებების საქმიანობის სფეროს. დასაწყისში ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა ფსონების მიღება სხვადასხვა

შეჯიბრებებზე, მაგალითად, ძაღლებისა, თუ მამლების ჩხუბზე, ცხენების დოღზე, ბოქსზე და ა.შ. დროთა განმავლობაში აზარტული თამაშების სახეობები გაიზარდა და საკმაოდ პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში.

როგორც აღინიშნა, მითითებული საქმიანობის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს ფსონების მიღება სხვადასხვა შეჯიბრებებზე. წარსულისაგან განსხვავებით, დღესდღეობით მსოფლიოში წამყვანი ადგილი უკვე სპორტულ შეჯიბრებებზე ფსონის დადებას უჭირავს. ფსონს დებენ სპორტის ნებისმიერ სახეობასა თუ შეჯიბრზე. ამ მიმართულებით ორგანიზებული დანაშაულობა შეიძლება ასრულებდეს ორ სხვადასხვა როლს: პირველი - ეს არის შემთხვევა, როდესაც დანაშაულებრივი ჯგუფი მფარველობს ე.წ. ბუკმეკერებს და ამისათვის მათგან იღებს განსაზღვრულ წილს მოგებული თანხიდან და მეორე - როდესაც მათი წარმომადგენლები უშუალოდ ახორციელებენ მითითებულ საქმიანობას. ერთი შეხედვით, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად ხსენებული ბიზნესის ლეგალიზებისა და კანონის შესაბამისად დაარსებული ტოტალიზატორებისა, მაინც ხდება უკანონოდ ფსონების დადება. აქ ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მოთამაშეები თავს არიდებენ ოფიციალურ დაწესებულებებს, რადგან, ერთი მხრივ, მოგების შემთხვევაში ისინი არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს, ხოლო, მეორე მხრივ, პირებს, რომლებიც ეწევიან უკანონო აზარტულ თამაშებს, ნაკლებად გააჩნიათ ხელზე ნაღდი ფული, ხოლო ბუკმეკერი კი მათ საშუალებას აძლევს, თანხის დადების გარეშე მოახდინოს შეთანხმება და წაგების შემთხვევაში – ანგარიშსწორება განსაზღვრულ ვადაში, რის საშუალებასაც არ იძლევა ლეგალური ტოტალიზატორი. კანონგარეშედ მოქმედი ბუკმეკერი ან ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების მფარველობით სარგებლობს ან მისი წარმომადგენელია. შესაბამისად, კრიმინალური გაერთიანებებისათვის დამახასიათებელი მეთოდებით მათთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს წაგებული თანხის ამოღება. ხშირ შემთხვევაში ორგანიზებული დანაშაულობის წევრები ითავსებენ ბუკმეკერების ბუკმეკერობას. მაგალითად, როდესაც უკანონო ფსონების მიმღები მოქმედებს ერთ-ერთ ქალაქში და ადგილობრივი სპორტული გუნდი ხვდება სხვა ტერიტორიული ერთეულის გუნდს, დიდი შანსია, რომ თანხები დაიდოს მხოლოდ ადგილობრივ გუნდზე. ასეთ შემთხვევაში, თუ არ მოხდა ფსონების დაბალანსება, ბუკმეკერი უკვე თვითონ გამოდის აზარტული მოთამაშე,

დგება დიდი რისკის ქვეშ და თავის დაზღვევის მიზნით იგი აბალანსებს ფსონებს სხვა ბუკმეკერთან, რომელსაც გააჩნია ფართო კავშირები და მსგავს შემთხვევებს არეგულირებს მოწინააღმდეგე გუნდის ქალაქში ადგილობრივ გუნდზე დადებული თანხების საშუალებით. შესაბამისად, როგორც ზემოთ იქნა მითითებული, სწორედ ამ მომსახურებას ახორციელებენ ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფსონების უკანონო მიღება საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე საქართველოში. მითითებული ინსტიტუტი პოპულარულია, რადგან ადამიანებს, რომლებიც სარგებლობენ ამ მომსახურებით, უმეტესად არ გააჩნიათ საშუალება, ითამაშონ ტოტალიზატორებში ნაღდი ფულის უქონლობის გამო. შესაბამისად, სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე ისინი დებენ ფსონებს კონკრეტულ პირებთან. აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, ქართველ ბუკმეკერებსაც ჰყავთ თანამონაწილეები კრიმინალურ სამყაროში, რომლებიც წაგებული თანხების ამოღებას უზრუნველყოფენ. ერთი შეხედვით არცთუ დიდი კანონდარღვევა - უკანონო ბუკმეკერობა, რომელიც ზიანს აყენებს სახელმწიფოს მიუღებელი გადასახადების გამო, რეალურად, ძალიან დიდ და საშიშ პრობლემად იქცევა ხოლმე: პირები, რომელთაც თამაშის დაწყებისას ფული არ გააჩნიათ, წაგების შემთხვევაში, მოსალოდნელი ანგარიშსწორების შიშით, იძულებული ხდებიან, ამ თანხის მოსაპოვებლად განახორციელონ ნებისმიერ დანაშაულებრივი ქმედება, დაწყებული ქურდობიდან, დამთავრებული ყაჩაღობით, რაც ზიანს სახელმწიფოსთან ერთად საზოგადოებასაც აყენებს.

ფსონების მიღებასთან ერთად ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს უკანონო ლატარიები, რომლებსაც ორგანიზებას უკეთებენ ან მფარველობენ კრიმინალური გაერთიანებები. ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელებულია ეგრეთ წოდებული ციფრების ლატარია. მიუხედავად ქვეყანაში არსებული კანონიერი ლატარიებისა, აღსანიშნავია, რომ უფრო მეტი შემოსავალი მიიღება სწორედ ციფრების ლატარიით. მითითებული უნდა აიხსნას იმ ფაქტით, რომ ამ უკანონო საქმიანობის განხორციელებაში დასაქმებულია უამრავი ადამიანი. გარდა პირებისა, რომლებიც უშუალოდ იღებენ თანხებს, ადგენენ ჩანაწერებს, საქმიანობაში ასევე ჩართულნი არიან სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ადამიანები, რომლებსაც უამრავ ხალხთან აქვთ შეხება, მაგალითად ოფიციანტები, პარიკმახერები,

ბარმენები და ა.შ., ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დააინტერესონ ლატარიით, რადგან მათი კლიენტების დადებული ფულიდან, ორგანიზატორები უხდიან განსაზღვრულ თანხებს.

აზარტულ თამაშებიდან მიღებული შემოსავლების უდიდესი ნაწილი კაზინოდან მიღებულ თანხებზე მოდის. ცხადია მოგებულ თანხა უფრო მეტი იქნებოდა გასული საუკუნის დასაწყისში, როდესაც მსგავსი დაწესებულებები არ იყო ლეგალიზებული, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც თანამედროვე პერიოდში იღებს ორგანიზებული დანაშაულობა ნაკლებ მოგებას ამ საქმიანობიდან. როგორც ზემოთ აღინიშნა, კრიმინალური გაერთიანების დაინტერესება კაზინოების ბიზნესში მხოლოდ შემოსავლის მიღებით არ შემოიფარგლება. აქ ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ გზით ორგანიზებული დანაშაულობა ცდილობს, ერთი მხრივ, კანონიერ ბიზნესში შეღწევას და დანაშაულებრივი ქმედებებით მოპოვებული ფულის დაბანდებას, ხოლო, მეორე მხრივ, კაზინოები წარმოადგენს ძირითად დაწესებულებებს, სადაც ხდება არალეგალური, ე.წ. „შავი ფულის“ გათეთრება. როგორც წესი, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები უშუალოდ არ არიან ჩართული მათ დაქვემდებარებაში არსებული კაზინოების ხელმძღვანელობაში, თუმცა, მათი ზედამხედველი აკონტროლებს დაწესებულების შემოსავლებიდან დაჯგუფების ლიდერებისათვის წილის გადახდას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მიუხედავად ლეგალურად არსებული მრავალი კაზინოსი, მაინც დიდი პოპულარულობით სარგებლობს უკანონოდ მოწყობილი კაზინოს ტიპის სათამაშო დაწესებულებები, რომლებსაც, ისევე, როგორც სხვა დანარჩენ აზარტული თამაშის ბიზნესს მართავენ ან მფარველობენ ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენლები.

როგორც ზემოთ მითითებულიდან ჩანს, ორგანიზებული დანაშაულობის საქმიანობის სფერო საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, მიუხედავად სხვადასხვა ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების განსხვავებული ქმედების, მეთოდებისა და ტერიტორიებისა, ძირითადი მიზანი უცვლელია – დიდი ოდენობით შემოსავლების მიღება. როგორც აღინიშნა, ამ უკანონო საქმიანობებს განსხვავებული კრიმინალური ორგანიზაციები სხვადასხვა საშუალებებით ახორციელებენ, მაგალითად, ერთნი აქცენტს აკეთებენ ძალადობაზე, მეორენი - ოფიციალურ პირთა მოსყიდვაზე, სხვები ორივე მეთოდს

ერთნაირად იყენებს. ასევე განსხვავებულია მათი როლი - ზოგი უშუალოდ ასრულებს დანაშაულებრივ საქმიანობას, ზოგი მფარველობს მათ ან უფლებას აძლევს იმოქმედონ მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და ამაში იღებს წილს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი მეთოდებისა და საქმიანობის სტილის მიუხედავად, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს კრიმინალური საქმიანობის წარმატებასა და მის გაფართოებას, ეს არის ადამიანების სისუსტე, მათი დიდი მოთხოვნილება უკანონო საქონელსა და მომსახურებაზე. რა ღონისძიებაც არ უნდა გატარდეს ქვეყანაში, როგორც იდეალურიც არ უნდა იყოს სახელმწიფო აპარატი, განსაკუთრებით სამართალდამცავი სისტემა, მითითებული ვერ უზრუნველყოფს ამ დანაშაულებრივი საქმიანობების აღმოფხვრას, თუმცა, ცხადია, იმოქმედებს მასშტაბებზე, ანუ ვიდრე არსებობს მოთხოვნა, იარსებებს მიწოდებაც – რომლის მოცულობაც დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რის საშუალებას მიცემს კონკრეტული სახელმწიფო თავისი იურისდიქციის ქვეშ მოქმედ ორგანიზებულ დანაშაულობას. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ცხოვრების დაბალი ეკონომიკური დონე, რაც აიძულებს ადამიანს თავისი და ოჯახის წევრების სარჩენად ჩაერთოს დანაშაულებრივ საქმიანობაში. აქვე არანაკლებ მნიშვნელოვანია თვითონ სახელმწიფო აპარატის ქმედება და, ცხადია, ბევრია მასზე დამოკიდებული. კორუმპირებული ოფიციალური მოხელეების არსებობა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ორგანიზებული დანაშაულობის ბიზნესის განვითარებას თავისი უმოქმედობით, ხოლო, მეორეს მხრივ - მათი არსებობას ხალხში თესავს უიმედობის გრძობას, რაც იწვევს მოსახლეობის წაქეზებას კრიმინალურ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად. აღარ ცდილობენ, მიმართონ სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლებს, როდესაც მათ ზიანი აღგებათ დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობით. თუმცა, საბოლოოდ, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების ძირითად პირობას მაინც წარმოადგენს ხალხის მოთხოვნა უკანონო საქონელზე და მომსახურებაზე.

3. ქურდული სამყარო - ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთი ფორმა

როგორც საქართველოში, ასევე, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფორმად გვევლინება ქურდული სამყარო. შესაბამისად, შეუძლებელია მითითებული სახეობის კრიმინალის შესწავლა ტრადიციული დანაშაულებრივი გაერთიანების – ქურდული სამყაროს - ძირეული განხილვის გარეშე. იმისათვის, რომ ორგანიზებული დანაშაულობის აღნიშნული ფორმის ღრმა ანალიზი გაკეთდეს და ასევე განისაზღვროს მითითებულ კრიმინალურ ფენაში ქართველ დამნაშავეთა თავისებურებები, ქვემოთ განვიხილავთ ქართველი კანონიერი ქურდების დამახასიათებელ ნიშნებს და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მოსაზრებების საფუძველზე ჩატარებულ კვლევას აღნიშნული დანაშაულებრივი გაერთიანების შესახებ.

3.1 ქართველი კანონიერი ქურდები – რეგიონული თავისებურებანი

როგორც ცნობილია, დანაშაულებრივი გაერთიანება - ქურდული სამყარო ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის ოციანი წლების საბჭოთა კავშირში. მიუხედავად იმისა, რომ კრიმინალთა აღნიშნული დაჯგუფება საერთო იყო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, გააჩნდა ქცევისა და კრიმინალური ცხოვრების ერთიანი წესები, ქართველი კანონიერი ქურდები მაინც გამოირჩეოდნენ სხვა, ანალოგიური ტიპის დამნაშავეთაგან. როგორც წესი, ცვლილებების უმრავლესობა ქურდულ კანონში ინიცირებული იყო სწორედ ქართველი კრიმინალური ავტორიტეტების მიერ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ყოველთვის მიისწრაფოდნენ თანამედროვე

პირობებთან ადაპტაციისა და შედეგად - გავლენის სფეროებისა და შემოსავლების გაზრდისაკენ.

ზემოთ მითითებულიდან გამომდინარე, ქურდული სამყაროს ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და ავტორიტეტული ქართული ფრთის თავისებურებათა გამოსარკვევად სასურველი იქნება, მათი განხილვა ასაკობრივი მდგომარეობის, კრიმინალური ქმედების, საქმიანობის ტერიტორიების, ეთნიკური წარმომავლობის და სხვა ნიშნების მიხედვით.

დღეის მდგომარეობით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სამასზე მეტი ქართველი კანონიერი ქურდია. მათი ზუსტი ოდენობის დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან ცხოვრების წესიდან და წევრთა გამოკლების ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, მოქმედი დანაშაულებრივი ავტორიტეტების მიერ ხდება ახალი კრიმინალების ინიცირება კანონიერი ქურდის სტატუსის მისაღებად, ასევე, ზოგიერთი დანაშაულებრივი ლიდერებისათვის გარკვეული დარღვევების გამო წოდების ჩამორთმევა.

არსებული მონაცემების შესაბამისად, მიმდინარე პერიოდში მოქმედ კანონიერ ქურდთაგან არცერთი არ არის 25 წელზე ნაკლები ასაკის. მითითებული არ ნიშნავს იმას, რომ არასოდეს ხდებოდა დამწყები, ახალგაზრდა კრიმინალებისათვის ამ წოდების მინიჭება, თუმცა ბოლო პერიოდში მათი რიცხვი შემცირდა. სავარაუდოდ, აქ განმსაზღვრელი უნდა იყოს საქართველოში სამართალდამცავ ორგანოთა მიერ ქურდული სამყაროს წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა. თანამედროვე პერიოდში საქართველოში არასახარბიელო ვითარება შეიქმნა ამ სამყაროს წარმომადგენელთათვის, შესაბამისად, აღნიშნული კრიმინალური წოდება ვეღარ სარგებლობს ისეთი პოპულარობით, როგორც – წარსულში. აქედან გამომდინარე, საქართველოში ახალი წევრების ხარჯზე ვეღარ ხდება ქურდული სამყაროს წევრთა გაზრდა, რაც უდაოდ დიდი წარმატებაა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში.

25-დან 40 წლამდე ასაკის კანონიერი ქურდები შეადგენენ მთლიანად ქურდული სამყაროს წევრთა 36%-ს. ამ პირთა შორის არიან როგორც დამწყები, ასევე, საკმაოდ გამოცდილი და ცნობილი კრიმინალები. როგორც წესი, ასაკი და გამოცდილება მნიშვნელოვანი ფაქტორია ტრადიციულ დანაშაულებრივ სამყაროში,

მაგრამ რიგ შემთხვევებში ახალგაზრდა კანონიერ ქურდებს ძალიან დიდი ავტორიტეტი და ძალაუფლება გააჩნიათ ქურდულ სამყაროში.

კანონიერ ქურდთა უმრავლესობა 40-დან 60 წლამდე ასაკისაა და შეადგენს საერთო ოდენობის 55%-ს. ფაქტობრივად ამ გაერთიანებაში არიან, როგორც ე.წ. შედარებით ახალგაზრდა „პლეადის“ კრიმინალური ავტორიტეტები, რომელთა საშუალო ასაკი შეადგენს 40-45 წელს, ასევე უფროსი, ტრადიციული დამნაშავეები 55 წლიდან ზევით. ფაქტობრივად, კანონიერი ქურდების უდიდესი უმრავლესობა ხვდება ამ ორ ასაკობრივ ჯგუფში, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ უფრო მცირე ასაკის ავტორიტეტების რიცხოვნობა ვეღარ მატულობს საკანონმდებლო ბაზისა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მეთოდების დახვეწის გამო, ხოლო უფროსი ასაკის კრიმინალური ავტორიტეტების სიმცირე კი გამოწვეულია, მათი საქმიანობის სახიფათო ხასიათიდან და ცხოვრების რთული პირობებიდან გამომდინარე, რის საფუძველზეც, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი აღწევს ხნიერ ასაკამდე.

60 წელს ზევით კანონიერი ქურდების რიცხვი საერთო რაოდენობის 9%-ს არ აღემატება. ის ფაქტი, რომ მათი რაოდენობა ასეთი მცირეა, განპირობებულია ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით (მათ შორის – ცხოვრების რთული პირობებით, ციხეში გატარებული წლებით და ა.შ.). 60 წლის ასაკობრივ ზღვარს აბიჯებენ მხოლოდ განსაკუთრებით გონიერი, ფრთხილი და ძლიერი კანონიერი ქურდები. კრიმინალთა ამ ჯგუფში არიან ცნობილი კანონიერი ქურდები: ასლან უსოიანი - „დედ ხასანა“, გიორგი ჩიქოვანი - „პაპაშა“, ჯემალ შავლაძე - „ჩაი“ და ა.შ. მათ შორის ყველაზე ხნიერი გიორგი ჩიქოვანია, რომელიც ამავედროულადერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულიცაა.

ყოველივე ზემოთ მითითებულიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის შედეგად საქართველოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, წინა წლებისგან განსხვავებით შემცირდა არასრულწლოვანთა მისწრაფება ამ სამყაროსაკენ. დანაშაულებრივ ავტორიტეტთა ძირითადი ოდენობის მოხვედრა 25-40 და 40-60 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ასევე ლოგიკურია, რადგან აღნიშნული წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედებისა და კრიმინალური ცხოვრების ყველაზე აქტიურ ასაკს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გააკეთდეს დასკვნა, რომ ასაკობრივი ნიშნით ქართველი კანონიერი ქურდები დიდად არ უნდა განსხვავდებოდნენ სხვა ქვეყნების კრიმინალური ავტორიტეტებისაგან.

ასევე საინტერესოა, განხილულ იქნეს, თუ რა ასაკში ანიჭებენ ქართველ კანონიერ ქურდებს „საპატიო“ კრიმინალურ წოდებას. მითითებულთან დაკავშირებით, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ რიცხობრივად დიდი უპირატესობა ენიჭება 21-დან 30 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს და შეადგენს სრული ოდენობის 85%-ს. მითითებული პროცენტი არ უნდა იყოს გასაკვირი იქიდან გამომდინარე, რომ ქურდული წესების შესაბამისად, ადამიანისათვის საპატიო კრიმინალური წოდების მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წარმოაჩენს თავის შესაძლებლობებს, როგორც წარმატებული და „გონიერი“ დამნაშავე, ერთგული ადამიანი, რომელიც ზედმიწევნით იცავს ტრადიციული კრიმინალური ცხოვრების წესს და დაამტკიცებს, რომ არის ღირსი, მიენიჭოს „კანონიერი ქურდის“ წოდება. ცხადია, იმისათვის, რომ პირმა წარმოაჩინოს ყველა ეს შესაძლებლობა, დაიმკვიდროს ქურდული სამყაროს „ერთგული“ და „წარმატებული“ კრიმინალის სახელი, გარკვეულ დროს მოითხოვს. შესაბამისად, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყველაზე ხელსაყრელ ასაკს სწორედ 21-დან 30 წლამდე პერიოდი წარმოადგენს, თუმცა ეს არ გამორიცხავს უფრო ახალგაზრდა კრიმინალთა „მონათვლის“ შესაძლებლობას, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მათი რაოდენობა შეუდარებლად მცირეა და წარმოადგენს სრული ოდენობის მხოლოდ 10%-ს. ზემოთ მითითებული მიზეზების გამო ახალგაზრდულ ასაკში, კრიმინალთათვის კანონიერი ქურდის სტატუსის მინიჭება ძალიან იშვიათად ხდებოდა და, როგორც წესი, ისინი წარმოადგენდნენ განსაკუთრებით გონიერ, გაბედულ და მოხერხებულ დამნაშავეებს. აღნიშნულთა შორის არიან ისეთი ცნობილი კანონიერი ქურდები, როგორებიცაა ასლან უსოიანი - „დედ ხასანა“, რომელიც „მოინათლა“ 14-15 წლის და ზაქარია კალაშოვი, იგივე „შაქრო მალადო“, რომლის კორონაციაც მოხდა 18 წლის ასაკში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევაში, მხოლოდ კანდიდატის გამორჩეული პირადი თვისებების გამო არ უშვებდნენ ასეთ გამონაკლისებს - ითვალისწინებდნენ მათი კრიმინალი „მამებისა“ თუ „ბიძების“ ავტორიტეტს და სწორედ უფროსი თაობის დამსახურების გამო ენიჭებოდათ საპატიო დანაშაულებრივი წოდება.

ქურდულ სამყაროში ყველაზე მცირე ოდენობით არიან წარმოდგენილნი 30 წლის ასაკის გადაცილების შემდეგ „მონათლული“ კანონიერი ქურდები, რომლებიც შეადგენენ საერთო ოდენობის 5%-ს. აღნიშნული, ასევე, მეტად ლოგიკურია, რადგან ძირითად შემთხვევაში, პირებს, რომელთაც უნდათ დანაშაულებრივი ავტორიტეტობა, ბავშვობიდანვე ჩამოყალიბებული აქვთ შეხედულებები და, შესაბამისად, თუ აქვთ ამის უნარი, დასახულ მიზანს 20-25 წლის ასაკში აღწევენ. იმ შემთხვევაში, თუ ქურდული სამყაროს წევრის „მონათულა“ არ მოხდა 30 წლამდე, ე.ი. მას ან ამის შესაძლებლობა არ გააჩნია, ან სურვილი აქვს განაგრძოს კრიმინალური საქმიანობა ყოველგვარი ოფიციალური წოდების გარეშე.

მრავალფეროვანია ქართული ქურდული სამყარო, ეთნიკური წარმომავლობითაც. ცხადია, ოდენობის მიხედვით პირველ ადგილზე არიან ეთნიკურად ქართველი დანაშაულებრივი ავტორიტეტები. ისინი შეადგენენ მთელი ოდენობის 85%-ს. მათ შემდეგ მეორე ადგილზე არიან ქურთი კანონიერი ქურდები, რომლებიც შეადგენენ საქართველოს კრიმინალური ლიდერების 5%-ს. ქართული ქურდული სამყაროს 4%-ს შეადგენენ სომეხი ავტორიტეტები, ხოლო იეზიდები წარმოდგენილნი არიან ამ გაერთიანებაში 3%-ით. მიუხედავად არცთუ დიდი ოდენობისა, უნდა აღინიშნოს, რომ იეზიდი კანონიერი ქურდები სარგებლობენ უდიდესი ავტორიტეტით. მათ შორის არიან არა მარტო ქართულ, არამედ, ზოგადად, ქურდულ სამყაროში დღესდღეობით ყველაზე გავლენიანი კანონიერი ქურდები: ასლან უსოიანი და ზაქარია კალაშოვი. აღნიშნულ დანაშაულებრივ ელიტაში 2%-ით არიან წარმოდგენილნი ეთნიკურად ბერძენი კანონიერი ქურდები, ხოლო ყველა დანარჩენი ეროვნების კრიმინალები შეადგენენ სრული ოდენობის დაახლოებით 1%-ს.

როგორც მითითებულიდან ჩანს, ქართული ქურდული სამყარო საკმაოდ მრავალფეროვანია. ცხადია, მთლიანად მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობიდან გამომდინარე, უდიდეს უმრავლესობას სწორედ ქართველი კრიმინალები შეადგენენ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე კრიმინალურ ვითარებას ძირითადად სწორედ ისინი აკონტროლებდნენ, თუმცა, აქვე არ შეიძლება, არ აღინიშნოს იეზიდი ქურდების ფრთა, რომლებიც ყოველთვის დიდი ავტორიტეტით გამოირჩეოდნენ და დღესაც წამყვანი პოზიციები უკავიათ მთლიანად კრიმინალურ სამყაროში.

მნიშვნელოვანია ასევე იმ ფაქტის განხილვა, თუ საქართველოს რომელი კუთხეებიდან და ქალაქებიდან არიან წარმოშობით კანონიერი ქურდები. ამ მიმართულებით ყველაზე მეტი წარმომადგენელი ქურდულ სამყაროში ჰყავს თბილისსა და იმერეთს, რომელთა ოდენობაც შეადგენს ქართველი კრიმინალური ლიდერების 27-27%. უნდა აღინიშნოს, ის ფაქტიც, რომ მთელი იმერელი კრიმინალური ავტორიტეტების 63% ქუთაისიდანაა. ზემოთ მითითებულ ტერიტორიათა შემდეგ, ყველაზე მეტი ოდენობის წარმომადგენლები კრიმინალურ ელიტაში ჰყავს აფხაზეთს. ადგილობრივი კანონიერი ქურდები შეადგენენ ქართული ქურდული სამყაროს 16%-ს. წარმომადგენლების 10% წარმოშობით სამეგრელოდანაა, ხოლო დანარჩენი კუთხეებიდან თითოეული (გურია, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი, აჭარა) 4%-ს არ აღემატება.

როგორც ვხედავთ, პირველი ადგილი ქურდული სამყაროს წევრების მხრივ უკავია თბილისს, რაც არაა გასაკვირი, რადგან იგი წარმოადგენს საქართველოს დედაქალაქს, რომლის მოსახლეობაც მილიონზე მეტია. როგორც წესი, ასეთ ადგილებში კრიმინოგენური ვითარება ყოველთვის მაღალია, ასევე, მეტი შესაძლებლობებია მომავალი თაობის უკანონო საქმიანობაში ჩასათრევად, შესაბამისად, ის ფაქტი, რომ თბილისელი ქურდები პროცენტულად ბევრნი არიან ლოგიკურია. იმერეთიდანაც, სხვა კუთხეებთან შედარებით, საკმაოდ ბევრი დანაშაულებრივი ავტორიტეტია წარმოშობით. მითითებული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ აღნიშნულ რეგიონში განსაკუთრებით კი ქუთაისში, ყოველთვის პოპულარული იყო ე.წ. „ქურდული გაგება“ და, შესაბამისად, ახალგაზრდობის დიდ ნაწილს სურდა, „კანონიერი ქურდის“ სტატუსისათვის მიეღწია. სწორედ მითითებული მიზეზები წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ ქართული ქურდული სამყაროს უმრავლესობა და ასევე მისი ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ნაწილი წარმოშობით სწორედ ქუთაისიდანაა.

აღსანიშნავია ასევე აფხაზეთი, საიდანაცაა წარმოშობით კრიმინალური ელიტის 16%. ადგილობრივი კანონიერი ქურდები ყოველთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ და განცალკევებული იყვნენ სხვა ქართველი კრიმინალური ავტორიტეტებისაგან, რასაც საფუძველი შეუქმნა სეპარატისტულმა პოლიტიკამ, რომელიც ყოველთვის აქტუალური იყო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის აღნიშნულმა მიზეზმა

მნიშვნელობადაკარგა. 2004 წელს აფხაზ კანონიერ ქურდთა ხელმძღვანელის - აკაკი კოხიას გარდაცვალების შემდეგ, მათ სათავეში ჩაუდგა მისი დის შვილი - მერაბ ჯანგველაძე - იგივე „მერაბ სუხუმსკი“. აკავშირებდა რა ქუთაისელი კრიმინალური ავტორიტეტების ხელმძღვანელ - ტარიელ ონიანთან, ზედმეტსახელად „ტაროსთან“, ძველი მეგობრული ურთიერთობა, იგი თავისი დაუჯგუფებოთ შეურთდა ზემოხსენებულ კანონიერ ქურდთა კლანს. ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ ადგილობრივ დამნაშავეებს ჰქონდათ მოქმედების ფართო ასპარეზი როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის ერთ-ერთ საუკეთესო საკურორტო მხარეში, გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთი ესაზღვრება რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის სანაპირო ქალაქებს. ისევე, როგორც თბილისში, მოსახლეობისა და კრიმინალური საქმიანობის შესაძლებლობის კონცენტრაციამ განაპირობა ის ფაქტი, რომ საქართველოში კანონიერი ქურდების ერთ-ერთ ცენტრად აფხაზეთი იქცა.

კრიმინალური ავტორიტეტების ოდენობით ასევე აღსანიშნავია ქალაქი რუსთავი. მაშინ, როდესაც მთლიანად ქვემო ქართლის რეგიონიდან კანონიერ ქურდთა ოდენობა შეადგენს ქართველ დამნაშავეთა ელიტის 5%-ს, მხოლოდ რუსთავიდან წარმოშობით არიან ამ 5%-ის 78%, ანუ საქართველოს დანაშაულებრივი ლიდერების მთლიანი ოდენობის 4%. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მასშტაბით კრიმინალურ ავტორიტეტთა აღნიშნული ოდენობა არცთუ ისე დიდია, სამაგიეროდ შთამბეჭდავია რუსთაველი კანონიერი ქურდების დიდი ავტორიტეტი, რომელთაგან შეიძლება გამოვარჩიოთ ლაშა შუშანაშვილი - იგივე „ლაშა რუსტავსკი“, იგივე - „რუსთავი ერთი“, მისი ძმა კახა შუშანაშვილი, რომელიც ზედამხედველობას უწევდა ქურდული დაჯგუფებების მოქმედებას ევროპაში (დღესდღეობით დაპატიმრებულია ესპანელ სამართალდამცავთა მიერ ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაცია - „იავას“ ფარგლებში), ასევე, კობა შემაზაშვილი - იგივე „წიწილა“, იგივე - „რუსთავი ორი“, რომელიც ლაშა შუშანაშვილის უახლოეს თანამონაწილედაა ცნობილი და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს.

როგორც ვხედავთ, ტერიტორიების მიხედვით, საქართველოს ქურდულ სამყაროში პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებენ თბილისი და იმერეთი, სწორედ მათზე მოდის კრიმინალურ ავტორიტეტთა 54%, რასაც ზემოთ მითითებულის შესაბამისად

სრულიად ობიექტური მიზეზები გააჩნია. სხვა მხრივ კი აფხაზეთის გამოკლებით, რომელიც კრიმინალური ელიტის საკმაოდ სერიოზულ ცენტრად გვევლინება, კანონიერი ქურდები მეტნაკლებად თანაბრად - 2-4%-ის ოდენობით არიან გადანაწილებული საქართველოს დანარჩენი ტერიტორიების მიხედვით.

ზემოთ მითითებულ მონაცემებთან ერთად, ასევე სასურველია განხილულ იქნეს მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია ქურდული სამყაროს კანონებთან და ის, თუ რამდენად მტკიცედ იცავენ ამ დაჯგუფების წარმომადგენლები დადგენილ წესებს.

მითითებული დანაშაულებრივი გაერთიანების ჩამოყალიბების პერიოდში - 1920-იან წლებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აკრძალვას წარმოადგენდა ის, რომ კანონიერ ქურდს არ შეიძლებოდა ჰყოლოდა ოჯახი. აქ საუბარი იყო არა მხოლოდ ცოლის მოყვანაზე, არამედ იგი ვალდებული იყო, გაეწყვიტა ურთიერთობა მშობლებთან და დედმამიშვილებთან, ნათესავებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ჩაითვლებოდა კრიმინალური ავტორიტეტის სისუსტედ, რაც არავითარ შემთხვევაში არ ეპატიებოდა მას. ასევე, აქ გათვალისწინებული იყო ის მომენტიც, რომ მასთან დაახლოებულ პირთა წრის შეზღუდვით, მცირდებოდა ასევე მასზე ზეწოლის შესაძლებლობა.

აღნიშნულ აკრძალვასთან დაკავშირებითამუამად განსხვავებული სიტუაციაა. არსებული ვითარების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კანონიერი ქურდების 74% დაოჯახებულია, ანუ უგულვებელყოფს ამ წესს და მხოლოდ 26% დაუოჯახებელი. ცხადია, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მითითებულ კრიმინალთა ეს რაოდენობა სწორედ ქურდული კანონის შესაბამისადაა უცოლო. ელიტარულ დამნაშავეთა წრეში, ისევე, როგორც საზოგადოებაში ზოგადად, ყოველგვარი ზედმეტი საფუძვლების გარეშე არიან როგორც დაოჯახებულები, ასევე - დაუოჯახებლები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წლებთან ერთად იცვლება ქურდული წესები, რაც, ძირითადად, ემყარება დანაშაულებრივ ავტორიტეტთა სურვილს - არ იყვნენ ზედმეტად შეზღუდული და იცხოვრონ მაქსიმალურად კომფორტულ პირობებში.

ოჯახის შექმნის აკრძალვასთან ერთად, ასევე მეტად მნიშვნელოვან წესს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ კანონიერი ქურდი უნდა ყოფილიყო მრავალჯიხის ნასამართლელი. მითითებული დანაშაულის აუცილებლობა საკმაოდ ლოგიკური იყო, რადგან, ისევე, როგორც ყველა ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებას, ქურდული სამყაროს წევრებსაც სურვილი ჰქონდათ, რომ მათი რიგები გაძლიერებულიყო გამოცდილი, შეუპოვარი და ერთგული კრიმინალებით. ნათელია, ამ თვისებებს ისინი უკეთ გამოავლენდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სადაც დამნაშავეებს უნდა გაეძლიოთ ციხის ადმინისტრაციის ზეწოლისათვის და არ გაეკეთებინათ რამე ისეთი, რაც ქურდულ იდეოლოგიას ეწინააღმდეგებოდა. ასევე შეუპოვრად უნდა შებრძოლებოდნენ სხვა „გაგების“ პატიმრებს, თუ ისინი წავიდოდნენ ტრადიციული კრიმინალური წესების წინააღმდეგ. საბოლოო ჯამში, პიროვნების შეცნობა, თუ რამდენად გამოადგებოდა იგი ქურდულ სამყაროს და იმსახურებდა თუ არა იგი ამ „პატივს“, უნდა გადაწყვეტილიყო მისი, განსაკუთრებით კი საპატიმრო დაწესებულებებში გატარებული ცხოვრების შესაბამისად. აღნიშნულთან დაკავშირებით, ამჟამად ძალიან საინტერესო ვითარებაა. მითითებული მიმართულებით მონაცემთა გარკვევის შედეგად დადგინდა, რომ ქართველ კანონიერ ქურდთა 7% საერთოდ არაა ნასამართლები, ანუ მათ არანაირი გამოცდილება გააჩნიათ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნისა. შეიძლება აღინიშნოს, რომ ერთი შეხედვით 7% არცთუ ისე დიდი ციფრია, მაგრამ, როდესაც საკითხი ეხება ისეთ პრინციპულ დეტალს, როგორცაა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოხვედრა, სადაც გატარებული წლების გარეშე გამორიცხული იყო კანონიერი ქურდის წოდების მიღება, ეს უკვე სერიოზული მოვლენაა. ქურდულ კანონში ასეთი ცვლილების გარდა, ასევე აღსანიშნავია სხვა ცვლილებაც, თუ ადრე ავტორიტეტულ კრიმინალად ითვლებოდა ის, ვინც უშუალოდ სჩადიოდა დანაშაულებს, ბოლო პერიოდის სტატისტიკის შესაბამისად, კანონიერი ქურდების უმრავლესობა პირადად აღარ სჩადის დანაშაულს. ფაქტობრივად, ისინი გვევლინებიან კრიმინალური ქმედების ორგანიზატორებად, რომლებიც გვემჩვენ დანაშაულებრივ აქტებს და შემოსავალს იღებენ ისე, რომ უშუალოდ არაფერში ერევიან. თავდაპირველი წესების შესაბამისად, კანონიერი ქურდის შემოსავლის ერთადერთი წყარო შეიძლებოდა ყოფილიყო დანაშაულებრივი საქმიანობა, ახლა კი ფაქტობრივად კრიმინალური ავტორიტეტები შემოსავალს იღებენ არა პირადი საქმიანობის, არამედ - სხვათა

კანონსაწინააღმდეგო ქმედების ხარჯზე. მითითებული მდგომარეობა შეესაბამება ამერიკულ-იტალიური მაფიოზების და არა ტრადიციული ქურდული სამყაროს საქმიანობის სტილს.

ერთხელ ან ორჯერ ნასამართლევი კრიმინალური ავტორიტეტები უმრავლესობაში არიან, მათი რიცხვი შეადგენს ქურდების საერთო ოდენობის 50%-ს. მითითებული ფაქტიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ კანონიერ ქურდებს სრულად არ აუღიათ ხელი დანაშაულის ჩადენაზე, თუმცა რიგ შემთხვევაში მათი გისოსებს მიღმა მოხვედრა უკავშირდება არა რაიმე ქონებრივ დანაშაულს, არამედ ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო მოხმარებას, ან შეძენა-შენახვას, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვოდ ტარებას, ანუ ესენი არიან დამნაშავეები, რომლებსაც გარკვეული გამოცდილება აქვთ მიღებული საპატიმრო დაწესებულებებში, თუმცა ძველ ტრადიციულ დანაშაულს, რომ მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო მხოლოდ უშუალო კრიმინალური საქმიანობა ყოფილიყო, არ ასრულებენ.

დანაშაულებრივ ავტორიტეტთა შედარებით ნაკლები ოდენობა - 39% - არის ნასამართლევი 2-5-ჯერ. აღსანიშნავია, რომ მათ რიგებს უმეტეს შემთხვევაში მიეკუთვნებიან შედარებით ასაკიანი კანონიერი ქურდები, რომლებიც, ძირითადად, ციხეებში გასული საუკუნის 80-90-იან წლებში მოხვდნენ.

უმნიშვნელოა იმ კანონიერ ქურდთა ოდენობა, რომლებიც ნასამართლევი არიან 5-ზე მეტჯერ. მათი რიცხვი შეადგენს მხოლოდ 4%-ს. ამ მცირე ოდენობის კრიმინალური ავტორიტეტებიდან არანაკლებ 90% არის ძველი ტრადიციული ქურდული სამყაროს წარმომადგენელი და, ასევე, შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ ე.წ. „ქურდული იდეის“ ერთგული კრიმინალი.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, თანამედროვე პერიოდში ციხეში მოხვედრას აღარ ენიჭება დიდი მნიშვნელობა კანონიერი ქურდებისათვის. თუ ძველად სწორედ მითითებული იყო სავალდებულო პირის კრიმინალურ ავტორიტეტად მიჩნევისათვის, ამჟამად შეიცვალა აღნიშნული წესი. საბოლოო ჯამში, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ კანონიერი ქურდები ადვილად უღებენ ალღოს თანამედროვე პირობებს და შესაბამისად, ცვლიან მოქმედებისა თუ ცხოვრების წესებს; მათთვის უცვლელი რჩება მხოლოდ ერთადერთი მიზანი - დიდი შემოსავლის მიღება.

ქართველი კანონიერი ქურდების მენტალობის შესწავლის მიზნით, მნიშვნელოვანია მათ მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებების განხილვა. აღსანიშნავია, რომ კრიმინალური ავტორიტეტების მიერ ჩადენილ დანაშაულებს შორის, რისთვისაც ისინი ნასამართლევნი არიან, პირველი ადგილი უჭირავს ქურდობას (21%). ქურდული სამყაროს თავისებურებიდან გამომდინარე, აღნიშნული ლოგიკურია, რადგან კრიმინალური ავტორიტეტების უმრავლესობა საწყის ეტაპზე ყველაზე ხშირად მითითებულ დანაშაულს სჩადის. ასევე მეტად აქტუალურია ნარკოტიკული დანაშაული, რომელშიც შედის როგორც ნარკოტიკების უკანონო მოხმარება, ასევე შექმნა-შენახვაც. მითითებულს გააჩნია შესაბამისი ობიექტური მიზეზები, რაც, ერთი მხრივ, გამოიხატება იმაში, რომ ქურდული სამყაროს დიდი ნაწილი აქტიურად იყენებს ნარკოტიკულ საშუალებებს, ხოლო მეორე მხრივ კი გასულ საუკუნეში, ვინაიდან არ არსებობდა სისხლის სამართლებრივი ნორმები, მიმართული უშუალოდ კრიმინალური სამყაროს ლიდერების წინააღმდეგ, რომლებიც, მართალია, არ მონაწილეობდნენ დანაშაულებრივ ქმედებაში, მაგრამ ორგანიზებას უკეთებდნენ მათ, ამიტომ კრიმინალური ელიტის წევრების მოთავსება სასჯელთაღსრულების დაწესებულებებში საკმაოდ რთული იყო. შესაბამისად პოლიციელები ხშირად იყენებდნენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს მათ წინააღმდეგ, რათა ჰქონოდათ კანონიერი საფუძველი კრიმინალური ავტორიტეტების ციხეში მოსათავსებლად.

ჩადენილ დანაშაულთა 13% მოდის იარაღის უკანონო შექმნა-შენახვასა და ტარებაზე. სახიფათო ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, ყველა კანონიერი ქურდი უკანონოდ ატარებდა და ატარებს ცეცხლსასროლ იარაღს. აღნიშნულს, ისევე, როგორც ნარკოტიკულ ნივთიერებებს, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები ყოველთვის დიდი წარმატებით იყენებდნენ კანონიერი ქურდების დასაკავებლად.

კრიმინალური ავტორიტეტების მიერ ჩადენილ დანაშაულთა შორის 4%-ით არცთუ უმნიშვნელო ადგილს იკავებს მკვლელობა. აღნიშნული მაინცდამაინც არ შეესაბამება ე.წ. „ქურდულ კანონს“, რაც თავდაპირველად მკაცრად გამორიცხავდა ყოველგვარ ძალადობრივ დანაშაულს, განსაკუთრებით - მკვლელობას. თანამედროვე პერიოდში მითითებულ აკრძალვას აღარავინ ემორჩილება. ამჟამად, არათუ ჩვეულებრივი მოქალაქის, არამედ კანონიერი ქურდის მიერ მისივე რანგის

დანაშაულებრივი ავტორიტეტის მკველლობაც კი აღარ იწვევს დიდ გაკვირვებას, თუმცა, ცხადია, ფორმალურად მაინც ხდება ასეთი ფაქტების მიჩქმალვა, რათა საბოლოოდ არ მოხდეს ქურდულ კანონზე უარის თქმა, რომლის შესაბამისადაც, „სხოდკის“ გადაწყვეტილების გარეშე კანონიერი ქურდის მკველელი უცილობელი სიკვდილით ისჯებოდა.

არსებული ინფორმაციის შესაბამისად, კანონიერი ქურდების მიერ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებში უმნიშვნელო ადგილი უჭირავს ყაჩაღობას, რომელიც მთლიანად ჩადენილი დანაშაულების 1%-ს შეადგენს. ცხადია, აღნიშნულსაც გააჩნია თავისი ობიექტური მიზეზები: ერთი მხრივ, ყაჩაღობა ხიფათის შემცველია და მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული, ასევე, მკაცრად დასჯადი, ხოლო, მეორე მხრივ, ქურდული ტრადიციით დადგენილი წესებით, ძალადობრივი დანაშაულები და, ცხადია, ყაჩაღობაც დიდად მოწონებული არაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, სავარაუდოდ, ეს ყველაზე მცირე მიზეზია არსებული რეალობისა.

რაც შეეხება დანაშაულთა საერთო მაჩვენებლის დარჩენილ 43%-ს, აღნიშნულში გაერთიანებული ყველა სხვა დანაშაული, რომელთათვისაც სასჯელი დაკისრებით ქურდული სამყაროს ლიდერებს.

ქურდული ტრადიციები რომ იცვლება, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ, არსებული ინფორმაციით, კრიმინალურ ლიდერთა 60%-ზე მეტი მოიხმარს ნარკოტიკებს. მაშინ, როდესაც გასული საუკუნის 20-იან წლებში კანონიერ ქურდებს ეკრძალებოდათ ალკოჰოლური სასმელის უზომოდ სმა, რათა ყოველთვის ადეკვატურად ეაზროვნათ და ახალგაზრდობისათვის მისაბამი ყოფილიყვნენ, ამჟამად ფაქტობრივად, არავითარი შეზღუდვა აღარ არსებობს სასმელზე, მითუმეტეს ბევრად უფრო საზიანო – ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენებაზე და მხოლოდ ავტორიტეტულ კრიმინალთა სურვილზეაა დამოკიდებული მისი მოხმარება.

საინტერესოა კანონიერი ქურდების საქმიანობის წესი, კერძოდ, როგორ მოქმედებენ ისინი - ჯგუფურად თუ დამოუკიდებლად. ამ კუთხით შეიძლება ითქვას, რომ თითქმის სრული თანაფარდობაა. მათი ნახევარი საქმიანობს ერთობლივად დიდ გაერთიანებებში, რომელთა შორისაა დღესდღეობით ყველაზე ძლიერი

კალაშოვი – უსოიანი – შუშანაშვილისა და ონიანი - ჯანგველადის ურთიერთდაპირისპირებული დაჯგუფებები. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დანაშაულებრივ ავტორიტეტთა მეორე ნაწილიც არ საქმიანობს ეულად, ანუ დაჯგუფება, ფაქტობრივად, ყველა კანონიერ ქურდს ჰყავს. მათი უმრავლესობა ირგვლივ იკრებს რიგით კრიმინალებს და ქმნის გაერთიანებას, სადაც იგი არის ლიდერი და მმართველი, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი ავტორიტეტი ეცემა რიგით დამნაშავეებთან ერთად კრიმინალური ორგანიზაციის შექმნით. მაგალითად, რობიზონ არაბულს - „რობიზონას“ და რევაზ ბუსნიკაშვილს - „პეწოს“, თავიანთი კრიმინალური დაჯგუფებები ჰყავთ, სადაც მხოლოდ ისინი არიან კანონიერი ქურდები. ორივე მათგანი საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალად ითვლება ქურდულ სამყაროში.

საქართველოში არსებული ვითარებიდან, კერძოდ, კი სამართალდამცავ ორგანოთა მიერ ქურდული სამყაროს წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლიდან გამომდინარე, დანაშაულებრივი ელიტის უდიდესმა უმრავლესობამ დატოვა საქართველო, ამიტომ ინტერესს მოკლებული არ არის იმის გარკვევა, ქვეყნის დატოვების შემდეგ სად განაგრძეს დანაშაულებრივი ქმედებები.

ფაქტობრივად, დიდ გაკვირვებას არ იწვევს ის, რომ ქართველ კანონიერ ქურდთა 69% მოქმედებს რუსეთის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ კრიმინალურ ავტორიტეტთა მიგრაცია საქართველოდან რუსეთში არ დაწყებულია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“. 1990-იანი წლებიდან ქართველ კრიმინალთა უმრავლესობა რუსეთში გადაბარგდა, რაც გამოწვეული იყო დიდი შემოსავლების მიღების სურვილით, რისი შესაძლებლობაც იქ ბევრად უფრო მეტი იყო. საქართველოში ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების შემდეგ რუსეთში თავმოყრილ ძველ კრიმინალებს ახალბედებიც მიემატნენ. ამასთან, ქურდული სამყაროსათვის მთელი საბჭოთა კავშირი ერთიან სივრცეს წარმოადგენდა. შესაბამისად, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობიდან მოყოლებული მათ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირები ჰქონდათ, რის საფუძველზეც არც თანამედროვე პერიოდში გასჭირვებიათასეთ დაჯგუფებებში გაერთიანება. გარდა ამისა, რუსეთში მათ არ ჰქონდათ ენობრივი ბარიერი და საბოლოოდ, ყველაზე მთავარი - მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში და, მათ შორის, ამ ქვეყანაშიც ქურდულ სამყაროს

სწორედ საქართველოდან გადასული კანონიერი ქურდები აკონტროლებდნენ და კვლავაც აკონტროლებენ.

ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტა 10-12% კვლავაც საქართველოშია, რომელთაგან, 4-5 კანონიერი ქურდის გარდა, ყველა სასჯელს იხდის. საპატიმრო დაწესებულებათა გარეთ დარჩენილი არიან მხოლოდ ისინი, რომლებიც, ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მოკლებული არიან შესაძლებლობას, განახორციელონ დანაშაულებრივი საქმიანობა. მათ შორის არიან გიორგი ჩიქოვანი, რომელიც 86 წლისაა, ჯემალ შავლაძე, იგივე „ჩაი“, რომელიც მძიმედ არის ავად და სხვები.

ქართველ კანონიერ ქურდთა 6% უკრაინაში იმავე მიზეზებითაა თავმოყრილი, რითაც განპირობებული იყო რუსეთში მათი გადასვლა, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში ქართველ და უკრაინელ სამართალდამცავთა მჭიდრო თანამშრომლობის, ასევე, საქართველოს პოლიციის წარმომადგენელთა კიევში გაგზავნისა და ადგილზე საქმიანობის შედეგად უკრაინა არცთუ ისე უსაფრთხო ქვეყანად გადაიქცა ქართული წარმოშობის დანაშაულებრივი ელიტის წევრთათვის.

ქართველი კანონიერი ქურდების ყველაზე დიდი აქტიურობა ფიქსირდება ესპანეთსა და საფრანგეთში, თუმცა არც სხვა ქვეყნები დარჩენილა კრიმინალთა ყურადღების მიღმა. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიაში ამ სამყაროს არცთუ მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი საქმიანობდა, ქალაქ ვენაში კრიმინალურ ვითარებას აკონტროლებდა ქართველი კანონიერი ქურდი ზაალ მახარობლიძე, ზედმეტსახელად „გლეხოვიჩი“, რომელიც ქართველ სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების აქტიური ჩარევით 2006 წელს დაპატიმრებულ იქნა რეკეტისა და სხვა დანაშაულებისათვის. ასევე, საბერძნეთში მოღვაწეობს ქართული კრიმინალური ელიტა, რომელიც, არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ისევ საქართველოდან სამუშაოდ ჩასულ ხალხს სძალავს ფულს. საბოლოო ჯამში, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ქართველი კრიმინალები, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში არიან ძირითადად, კონცენტრირებული, მცირე ოდენობით მოდებული არიან მთელ ევროპას და უარს არ ამბობენ არანაირ დანაშაულებრივ საქმიანობაზე, საიდანაც შესაძლებელია დიდი ოდენობით შემოსავლების მიღება. მიუხედავად მათი გაფანტულობისა სხვადასხვა ტერიტორიებზე, დანაშაულებრივი

ელიტის წარმომადგენელთა მოქმედებაში მაინც იგრძნობა ორგანიზებულობა, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება „ობშიაკისათვის“ - საერთო ქურდული სალაროსათვის თანხის შეგროვებაში, რომელიც იკრიბება კრიმინალთა მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებების საფუძველზე მიღებული შემოსავლებიდან გარკვეული პროცენტის სახით.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქართველ კანონიერ ქურდთა შორის ეთნიკურ უმრავლესობას ქართველები წარმოადგენენ, რაც საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური უმრავლესობიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, თუმცა, აქ არის ერთი, უდავოდ საინტერესო ფაქტორი - მიუხედავად მცირე ოდენობისა, კრიმინალური ელიტის იეზიდი წარმომადგენლები არაფრით ჩამოუვარდებიან ქართველ კანონიერ ქურდებს ავტორიტეტითა თუ გავლენის სფეროებით. აღსანიშნავია ისიც, რომ, მიუხედავად საქართველოში მაცხოვრებელი რუსების სიმრავლისა (განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იან წლებში), ქართულ კრიმინალურ ელიტაში არცერთი რუსი კანონიერი ქურდი მოიძებნება. ასევე მრავალფეროვანია ქართველი ქურდების დაბადებისა თუ წარმოშობის გეოგრაფია. ამ დანაშაულებრივი ელიტის წარმომადგენლები გვხვდებიან საქართველოს ყველა კუთხეში, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ოდენობით, რომელთა შორის უპირობო „ლიდერობა“ თბილისსა და ქუთაისს ენიჭება.

კრიმინალთა მიერ ე.წ. „ქურდული კანონების“ შეცვლისა და უარყოფის მაჩვენებელია ის ფაქტი, კანონიერი ქურდების 75%-ს შექმნილი აქვს ოჯახი, 60%-ზე მეტი წარმოადგენს ნარკოტიკული ნივთიერებების აქტიურ მომხმარებელს, დანაშაულებრივ ავტორიტეტთა 7% საერთოდ არაა ნასამართლავი, ხოლო 50% სასჯელადსრულების დაწესებულებებში მოხვედრილია მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ, ქურდობის განხორციელებისათვის, რაც მათივე კანონებით შემოსავლის ერთადერთი საშუალება უნდა ყოფილიყო, მხოლოდ 21%-ია ნასამართლავი.

რაც შეეხება კანონიერი ქურდების საქმიანობის ტერიტორიებს, შეიძლება გააკეთდეს დასკვნა, რომ ისინი ფაქტობრივად იდეალურად ახდენენ ადაპტირებას თანამედროვე გამოწვევებთან, რაც გამოიხატება გავლენის ტერიტორიების პერმანენტულ ზრდაში, ანუ პირველივე შესაძლებლობისთანავე, რომელიც მათ ეძლევათ, ისინი დაუყოვნებლივ აფართოებენ თავიანთი საქმიანობის ფარგლებს სხვადასხვა

ქვეყნების ტერიტორიაზე, სადაც ამკვიდრებენ როგორც ტრადიციულ კრიმინალურ წესებს, ასევე ამ კანონებს ადაპტირებენ თანამედროვე რეალობასთან.

3.2 საზოგადოებრივი აზრი ორგანიზებული დანაშაულობისა და კანონიერი ქურდების შესახებ

საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლების - კანონიერი ქურდების ძირეულად შესასწავლად, აუცილებელი გახდა სპეციალური კვლევის ჩატარება. სწორედ ამ მიზნით შემუშავებულ იქნა გამოკითხვის ორი სახის ანკეტა. ერთი განკუთვნილი იყო საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფისათვის, რათა გაირკვეულიყო, თუ რა შეხედულებები და მოსაზრებები ჰქონდათ მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებს აღნიშნულ სოციალურ მოვლენასთან დაკავშირებით, რა პრობლემას ხედავენ მათში და როგორია ამ სირთულეების გადაჭრის თაობაზე ხალხის შეხედულება. რაც შეეხება მეორე სახის ანკეტას, იგი განკუთვნილი იყო ექსპერტთათვის, რომელთაც გააჩნიათ დიდი ცოდნა და გამოცდილება მითითებულ სფეროში. შესაბამისად, აღნიშნული გამოკითხვის მეშვეობით გაირკვეოდა, თუ რა შეხედულებები ჰქონდათ ექსპერტებს ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, როგორია მათი თვალით დანახული პრობლემები და როგორ ესახებათ მითითებულ პრობლემათა გადაჭრის გზები ქურდულ სამყაროსთან ბრძოლის საქმეში.

ზემოაღნიშნული მიზნით, გამოიკითხა საქართველოს მოსახლეობის ორმოცეცაცანი ხუთი სოციალური ჯგუფი, კერძოდ, სკოლის მოსწავლეები, დაუსაქმებელი ახალგაზრდები 18-და 25 წლამდე, სოფლის მოსახლეობა, პოლიციის აკადემიის კურსანტები და პოლიციის თანამშრომლები. დასახელებული ჯგუფები შერჩეულ იქნა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: პირველ რიგში, მნიშვნელოვანი იყო სკოლის მოსწავლეთა შეხედულებები და მათი დამოკიდებულება

დანაშაულებრივი გაერთიანების ლიდერებისა და მათი ცხოვრების წესისადმი. ასევე, მეტად საინტერესო იყო 18-დან 25 წლამდე დაუსაქმებელი ახალგაზრდობის მოსაზრებებიც მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, რადგან მათ თავისუფალი დრო ჰქონდათ, სავარაუდოდ, ისინი დიდ დროს ატარებდნენ ქუჩაში, შესაბამისად, მათგან შესაძლებელი იქნებოდა გაგება, თუ რა ვითარება იყო ამ მიმართულებით აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში. ინტერესმოკლებული არ ყოფილა სხვადასხვა ასაკის სოფლის მოსახლეობის შეხედულება კანონიერ ქურდებზე და ქურდულ სამყაროზე, რადგან განსხვავებულია ქალაქისა და რაიონის მაცხოვრებელთა შეხედულებები. მნიშვნელოვანი იყო ასევე პოლიციის აკადემიის კურსანტების მოსაზრებები მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით, რადგან გამოკითხვის ეტაპზე ისინი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, უფრო მეტიც, ისინი იყვნენ ჩვეულებრივი ახალგაზრდები, რომელთაც გადაწყვიტეს საქმიანობა სამართალდამცავ სისტემაში და, შესაბამისად, აღნიშნული საკითხების შესწავლისას საინტერესო უნდა ყოფილიყო მომავალი პოლიციელების შეხედულებები. რაც შეეხება გამოკითხვის ბოლო სოციალურ ჯგუფს - შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, გამოკითხულთა შორის ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფი იყო ამ მიმართულებით არსებული ვითარების შესწავლის, განზოგადებისა და ანალიტიკური შეფასების თვალსაზრისით, რადგან სწორედ ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად უპირისპირდებოდნენ, როგორც ორგანიზებულ დანაშაულობას, ასევე, კრიმინალის სხვა სახეობებს. დამატებით შემუშავებულ იქნა სპეციალური ანკეტა ექსპერტთათვის, რომელთაც გააჩნიათ ქურდულ სამყაროსთან ბრძოლის დიდი პრაქტიკული გამოცდილება. მითითებული ანკეტა აბსოლუტურად განსხვავებული ფორმატით იყო შედგენილი, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა უფრო მოცულობითი და ღირებული ინფორმაციის მოძიება ამ კვლევისათვის.

რაც შეეხება უშუალოდ ანკეტური გამოკითხვის შედეგებს, პირველ დასმულ კითხვაზე, თუ ვინ არიან კანონიერი ქურდები, მოსწავლეთა 85%-ის აზრით, ისინი არიან დანაშაულებრივი საქმიანობის ორგანიზატორები, ხოლო 15% მიუთითებს, რომ ისინი არიან ყაჩაღები. 18-დან 25 წლამდე დაუსაქმებელი ახალგაზრდობის 75,5%-ის შეხედულებით, ქურდული სამყაროს ლიდერები არიან დანაშაულებრივი საქმიანობის ორგანიზატორები, 2,5% ფიქრობს, რომ ისინი წარმოადგენენ სერიულ

მკვლევებს, 5% მათ კორუმპირებულ მოხელეებად მიიჩნევა, ხოლო 15%-ის მოსაზრებით კი კრიმინალური ელიტის წარმომადგენლები ყაჩაღებად იყვნენ მიჩნეული. სოფლის მოსახლეობის შეხედულებები მსგავსია, კერძოდ, მათი 75% კანონიერ ქურდებს მიიჩნევს დანაშაულებრივი საქმიანობის ორგანიზატორებად, 7% - სერიულ მკვლევებად, ხოლო 18% კი ყაჩაღებად. რაც შეეხება პოლიციის აკადემიის კურსანტებს, ამ შემთხვევაშიც არ არის გასხვავებული მონაცემები, რაც სავარაუდოდ, განპირობებულია იმით, რომ მათ ჯერ არ ჰქონდათ დაწყებული პრაქტიკული საქმიანობა და ბოლომდე არ იყვნენ გათვითცნობიერებულნი კრიმინალური სამყაროს თავისებურებებში, კერძოდ, მათი 76% მიიჩნევს, რომ კანონიერი ქურდები წარმოადგენენ დანაშაულებრივი საქმიანობის ორგანიზატორებს, 7%-ის შეხედულებით, ისინი არიან სერიული მკვლევები, 6% მათ კორუმპირებულ მოხელეებად მიიჩნევა, ხოლო 11% კი ყაჩაღებად. დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციის თანამშრომელთა 100% მიუთითებს, რომ კანონიერი ქურდები წარმოადგენენ დანაშაულებრივი საქმიანობის ორგანიზატორებს, რაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან მათ გააჩნიათ ზუსტი ინფორმაციაროგორც ქურდული სამყაროს, ასევე მისი ლიდერების შესახებ.

როგორც მითითებულიდან ჩანს, გამოკითხულ პირთა უდიდესი უმრავლესობა გათვითცნობიერებულია, თუ რას წარმოადგენენ კანონიერი ქურდები, მხოლოდ მცირე ოდენობას არა აქვს ზუსტი წარმოდგენა მათზე. გამოკითხულთაგან გამოსარჩევია შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მოსაზრებები – ჯგუფის ყველა წევრმა გასცა სწორი პასუხი მითითებულ კითხვაზე, რაც ლოგიკურია და როგორც ზემოთ აღინიშნა, განპირობებულია მათი სამსახურებრივი საქმიანობით.

დასმულ კითხვაზე, თუ რამდენად ეფექტურია კანონიერი ქურდების წინააღმდეგ 2003 წლის შემდეგ გატარებული ღონისძიებები, სკოლის მოსწავლეთა 46%-მა უპასუხა, რომ მითითებული არის ძალიან ეფექტური, 38% მიიჩნევს, რომ უბრალოდ ეფექტურია, 8%-ის აზრით, ნაკლებად ეფექტურია და 8% კი მიიჩნევს, რომ არ არის ეფექტური. 18-დან 25 წლამდე დაუსაქმებელი ახალგაზრდობის 35% ფიქრობს, რომ გატარებული ღონისძიებები ძალიან ეფექტურია, 48% თვლის, რომ ეფექტურია, 10%-ის მოსაზრებით, ნაკლებად ეფექტურია, ხოლო 7% კი მიიჩნევს, რომ არაეფექტურია. მითითებულ საკითხთან დაკავშირებით სოფლის მოსახლეობის 39% თვლის, რომ

კანონიერი ქურდების მიმართ 2003 წლიდან გატარებული ზომები ძალიან ეფექტურია, 36% - ეფექტურია, 16% თვლის, რომ ნაკლებად ეფექტურია, ხოლო 9%-ს არაეფექტურად მიაჩნია. პოლიციის აკადემიის კურსანტთა 87% მიიჩნევს, რომ აღნიშნულ წლებში კანონიერი ქურდების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები ძალიან ეფექტურია, ხოლო 13%-ის აზრით, ეფექტურია. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მოსაზრებას, მათი 76% მიიჩნევს, რომ აღნიშნული ღონისძიებები ძალიან ეფექტურია, ხოლო 24%-ის აზრით კი უბრალოდ ეფექტური.

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, საქართველოში 2003 წლიდან კანონიერი ქურდების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების მიმართ საზოგადოებას პოზიტიური დამოკიდებულება აქვს. მოსახლეობა რეალურად აფასებს, თუ რა ზომები იქნა განხორციელებული დანაშაულებრივი ელიტის წარმომადგენლებთან ბრძოლაში. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მცირე ნაწილი მაინც ნაკლებად ეფექტურად ან არაეფექტურად მიიჩნევს გატარებულ ღონისძიებებს, რაც ზოგადად, შეიძლება შეფასებულ იქნეს როგორც დაკვეთა ხელისუფლების მიმართ, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს ქურდულ სამყაროსთან ბრძოლის ეფექტურობა და გაძლიერდეს მათ წინააღმდეგ მოქმედება. სხვა მხრივ, თუ არ ჩავთვლით პოლიციის აკადემიის კურსანტებსა და შსს მოქმედ თანამშრომლებს, შედეგები სხვა სოციალურ ჯგუფებში მეტნაკლებად ერთნაირია და უდიდესი უმრავლესობის აზრით, განხორციელებული ზომები ძალიან ან უბრალოდ ეფექტურია, რაც მეტყველებს იმაზე, რომ საზოგადოება გათვითცნობიერებულია მითითებულ საკითხებში და დადებითად აფასებს ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს ქურდულ სამყაროსთან ბრძოლის საქმეში. რაც შეეხება პოლიციის აკადემიის კურსანტებისა და შსს თანამშრომლების გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემებს, ამ მიმართულებით თითოეული მათგანი მიიჩნევს, რომ განხორციელებული ზომები არის ეფექტური, რაც, ერთი მხრივ, აიხსნება იმით, რომ მათ სხვა სოციალურ ჯგუფებზე მეტი ინფორმაცია გააჩნიათ პოლიციის საქმიანობასთან დაკავშირებით და მეორე მხრივ კი დარწმუნებული არიან განხორციელებული ქმედებების წარმატებულობასა და ეფექტურობაში.

კითხვაზე „გქონიათ თუ არა შეხება კანონიერ ქურდებთან?“ - სკოლის მოსწავლეთა 24% პასუხობს, რომ უბრალოდ იცნობს მათ, ხოლო 76% არ იცნობს. 18-დან 25 წლამდე დაუსაქმებელი ახალგაზრდობის მხოლოდ 3% იცნობს დანაშაულებრივი სამყაროს ლიდერებს, 3% დაზარალდა მათი ქმედებებისგან, ხოლო 94%-ს საერთოდ არ ჰქონია მათთან შეხება. ანალოგიურ კითხვაზე სოფლის მოსახლეობის 10% პასუხობს, რომ უბრალოდ იცნობს კრიმინალური ელიტის წარმომადგენლებს, 4%-ს მიუმართავს დახმარებისთვის, 3% დაზარალდა მათი ქმედებისაგან, ხოლო 83%-ს საერთოდ არ ჰქონია მათთან შეხება. გამოკითხული პოლიციის კურსანტები მიუთითებენ, რომ მათ არასოდეს ჰქონიათ შეხება კანონიერ ქურდებთან, ხოლო მოქმედ პოლიციის თანამშრომელთა 39% პასუხობს, რომ იცნობენ კანონიერ ქურდებს, 10% დაზარალდა მათი ქმედებისაგან, ხოლო 51%-ს არ ჰქონია შეხება.

ზემოაღნიშნული კვლევა ცხადყოფს, რომ არსებობს ერთგვარი მსგავსება სხვადასხვა სოციალური ჯგუფების პასუხთა შორის, რაც, პირველ რიგში, შეეხება იმ ფაქტს, რომ მათ სრულ უმრავლესობას არ ჰქონია შეხება კანონიერ ქურდებთან, ძალიან ცოტა იცნობს კრიმინალური სამყაროს ლიდერებს პირადად და კიდევ უფრო ცოტა დაზარალდა მათი ქმედებებისაგან. აღნიშნულს, სავარაუდოდ, საფუძვლად უდევს ის მიზანმიმართული ბრძოლა, რომელიც წარმოებს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ქურდული სამყაროსა და მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ, კერძოდ, მათ აღარ აქვთ საშუალება, განახორციელონ ქმედება საქართველოს ტერიტორიაზე, შესაბამისად, ვეღარც ვნებენ მოქალაქეებს და არც კავშირი გააჩნიათ მათთან. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ პოლიციის თანამშრომელთა 39% იცნობს კანონიერ ქურდებს, აღნიშნულიც ლოგიკურია, რადგან, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, ცხადია, უწევდათ და კვლავაც მოუწევთ კრიმინალური სამყაროს ლიდერებთან შეხვედრა. გარდა ამისა, ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ეფექტური ზომების მისაღებად საჭიროა, რომ სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლები ფლობდნენ რაც შეიძლება დიდ ინფორმაციას ამ სამყაროს წარმომადგენლებზე.

შემდეგ კითხვაზე - „თვლიან, თუ არა, რომ საზოგადოებაში კვლავაც მძლავრობს ქურდული ტრადიციები?“ - სკოლის მოსწავლეთა 30% დადებით პასუხს სცემს, 46%-ს მიაჩნია, რომ მსგავსი პრობლემა აღარ დგას ამ ეტაპზე, ხოლო 24%-ს კი

აღნიშნულთან დაკავშირებით არ გააჩნია ინფორმაცია. 18-დან 25 წლამდე დაუსაქმებელი ახალგაზრდობის მხოლოდ 13% მიიჩნევს, რომ ქურდული ტრადიციები კვლავაც მძლავრობს საზოგადოებაში. ამის საპირისპიროდ 55%-ის პასუხი უარყოფითია, ხოლო 32% კი პასუხს ვერ სცემს მითითებულ კითხვას. სოფლის მოსახლეობის 25% მიიჩნევს, რომ ქართული საზოგადოება აღნიშნული პრობლემის წინაშე კვლავაც დგას, 34%-ს მიაჩნია, რომ ამ საფრთხემ მოქალაქეთათვის უკვე გადაიარა, ხოლო 41%-ს არ გააჩნია პასუხი მითითებულ კითხვაზე. პოლიციის აკადემიის კურსანტთა 18% მიიჩნევს, რომ ქურდული გავლენა კვლავაც აქტუალურია, რის საწინააღმდეგო მოსაზრებაც გააჩნიათ ამ ჯგუფის გამოკითხულთა 77%-ს, ხოლო 5%-მა არაფერი იცის მითითებულ თემასთან დაკავშირებით. დასასრულს, პოლიციის თანამშრომელთა მხოლოდ 23% მიიჩნევს, რომ ქურდული ტრადიციები ჯერ კიდევ მძლავრობს ქვეყანაში, 73% თვლის, რომ ამ პრობლემამ უკვე გადაიარა და მხოლოდ 4%-ს არ გააჩნია მითითებულ კითხვაზე პასუხი.

ზემოთ აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ ქურდული ტრადიციების პრობლემა ჯერ კიდევ არსებობს სკოლებში, რასაც მოწმობს მოსწავლეთა 30%-ის მოსაზრება. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, სოფლის მოსახლეობის 25% თვლის, რომ მითითებული საკითხი კვლავაც აქტუალურია, ანუ საფიქრებელია, რომ სოფლებში უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც დგას ეს პრობლემა, რაც, სხვა პასუხებიდან გამომდინარე, მთლად ლოგიკურად არ უნდა ჩანდეს. ასევე აღსანიშნავია 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდობის შეხედულება - მხოლოდ მათ 13%-ს მიაჩნია მითითებული პრობლემა რეალურად, რის საფუძველზეც შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ქურდული ტრადიციები აშკარად შემცირებულია დაუსაქმებელ ახალგაზრდებს შორის. მითითებული დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან 2003 წლამდე ფაქტობრივად მომავალი თაობის უდიდესი უმრავლესობა კრიმინალური ტრადიციების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

შემდეგ კითხვაზე, რომელიც შეეხებოდა საკითხს, თუ რომელი ასაკობრივი ჯგუფი ექცევა ყველაზე მეტად ქურდული ტრადიციების გავლენის ქვეშ, ყველა სოციალურმა ჯგუფმა, გარდა მოქმედი პოლიციელებისა, მსგავსი პასუხები გასცა. კერძოდ, სკოლის მოსწავლეთა 61% მიიჩნევს, რომ უფრო მეტად კრიმინალური ტრადიციების გავლენის ქვეშ ექცევიან არასრულწლოვნები 18 წლამდე, 23%-ს

მიიჩნია, რომ აღნიშნულს წარმოადგენენ ახალგაზრდები 18-დან 25 წლამდე და 16% მიიჩნევს, რომ მითითებული საფრთხის წინაშე ღებანან ადამიანები 25 წლიდან ზევით. მსგავსი პასუხებია გაცემული 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდების მიერაც, რომელთა 67% ამ პრობლემასთან დაკავშირებით აქტუალურ ასაკად მიიჩნევს სწორედ 18 წლამდე ასაკს, 29% თვლის 18-25 წლამდე შუალედს და მხოლოდ 4% ფიქრობს, რომ მითითებული პრობლემა რეალურია 25 წელზე მეტი ასაკის პირთათვის. სოფლის მოსახლეობის გამოკითხულთა 64% მიუთითებს, რომ ყველაზე მეტად ქურდული ტრადიციების გავლენის ქვეშ ექცვიან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები, ხოლო 36% კი ასეთ ასაკობრივ ჯგუფად მიიჩნევს 18-25 წლამდე ახალგაზრდებს. პოლიციის აკადემიის კურსანტთა 68%-ის აზრით, მითითებული მიმართულებით ყველაზე სახიფათო ასაკობრივ ჯგუფში 18 წლამდე არასრულწლოვნები არიან, 28%-ის აზრით - 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდები, ხოლო 4%-ს კი ასეთად 25 წელზე მეტი ასაკის ადამიანები მიიჩნიათ. რაც შეეხებათ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, განსხვავებით სხვა სოციალური ჯგუფებისაგან, მათ 55%-ს მიიჩნია, რომ ქურდული ტრადიციების გავლენის ქვეშ ექცვიან 18 დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, ხოლო 45% კი ფიქრობს, რომ ასეთებად გვევლინებიან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები.

მითითებული შედეგების განხილვის შედეგად შესაძლებელია გააკეთდეს დასკვნა, რომ გამოკითხულთა შეხედულების შესაბამისად, ქურდული ტრადიციების გავლენის ქვეშ ყველაზე მეტად ექცვიან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები. კვლევის შედეგები ლოგიკურია, რადგან ამ პერიოდში ყალიბდება ადამიანში ძირითადი ფასეულობები და შეხედულებები. აღნიშნულ ასაკში ისინი არასწორად აფასებენ ქურდულ ტრადიციებსა და კრიმინალური ავტორიტეტების ცხოვრებას, რომელიც ღამაში თავგადასავლებისა თუ ვაუკაცური ამბების სახით გადაეცემა მომავალ თაობას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციის თანამშრომელთა მოსაზრებაც არანაკლებ ლოგიკური უნდა იყოს, რომლის შესაბამისადაც, მართალია, მცირე სხვაობით, მაგრამ მაინც უფრო მეტად 18-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები ექცვიან კრიმინალური ტრადიციების გავლენის ქვეშ, რადგან ეს არის პერიოდი, როდესაც ახალგაზრდა ამთავრებს სკოლას, შესაბამისად, მასზე კონტროლი კიდევ უფრო მცირდება. რიგ შემთხვევაში ისინი აღარ აგრძელებენ

სწავლას და მთელ დროს ქუჩაში ატარებენ, შედეგად დიდია შესაძლებლობა იმისა, რომ მოექცნენ ქურდული ტრადიციების გავლენის ქვეშ.

კითხვაზე - თუ საიდან მიიღეს ინფორმაცია კანონიერი ქურდების შესახებ, სკოლის მოსწავლეთა 50% უთითებს ტელევიზიაზე, 12.5%-12.5% - წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, ხოლო 25% კი ამის საფუძველად პირად ნაცნობობას ასახელებს. 18-დან 25 წლამდე გამოკითხული ახალგაზრდების 62% მითითებულის პასუხად ტელევიზიას ასახელებს, 12% - წიგნებს, 14% - ჟურნალ-გაზეთებს, 3% - პირად ნაცნობობას, ხოლო 9%-ს საერთოდ არ გააჩნია ინფორმაცია მათ შესახებ. აღნიშნული კითხვის პასუხად ტელევიზიას ასახელებს სოფლის მოსახლეობის 45%, წიგნებს – 35%, 9% მიუთითებს ჟურნალ-გაზეთებზე, როგორც კანონიერი ქურდების შესახებ ინფორმაციის მიწოდების წყაროზე, 4% პირადად იცნობს კრიმინალურ ავტორიტეტებს, ხოლო 7%-ს კი საერთოდ არ გააჩნია ინფორმაცია ამის თაობაზე. რაც შეეხება პოლიციის აკადემიის კურსანტებს, კანონიერი ქურდების შესახებ ტელევიზიის მეშვეობით ინფორმაცია მიიღო მათმა 53%-მა, 24% მითითებულის წყაროდ წიგნებს ასახელებს, 21% ჟურნალ-გაზეთებს, ხოლო 2%-ს კი არ გააჩნია მათზე მონაცემები. მოქმედი პოლიციელების მითითებით, მათმა 35%-მა აღნიშნული ინფორმაცია ტელევიზიიდან მიიღო, 19%-მა წიგნებიდან, 17%-მა ჟურნალ-გაზეთებიდან, ხოლო 29%-მა კი პირადი ნაცნობობიდან.

მიღებული პასუხების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კანონიერი ქურდების შესახებ ინფორმაცია თითქმის ყველას გააჩნია, რაც ძირითადად განპირობებულია ამ პრობლემის მასშტაბური ხასიათით. ასევე ნათლად ჩანს, რომ მითითებული ინფორმაციის მიღების საშუალება ძირითადად ტელევიზიაა, თუმცა ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს წიგნები და ჟურნალ-გაზეთებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, მითითებულ პირთა პოპულარიზაციას ხელი შეუწყო ასევე სამართალდამცავ ორგანოთა მიერ წარმოებულმა ფართომასშტაბიანმა ბრძოლამ. კანონიერ ქურდებზე სატელევიზიო გადაცემები, ჟურნალ-გაზეთების სტატიები და წიგნები მეტად მასიური გახდა. რაც შეეხება პირადი ნაცნობობის საფუძველზე კრიმინალური ავტორიტეტების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, მითითებულს მეტად უმნიშვნელო როლი ენიჭება. რაც შეეხება პოლიციის თანამშრომლების ინფორმირებას, ცხადია, მათთვის მონაცემების მიღების წყაროს უფრო სამსახურებრივი სფერო წარმოადგენს და

ნაკლებად - სატელევიზიო გადაცემები ან ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი სტატიები.

მეტად საინტერესოა გამოკითხულთა მოსაზრება ქართველ ოლიგარქებსა და კანონიერ ქურდებს შორის არსებულ ურთიერთობაზე. სკოლის მოსწავლეთა 23%-ის აზრით, მათ შორის არის კონკურენცია და წინააღმდეგობა, 15% თვლის, რომ კრიმინალური ავტორიტეტები მონაწილეობას იღებენ ოლიგარქების ეკონომიკური და სხვა კონფლიქტების მოგვარებაში არბიტრის რანგში, ასევე, 15% მიუთითებს, რომ მათ შორის არავითარი ურთიერთობაა, ხოლო 47%-ს აღნიშნულთან დაკავშირებით არ გააჩნია ინფორმაცია. 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდების 5% თვლის, რომ კანონიერი ქურდები და ე.წ. „ახალი ქართველები“ თანამშრომლობენ კონკრეტულ ბიზნესებში, 3%-ს მიაჩნია, რომ მათ შორის კონკურენცია და წინააღმდეგობაა, 24% თვლის, რომ კრიმინალური ავტორიტეტები არბიტრების რანგში ეხმარებიან ოლიგარქებს დავების გადაწყვეტაში, 3%-ს მიაჩნია, რომ მათ შორის ურთიერთობას არ არსებობს, ხოლო 65%-ს კი ამის თაობაზე არა აქვს ინფორმაცია. რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, გამოკითხულთა 18%-ს მიაჩნია, რომ მითითებული პირები თანამშრომლობენ ბიზნესებში, 7% ფიქრობს, რომ ისინი კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, 20%-ს მიაჩნია, რომ კანონიერი ქურდები კონფლიქტებს უგვარებენ ოლიგარქებს, 2%-ის აზრით, მათ შორის ურთიერთობა არ არსებობს, ხოლო 53% ვერ სცემს პასუხს მითითებულ კითხვას. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით პოლიციის აკადემიის გამოკითხულ კურსანტთა 22% ფიქრობს, რომ კრიმინალური ავტორიტეტები და ე.წ. „ახალი ქართველები“ თანამშრომლობენ ბიზნესში, 6%-ის აზრით, მათ შორის დაპირისპირებაა, 36% მიიჩნევს, რომ დანაშაულებრივი ელიტის წარმომადგენლები არბიტრის რანგში ეხმარებიან ოლიგარქებს დავების გადაწყვეტაში, ხოლო ასევე 36% ვერ სცემს კითხვას პასუხს. მოქმედ პოლიციელთა 27% მიუთითებს, რომ ამ ორ ფენას შორის არის თანამშრომლობა სხვადასხვა ბიზნესში, 9%-ის აზრით, შესაძლებელია იყოს დაპირისპირება და კონკურენცია, 41% დარწმუნებულია, რომ კანონიერი ქურდები გვევლინებიან ქართველი ოლიგარქების მომრიგებლებად სხვადასხვა კატეგორიის დავის არსებობის შემთხვევაში, 15% მიუთითებს, რომ მათ შორის კავშირი არაა, ხოლო 8%-ს არ გააჩნია ინფორმაცია მითითებულთან დაკავშირებით.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, მეტად განსხვავებული პასუხებია გაცემული სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიერ. სავარაუდოდ, მითითებული განპირობებულია იმით, რომ ამჟამად საქართველოში კანონიერ ქურდებს აღარ აქვთ დიდი გავლენა, „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე, დასჯადი გახდა ქურდული სამყაროსათვის თანხის გადაცემა, თუ მათ სასარგებლოდ სხვა მოქმედების შესრულება. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, ძალიან შემცირდა ურთიერთობა კანონიერ ქურდებსა და ე.წ. „ახალ ქართველებს“ შორის, ხოლო მეორე მხრივ კი კავშირის არსებობის შემთხვევაში, არაგინ მოახდენს ამის აფიშირებას. შესაბამისად, ლოგიკურიცაა, რომ რესპოდენტთა უმეტესობას მითითებულთან დაკავშირებით ინფორმაცია არ გააჩნია, ხოლო დანარჩენები კი განსხვავებულ პასუხებს სცემენ.

დასმულ კითხვაზე - „არსებობს, თუ არა კორუფციული ურთიერთობა კანონიერ ქურდებსა და საჯარო მოხელეებს შორის დღევანდელ საქართველოში?“, სკოლის მოსწავლეთა 15% პასუხობს, რომ კრიმინალური ავტორიტეტები უხდიან ფულს საჯარო მოხელეებს მათი დაჯგუფებებისა და ეკონომიკური ინტერესების მხარდასაჭერად, 18%-ის აზრით, საჯარო მოხელეები უხდიან ფულს ქურდებს კრიმინალებისაგან დასაცავად, არბიტრის როლის შესასრულებლად და სხვა, ხოლო 67% კი ფიქრობს, რომ მათ შორის კორუფციული ურთიერთობა არ არსებობს. მითითებულთან დაკავშირებით 18-დან 25 წლამდე გამოკითხული დაუსაქმებელი ახალგაზრდების 17% მიიჩნევს, რომ კრიმინალური ავტორიტეტები უხდიან ფულს საჯარო მოხელეებს მათგან დახმარების მისაღებად, 21% ამის საპირისპიროდ ფიქრობს, ანუ ამ შემთხვევაში პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად იხდიან საჯარო მოხელეები, ხოლო დარჩენილი 62%-ის აზრით, არ არსებობს კორუფციული კავშირი ამ ორი ფენის წარმომადგენლებს შორის. მითითებულ თემასთან დაკავშირებით, დაახლოებით იგივე შედეგები იქნა მიღებული სოფლის მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე, კერძოდ, მათი 18% მიიჩნევს, რომ კანონიერი ქურდები უხდიან ფულს საჯარო მოხელეებს, ანალოგიური ოდენობა თვლის, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლები აძლევენ თანხას ქურდული სამყაროს წევრებს კრიმინალებისაგან უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო 64%-ის აზრით კი მათ არ გააჩნიათ ურთიერთკავშირი. რაც შეეხება პოლიციის აკადემიის კურსანტებს, აღსანიშნავია,

რომ მათი 95% უარყოფს მსგავსი სახის ურთიერთობას საჯარო მოხელეთა და კრიმინალთა შორის და მხოლოდ 2.5%-2.5% თვლის, რომ ამ ორი ფენის წარმომადგენლები უხდიან ფულს ერთმანეთს პირადი და, ასევე მათი ფინანსური ინტერესების უსაფრთხოების მიზნით. მითითებულ საკითხთან დაკავშირებით გამოკითხვისას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა 100% დარწმუნებულია, რომ საჯარო მოხელეებსა და კანონიერ ქურდებს შორის არავითარი კორუფციული კავშირი არსებობს.

აღნიშნული შედეგებიდან შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ კორუფცია უკიდურესადაა შემცირებული საქართველოს სახელმწიფო სისტემაში. გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა თვლის, რომ საჯარო მოხელეებსა და კანონიერ ქურდებს შორის არანაირი კავშირი აღარ არის, თუმცა იმ მცირე ნაწილის შეხედულება, რომლის შესაბამისადაც, სახელმწიფოს წარმომადგენლები უხდიან ფულს კრიმინალურ ავტორიტეტებს მათი პირადი და ფინანსური ინტერესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სავარაუდოდ, საფუძველს უნდა იყოს მოკლებული შემდეგ გარემოებათა გამო: იმისათვის, რომ ერთმა პირმა უზრუნველყოს მეორეს უსაფრთხოება და მისგან ამისათვის მიიღოს თანხა, უნდა გააჩნდეს გარკვეული გავლენა იმ ტერიტორიაზე და ჰქონდეს ამის რეალური შესაძლებლობა, რაც დღევანდელ საქართველოში, ფაქტობრივად, გამორიცხებულია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კანონიერი ქურდები, რამდენიმე მოხუცი ან დაავადებული პირის გარდა, ციხეში იხდიან სასჯელს, ან გაქცეული არიან ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ანუ რეალურად მათ აღარ გააჩნიათ გავლენა და ბერკეტები იმისათვის, რომ სიტუაცია აკონტროლონ საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, მითითებული საკითხი, აშკარად, ლოგიკას მოკლებულია. რაც შეეხება მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კანონიერი ქურდები უხდიან ფულს საჯარო მოხელეებს პირადი, ასევე, ეკონომიკური ინტერესების მხარდასაჭერად, ასევე საფუძველს მოკლებულია, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, კრიმინალურ ავტორიტეტებს არ ეძლევათ საქართველოში არათუ საქმიანობის, არამედ ყოფნის საშუალებაც კი, რაც გამოწვეულია „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებით. ფაქტობრივად, ცხადად ჩანს, რომ აღნიშნული ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოში ქურდული სამყაროს ელიტას დიდი დარტყმა

მიადგა და გამონაკლისების გარეშე, ვინც ვერ გაასწრო ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ყველა აღმოჩნდა სასჯელადსრულების დაწესებულებაში. შესაბამისად, აქაც, ისევე, როგორც ზემოთ მითითებულ შემთხვევაში, აზრი ეკარგება კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტების მიერ საჯარო მოხელეებისათვის თანხის გადახდას, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა კანონიერი ქურდისთვის კანონის ფარგლებში მეტნაკლებად მსგავსი შედეგი დადგა.

საკითხთან დაკავშირებით, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული კანონიერ ქურდებთან ბრძოლაში, გამოკითხულ სკოლის მოსწავლეთა 61% თვლის, რომ აღნიშნული მიმართულებით უნდა გატარდეს საკანონმდებლო ღონისძიებები, ხოლო 39% კი მიუთითებს, რომ გასატარებელია რაიმე სხვა სახის ღონისძიებები, რომლებიც არაა მითითებული ანკეტაში. 18-დან 25 წლამდე დაუსაქმებელი ახალგაზრდების 65% მითითებულ კითხვასთან დაკავშირებით, ასევე, საკანონმდებლო ზომების გამოყენებას ემხრობა, 18% თვლის, რომ აუცილებელია სტრუქტურული ცვლილებები სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში, 9%-ს მიაჩნია, რომ ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელება უფრო პრიორიტეტულია, ხოლო 8% კი ფიქრობს, რომ რაიმე სხვა სახის ქმედება უფრო უმჯობესი იქნებოდა. სოფლის მოსახლეობის 38% მხარს უჭერს საკანონმდებლო ღონისძიებებს, 30% სამართალდამცავ ორგანოებში სტრუქტურული ცვლილებებისკენ იხრება, 20%-ს უფრო წარმატებულად ეკონომიკური ღონისძიებების გატერება მიაჩნია, ხოლო 12% მითითებულისგან განსხვავებულ ზომებს უჭერს მხარს. აღნიშნულთან დაკავშირებით პოლიციის აკადემიის კურსანტების 75% თვლის, რომ ყველაზე წარმატებული საკანონმდებლო ზომების გატარება იქნება, 5%-ს მიაჩნია, რომ უნდა განხორციელდეს სტრუქტურული რეფორმები სამართალდამცავ სისტემაში, 15% ეკონომიკური ღონისძიებების გატარების მომხრეა, ხოლო 5%-ს კი უფრო სხვა ზომების მიღება მიაჩნია საჭიროდ. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომლების გამოკითხვის შედეგად მიღებულ პასუხებს, მათ 76%-ს გადამწყვეტად საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული ღონისძიებები მიაჩნია უმთავრესად, 15%-ის აზრით, უფრო წარმატებული იქნება ეკონომიკური ზომების მიღება, ხოლო 9% კი მითითებული პრობლემის გადასაჭრელად უპირატესობას განსხვავებული ქმედების განხორციელებას ანიჭებს.

როგორც ზემოთ მითითებულიდან ჩანს, საზოგადოებას მიაჩნია, რომ ქურდულ სამყაროსა და მის ლიდერებთან ბრძოლაში გამოყენებულ უნდა იქნეს მრავალფეროვანი ღონისძიებები, რაც რეალურად სწორიცაა, რადგან ეფექტური შედეგის მიღწევა მხოლოდ ამგვარად შეიძლება. თუმცა, აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა იხრება უფრო საკანონმდებლო ზომების მიღებისაკენ, რაც ლოგიკურია, რადგან, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ქურდული სამყაროს წინააღმდეგ განხორციელებული ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა სხვადასხვა ნორმატიული აქტის საფუძველზე, წარმატებული გამოდგა, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამ მიმართულებით განხორციელებული ქმედებები ხშირად კომპლექსურია და ეკონომიკური თუ სხვა ზომების მიღებასაც გულისხმობს.

კანონიერ ქურდებთან ბრძოლის ზომების გამოკვლევასთან ერთად, ასევე არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს მოსახლეობის მოსაზრება, თუ ვის შეუძლია, გაატაროს ეს ღონისძიებები და შეასრულოს გადამწყვეტი როლი მითითებულ საქმეში. სკოლის მოსწავლეთა 67% თვლის, რომ ქურდული სამყაროს ლიდერებთან დაპირისპირებაში დადებითი როლი შეუძლიათ შეასრულონ სამართალდაცავ და სხვა აღმასრულებელ ორგანოებს. მათი 6%-ს მიაჩნია, რომ მითითებული ტვირთი შესაძლებელია თავის თავზე აიღოს პარლამენტმა და სხვა არჩევითმა ორგანოებმა. ეკლესიას ანიჭებს უპირატესობას გამოკითხულ მოსწავლეთა 13% და ასევე 13% პრიორიტეტად მიიჩნევს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას. რაც შეეხება 18-დან 25 წლამდე დაუსაქმებელ ახალგაზრდებს, მათი 58% სამართალდამცავი ორგანოებისაკენ იხრება, 14%-ს უფრო მნიშვნელოვნად არჩევითი ორგანოები მიაჩნია, 16% მხარს ეკლესიის როლის გამოკვეთას უჭერს, ხოლო 6%-6% კი თანაბრად ემხრობა არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციებს. სოფლის მოსახლეობის 56%-ის აზრით, კანონიერ ქურდებთან ბრძოლაში დადებითი როლი შეუძლიათ შეასრულონ სამართალდამცავმა და სხვა აღმასრულებელმა ორგანოებმა, 2.5% ასეთად არჩევით ორგანოებს მიიჩნევს, 36.5% თვლის, რომ ეკლესიას შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა, ხოლო 5%-ის აზრით კი მოქმედების საშუალება სხვა ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ. პოლიციის აკადემიის გამოკითხული კურსანტების 65% დარწმუნებულია, რომ დანაშაულებრივ ლიდერებთან გადამწყვეტი ქმედებების განხორციელება სწორედ სამართალდამცავ ორგანოებს

შეუძლიათ. 12% არჩევით ორგანოებს მიიჩნევენ ასეთად, ხოლო 23%-ის აზრით კი ეკლესიის როლიც მეტად გასათვალისწინებელია მითითებულ საქმეში. მოქმედი პოლიციელების გამოკითხვისას დადგინდა, რომ მათი 67% ამ ბრძოლაში გადამწყვეტად აღმასრულებელი ორგანოების ქმედებას მიიჩნევენ, 4% არჩევითი ორგანოებისაკენ იხრება, 22% ეკლესიას ანიჭებს უპირატესობას, 5% არასამთავრობო ორგანიზაციებს, ხოლო 2% სხვა დაწესებულებებს.

როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, ხალხის შეხედულება, ისევე, როგორც კანონიერი ქურდების მიმართ განხორციელებულ ზომებთან დაკავშირებით, განსხვავებულია, თუმცა კონკრეტული ორგანიზაციების უპირატესობა აქაც იკვეთება - ესაა სამართალდამცავი და სხვა აღმასრულებელი დაწესებულებები. აქვე აღსანიშნავია ერთი ფაქტორიც - რიგ შემთხვევაში გამოკითხულთა მიერ ხდებოდა ორი ან რამდენიმე პასუხის მონიშვნა, რაც სწორი მიდგომაა, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მითითებული სფერო იმდენად რთულია, რომ მის წინააღმდეგ საბრძოლველად სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ დაწესებულებების გაერთიანება უფრო ეფექტური იქნება. მითითებულ გამოკითხვაში ასევე იკვეთება ეკლესიის როლი კანონიერ ქურდებთან ბრძოლის საქმეში, რაც დღეისათვის საქართველოში, ეკლესიის ავტორიტეტიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს გასაკვირი, თუმცა, სავარაუდოდ, მითითებული უფრო იდეოლოგიური ხასიათს ატარებს, რადგან, ცხადია, ეკლესია ფაქტობრივ ბრძოლას ვერ გამოუცხადებს დანაშაულებრივ ლიდერებს.

საბოლოოდ კითხვაზე „შემცირებულია, თუ არა ქურდული ტრადიციების პოპულარობა არასრულწლოვანთა შორის 2003 წლის შემდეგ?“ - გამოკითხულ სკოლის მოსწავლეთა 93% დადებით პასუხს სცემს, ხოლო 7% კი მიიჩნევენ, რომ აღნიშნული კვლავაც პოპულარულია. 18-დან 25 წლამდე ასაკის დაუსაქმებელი ახალგაზრდობის 73% მიიჩნევენ, რომ მითითებული აშკარად შემცირდა, თუმცა ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება დარჩენილი 27%. რამდენადმე განსხვავებული შეხედულება გააჩნიათ გამოკითხულ სოფლის მაცხოვრებლებს მითითებულთან დაკავშირებით, რომელთა მოსაზრებებიც შუაზე გაიყო. პოლიციის აკადემიის კურსანტების 95% 5%-ის წინააღმდეგ მიიჩნევენ, რომ ქურდული ტრადიციების პოპულარობა არასრულწლოვანთა შორის შემცირებულია. თითქმის ანალოგიური

მოსაზრება გააჩნიათ გამოკითხულ პოლიციელებს, რომელთა 90% 10%-ის წინააღმდეგ ასევე დადებითად სცემს მითითებულ კითხვას პასუხს.

ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქურდული ტრადიციების გავლენა შემცირდა არასრულწლოვანთა შორის. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარებული მკაცრი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო როგორც მთლიანად ქურდული სამყაროს, ასევე, მისი ლიდერების წინააღმდეგ. მითითებულებიდან გამონაკლისს წარმოადგენს სოფლის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები. გამოკითხულთა 50% მიიჩნევს, რომ ქურდული ტრადიციები კვლავაც პოპულარობით სარგებლობს. სავარაუდოდ, აღნიშნული არ უნდა იყოს მთლად ლოგიკური, რადგან როგორც წესი, ქალაქის მოსახლეობას შორის უფრო მეტი იყო კრიმინალური მენტალობის ადამიანი და მძლავრობდა მათი გავლენა. შესაბამისად, იმის ფონზე, რომ ქალაქის მაცხოვრებელთა უდიდესი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქურდული ტრადიციები შემცირებულია, ძნელი წარმოსადგენია, სოფელში ამის საპირისპირო ვითარება იყოს.

ამრიგად, განხორციელებული კვლევის საფუძველზე შესწავლილ იქნა ხუთი სხვადასხვა სოციალური ჯგუფის შეხედულებები კანონიერი ქურდებისა და მათ წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ძირითად შემთხვევაში მათი პასუხები იდენტური თუ არა, მსგავსი მაინც არის და კარდინალურად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. შესაბამისად, ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა გათვითცნობიერებულია, თუ რას წარმოადგენენ კანონიერი ქურდები. ამასთან ერთად, ისინი მიესალმებიან სამართალდამცავთა საქმიანობას და თვლიან, რომ დანაშაულებრივი ლიდერების წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც 2003 წლის შემდეგ გატარდა, საკმაოდ ეფექტურია. სწორედ კანონიერი ქურდების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა უნდა იყოს იმის საფუძველი, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას საერთოდ არ ჰქონია შეხება მათთან და მითუმეტეს, არც დაზარალებულან დანაშაულებრივი ავტორიტეტების მიერ განხორციელებული კრიმინალური ქმედებებისაგან. ასევე ანალოგიური მიზეზი უდევს საფუძველად იმ

ფაქტს, რომ რესპოდენტთა დიდი უმრავლესობის აზრით, საქართველოში აღარ მძლავრობს ქურდული ტრადიციები. მითითებული გამოკითხვის შედეგებიდან ასევე გაირკვა, რომ, მოსახლეობის აზრით, რაც არ განსხვავდება ობიექტური რეალობისაგან, ქურდული ტრადიციების გავლენის ქვეშ ყველაზე მეტად ექცევიან როგორც 18 წლამდე არასრულწლოვნები, ასევე - 18-25 წლის ახალგაზრდები. ნათლად გამოიკვეთა დანაშაულებრივი ლიდერების შესახებ თემის პოპულარობა ქვეყნის მასშტაბით, რაც, ერთი მხრივ, გამოიხატება იმაში, რომ თითქმის ყველას გააჩნია ინფორმაცია მათ შესახებ, ხოლო მეორე მხრივ კი მათზე ინფორმაციის მიღების წყარო ძალიან მრავალფეროვანია, შესაბამისად, ნათლად ჩანს, რომ ამ საკითხის განხილვას დიდი ადგილი ეთმობა როგორც ტელევიზიებში, ასევე, წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში. სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებების წარმატებულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა მოსაზრებით, კანონიერ ქურდებს აღარ გააჩნიათ ურთიერთობები არც ე.წ. „ახალ ქართველებთან“ და არც საჯარო მოხელეებთან. მიღებული პასუხების შესაბამისად, მოსახლეობა მომხრეა, რომ კანონიერი ქურდების წინააღმდეგ განხორციელდეს კომპლექსური ღონისძიებები როგორც საკანონმდებლო, ასევე, ეკონომიკურ და სხვა დონეზე. ასევე იკვეთება პოზიცია, რომ მითითებულ საქმეში ისინი უპირატესობას უფრო სამართალდამცავ სისტემას ანიჭებენ, თუმცა, საზგასმით აღნიშნავენ სხვადასხვა ორგანოთა ერთობლივი ქმედების საჭიროებას. დასასრულს, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახად იკვეთება გამოკითხული სოციალური ჯგუფების ერთსულოვნება ერთ, მეტად ნიშნელოვან და დიდი დატვირთვის მქონესაკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, გამოკითხულთა უმრავლესობა აღიარებს, რომ ქურდული ტრადიციების პოპულარობა ახალგაზრდა თაობაში საგრძნობლად შემცირებულია.

ჩატარებული კვლევის საბოლოო შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მოსახლეობა ემხრობა სახელმწიფოს მიერ ქურდული სამყაროს მიმართ წარმოებულ პოლიტიკას. მიაჩნიათ, რომ იგი წარმატებულია, სურვილი აქვთ მისი კიდევ უფრო გამრავალფეროვნების და გაძლიერებისა. ამასთან, რეალურად აღიქვამენ ჩატარებული ღონისძიებების მნიშვნელობას, სირთულეს, საჭიროებასა და მიღწეულ შედეგებს, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება იმაში,

რომ მინიმალურ დონემდე იქნა დაყვანილი საზოგადოებაში ქურდული მენტალობისა და ქურდული ტრადიციების პოპულარობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეფექტური კვლევის ჩატარების მიზნით შექმნილ იქნა ორი სახის ანკეტა. პირველი მათგანით გამოიკითხა ზემოთ დასახელებული სოციალური ჯგუფები, ხოლო მეორე, პროფესიულ დონეზე შედგენილი ანკეტით კი კვლევა ჩატარდა იმ პირებს შორის, რომლებიც, უაშუალოდ მონაწილეობდნენ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, კერძოდ, საუბარია შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედ თანამშრომლებზე, რომელთაც სამსახურებრივი საქმიანობის პერიოდში შეხება ჰქონდათ კანონიერ ქურდებთან და მათი გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ მიმართულების დანაშაულებრივი ლიდერების ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნეებად მიიჩნევიან. სპეციალური ანკეტების მეშვეობით გამოიკითხულ იქნენ:

- შსს აკადემიის პრორექტორი, შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე;
- საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საერთაშორისო ძეგნის სამმართველოს უფროსი;
- შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი, შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სპეციალურ დავალებათა მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე;
- შსს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის ყოფილი უფროსი;
- თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების უფროსი.

დასმულ კითხვაზე, აქტუალურია თუ არა კანონიერი ქურდების პრობლემა თანამედროვე საქართველოში, ექსპერტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მითითებული გარემოება აღარ წარმოადგენს საფრთხეს, ხოლო ორი ექსპერტი

მიიჩნევს, რომ იგი კვლავ აქტუალურია. სავარაუდოდ, მითითებული აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეულია დასმული შეკითხვის განსხვავებულად აღქმით, კერძოდ, უარყოფითი პასუხი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ, ფაქტობრივად, საქართველოში აქტიურად მოქმედი კანონიერი ქურდი აღარაა დარჩენილი, ხოლო დადებითი კი იმითი, რომ ქურდული იდეოლოგია ბოლომდე არაა განადგურებული, მომავალ თაობაში. მითითებული პრობლემა გადაჭრილად ვერ ჩაითვლება.

კითხვაზე „კანონიერი ქურდებიდან თუ ვინ იყო/არის ყველაზე ავტორიტეტული?“ ექსპერტთა სრული შემადგენლობა ერთსულოვნად ასახელებს ტარიელ ონიანს, ზაქარია კალაშოვსა და ლაშა შუშანაშვილს. რა თქმა უნდა, მათ გარდა ასევე დასახელდნენ სხვა კრიმინალური ავტორიტეტებიც, რომლებიც საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობენ დანაშაულებრივ სამყაროში, თუმცა ექსპერტები თანხმდებიან ზემოდასახელებული სამი პირის უდავო ლიდერობაზე. შესაბამისად, საზოგადოებაში მასობრივი საინფორმაციო საშუალებებითა თუ სხვა წყაროებით გავრცელებული ინფორმაცია მითითებულ პირთა შესახებ ზუსტად ემთხვევა ექსპერტთა მოსაზრებას.

არაერთგვაროვანი პასუხებია გაცემული კითხვაზე, თუ როგორი იყო/არის ქურდული სამყაროს სტრუქტურა საქართველოში, კერძოდ, მათი ნაწილი მიუთითებს, რომ იგი იყო არაცენტრალიზებული; დაჯგუფებები მოქმედებდნენ დამოუკიდებლად და არ ახდენდნენ საქმიანობის კოორდინაციას, თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთის აზრით, რიგ შემთხვევებში არაცენტრალიზებულთან ერთად, ასევე გვხვდებოდნენ სუსტად ცენტრალიზებული სტრუქტურის მქონე ტრადიციულ კრიმინალური დაჯგუფებები. მითითებულისაგან განსხვავებული მოსაზრება გააჩნია ერთ-ერთ ექსპერტს, კერძოდ, მისი მოსაზრებით ქურდულ სამყაროს გააჩნდა მტკიცედ ცენტრალიზებული სტრუქტურა, რომელსაც მართავდა ერთი ან რამდენიმე ლიდერი. გამომდინარე იქიდან, რომ თვითოეულ ამ ადამიანს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული აქვს პირადი პრაქტიკული გამოცდილებიდან, შესაძლებელია, მივიჩნიოთ, რომ ტრადიციულ ქურდულ დაჯგუფებებს გააჩნდათ შერეული სტრუქტურა, კერძოდ, ზოგი მათგანი მტკიცედ იყო ცენტრალიზებული და კოორდინირებული სხვა დანაშაულებრივ გაერთიანებებთან, ზოგი სუსტად და ზოგი კი საერთოდ არაცენტრალიზებულად ახორციელებდა დანაშაულებრივ ქმედებებს.

კითხვაზე, თუ რამდენი წევრისაგან შედგება კანონიერი ქურდიების მიერ მართული დანაშაულებრივი გაერთიანებები, ექსპერტთა სრული უმრავლესობა მიუთითებს 10-დან 50 კაცამდე. გამოკითხულ ექსპერტთაგან ორი ასევე მიიჩნევს, რომ დაჯგუფებაში წევრთა ოდენობა შესაძლებელია მერყეობდეს 5-10 კაცამდე. როგორც მითითებულიდან ჩანს, უმრავლეს შემთხვევებში ტრადიციული კრიმინალური გაერთიანებები შედგება 10-50 წევრისაგან, თუმცა, რიგ შემთხვევებში, ხდება ისეც, რომ მათი რიცხვი შედარებით მცირეა, კერძოდ, 5-10 ადამიანი.

აბსოლტური თანაფარდობაა მოცემული პასუხებში კითხვაზე, თუ როგორ ნაწილდება გავლენის სფეროები ქურდულ სამყაროში, კერძოდ, ორი ექსპერტი მიიჩნევს, რომ მითითებულის საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობა, ორი – ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, ხოლო ერთი კი თვლის, რომ როგორც ეკონომიკური, ასევე, ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. როგორც მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, ქურდულ სამყაროში გავლენის სფეროების გადანაწილების ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა მისი დაყოფა ეკონომიკური საქმიანობისა და ტერიტორიული პრინციპის შესაბამისად. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არც ერთი მათგანი არაა უნივერსალური, ანუ რიგ შემთხვევებში პრიორიტეტი ენიჭებოდა ეკონომიკურ საქმიანობას, რიგ შემთხვევაში ტერიტორიულ გადანაწილებას, ხოლო ზოგჯერ კი ხდებოდა ამ ორი პრინციპის თანხვედრა.

მსგავსი პასუხებია გაცემული კითხვაზე, თუ რა ასაკის კანონიერ ქურდებთან ჰქონიათ ექსპერტებს შეხება სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას. პასუხად, ყველა მათგანი ერთობლივად აპელირებს სამ ასაკობრივ ჯგუფზე, კერძოდ, 25-30 წლის, 30-40 წლის და 50 წელს გადაცილებულ კანონიერ ქურდებაზე. როგორც მითითებულიდან ჩანს, ქურდული სამყაროს წარმომადგენლების ასაკი საკმაოდ მრავალფეროვანი ყოფილა საქართველოში, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის ძალიან ახალგაზრდა წარმომადგენლების, კერძოდ, 25 წლამდე ასაკის კანონიერი ქურდები არცთუ ხშირად ექცეოდნენ სამართალდამცავთა ყურადღების ცენტრში.

ანალოგიური პასუხებია გაცემული კანონიერი ქურდების განათლებასთან დაკავშირებულ კითხვაზე, კერძოდ, ყველა მათგანი მიუთითებს, რომ

დანაშაულებრივ ავტორიტეტებს გააჩნიათ არასრული საშუალო ან საშუალო განათლება.

ასევე მსგავსი პასუხებია გაცემული კანონიერი ქურდების ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ყველა ექსპერტი მიუთითებს, რომ არიან როგორც დაოჯახებული, ასევე დაუოჯახებელი დანაშაულებრივი ავტორიტეტები.

საკმაოდ მრავალფეროვანია ექსპერტთა პასუხები დანაშაულებრივი ელიტის წარმომადგენლების ნასამართლობების რაოდენობასთან დაკავშირებით, კერძოდ, ისინი აღნიშნავენ, რომ კანონიერი ქურდები, რომლებთანაც მათ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს ჰქონიათ შეხება, გისოსებს მიღმა მოხვედრილი იყვნენ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ხოლო რიგ შემთხვევებში, მეტჯერაც კი.

ასევე მრავალფეროვანია ექსპერტთა პასუხები კანონიერი ქურდების მიერ განხორციელებულ კრიმინალურ ქმედებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც ისინი გასამართლებულ იქნენ, კერძოდ, ქურდობისთვის, გამოძალვისთვის, ნარკოტიკების მოხმარებისთვის, ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვოდ ტარებისთვის და ა.შ. როგორც მითითებულიდან ჩანს, კრიმინალური ავტორიტეტები უარს აღარ ამბობენ განსხვავებული დანაშაულების ჩადენაზე, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ძველი ტრადიციული აკრძალვებისა და შეხედულებების გაუფასურებაზე, რომელთა შესაბამისადაც, კრიმინალურ ავტორიტეტს ეკრძალებოდა ძალადობრივი დანაშაულის ჩადენა და მათი საქმიანობა, ძირითადად, მხოლოდ ქურდობით უნდა შემოფარგლულიყო.

დასმულ კითხვაზე „არსებობს თუ არა განმასხვავებელი ნიშნები ქართველ და სხვა კანონიერ ქურდებს შორის?“ - ორი ექსპერტი უარყოფით პასუხს სცემს, ხოლო სამს კი მიაჩნია, რომ ასეთი განსხვავებები არსებობს, კერძოდ, მათი უმრავლესობა განმასხვავებელ ნიშნად ქართულ კრიმინალურ ჟარგონს უთითებს.

კითხვაზე „თუ რა ობიექტურ, თუ სუბიექტურ ფაქტორებზე იყო დაფუძნებული ქართველი კანონიერი ქურდების კრიმინალური სუბკულტურა და რაში მდგომარეობდა მისი მიმზიდველობა?“ ექსპერტთა უმეტესობა მიუთითებს, რომ ეს იყო სხვის ხარჯზე ცხოვრებისკენ მისწრაფება, კრიმინალური რომანტიკა და

მაღალი საზოგადოებრივისტატუსი. აღნიშნულ მიზეზებთან ერთად, ორი მათგანი ყურადღებას ამახვილებს, ასევე, კონკრეტულ გარემოში თვითდამკვიდრებაზე. როგორც მითითებულიდან ჩანს, ქართულ საზოგადოებაში რომანტიზებული იყო კრიმინალურ ავტორიტეტთა ცხოვრება, რაც ახალგაზრდობას ძლიერ იზიდავდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ მითითებული დანაშაულებრივი სტატუსი ასევე იძლეოდა საშუალებას, რომ კრიმინალებს ეცხოვრათ სხვა ადამიანთა ხარჯზე. დამკვიდრებული შეხედულებებიდან გამომდინარე, მათ გააჩნდათ მაღალი საზოგადოებრივისტატუსი, ხოლო ზოგიერთი კრიმინალი კი სწორედ ამ ელიტარული დანაშაულებრივი სტატუსის მეშვეობით ახერხებდა კონკრეტულ გარემოში თვითდამკვიდრებას.

ექსპერტთა მიერ იდენტიური პასუხებია გაცემული კითხვაზე, თუ რამ გამოიწვია ქართველი კანონიერი ქურდების მასიური მიგრაცია 2003 წლის შემდეგ. ყველა მათგანი მიუთითებს, რომ აღნიშნული გარემოების უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა მკაცრი კანონების მიღება, იგულისხმება საქართველოს კანონი „რეკეტისა და ორგანიზებული დანაშაულის შესახებ“ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 223¹ მუხლის დამატება. ასევე აღსანიშნავია, მითითებული კანონების საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული მკაცრი პოლიტიკა. მითითებულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ დანაშაულებრივი ელიტის წარმომადგენლებთან ბრძოლაში წარმატება განაპირობა სწორედ ამ ორი ფაქტორის ერთობლიობამ, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების კოორდინირებულმა მოქმედებამ, რადგან მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის მეშვეობით ვერ მოხერხდებოდა ესოდენ მაშტაბური შედეგის მიღწევა.

განსხვავებული პასუხები იქნა გაცემული კითხვაზე „გაიზარდა, თუ არა კანონიერი ქურდების რიცხვი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ?“. მითითებულ კითხვაზე არაერთგვაროვანი პასუხების გაცემა, ერთი შეხედვით, არალოგიკურია, მითუმეტეს ადამიანებისაგან, რომელთაც აღნიშნული მიმართულებით საკმაოდ დიდი პრაქტიკული ცოდნა გააჩნიათ, თუმცა, ხსენებული მიზეზი საკმაოდ დასაბუთებულად იქნა ახსნილი ექსპერტ დავით გოგიბერიძის (შსს აკადემიის პრორექტორი, შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე) მიერ, კერძოდ, იგი მიუთითებს, რომ ერთი შეხედვით, თითქოს უნდა გაზრდილიყო კრიმინალურ ავტორიტეტთა რიცხვი, რადგან ამ პერიოდში

მასიურად და გამარტივებულად ხდებოდა დანაშაუვითა კანონიერ ქურდებად მონათვლა, თუმცა ამავე დროის მონაკვეთში კრიმინალური ელიტის ბევრი წარმომადგენელი მოკლეს. გარდა ამისა, გამარტივებულად და სწრაფად „ქურდად მონათლულთა“ უმეტესობა ასევე მალე გამოემშვიდობა „საპატიო კრიმინალურ წოდებას“. შესაბამისად, სტატისტიკურად, კვლევამ ცხადყო, რომ დანაშაულებრივ ავტორიტეტთა რიცხვი დიდად არ შეცვლილა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

ანალოგიური პასუხები იქნა გაცემული კითხვაზე, გაიზარდა, თუ არა კანონიერ ქურდთა ზეგავლენა ზემოთ აღნიშნულ პერიოდში. ექსპერტთა მითითებით, დანაშაულებრივი ელიტის ავტორიტეტი გამყარდა როგორც პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკაში. შესაძლებელია, გაკეთდეს დასკვნა, რომ ამ პერიოდში კანონიერი ქურდები აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც პოლიტიკურ მოვლენებში, ასევე ეკონომიკურ საქმიანობაში, რასაც თავიანთ სასარგებლოდ საკმაოდ ეფექტურად იყენებდნენ და შესაბამისად, დიდ შემოსავალსაც იღებდნენ.

კითხვაზე „მონაწილეობდნენ, თუ არა კანონიერი ქურდები 1990-2003 წლებში პოლიტიკურ გადატრიალებებში, ეთნო კონფლიქტებში, სამოქალაქო ომსა და/ან საქართველოს უახლესი ისტორიის სხვა ნეგატიურ მოვლენებში?“ - ექსპერტთა უმრავლესობა უარყოფითად პასუხობს. მხოლოდ ერთი მათგანი მიიჩნევს, რომ ისინი არა მხოლოდ მონაწილეობდნენ ან ორგანიზებას უწევდნენ სახელმწიფო გადატრიალებებს, არამედ რიგ შემთხვევაში, აფინანსებდნენ და/ან იარაღითაც კი ამარაგებდნენ მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელ პირებს. როგორც მითითებული კვლევიდან ჩანს, კრიმინალური ელიტის წარმომადგენლები მსგავსი ხასიათის ქმედებებში თითქმის არ ერეოდნენ, თუმცა მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ იშვიათ შემთხვევებში არც სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზება ყოფილა მათთვის უცხო.

კითხვაზე „თუ რამდენად დიდ გავლენა ჰქონდათ კანონიერ ქურდებს საქართველოში?“ - ექსპერტები მიუთითებენ, რომ ჩვენს ქვეყანაში კრიმინალური ელიტის მიერ კონტროლდებოდა ენერგეტიკის, ფულად-საკრედიტო, ვაჭრობის, მომსახურების (რესტორნები, სასტუმროები), სათამაშო, თუ სხვა არალეგალური ბიზნესები. მითითებულიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში თითქმის ყველა შემოსავლიანი სფერო კანონიერი ქურდების გავლენის ქვეშ იყო მოქცეული.

შემდგომ კითხვაზე - „თუ როგორი იყო/არის ბიზნესის კონტროლის მექანიზმი ქურდული სამყაროს მიერ ორგანიზებული?“ - ყველაზე აქტიურად მითითებულია განსაზღვრული წილის დასაკუთრება ბიზნესში. ამასთან, მითითებულია ასევე ფიქსირებული გადასახადის მიღება და რეკეტი, თუმცა აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში წილი ეკონომიკურ საქმიანობაში მოიცავს როგორც ფიქსირებული გადასახადის მიღებას ე.წ. „კრიშაზე“, ასევე - გამოძალვასაც. დანაშაულებრივი ელიტისათვის ბიზნესის წილის გადაცემა ხდებოდა სწორედ მათ მიერ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ხოლო ზოგჯერ კი ანალოგიური მოქმედება ხორციელდება რეკეტის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოძალვის შედეგად ბიზნესმენის მიერ გარკვეული წილის დათმობა ხდებოდა. როგორც ჩანს, კანონიერი ქურდების მიერ ბიზნესში მონაწილეობის ხერხები საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და არის.

კითხვაზე - „პოსტსაბჭოთა სივრცეში მონაწილეობენ თუ არა კანონიერი ქურდები რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურის საქმიანობაში?“ - სამი ექსპერტი უარყოფით პასუხს სცემს, ხოლო ორი კი დადებითს, რომელთაგან ერთ-ერთი მონაწილეობის სფეროსაც ასახელებს. მისი მოსაზრებით, დანაშაულებრივი ავტორიტეტები ჩაბმული არიან ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს საქმიანობაში. როგორც მითითებული პასუხებიდან ჩანს, საქართველოსაგან განსხვავებით, პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებში კანონიერი ქურდები კვლავაც დიდ გავლენას ინარჩუნებენ.

აღნიშნულთან დაკავშირებულ შემდეგ კითხვაზე იდენტური პასუხებია გაცემული, კერძოდ, ყველა ექსპერტი მიიჩნევს, რომ ზემოთ მითითებულ ქვეყნებში კანონიერი ქურდების მიერ ხდება სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვა, რაც, ცხადია, ხელს უწყობს დანაშაულებრივი ელიტის პოზიციების გამყარებასა და გავლენის სფეროების გაფართოებას.

ასევე იდენტური პასუხებია გაცემული კითხვაზე - „არსებობს თუ არა კონკურენცია და წინააღმდეგობა კანონიერ ქურდებსა და სხვა კრიმინალურ დაჯგუფებებს (ბრიგადებს კლანებს და ა.შ.) შორის?“ - რაც საკმაოდ ლოგიკურია, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1990-იან წლებში კანონიერ ქურდთა მკვლელობები სწორედ მსგავსი სახის დაპირისპირებებით იქნა განპირობებული. აღსანიშნავია,

რომ თანამედროვე პერიოდში მათ შორის ურთიერთობები მეტ-ნაკლებად დარეგულირდა, თუმცა კონკურენციის ელემენტები კვლავაც იკვეთება.

ქართველი კანონიერი ქურდების მიერ უცხო გარემოსთან მარტივად ადაპტაციის უნარზე მიუთითებს შემდეგ კითხვაზე გაცემული პასუხები. ექსპერტები თვლიან, რომ ქართული დანაშაულებრივი ელიტის წარმომადგენლებს ტრანსნაციონალური კავშირები გააჩნიათ არა მხოლოდ რუსეთთან და უკრაინასთან, არამედ - ევროპის ბევრ ქვეყანასთან, კერძოდ, ავსტრიასთან, ესპანეთთან, ბელგიასთან, საბერძნეთთან და ა.შ. მათივე მოსაზრებით, კრიმინალური ავტორიტეტები არ შემოიფარგლებიან უბრალო ურთიერთობით დასახელებულ ქვეყნებთან, არამედ ხსენებულ სახელმწიფოებში სერიოზული ფინანსური ინტერესები გააჩნიათ, რაც თავისთავად განაპირობებს მათ უდავოდ დიდ ავტორიტეტს აღნიშნულ ქვეყნებში.

ერთიანი აზრი აქვთ გამოკითხულ ექსპერტებს იმ ფაქტთან დაკავშირებითაც, რომ ქართველ კანონიერ ქურდებს კავშირები გააჩნიათ როგორც კავკასიურ, ისე აფხაზ და ოს სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ დანაშაულებრივ ჯგუფებთან. ხსენებულ კრიმინალურ დაჯგუფებებთან ურთიერთობა აიხსნება საქმიანობის საერთო ტერიტორიული არეალით. რაც შეეხება აფხაზ და ოს კრიმინალებთან კავშირებს, აღნიშნული გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, რადგან ქურდული სამყაროს ძირძველი კანონით, ისინი სახელმწიფოებსა და მისორგანოებს არ აღიარებენ, შესაბამისად, ოფიციალურ სტრუქტურებს შორის არსებული უთანხმოება მათ ურთიერთობებზე არ აისახება.

დასასრულს, ექსპერტებმა მიუთითეს, რომ კანონიერ ქურდებთან ბრძოლის კიდევ უფრო ეფექტურობისათვის სასურველი იქნება გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, ამასთან, საპარლამენტო, აღმასრულებელი, სამართალდამცავი სტრუქტურებისა და ეკლესიის კოორდინირებული მოქმედება. აღნიშნულ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ბოლოდროინდელი წარმატებები ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, რაც, პირველ რიგში, განპირობებულია როგორც მკაცრი კანონების მიღებით, ასევე პოლიციის მიერ საქმიანობის გააქტიურებით. რაც შეეხება ეკლესიას, მას უდიდესი იდეოლოგიური დატვირთვა გააჩნია და მისი როლისა და ავტორიტეტის გამოყენება საერთო მიზნის მისაღწევად სასარგებლო იქნება.

ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ ქურდული სამყაროს პრობლემა გარკვეულწილად კვლავაც აქტუალურია საქართველოში, ანუ წარმოებულ ბრძოლაში წარმატებების მიღწევის მიუხედავად პრობლემა სრულად არ აღმოიფხვრილა. ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სტრატეგიულად იდეოლოგიური ნაბიჯებია გადასადგმელი, რათა საბოლოოდ მოხდეს ტრადიციული დანაშაულებრივი მენტალიტეტის დამარცხება საზოგადოებაში და განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობაში.

აღნიშნულმა კვლევამ ასევე ცხადყო, რომ ქართველი კანონიერი ქურდები საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ მთელ მსოფლიოში, თუმცა მათ შორისაც გამოირჩევა რამდენიმე განსაკუთრებულად ავტორიტეტული კრიმინალი, რომლებიც ფაქტობრივად მართავენ დანაშაულებრივ სამყაროს.

კვლევის შედეგად შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ ქურდული სამყაროს სტრუქტურა არაერთგვაროვანია, ხშირად გვხვდება როგორც მკაცრად ცენტრალიზებული, ასევე არაკოორდინირებული სისტემა; მათ დაჯგუფებაში წევრთა ოდენობაც განსხვავებულია, რაც დიდწილად კრიმინალური ორგანიზაციის ძლიერებასა და გავლენიანობას განაპირობებს; დანაშაულებრივი ელიტის რიგებში არიან თითქმის ყველა ასაკის წარმომადგენლები, რომელთა უდიდეს უმრავლესობას გააჩნია საშუალო განათლება; ისინი უგულვებელყოფენ აკრძალვებს, რომელიც ეხება ოჯახის შექმნას და ასევე დიდ მნიშვნელობას ადარ ანიჭებენ ციხეში მრავალი წლის გატარებას, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მრავალჯერ ნასამართლევ დანაშაულებრივ ავტორიტეტებთან ერთად გვხვდებიან ასევე 1-2-ჯერ ნასამართლევი კანონიერი ქურდებიც. მიღებული ინფორმაციიდან ცხადად ჩანს, რომ დანაშაულებრივი სამყაროს ლიდერები, საჭიროებიდან გამომდინარე, უარს არ ამბობენ ძველი ქურდული წესებით აკრძალული დანაშაულების განხორციელებაზე. ასევე გამოიკვეთა მათი სუბკულტურის მიმზიდველობა, კერძოდ, სხვის ხარჯზე ცხოვრება, მაღალი საზოგადოებრივი სტატუსი, კრიმინალური რომანტიკა. გამოკვლევაში მონაწილე ექსპერტთაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავრწმუნდეთ საქართველოს ქურდული სამყაროს წევრთა განუსაზღვრელ ძალაუფლებაში 2003 წლამდე, რაზეც ნათლად მეტყველებს გავლენის ის სფეროები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში ქართულ კრიმინალურ დაჯგუფებებს გააჩნდათ. კვლევამ

ასევე ცხადყო ქურდული სამყაროს წევრთა ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი კავშირების არსებობა და მათი ადვილად ადაპტაციის უნარი ახალ გარემო პირობებთან. კიდევ ერთხელ აღინიშნა მათ წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული წარმატების საფუძვლები, კერძოდ, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და სამართალდამცავ ორგანოთა აქტიური ქმედება. აქვე აღსანიშნავი და ხაზგასასმელია ის „მესიჯი“, თხოვნა თუ დაკვეთა, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა ხელისუფლების მისამართით გააკეთეს, კერძოდ, აუცილებელია, ერთიანი, კოორდინირებული, როგორც ფიზიკური, ასევე იდეოლოგიური ბრძოლის გაგრძელება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, რათა საბოლოოდ მენტალობის დონეზე აღმოიფხვრას ქურდული სამყარო და მისი წევრების კრიმინალური საქმიანობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ მოსახლეობა კარგად აცნობიერებს ქურდული სამყაროს არსებობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მათ კარგად ესმით, რომ, მართალია, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან გატარებული ღონისძიებების შედეგად კანონიერ ქურდებს დიდი დარტყმა მიაღვათ, მაგრამ ისინი საბოლოო არ დამარცხებულან, შესაბამისად, საჭიროა ამ მიმართულებით ბრძოლის გაგრძელება, რათა არ მოხდეს მათ მიერ ძალების მოკრება და გავლენის სფეროების კვლავ აღდგენა. ასევე, თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, გატარებულ უნდა იქნეს შესაბამისი საკანონმდებლო და ორგანიზაციული ცვლილებები, რათა 2004 წელს საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა წარმატებით გაგრძელდეს.

4. ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება

ორგანიზებული დანაშაულობა მხოლოდ ერთი ქვეყნის პრობლემა არასდროს ყოფილა. თანამედროვე გლობალიზაციის პროცესების გათვალისწინებით პრობლემაგანსაკუთრებით აქტუალური გახდა. ამიტომ, მნიშვნელოვანია სხვა სახელმწიფოების გამოცდილების შესწავლა და შეფასება. წინამდებარე თავში განხილული იქნება ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტიკა აშშ-სა და იტალიაში. იტალიური გამოცდილების შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან იგი მაფიის სამშობლოა. ძნელად თუ მოიპოვება საზოგადოება, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე კრიმინალთა ისეთი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, როგორც იტალიის მოსახლეობა. რაც შეეხება აშშ-ს, მისი კანონმდებლობა და კრიმინალთან ბრძოლის მეთოდები გაცილებით ქმედითია, ხოლო პრაქტიკული გამოცდილება დიდი და საინტერესო. ამავე თავში იქნება განხილული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (პალერმო, 2000 წლის 15 ნოემბერი), ასევე, ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მებრძოლი ორი ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციის - ინტერპოლის და ევროპოლის ძირითადი ფუნქციები და როლი.

4.1. ამერიკის შეერთებული შტატები

ორგანიზებული დანაშაულობის საქმიანობა არაერთი საკანონმდებლო ნორმის დარღვევას მოიცავს. აღნიშნული ნორმების უმეტესობა მუნიციპალური პოლიციის იურისდიქციაში ექცევა, მაგალითად, მკვლელობის, პროსტიტუციის, ნარკოტიკების, აზარტული თამაშების შესახებ ნორმები, თუმცა, ორგანიზებული დანაშაულობის გამოძიება, როგორც ასეთი, ფედერალურ ორგანოთა კომპეტენციაა, რომლებიც რამდენიმე სპეციალური საკანონმდებლო აქტის ფარგლებში მოქმედებენ. მათ

შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ-ს საგადასახადო კოდექსი (148), კანონი კონტროლირებადი სუბსტანციების შესახებ, ჰობსის აქტი (154), კორუმპირებული და რეკეტული გავლენის ქვეშ მყოფი ორგანიზაციების შესახებ აქტი (რიკო), განგრძობადი კრიმინალური ბიზნესის შესახებ სტატუტი (153), სამომხმარებლო კრედიტის დაცვის შესახებ კანონი (152), ჯგუფური დანაშაულის შესახებ კანონები და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ნორმები.

გადასახადებისაგან თავის არიდება და ფულის გათეთრება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია, შესაბამისად, მიზანშეწონილია ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ერთობლივად განხილვა.

1927 წელს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე -*აშშ სალივანის წინააღმდეგ*, სადაც უარყო საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისაგან თავის შეკავების უფლება, როგორც უკანონოდ მიღებულ შემოსავლების დეკლარირებისა და საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების საპატიო მიზეზი (17, 313). აღნიშნული პრაქტიკის დამკვიდრების შედეგად შესაძლებელი გახდა აღ კაპონესა და მისი ორგანიზაციის წევრების წინააღმდეგ საქმის წარმოება. 1960-1965 წლებში მსჯავრდებულ ორგანიზებულ დანაშაულობათა ლიდერების 60% სწორედ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის ეძლეოდნენ პასუხისგებაში (49, 314).

შემოსავალი, კანონიერი გზითაა იგი მიღებული თუ არა, გადასახადებით იბეგრება, ამიტომ ორგანიზებულ დანაშაულობათა საქმიანობაში ჩაბმული პირებისათვის ბრალის წაყენება რამდენიმე ქმედებისათვისაა შესაძლებელი:

- ქონებრივი დეკლარაციის შეუვსებლობა ან სამეწარმეო საქმიანობის აღურიცხაობა;
- დეკლარაციის გაყალბება ან ყალბი ცნობების მითითება;
- საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან განზრახ თავის არიდება ან შემოსავლების დამალვა;
- გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებაში სხვა პირების დახმარება;

- სათამაშო ბიზნესის შემთხვევაში – რეგისტრირებული ფსონებისათვის სპეციალური საგადასახდო დეკლარაციის შეუვსებლობა.

ამგვარად, დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლებს უწევთ სხვადასხვა გზით არალეგალური შემოსავლების დაფარვა ან ფულის გათეთრება, ვინაიდან ნებისმიერი გზით მიღებულ შემოსავალზე სავალდებულოა გადასახადების გადახდა. მიჩნეულია, რომ ამგვარ ქმედებათა აღკვეთას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლაში (49, 314). ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს შემოსავლების სამსახური ასრულებს.

სახაზინო დეპარტამენტის შემოსავლების სამსახურს საგამოძიებო დანაყოფი გააჩნია. მაშინ, როდესაც მითითებული სამსახურის ძირითადი ფუნქცია საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფაა, საგამოძიებო ნაწილი ახდენს მტკიცებულებათა შეგროვებას იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ბრალის წაყენების უზრუნველსაყოფად, კერძოდ, დანაყოფის აგენტები არალეგალიზირებული შემოსავლების შესახებ ინფორმაციას მოიძიებენ. დანაშაულებრივი შემოსავალი ორი გზით დგინდება: პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი მეთოდი გულისხმობს გადასახადით დაბეგრული შემოსავლის ცალკეული ელემენტების, გაბერილი ხარჯებისა და ღირებულების დადგენას (მაგალითად, პირადი ხარჯების კორპორატიულად გაყვანა, საწარმოს შემოსავლის აქციონერებს შორის განაწილება, შემოსავლებისა და დანახარჯების სხვა წლით დათარიღება, გადასახადის შემცირების მიზნით და ა.შ.). პირდაპირი მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ ამ გზით მოპოვებული მტკიცებულებები ნაფიც მსაჯულთათვის ადვილად აღქმადია (29, 49-50).

იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზებულ დანაშაულობის მონაწილე პირებს გადასახადებისაგან თავის არიდების დახვეწილი მეთოდები გააჩნიათ (მაგალითად, ნაღდი ანგარიშსწორება, მინიმალური ჩანაწერების წარმოება, ლეგალური საფარველის შექმნა), პირდაპირი მეთოდი ყოველთვის ეფექტური არ არის. სწორედ ამ მიზეზით, საგამოძიებო დეპარტამენტი ხშირად მიმართავს ე.წ. „წმინდა ღირებულების“ პრინციპს (net-worth theory). ამ პრინციპის არსი ისაა, რომ სახელმწიფო ორგანოები ადგენენ გადასახადის გადამხდელის ქონების ღირებულებას წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის, წლის დასაწყისისათვის

დადგენილ ღირებულებას აკლებენ იმავე გადამხდელის ქონების ღირებულებას წლის ბოლოსათვის, რის საფუძველზეც დგინდება, რომ მიღებული სუფთა მოგება აღემატება გადამხდელის მიერ დეკლარირებულ ოდენობას. ასევე, შემოსავლების სამსახური კონკრეტული პირის მთლიან დანახარჯებს მისი ცხოვრების საერთო დონის საფუძველზე ადგენს და დეკლარირებულ შემოსავალს ადარებს. აღნიშნულის შემდეგ შესაძლებელია მტკიცება, რომ პირმა შემოსავალი ან მისი ნაწილი დამალა. შემოსავლის საგარეუდო წყაროს მითითება სავალდებულო არაა (94, 18). ხშირად ორგანიზებული დანაშაულობის ლიდერებს იმგვარი ცხოვრების წესი აქვთ, რომელსაც ლეგალური სამსახურიდან მიღებული შემოსავლები ვერ გასწვდება. მაგალითად, გამბინოს დანაშაულებრივი ოჯახის ბოსი – ჯონ გოტი სისტემატურად ყიდულობდა ტანსაცმელს, რომლის ღირებულებაც 1000 აშშ დოლარს აღემატებოდა, რასაც იგი ოფიციალური სამსახურიდან მიღებული შემოსავლით ვერაფრით მოახერხებდა (49, 315).

რაც შეეხება ფულის გათეთრებას, როგორც უკვე აღინიშნა, საგადასახადო და საბანკო კანონმდებლობასთან შესაბამისობისათვის დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლებს უწევთ უკანონო შემოსავლის ლეგალურად გარდაქმნა ან მისი არალეგალურობის გაბათილება. ვინაიდან ნაღდი ანგარიშსწორება ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენელთათვის გადახდის საუკეთესო ფორმაა, თანხა უნდა გაიფანტოს ან მოხდეს მისი კონვერტირება. აღნიშნული ხორციელდება, მაგალითად, უცხოურ საბანკო ანგარიშზე განთავსების ან უცხოურ ვალუტაზე გადაცვლის, ძვირფასეულობის ან ფასიანი ქაღალდების, წილების და ა.შ. შექმნის გზით. სწორედ აღნიშნულ პროცესს ეწოდება ფულის გათეთრება. ავტორები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ფულის გათეთრება მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლია დანაშაულებრივ სამყაროსა და ლეგალური ბიზნეს სექტორის უსაზღვრო კომერციულ-ფინანსურ შესაძლებლობებთან (46, 2).

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა შემდეგ ქმედებებს მოიცავს: 1) მონაცემების შეგროვებასა და გაანალიზებას; 2) თანხების ბრუნვის შესწავლას, მათ შორის, ვალუტის გადაცვლისა და ჩეკების განაღდების პროცესებზე დაკვირვებას; 3) ფულის გათეთრების დასრულებული ფაქტების დადგენას.

1970 წელს აშშ-ს კონგრესმა უკანონოდ მოპოვებული თანხის საბანკო ანგარიშებზე განთავსების აქტიური პროცესის საპასუხოდ მიიღო კანონი, რომელიც ცნობილია „საბანკო საიდუმლოების შესახებ“ აქტის სახელწოდებით (17, 326). აღნიშნული აქტი ითვალისწინებს სახაზინო სამსახურის უფლებამოსილებას, დაავალოს ბანკებსა და სხვა ფინანსურ ორგანიზაციებს მონაცემთა ბაზის წარმოება, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ფინანსური გარიგების დეტალების გარკვევა.

გარდა ამისა, აქტის საფუძველზე სახაზინო სამსახური უფლებამოსილია, საფინანსო ინსტიტუტებს, ზოგ შემთხვევაში კი კერძო მეწარმეებსა და ფიზიკურ პირებსაც გარკვეული სახის გარიგებების დეკლარირება მოსთხოვოს. მათგან მნიშვნელოვანია შემდეგი ორი მოთხოვნა: 10 000 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების მქონე გარიგების დეკლარირების ვალდებულება და 10 000 აშშ დოლარზე მეტი თანხის ან ფასიანი ქაღალდის აშშ-ს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ გადატანის დეკლარირების მოთხოვნა.

აღნიშნული მოთხოვნები შემოსავლების სამსახურს ფულის გათეთრების ფაქტების დადგენის საშუალებას აძლევს. სპეციალისტების ცნობით, ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენლები ხშირად მაღავენ თანხის მფლობელის ვინაობას ან ყალბ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს იყენებენ დეკლარაციების შევსებისას, აგრეთვე, ახდენენ ბანკის თანამშრომლების მოსყიდვას, რათა მათ დეკლარაციები შემოსავლების სამსახურს არ გადაუგზავნონ. ასევე ხშირად გამოიყენება სმარფინგის (Smurfing) სახელწოდებით ცნობილი ტექნიკა (49, 315). სმარფინგი, რომელიც თავისთავად დასჯადია ფედერალური კანონმდებლობით, გულისხმობს მნიშვნელოვანი ფულადი სახსრების 10 000 აშშ დოლარზე ნაკლები ოდენობის თანხებად ტრანსპორტირებას დეკლარირების თავიდან აცილების მიზნით.

1986 წლის ფულის გათეთრების კონტროლის აქტის მიღებამდე ფულის გათეთრება ფედერალურ დანაშაულად არ ითვლებოდა, თუმცა იუსტიციის დეპარტამენტი მრავალ საკანონმდებლო აქტს იყენებდა ამ ტიპის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად. 1986 წლის აქტმა აღნიშნული კანონები გააერთიანა. მითითებული ქმედება ცალკე ფედერალური

დანაშაული გახდა, რომელიც 500 000 აშშ დოლარის ან გამოყენებული ქონების ორმაგი ღირებულების ოდენობის ჯარიმითა და 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯებოდა. კანონმდებლობა, აგრეთვე, ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქონების სამოქალაქო კონფისკაციას ითვალისწინებს. სახელმწიფო უფლებამოსილია, სამოქალაქო სარჩელით პირს ნებისმიერი თანხის ჩამორთმევა მოსთხოვოს, რომელიც უკანონო წარმომავლობის დაფარვის მიზნით მრავალ გარიგებაში მონაწილეობდა. სასამართლოს შეუძლია დააყადოს სადავო თანხადავის გადაწყვეტამდე. „ნარკოდამოკიდებულების შესახებ“ კანონში 1988 წელს შესული ცვლილება კი ითვალისწინებს ოფშორული ბანკების ვალდებულებას, აღრიცხონ 10 000 აშშ დოლარზე მეტი ოდენობის გადარიცხვა და საჭიროებისამებრ აშშ-ს სახელმწიფო ორგანოები დაუშვან ამ მონაცემებთან. ოფშორულ ბანკს, რომელიც ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, შესაძლოა აეკრძალოს აშშ-ს საბანკო სისტემაში ანგარიშების გახსნა.

1988 წლის ანუნსიო-ვეილის „ფულის გათეთრების შესახებ“ კანონი (151) და 1992 წლის „ფულის გათეთრების აღკვეთის შესახებ“ კანონი (149) სახაზინო დეპარტამენტს უფრო ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ანუნსიო-ვეილის საფუძველზე ინკრიმინირებულია უკანონო ფულის გადარიცხვა როგორც ბიზნესი. ასევე მნიშვნელოვანია ის პირობა, რომ სახაზინო სამსახურს შეუძლია მოსთხოვოს საფინანსო ინსტიტუტებსა და სათამაშო სახლებს „საეჭვო მოქმედებების“ შესახებ (Suspicious Activity Report) ანგარიშის წარდგენა. საეჭვო მოქმედებების შესახებ ანგარიში წარმოადგენს შეტყობინებას კანონმდებლობის ცნობილი ან სავარაუდო დარღვევის ან „საბანკო საიდუმლოების შესახებ“ კანონის მოქმედების სფეროში საეჭვო მოქმედებების შესახებ. ძალიან ხშირად მსგავსი ანგარშები ფულის გათეთრების ან ტერორიზმის შემთხვევებზე გამოძიების დაწყების საფუძველი ხდება (17, 327). გარდა ამისა, ანუნსიო-ვეილის ნორმები სახაზინო სამსახურს ფინანსური ინსტიტუტებისათვის ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ოპერაციების ჩატარებისა და საგანგებო ჩანაწერების წარმოების მოთხოვნის უფლებამოსილებას ანიჭებს.

„სავალუტო ოპერაციებისა და საზღვარგარეთ გადარიცხვების ანგარიშგების შესახებ“ კანონის მიხედვით, აშშ-ს სახელმწიფოს უფლება აქვს, სხვა ქვეყნებს მოსთხოვოს „საბანკო საიდუმლოების შესახებ“ აქტით გათვალისწინებულის

მსგავსი მონაცემთა ბაზის წარმოება და მონაცემთა მიწოდება. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახაზინო დეპარტამენტის ფინანსურ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ქსელის (Financial Crimes Enforcement Network (FinCen)) საქმიანობა. ქსელი თანამშრომლობს სხვადასხვა ბანკების მმართველობით ორგანოებთან, მათი საქმიანობის საბანკო საიდუმლოების შესახებ აქტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

თუ რომელიმე ქვეყანა არ აწარმოებს შესაბამის მონაცემთა სისტემას, მის ფინანსურ ინსტიტუტებს აშშ-ს საბანკო სისტემასთან თანამშრომლობის უფლება ერთმევა. „აღნიშნული კანონმდებლობის აღსრულება გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული: განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებსაც მონაცემების გაცვლის საკითხებზე საკანონმდებლო შეზღუდვები აქვთ დაწესებული, მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ ტიპის ინფორმაციის მთავრობისათვის შეგროვებასა და მიწოდებას“ (87, 482).

რაც შეეხება კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენებას, 1999 წელს აშშ-ს საბაჟო და სხვა სამართალდამცავი უწყებების მიერ მნიშვნელოვანი ოპერაციები გატარდა მექსიკაში. მექსიკის ორმა უმსხვილესმა ბანკმა ფულის გათეთრებაში დამნაშავედ სცნო თავი. აღნიშნულის შედეგად მათ მილიონობით დოლარი ჩამოერთვა. ეს იყო ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარე მასშტაბური საიდუმლო ოპერაციის ნაწილი, რომლის შემდეგაც მრავალი მექსიკელი ბანკირი, ბიზნესმენი და სავარაუდო ნარკომოვაჭრე მიეცა პასუხისგებაში. თავისთავად ამ ოპერაციის მიმართ კამათი არ წყდება. პრობლემურია ის გარემოება, რომ აშშ-ს სამართალდამცავები მექსიკის ტერიტორიაზე ქვეყნის მთავრობის ინფორმირების გარეშე მოქმედებდნენ. გარდა ამისა, ხშირად ისმოდა კრიტიკა ბილ კლინტონის მიმართ მექსიკური მხარის შემდგომი დისკრედიტაციის აცილების მიზნით ოპერაციის ვადამდე შეწყვეტის გამო (91, 10).

როგორც უკვე აღინიშნა, ორგანიზებული დანაშაულობის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ე.წ. „განგსტერული მევახშეობა“ (Loan-sharking) წარმოადგენს. კანონიერი სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში თანხა გაიცემა მცირე ვადით და შეუსაბამოდ მაღალი პროცენტით, თანხის დასაბრუნებლად კი გამოიყენება ძალისმიერი მეთოდები. კრიმინალური

საქმიანობის ამ ფორმის აღსაკვეთად აშშ-ში რამდენიმე საკანონმდებლო აქტი მოქმედებს.

1968 წლის „სამომხმარებლო კრედიტის შესახებ“ აქტი განგსტერული მევახშეობის ცნებას შემდეგნაირად განსაზღვრავს: სესხის ნებისმიერი ფორმა, როდესაც, თანხის გადაცემის მომენტისათვის კრედიტორსა და მოვალეს გაცნობიერებული აქვს, რომ თანხის დაუბრუნებლობის ან დაბრუნების ვადის გადაცილების შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ძალადობა ან სხვა დანაშაულებრივი ქმედებები, მიმართული პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის, საქმიანი რეპუტაციის ან ქონების წინააღმდეგ. კანონს გაცნობიერებულობის ელემენტი შემოაქვს იმ მიზნით, რომ მისი მოქმედების ფარგლები გავრცელდეს მევახშეებზე, რომლებიც შეფარულ შეთავაზებებს მიმართავენ და ასე ვთქვათ, სატყუარას უგდებენ მსესხებლებს (42, 65). დანაშაულებრივი ქმედების გადამწყვეტი ელემენტია ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის ძალადობის გამოყენების შესაძლებლობის გაცნობიერება. ბრალდების მხარემ უნდა ამტკიცოს მოვალის გონივრული ვარაუდის არსებობა იმის თაობაზე, რომ კრედიტორს გამოუყენებია ძალადობა (ან სარგებლობს მსგავსი რეპუტაციით) ვალდების დაბრუნების უზრუნველყოფისათვის. თუ ამ ტიპის პირდაპირი მტკიცებულება არ არსებობს (მოწმე მკვდარია ან იმდენად შეშინებულია, რომ ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებს), სასამართლომ შესაძლოა გაითვალისწინოს მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს კრედიტორის, როგორც თანხის ამკრეფის, რეპუტაციაზე (42, 110-111).

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „სამომხმარებლო კრედიტის დაცვის შესახებ“ აქტი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ორგანიზებული დანაშაულობის იერარქიის ზემდგომ საფეხურებზე მდგომი პირებისათვის ბრალის წაყენების შესაძლებლობასაც იძლევა. მართალია, ე.წ. ბოსები პირადად არ გაასესხებენ თანხებს, მაგრამ, ძალიან ხშირად აფინანსებენ კაბალურ ხელშეკრულებებს, რომლებსაც უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი კრიმინალები დებენ. სამომხმარებლო კრედიტის დაცვის შესახებ აქტის მიხედვით, თანხის ან სხვა ქონების ნებაყოფლობით გადაცემა ნებისმიერი პირისათვის საჩუქრის, სესხის ან ინვესტიციის სახით პარტნიორობის ან მოგების განაწილების გარიგების საფუძველზე ან სხვაგვარად, როდესაც არსებობს გონივრული ვარაუდის საფუძველი, რომ ქონების მიმღების განზრახვაა გადაცემული ქონების გამოყენება

მევახშური ხელშეკრულების დასადაბად, ისჯება ჯარიმით არაუმეტეს 10 000 აშშ დოლარის ოდენობით, ან ზემოთგანსაზღვრული ქონების არაუმეტეს ორმაგი ოდენობით (რომელიც უფრო მეტია), ან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ორივეთი ერთდროულად. იგივე სასჯელები გამოიყენება თავად განგსტერული კრედიტის გამფორმებელი პირების მიმართ, ასევე, მათ მიმართ, ვინც რაიმე ფორმით ხელს უწყობდა თანხების შეგროვებას.

ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობა ორგანიზებული დანაშაულობის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი ფორმაა. ბუნებრივია, კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ სახის უკანონო ბიზნესის აღკვეთას.

1914 წლის „ჰარისონის აქტის“ მიხედვით, უკანონოდ ითვლებოდა შემოსავლების სამსახურის კომისრის წერილობითი ნებართვის გარეშე ოპიუმის, ოპიუმიდან წარმოებული ნივთიერებების და კოკას გაყიდვა ან უსასყიდლოდ გაცემა. პირებს, რომლებიც შესაბამისი წესით არ იყვნენ რეგისტრირებული, ეკრძალებოდათ შტატებს შორის წამლების გადატანა რეგისტრაციისა და შესაბამისი გადასახადის გადახდის გარეშე, ასევე, დაუშვებელი იყო რომელიმე სახის ნარკოტიკული საშუალების ფლობა.

1970 წლისათვის ფედერალური პოლიციის იურისდიქციის საკითხები უმეტესწილად გაირკვა და „სრული ნარკოდამოკიდებულების პრევენციის და კონტროლის შესახებ“ აქტით ახლებურად მოწესრიგდა ფედერალური ანტინარკოტიკული პოლიტიკა – იგი დაეფუძნა არა გადასახადებით დაბეგვრის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას, არამედ - შტატებს შორის ვაჭრობის ფედერალურ კონტროლს. ამგვარმა ცვლილებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ნარკოტიკებთან დაკავშირებული საკითხების შემდგომ მოწესრიგების პროცესზე. ნორმატიულმა აქტმა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის ახალი მეთოდების დამკვიდრებისათვის საფუძველი მოამზადა. ახალი მეთოდოლოგია კი მდგომარეობდა იმაში, რომ ფედერალურ სამსახურებს საშუალება მიეცათ, ადგილობრივ ერთეულებზე ემოქმედათ. ფედერალური ორგანოების ჩარევის გამართლებისათვის აუცილებელი აღარ იყო შტატიდან შტატში ტრანზიტის დამტკიცება (102, 28). ამგვარი ახლებური მიდგომა სასამართლო პრაქტიკითაც

გამყარდა. 1970 წლის კანონმდებლობა ნარკოტიკულ საშუალებებს, მათ მიმართ დამოკიდებულების ხარისხის შესაბამისად, ხუთ კატეგორიად ჰყოფს.

1984 წლის „დანაშაულობათა კონტროლის სრული აქტით“ გათვალისწინებულ იქნა გაორმაგებული სასჯელები იმ პირებისათვის, რომლებსაც წინათ ჰქონდათ ჩადენილი მძიმე ნარკოტიკული დანაშაულობები ქვეყნის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ.

1986 წლის „ანტინარკოდამოკიდებულების შესახებ“ აქტი ითვალისწინებს პატიმრობას გარკვეული სახის ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ და მინიმალური სასჯელების გაორმაგებას იმ პირთა მიმართ, რომლებსაც წინათ ჰქონდათ ჩადენილი მძიმე ნარკოტიკული დანაშაულობები ქვეყნის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ.

1988 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო უწყებების როლი ნარკოტიკულ დანაშაულებთან ბრძოლის პროცესში. კონგრესმა მიიღო საკანონმდებლო აქტები, რომლებიც პრეკურსორებისა და წამლების საწარმოებლად განკუთვნილი დანადგარების მიმართ კონტროლს აძლიერებდა.

1988 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დამკვიდრდა ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ მნიშვნელოვანი სამოქალაქო სასჯელები. ეს სასჯელები მოიცავს ფედერალური პრივილეგიების ან გარკვეული სახის საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების ჩამორთმევას და ა.შ. კონტროლირებული ნივთიერებების, თუნდაც მცირე ოდენობით ფლობისათვის დაწესებულია 10 000 აშშ დოლარი დამეტი ოდენობითჯარიმები. არასრულწლოვნებისათვის ნარკოტიკულ საშუალებათა მიყიდვისათვის საგანგებო სასჯელებია დადგენილი. კანონი ითვალისწინებს სასჯელის მაქსიმალურ ზომას ნარკოტიკულ დანაშაულობათა ფარგლებში ჩადენილი მკვლელობისათვის. გარდა ამისა, ჩამოყალიბდა ეროვნული ანტინარკოტიკული სტრატეგიის სამსახური (Office of National Drug Policy), რომლის დირექტორსაც ქვეყნის პრეზიდენტი ნიშნავს. სამსახურის ფუნქციებია ნარკოტიკების მიწოდების საწინააღმდეგო ფედერალურ ღონისძიებათა კოორდინაცია, საერთაშორისო კონტროლი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება, კვლევების ჩატარება.

ადამიანებით ვაჭრობა და არალეგალური მუშახელის გამოყენება ორგანიზებული დანაშაულობის საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა, შესაბამისად, აქტიურადაა მოქცეული სამართალდამცავი ორგანოების ყურადღების ფარგლებში.

„ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის აქტი“, რომელიც კონგრესის ორივე პალატამ 2000 წელს, პრაქტიკულად, ერთხმად მიიღო, აწესრიგებს ტრეფიკინგის შედეგად მუშახელის ექსპლუატაციის საკითხებს. კანონი ფართოდ განმარტავს იძულებით შრომას. აღნიშნული აქტით:

- კრიმინალიზირებულია ადამიანებით ვაჭრობა მონური შრომის გამოყენების მიზნით, არანებაყოფლობითი მომსახურება, ვალის დაფარვის სანაცვლოდ ფიზიკური შრომის იძულება (პეონაჟი), იძულებითი შრომის სხვა ფორმები;
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა დადგენილი შრომის არაძალადობრივი იძულებისათვის, თუ მსხვერპლს ჰქონდა ვარაუდი, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მის მიმართ ძალადობას მიმართავდნენ;
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა დადგენილი პირისათვის საბუთების (პასპორტი, პირადობის მოწმობა, დაბადების მოწმობა) ჩამორთმევამისი შრომის გამოყენების მიზნით;
- გაზრდილია სასჯელის ზომები იძულებითი შრომის გამოყენების ყველა ფორმისათვის; უკუდასრულებული ადგილისათვის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, თუ დანაშაულებრივი ქმედება მოიცავს ადამიანების მოტაცებას, მკვლელობას, სქესობრივ ძალადობას;
- გათვალისწინებულია მსჯავრდებულის ქონების კონფისკაცია;
- დაზარალებულებს მოწმეთა დაცვისა და სხვა სახის პროგრამებში მონაწილეობის უფლება ენიჭებათ;
- გამარტივებულია დაზარალებულთათვის ლეგალური იმიგრანტის სტატუსის მინიჭების პროცესი.

რეკეტის წინააღმდეგ მიმართული პირველი ნორმატიული აქტები „ჰობსის აქტის“ სახელწოდებითაა ცნობილი. აღნიშნულ აქტში 1946 წლის შემდეგ მრავალი

ცვლილება შევიდა. „ჰობსის აქტის“ მიხედვით, ფედერალურ დანაშაულს წარმოადგენს ისეთ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმა, რომელიც საერთაშორისო/შტატებშორის კომერციას უშლის ხელს.

აქტის მიხედვით, ნებისმიერ პირს, რომელიც რაიმე ფორმით ან მოცულობით შეაფერხებს, დააბრკოლებს ან დააზარალებს ვაჭრობას ან საქონლის ნებისმიერ ბრუნვას, ყაჩაღობის, გამოძალვის ჩადენის/ჩადენის მცდელობის განზრახვის მეშვეობით ან მიმართავს ფიზიკური ძალადობის მუქარას რომელიმე პირის ან ქონების მიმართ ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, დაეკისრება ჯარიმა არაუმეტეს 10 000 აშშ დოლარისა ან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

ამ ნორმის პრაქტიკაში დანერგვით შესაძლებელი გახდა ჩიკაგოს პოლიციის 60-მდე ოფიცრისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება სალონების მეპატრონეთაგან თანხების გამოძალვის გამო. ექვსწლიანი გამოძიება, რომელსაც იუსტიციის დეპარტამენტი აწარმოებდა, მთლიანად ემყარებოდა „ჰობსის აქტის“ იმ ნაწილს, რომელიც გამოძალვას, როგორც შტატებს შორის კომერციისათვის ნებისმიერი ფორმით ხელშეშლის საშუალებას, ფედერალურ დანაშაულად აცხადებს. ბრალდების მხარე დასაბუთებისათვის იმ გარემოებას იშველიებდა, რომ ტავერნები ლუდსა და ალკოჰოლურ სასმელებს ჰყიდდნენ, რომლებიც შეტანილი ან ჩამოსხმული იყო ილინოისის შტატის ფარგლებს გარეთ (20, 7).

აშშ-ს კანონმდებლობით კრიმინალური ორგანიზაციის წევრობა, როგორც ასეთი, დასჯადი არ არის, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება დაირღვეს კონსტიტუციით გარანტირებული გაერთიანების თავისუფლება. აღნიშნულის მიუხედავად, როგორც შტატების, ისე ფედერალური კანონმდებლობით ისჯება გაერთიანება დანაშაულის ჩადენის მიზნით. „დანაშაულებრივი დაჯგუფება“ განსაზღვრულია როგორც შეთანხმება უკანონო ქმედების ან კანონიერი ქმედების უკანონო საშუალებით ჩასადენად. იმისათვის, რომ დადგინდეს დანაშაულებრივი დაჯგუფებების წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის დარღვევა, ბრალდების მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ სულ მცირე ორი პირი შეთანხმდა სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებით და ერთ-ერთმა მათგანმა თუნდაც ერთი ქმედება განახორციელა შეთანხმების სისრულეში მოსაყვანად (16, 316). ამ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა აუცილებელი არაა, შეთანხმების

არსებობა ამგვარი ქმედების განსახორციელებლად უკვე ქმნის დანაშაულის შემადგენლობას.

კრიმინალური დაჯგუფებების შესახებ კანონმდებლობას რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში:

- ჩარევა დანაშაულის ჩადენამდე შესაძლებელი;
- დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი თავს ვერ დაიცავს შეთანხმების დეტალების, დანარჩენი წევრების ვინაობის ან მათ მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ არცოდნაზე მითითებით;
- დაჯგუფების ერთი წევრის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც დაჯგუფების მიზნის განხორციელებისკენაა მიმართული, საკმარისია დანარჩენი წევრების პასუხისმგებლობის დადგომისათვის;
- თითოეული წევრი პასუხს აგებს დანარჩენი წევრების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. გასათვალისწინებელია, რომ თვით დაჯგუფებაში უფრო გვიან გაწევრებული პირი შეიძლება დაისაჯოს მის მისვლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ შეთანხმების მომენტისათვის მათ შესახებ ცნობილი იყო (17, 317).

პრაქტიკაში დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრების წინააღმდეგ საქმის წარმოება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. საქმეზე - აშშ სფერლინგის წინააღმდეგ, სასამართლომ განმარტა, რომ „მეტისმეტად გავრცელდა შესაბამისი ორგანოების მიერ ათეულობით პირისათვის ბრალის წაყენება და ერთი პროცესის ფარგლებში სასამართლოსათვის წარდგენა მხოლოდ დაჯგუფების წევრობაზე დაყრდნობით, მაშინ, როდესაც, თავად დანაშაულებრივი ქმედებები მიუთითებს ერთ ან ორ თანამონაწილეზე, რომლებსაც, შესაძლოა, ზემდგომი პირი მართავდეთ. ამგვარი ვითარება „ასოცირებული ბრალის“ (Guilt by association) განვითარების საფრთხეს ქმნის. როდესაც ნაფიც მსაჯულებს მრავალრიცხოვან განსახველთა ჯგუფს და მრავალ მტკიცებულებას წარუდგენენ, ისინი ვეღარ ახერხებენ სათანადო ყურადღების კონცენტრირებას თითოეულ მათგანზე“ (129).

მეორე ყურადსაღები გარემოება არის ის, რომ ამ ტიპის საქმეები, ჩვეულებრივ, მოთხოვს უშუალო თვითმხილველების ჩვენებას. ამგვარი თვითმხილველები, როგორც წესი, თავად დაჯგუფების წევრები არიან. შესაბამისად, საქმის მწარმოებელმა ორგანომ უნდა მოიძოს მოწმეები, რომლებიც მზად არიან (იმუნიტეტის შეთავაზების სანაცვლოდ), მისცენ ჩვენება და შეუძლიათ შეთანხმების დეტალების გამარტება (86, 29).

კორუმპირებული და რეკეტული გავლენის ქვეშ მყოფი ორგანიზაციების შესახებ აქტი (155), იგივე „რიკო“, აშშ-ს კანონმდებლობაში ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად მთავარი ნორმატიული აქტია. მისი ასეთი მნიშვნელობა რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული: აღნიშნული სტატუტის მიღებამდე საერთოდ სამართალი და ტრადიციული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა ყურადღებას მხოლოდ ისეთ ცალკეულ, კონკრეტულ დანაშაულებს უთმობდა, როგორებიცაა მკვლელობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ა.შ. როგორც წესი, მტკიცების ტვირთის განაწილება განსასჯელის საწინააღმდეგოდ მისი ნასამართლეობისა და ნასამართლევ თანამონაწილეებთან წარსულში კონტაქტის შესახებ ინფორმაციის გამოყენების საშუალებას არ იძლეოდა. აღნიშნული სრულიად ბუნებრივია, რადგანაც ტრადიციული სისხლის სამართლის პროცესი „დაბლ ჯეოპარდი კლოზის“ (Doublejeopardyclause) კონსტიტუციურ პრინციპს ემყარება, რომელიც კრძალავს ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ სასჯელის შეფარდებას. მართლმსაჯულების განხორციელების ამგვარი სისტემა გამართლებულია უდანაშაულო პირების უკანონოდ პაუსიხგებაში მიცემის აცილების მიზნებიდან გამომდინარე, მაგრამ ნაკლებად ეფექტური ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის პროცესში (82, 92). რეალურად, ძალიან რთულია თუ არა შეუძლებელი, ორგანიზებული დანაშაულობის იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირება. ისინი გეგმავენ და ხელმძღვანელობენ დანაშაულებრივ ქმედებებს, ასევე, დებულობენ შემოსავალს ამგვარი ქმედებებიდან, მაგრამ, ჩვეულებრივ, კრიმინალურ საქმიანობას თავად არ ახორციელებენ. ამდენად, გარკვეულ ეტაპამდე, აშშ-ში არ არსებობდა კანონი, რომელიც ამგვარი პირების პაუსიხგებაში მიცემისათვის სამართლებრივ საფუძველს შექმნიდა.

ზემოთდასახელებული პრინციპებიდან პირველი გამონაკლისი გათვალისწინებულ იქნა დანაშაულებრივი დაჯგუფებების შესახებ სტატუტებით, რომლებიც განხილულია წინამდებარე თავში.

ორგანიზებული დანაშაულობა, დანაშაულებრივი დაჯგუფებაა, თავისთავად, რადგანაც ორგანიზაციის არსებობა მონაწილეთა შეთანხმების გარეშე შეუძლებელია, თუმცა ამგვარი მიდგომა სრულყოფილი არ არის: დანაშაულებრივი დაჯგუფება არის კრიმინალური თანამშრომლობა, რომლის თითოეული მონაწილე ერთი დანაშაულებრივი სქემის ფარგლებში ერთიანდება. რაც შეეხება ორგანიზებულ დანაშაულობას, „იგი მოიცავს მრავალ სხვადასხვა კრიმინალურ ქმედებას, რომელსაც „სპეციალისტები“ ჩადიან, მათ კი ზურგს ათასობით დამნაშავე უმაგრებს, რომლებიც ისეთივე ფართო სტრუქტურებში მოღვაწეობს, როგორც ნებისმიერი კორპორაცია“ (40, 104).

1969 წლის მარტში სენატში წარდგენილ იქნა №1623 კანონპროექტი, რომელიც „დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესახებ“ აქტის სახელითაა ცნობილი. დანაშაულებრივი საქმიანობა ამ პროექტით ბევრად უფრო ვიწროდ იყო განსაზღვრული, ვიდრე „რიკოში“.

მოგვიანებით შეიმუშავებულ იქნა №1861 კანონპროექტი „კორუმპირებული ორგანიზაციების შესახებ“ აქტი. პროექტი გაცილებით აფართოებდა დანაშაულებრივი ქმედების ცნებას, რომელიც ახალი ტერმინით – „რეკეტული საქმიანობით“ იყო ჩანაცვლებული. რეკეტულმა საქმიანობამ გააერთიანა როგორც შტატების სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული, ასევე, ზოგიერთი ფედერალური დანაშაულიც. მოგვიანებით, პროექტი სხვა საკანონმდებლო აქტის, „რიკოს“ ნაწილი გახდა მე-9 თავის სახით.

კორუმპირებული და რეკეტული გავლენის ქვეშ მყოფი ორგანიზაციების შესახებ აქტის მიღებისას კანონმდებლის უპირველესი მიზანი ორგანიზებული დანაშაულობის კანონიერ ბიზნესში შეჭრის თავიდან აცილება იყო. ამასთან, იგი მხოლოდ ორგანიზებული დანაშაულობით არ შემოიფარგლებოდა და ყველა ფორმის „საწარმოო დანაშაულებს“ შეეხებოდა (99, 786). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სპეციალისტის მოსაზრებით, თავდაპირველად „რიკოს“ არაფერი ჰქონდა საერთო ორგანიზებული დანაშაულობის, როგორც ასეთის, წინააღმდეგ

ბრძოლასთან. იგი მიმართული იყო რეკეტული საქმიანობის ელემენტი დანაშაულების დასჯისაკენ და ორგანიზებულობის მომენტი გადამწყვეტი სულაც არ იყო. „რიკო“ არ მიიჩნევს დასჯადად მაფიის წევრობას, ნორმატიული აქტის სხვაგვარი ინტერპრეტაცია კი პრაქტიკაში მისი გამოყენების შედეგია. მითითებული მოსაზრების საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს, რომ „რიკოს“ მიღების ისტორია ცხადად მიუთითებს მის მიზანზე – დარტემის მიყენება ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებისათვის წევრების პასუხისგებაში მიცემითა და მათი შემოსავლების კონფისკაციის გზით. ის გარემოება, რომ „რიკო“ პირდაპირ არ მიუთითებს ორგანიზებული დანაშაულობის წევრობის დასჯადობაზე, განპირობებულია კანონმდებლის ნებით, აეცილებინა პირის სტატუსის და არა დანაშაულის გამო დასჯის სადავო მომენტები (49, 321).

აშშ-ს ერთიანი კოდექსის (რომლის 96-ე თავსაც „რიკო“ წარმოადგენს), 1962-ე პარაგრაფის მიხედვით:

„ნებისმიერი ადამიანისათვის უკანონოდ ჩაითვლება შემოსავლის მიღება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეობს არაერთგზისი რეკეტული საქმიანობიდან ან უკანონო ვალების შეგროვებიდან, რომელშიც ეს პირი მონაწილეობდა როგორც ძირითადი მოქმედი პირი აშშ კოდექსის მე-18 თავის მე-2 მუხლის შესაბამისად, ასევე, მითითებული შემოსავლის ნებისმიერი ნაწილის ან მისაგან მიღებული შემოსავლის პირდაპირ ან არაპირდაპირ დაბანდება ნებისმიერი საწარმოს, რომელიც ჩართულია ან რომლის საქმიანობაც გავლენას ახდენს შტატთა შორის ვაჭრობაში წილის შესაძენად, მის დასაფუძნებლად, ან სამართავად. საფინანსო ბაზარზე ფასიანი ქაღალდების შექენაში დაბანდება ამ ქაღალდების გამომცემი ორგანიზაციის მართვის, ან მის მართვაში მონაწილეობის მიღების, ან სხვისთვის აღნიშნულ ქმედებაში დახმარების გაწევის განზრახვის გარეშე, არ ჩაითვლება უკანონოდ აღნიშნული პუნქტის შესაბამისად, თუ შექმენის, მისი ახლო ნათესავების, და არაერთგზისი რეკეტულ საქმიანობაში ან უკანონო ვალების შეგროვებაში ნებისმიერი თანამონაწილის მფლობელობაში შექენის შედეგად, საერთო ჯამში, არ აღმოჩნდება ბრუნვაში გამოშვებულნიებისმიერი კატეგორიის ფასიანი ქაღალდების 1%-ზე მეტი და რომელიც არ მიანიჭებს კანონის

შესაბამის ან ფაქტობრივ ძალა-უფლებას, აირჩიოს ერთი ან მეტი დირექტორი ფასიანი ქაღალდების გამომცემ ორგანიზაციაში.

ბ. ნებისმიერი პირისათვის უკანონოდ ითვლება არაერთგზისი რეკეტიული საქმიანობის ან ვალების უკანონო შეგროვების შედეგად წილის შექენა, პირდაპირი ან არაპირდაპირი შეინარჩუნება ან ხელმძღვანელობის უფლების მოპოვება ნებისმიერ საწარმოზე (ორგანიზაცია), რომელიც ჩართულია ან რომლის საქმიანობაც გავლენას ახდენს შტატთა შორის ან საერთაშორისო ვაჭრობაზე.

გ. ნებისმიერი პირისათვის, რომელიც დასაქმებულია ან სხვაგვარად დაკავშირებულია საწარმოსთან, რომელიც ჩართულია, ან რომლის საქმიანობაც გავლენას ახდენს შტატთა შორის ან საერთაშორისო ვაჭრობაზე, უკანონოდ ჩაითვლება ამ ორგანიზაციის პირდაპირ ან არაპირდაპირი მართვა ან მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება არაერთგზისი რეკეტიული საქმიანობით ან უკანონო ვალების შეგროვებით.

დ. ნებისმიერი პირისათვის უკანონოდ ჩაითვლება უკანონოდ გაერთიანებაშითითებული მუხლის „ა“, „ბ“ ან „გ“ პუნქტების ნებისმიერი დებულების დასარღვევად.

დამატებითი განმარტების გარეშე, აღნიშნული ნორმები არაფრისმომცემია. სწორედ ამიტომაც, 1961-ე პარაგრაფში განმარტებულია „რიკოს“ ძირითადი ტერმინები, რომელთაგან, ოთხი მათგანი: პირი, საწარმო, რეკეტიული საქმიანობა და არაერთგზისი რეკეტიული საქმიანობა მნიშვნელოვანია საკანონმდებლო აქტის მოქმედების სფეროს განსაზღვრისათვის.

„პირი“ გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ პირს ან გაერთიანებას, რომელიც შესაძლებელია, ფლობდეს სამართლებრივ უფლებას ან ეკონომიკურ ინტერესს საკუთრებაზე (155). ამგვარი განმარტება, პრაქტიკულად არავის ტოვებს „რიკოს“ მოქმედების სფეროს მიღმა.

საწარმო აერთიანებს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, ამხანაგობას (საქმიანობის ორგანიზებული ფორმა), კორპორაციას, ასოციაციას, ან სხვა იურიდიულ პირს და

ასევე, ნებისმიერი გაერთიანებას ან პირთა ჯგუფს, რომლებიც ფაქტობრივად არიან დაკავშირებული, თუმცა არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს (155).

რეკეტული საქმიანობა არის 1961-ე პარაგრაფის 1-ელ ქვეპუნქტში აღნიშნული ნებისმიერი ქმედება ან ამგვარი ქმედების ჩადენის მუქარა. მითითებულ ქვეპუნქტში ჩამოთვლილია 40-მდე დანაშაული, მათ შორის, მკვლელობა, ადამიანების გატაცება, გამოძალვა, ყაჩაღობა, ძარცვა, საფოსტო თაღლითობა და ა.შ. (155).

არაერთგზისი რეკეტული საქმიანობა გულისხმობს რეკეტული ქმედებიდან მინიმუმ ორი დანაშაულის განხორციელებას, რომელთაგან ერთ-ერთი ჩადენილია ამ თავის ამოქმედების შემდეგ -1970 წლის 15 ოქტომბრიდან, ხოლო მეორე – წინა კრიმინალური აქტის სისრულეში მოყვანიდან 10 წლის ფარგლებში. მითითებული ვადის დაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება პერიოდი, რომელიც კრიმინალმა გაატარა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში (155).

მოცემული განმარტებების შემდეგ გასაგები ხდება „რიკოს“ მოქმედების სფერო. 1961-ე პარაგრაფის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ორგანიზებული დანაშაულობების მიერ ლეგალური ბიზნესის ინვესტირების წინააღმდეგაა მიმართული. ამ მიზანს ყველაზე ნათლად „ა“ ქვეპუნქტი გამოხატავს იმდენად, რამდენადაც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები, ძირითადად, ლეგალურ ბიზნესსაკონტროლებენ არალეგალური შემოსავლების ინვესტირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, პარადოქსია, რომ აშშ-ს სამართალდამცავი ორგანოები ყველაზე იშვიათად სწორედ ამ ქვეპუნქტს იყენებენ. ეს გარმოება მტკიცების სირთულით აიხსნება. 1962-ე პარაგრაფი ბრალდების მხარისაგან ორივე ფაქტის დამტკიცებას მოითხოვს – იმისაც, რომ პირმა რეკეტული საქმიანობის შემადგენელი დანაშაული ჩაიდინა და იმ გარემოებისაც, რომ ლეგალურ ბიზნესში ამ გზით მიღებული შემოსავლების ინვესტირება განახორციელა (82, 96).

„ბ“ ქვეპუნქტი სხვა, არანაკლებ გავრცელებული სქემის წინააღმდეგაა მიმართული. იგი ებრძვის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ლეგალურ ბიზნესზე კონტროლის მოპოვებას გამოძალგის, მოსყიდვის, თაღლითობის ან მევახშეობის გამოყენებით. „ა“ ქვეპუნქტისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში აუცილებელი არაა შემოსავლის კრიმინალური წარმოშობის დამტკიცება.

რაც შეეხება „გ“ ქვეპუნქტს, რომელიც „რიკოს“ მოგვიანებით დაემატა, იგი ყველაზე აქტიურად გამოიყენება აშშ-ს სამართალდამცვი ორგანოების მიერ. მითითებული ნორმის თანახმად, პირებს, რომლებიც საწარმოს მიერ არიან დაქირავებულნი ან სხვა გზით უკავშირდებიან მას, ეკრძალებათ არაერთგზისი რეკეტული საქმიანობის გამოყენება საწარმოს საქმიანობის წარმართვისას ან ამგვარ ქმედებაში მონაწილეობა. არსებითი ამ შემთხვევაში ის გარემოებაა, რომ აღნიშნული ნორმა არ შემოიფარგლება მხოლოდ ლეგალურ ბიზნესში შეღწევის მსურველი რეკეტირებით. ნებისმიერი, რომელსაც კანონიერი ბიზნესი აქვს, გარკვეული სახის დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის შემთხვევაში, შეიძლება „რიკოს“ სუბიექტი გახდეს და ამ გზით რეკეტირად იქცეს.

რაც შეეხება სტატუტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ფორმებს, თეორიაში მიღებულია აქტის დაყოფა სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქო „რიკოდ“. სისხლისსამართლებრივი ნაწილი მოიცავს 1963-ე პარაგრაფს, სადაც გათვალისწინებულია სასჯელები ზემოჩამოთვლილი სამართალდარღვევებისათვის.

1963-ე პარაგრაფის 1-ელი პუნქტის მიხედვით, პირი, რომელმაც ჩაიდინა 1962-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, უნდა დაჯარიმდეს ან შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს 20 წლით (ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთა, თუ ამგვარი გათვალისწინებულია რეკეტულ საქმიანობად განსაზღვრული რომელიმე დანაშაულის ჩადენისათვის) ან შეეფარდოს ორივე სასჯელი ერთად; დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული ქონება კი კონფისკაციას ექვემდებარება.

რაც შეეხება სამოქალაქო ნორმებს, აღნიშნული მოიცავს 1964-ე პარაგრაფს, რომელიც აღგენს სასამართლოს ცალკეულ უფლებამოსილებებს. კერძოდ, ამ პარაგრაფის მიხედვით, სასამართლოს, 1962-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის თავიდან აცილების ან შეჩერების მიზნით, შეუძლია, გამოსცეს გარკვეული ბრძანებები ან ორდერი, მათ შორის, დაავალოს პირს, უარი თქვას ნებისმიერ საწარმოში საკუთარ პირდაპირ ან არაპირდაპირ ინტერესებზე, დაუწესოს ნებისმიერ პირს სამომავლო ქმედებებზე ან ინვესტიციებზე შეზღუდვის, ნებისმიერი საწარმოს გარდაქმნის დავალება და ა.შ. ამგვარი ბრძანება გაიცემა გენერალური პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე.

იგივე პარაგრაფი ადგენს 1962-ე მუხლის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. კერძოდ, ნებისმიერ პირს, რომლის საკუთრებას ან საწარმოს მიაღვა ზიანი 1962-ე პარაგრაფის დარღვევის გამო, შეუძლია აშშ-ს ნებისმიერ სასამართლოს მიმართოს და მოითხოვოს როგორც დამდგარი ზიანის სამმაგი ოდენობის, ისე სასამართლო ხარჯების (ადვოკატის ხარჯების ჩათვლით) ანაზღაურება.

როგორც ზემოთხამოთვლილი ნორმების საფუძველზე ჩანს, სხვა სისხლისსამართლებრივი საკანონმდებლო აქტებისაგან განსხვავებით, „რიკო“ არ აღწერს იმ ქმედებებს, რომლებიც დანაშაულებრივ შემადგენლობას ქმნიან. იგი აბსტრაქტული კატეგორიებით ხელმძღვანელობს.

სწორედ ამგვარი აბსტრაქტულობის გამო, „რიკო“ ხშირად ხდება კრიტიკის საგანი, რისი ძირითადი მიზეზიც მისი დებულებების ზოგადი ხასიათი და, შესაბამისად, გამოყენების ფართო სფეროა. მაგალითისათვის, ტერმინი „საწარმო“ ისეა განსაზღვრული, პრაქტიკულად, ამ სიტყვაში ყველა და ყველაფერი მოიაზრება (82, 96).

საკანონმდებლო აქტის ამგვარი ზოგადი ხასიათი არც კანონმდებლის ნაკლებად კომპეტენტურობით და არც წინდაუხედავობითაა გამოწვეული. „რიკოს“ შექმნელებმა შეგნებულად არ დააკონკრეტეს აქტის ძირითადი დებულებები იმ მიზნით, რომ სამართალდამცავი ორგანოებისათვის უფრო ეფექტური მოქმედებისათვის გარკვეული თავისუფლება მიენიჭებინათ და თავად კანონის წარმატებული გამოყენება უზრუნველყოს (იგივე „საწარმოს“ შემთხვევაში ასეთი ზოგადი ფორმულირება იმ მიზნითაა განპირობებული, რომ დაცულ იქნეს ნებისმიერი ორგანიზებული დანაშაულობის შეჭრისგან).

ზოგადად, ყველა ისეთ შემთხვევაში, როცა საკანონმდებლო აქტი დამატებით კითხვებს წარმოშობს, გადამწყვეტი როლი სასამართლო პრაქტიკასენიჭება. თავის დროზე ეს მომენტი კანონმდებელმაც გაითვალისწინა. სწორედ ამიტომ აშშ-ს კონგრესმა სასამართლო ხელისუფლებას მიუთითა „რიკოს“ არასიტყვასიტყვითი განმარტების აუცილებლობის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა გარკვეული სირთულეების წარმოშობის საფრთხეარაერთგვაროვანი პრაქტიკის გამო. ამ დროისათვის აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში „რიკოს“ მოქმედების

ფარგლების შემცირების ტენდენცია შეინიშნება, საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია სამოქალაქო „რიკოსთან“ მიმართებით.

გარდა ზოგადი ფორმულირებისა, „რიკოს“ კრიტიკის კიდევ ერთი მიზეზი ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებული მისი დებულებებია.

აღნიშნული კანონის მიხედვით, კონფისკაციას ექვემდებარება:

- ნებისმიერი სარგებელი, რომელიც მიღებულია 1962-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევით;
- ნებისმიერი სარგებელი, წილი, მოთხოვნა, ქონება ან სახელშეკრულებო უფლება, რომელიც გაგლენის ობიექტის უზრუნველყოფას ემსახურებოდა;
- ნებისმიერი საწარმო, რომელიც პირმა დაარსა, რომელშიც საქმიანობას ახორციელებდა, აკონტროლებდა ან მონაწილეობდა ამგვარ კონტროლში 1962-ე პარაგრაფის მოთხოვნათა დარღვევით.

ზემოთ მითითებული ქონება, რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს კონფისკაციას, მოიცავს უძრავ ქონებას, მათ შორის, მასზე განთავსებულ ან მასში ნაპოვნ ნივთებს, ასევე ნებისმიერ მატერიალურ ან არამატერიალურ ქონებას, როგორცაა უფლებები, უპირატესობები, ინტერესი, მოთხოვნის უფლებები და აქციები.

ნათლად ჩანს, რომ „რიკო“ არა მარტო დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული შემოსავლის, არამედ საწარმოში პირის წილების ჩამორთმევასაც ითვალისწინებს. ამგვარი დანაწესი შესაბამისობაშია კანონის ძირითად მიზანთან – ლეგალურ ბიზნესში ორგანიზებული დანაშაულობის შეჭრის აღკვეთასთან, თუმცა, საკამათოა, თუ რამდენად შეესაბამება საკუთრების კონსტიტუციურ უფლებას. გარდა ამისა, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ამ ნორმების გამოყენების მიზანშეწონილობა სადავოა. განსაკუთრებით ეს შეეხება ე.წ. „თეთრსაყელციანთა“ დანაშაულებებს (White-collar Crime). ვ. პოპოვის თავის სტატიაში განხილული აქვს ჯერარ ლინჩის მიერ მაგალითად მოყვანილი ორი მენეჯერის შემთხვევა. თუ წარმოვიდგენთ, რომ ორი მენეჯერი რეკრუტული საქმიანობის მეშვეობით ახდენს საკუთარი, საწარმოს მართვას, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მათი მიცემის შემდეგ ჩამორთმევას ექვემდებარება არა მარტო დანაშაულებრივი

საქმიანობით მიღებული შემოსავალი, არამედ საწარმოში მათი წილებიც. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთმა მათგანმა მთელი დანაზოგი საწარმოს აქციებში დააბანდა, ბუნებრივია, აღარაფერი რჩება ხელთ. რაც შეეხება მეორე მენეჯერს, მას შეუძლია საკუთარი თანხა სხვა საბანკო ანგარიშზე გადაიტანოს, ან სულაც აზარტულ თამაშებში დახარჯოს - დასაკარგი მაინც აღარფერი ექნება (82, 100).

კონფისკაციასთან დაკავშირებული დებულებების გამოყენების კრიტიკა განსაკუთრებით საფუძვლიანია კორუფციასთან დაკავშირებულ საქმეებზე. სამოსხლეო დანაშაული და ქრთამის მიცემა შტატების კანონმდებლობით გაცილებით მსუბუქად ისჯება, ვიდრე „რიკოს“ სანქციებია. შესაბამისად, ზუსტად ერთი და იმავე დანაშაულისათვის სხვადასხვა პირებს სხვადასხვა სიმძიმის სასჯელები ევარდებათ, გამომდინარე იქიდან, თუ რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე აქვთ ბრალი წაყენებული. სწორედ ამიტომ, უკვე აქტიურად დგას დღის წესრიგში სპეციალური საკანონმდებლო აქტის მიღების საკითხი, რომელიც კორუფციისა და სამოსხლეო დანაშაულის საკითხებს მოაწესრიგებს.

„რიკოს“ საფუძველზე ქონების კონფისკაცია არაერთმა განსასჯელმა გაასაჩივრა, როგორც აშშ-ს კონსტიტუციის მე-8 შესწორების დარღვევა, რომელიც პატივის და ღირსების შემლახველი სასჯელების დაწესებასთან ერთად შეუსაბამო ჯარიმებსაც კრძალავს, თუმცა წარუმატებლად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „რიკოს“ კიდევ რამდენიმე მიზეზის გამო აკრიტიკებენ:

- 1 აქტი არ განსაზღვრავს რეკეტორის ცნებას, ისევე, როგორც, ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ აქტი – ორგანიზებული დანაშაულობის ცნებას;
- 2 სამოქალაქო „რიკო“ ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას სამმაგი ოდენობით, მაშინაც, როდესაც საუბარია ჩვეულებრივ სამეწარმეო ტრანზაქციებზე;
- 3 „რიკოს“ საფუძველზე შესაძლებელია საწარმოს აქტივების დაყადაღება სამართალწარმოების დაწყებამდეც, რაც საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობიდან გამოთიშვას იწვევს. ეს გარემოება კი საწარმოს პარტნიორებს აიძულებს, თავი დამნაშავედ სცნონ, თუნდაც საკუთარი უდანაშაულობის სჯეროდეთ (17, 320).

მე-3 არგუმენტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გაუგებარია, 1962-ე პარაგრაფის დარღვევაში დამნაშავედ თავის ცნობა როგორ უზრუნველყოფს საწარმოს გადარჩენას, როცა აღნიშნულის შედეგად საწარმო კონფისკაციას ექვემდებარება?! გარდა ამისა, წინასწარი დაყადაღების ინსტიტუტის გარეშე წარმოდგენელია „რიკოს“ წარმატებულ გამოყენებაზე საუბარი – რომ არა ყადაღის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, საქმის წარმოების დასრულების შემდეგ ჩამოსართმევი აღარაფერი დარჩებოდა.

ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, რომ „რიკო“ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტია. ამ მნიშვნელობის უკეთ გამოკვეთის მიზნით, სასურველია მის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვა.

სისხლისსამართლებრივი „რიკო“, რეალურად, 1975 წლიდან ამოქმედდა. ამ მომენტიდან წელიწადში დაახლოებით 125 საქმეზე ხდება მისი გამოყენება. ძირითადი სფეროები, სადაც „რიკო“ ფართოდაა გამოყენებული, არის ე.წ. ტრადიციული ორგანიზებული დანაშაულობა, „თეთრსაყელოიანთა“ დანაშაულები და პოლიტიკური კორუფცია.

ტრადიციულ ორგანიზებულ დანაშაულობაში მოიაზრება მაფია და მისი წევრები, ასევე მსგავსი ტიპის ჯგუფები. „რიკოს“ როლი ამ გაერთიანებებთან ბრძოლის პროცესში, მართლაც, მნიშვნელოვანია შემდეგ ფაქტორთა გამო: 1962-ე პარაგრაფის „ც“ ქვეპუნქტი არსებითად განსხვავდება წინა ორისაგან არა მხოლოდ იმით, რომ იგი არ მოიცავს არალეგალური შემოსავლების კანონიერ ბიზნესში ინვესტირებას ან კონტროლის მოპოვებას არაერთგზისი რეკეტული საქმიანობის საფუძველზე, არამედ იმითაც, რომ ამ ნორმით წარმოდგენილი სუბიექტი საწარმო მთლიანად განსხვავდება წინა ორ ქვეპუნქტში მოცემულისაგან. 1962-ე პარაგრაფის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ საწარმო თავადაა დაზარალებული - იგი ხდება ან არალეგალური შემოსავლების დაბანდების საშუალება, ან მასზე კონტროლის მოპოვება ხორციელდება რეკეტული საქმიანობის გამოყენებით. ამდენად, უდავოა, რომ ამ ორი ნორმის მიზნებისათვის თავად საწარმო, როგორც ასეთი, კანონიერი საფუძველით შექმნილი ლეგალური წარმონაქმნია. რაც შეეხება „ც“ ქვეპუნქტს, ამ ნორმის მიხედვით, სულ მცირე, ოთხი ტიპის საწარმო იკვეთება:

საწარმო-სამართალდამრღვევი, საწარმო - დაზარალებული, საწარმო, როგორც ანაზღაურების ფორმა და საწარმო-ინსტრუმენტი (82, 98). ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში საწარმო შესაძლოა რამდენიმე როლს ასრულებდეს. საწარმოს სტატუსი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იყენებს მას რეკეტირი ან როგორ ახორციელებს მასზე გავლენას. ამდენად, „ც“ ქვეპუნქტის გამოყენებისას საკმაოდ ხშირად საწარმო არის თავად ის დანაშაულებრივი სინდიკატი ან კარტელი, რომლის წევრიცაა ეჭვმიტანილი, შესაბამისად, საწარმო არის არა დაზარალებული, არამედ თავადაა სამართალდამრღვევი.

მიუხედავად „ც“ ქვეპუნქტის არაორაზროვანი შინაარსისა, მისი ამგვარი განმარტება დიდი ხნის მანძილზე იყო სადავო. საბოლოოდ, გადამწყვეტი სიტყვა სასამართლო პრაქტიკამ თქვა. საქმეზე - „რასელო აშშ-ს წინააღმდეგ“ - უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „რიკოს“ საკანონმდებლო ისტორია ცხადყოფს, რომ ამ აქტის მიზანია ორგანიზებული დანაშაულისა და მისი ეკონომიკური ფუნდამენტის წინააღმდეგ ბრძოლის განსაკუთრებით ფართო ფარგლებისა და მეთოდების შემოღება“ (131). უფრო ადრე კი უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ოჯახი თავისთავად საწარმოა, ანუ ფაქტობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული პირთა ჯგუფი. შესაბამისად, ნებისმიერი პირი, რომელიც ამ საწარმოს წევრია, „რიკოს“ სუბიექტი ხდება (130).

„რიკო“ საკმაოდ აქტიურად გამოიყენება ე.წ. „თეთრსაყელიანთა“ დანაშაულებთან ბრძოლის სფეროში. ესაა დანაშაულები, რომლებიც კომერციულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული და ძალადობის ელემენტებს არ შეიცავს, მაგალითად, თაღლითობა, საბუთების გაყალბება, ქრთამის აღება, მიცემა და ა.შ.

ყველაზე ხშირად „რიკოს“ დებულებები სწორედ ამ დანაშაულებთან მიმართებით ხდება კრტიკის ობიექტი. ზემოთ ამ საკითხზე ნაწილობრივ უკვე იყო საუბარი, თუმცა, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ხშირად ამ ტიპის დანაშაულობების მიმართ „რიკოს“ საერთოდ გამოყენების ფაქტი ხდება სადავო. არსებობს მოსაზრება, რომ ე.წ. „თეთრსაყელიანთა“ დანაშაულები არ ექცევა „რიკოს“ მოქმედების ფარგლებში, რადგან კანონის მიზანი მხოლოდ ტრადიციულ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლა იყო (82, 99). ამგვარი მოსაზრება არამართებულია, რადგანაც „რიკოს“ ნორმები მიმართულია იმ პირთა წინააღმდეგ,

რომლებიც დანაშაულის ჩადენისა და ამ გზით შემოსავლის მიღების მიზნით ერთიანდებიან.

კიდევ ერთი სფერო, სადაც „რიკოს“ წარმატებულად იყენებენ, კორუფციული გარიგებებია. ისევე, როგორც „თეთრსაყელოიანთა“ დანაშაულების შემთხვევაში, ამ ტიპის საქმეებზეც მხოლოდ 1962(ც) პარაგრაფი მოქმედებს, რომლის საფუძველზეც პირს ბრალად ედება რომელიმე სახელმწიფო დაწესებულების საქმიანობაში მონაწილეობა რეკეტული საქმიანობის სქემის გამოყენებით, რაც, თავის მხრივ, ქრთამის აღებით, მიცემით ან გამოძალგით შეიძლება გამოიხატებოდეს. რიკოს ხშირად იყენებენ თანამდებობის პირებისათვის ქრთამის მიმცემი ადვოკატების მიმართ. ამ შემთხვევაში მიჩნეულია, რომ დამცველი მონაწილეობს სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობაში არაერთგზისი რეკეტული საქმიანობის გამოყენებით, მიუხედავად იმისა, რომ თავად არ არის ამ დაწესებულების წევრი (დასაქმებული). ამ ტიპის ბრალდების წარდგენა შესაძლებელია კერძო პირის მიმართაც ქრთამის ამღებ თანამდებობის პირთან ერთად. ორივე მათგანი პასუხს აგებს დაწესებულების საქმიანობაში მონაწილეობისათვის არაერთგზისი რეკეტული ქმედების საფუძველზე.

საინტერესო თავისებურება, რაც „რიკოს“ გამოყენებას ახასიათებს, უკავშირდება ამ ნორმატიულ აქტში საწარმოს ცნების განმარტებას. მაგალითისათვის, იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრია (რომელიც „რიკოს“ მიხედვით საწარმოა) და აძლევს ქრთამს პოლიციის (რომელიც საწარმოა „რიკოს“ მიხედვით) თანამშრომელს, პასუხს აგებს საწარმოს საქმიანობაში არაერთგზისი რეკეტული საქმიანობით მონაწილეობის ორი შემთხვევისათვის. „დაბლ ჯეოფარდი ქლოზი“ ამ შემთხვევაში არ გამოიყენება (82, 101).

საბოლოოდ, რიკოს მოქმედების შესაფასებლად, შეიძლება რამდენიმე მომენტის გამოყოფა:

1 „რიკო“ უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტია ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში. მისი მნიშვნელობა იმითაა განპირობებული, რომ იგი, პირველ რიგში, ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული შემოსავლის კონფისკაციისკენაა მიმართული და ამ

გზით დარტყმას უშუალოდ ორგანიზებული დანაშაულობის ხერხემალს აყენებს;

- 2 „რიკოს“ ნორმებმა ბევრი სისხლის სამართლის საპროცესო პრინციპი შეცვალა არსებითად ისე, რომ რაიმე ფორმალური ცვლილება კანონის ტექსტში არ მომხდარა;
- 3 „რიკოს“ ზედმეტად ზოგად ფორმულირებას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. პრაქტიკაში ხშირია „რიკოს“ გამოყენება იმ დანაშაულების მიმართ, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ორგანიზებულ დანაშაულობასთან;
- 4 სადავოა კონფისკაციასთან დაკავშირებული დებულებების გამოყენების მართებულობა ზოგიერთ დანაშაულთან მიმართებით;
- 5 ასევე სადავოა კორუფციული გარიგებების მიმართ „რიკოს“ გამოყენების მიზანშეწონილობა;
- 6 „რიკოს“ მეშვეობით შესაძლებელი გახდა წინათ ჩადენილი, სრულიად განსხვავებული დანაშაულებისათვის ბრალის წაყენებაც, რადგანაც ყველა ამ დანაშაულის ერთიანობა არაერთგზის რეკეტულ საქმიანობას ქმნის;
- 7 ბრალდების მხარეს შესაძლებლობა მიეცა, ყურადღება გაამახვილოს განსასჯელის კავშირზე წარსულში ნასამართლევ თანამონაწილეებთან;
- 8 შესაძლებელი გახდა რამდენიმე ბრალდების ერთ საქმედ გაერთიანება, რაც მანამდე მოქმედი საპროცესო ნორმების გამოყენებითსაკმაოდ რთული იყო;
- 9 „რიკო“ სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევის ერთი კონკრეტული მიმართულებით აკუმულირების საშუალებას იძლევა, რაც მანამდე საკმაოდ რთული იყო;
- 10 ყველა ამ საკანონმდებლო ნოვაციის შედეგად, „რიკო“ ეფექტურად გამოიყენება ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ. ამგვარი ახლებური მიდგომა წარმატებული აღმოჩნდა ტრადიციულ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში.

საკანონმდებლო აქტის ტექსტის მიმართ კრიტიკის მიუხედავად, ფაქტია, რომ მთლიანობაში „რიკო“ ეფექტური ინსტრუმენტია ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის პროცესში. ამის დასტურად ნიუ-იორკის მაფიურ ოჯახებთან დაკავშირებულ საქმეებზე მითითებაც კმარა. რაც შეეხება ნორმატიული აქტის ზოგიერთ ხარვეზს, მათი გამოსწორება სამომავლოდ საკანონმდებლო ცვლილებებისა და ასევე სასამართლო პრაქტიკის პრეროგატივაა.

„განგრძობადი კრიმინალური ბიზნესის შესახებ“ კანონი (153) იმავე მიზნებს ემსახურება, რასაც „რიკო“, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მხოლოდ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში მოქმედებს. კანონის მიხედვით, დასჯადია 1970 წლის „ნარკოტიკული დამოკიდებულების პრევენციისა და კონტროლის შესახებ“ აქტის დებულებების განგრძობადი, სერიული დარღვევა ან ამგვარი ქმედების განხორციელებისათვის შეთანხმება, თუ დანაშაულის ჩადენაში ხუთი ან მეტი პირი მონაწილეობდა. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სერიულობა გულისხმობს სამი ან მეტი დარღვევის ჩადენას. „იმისათვის, რომ პირის პასუხისმგებლობა დადგეს აღნიშნული კანონის საფუძველზე, აუცილებელია, რომ იგი განგრძობადი ოპერაციის ორგანიზატორი, მენეჯერი ან ზედამხედველი იყოს და ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის გზით გარკვეული შემოსავალი მიიღოს“ (26, 2) საქმეზე - „რიჩარდსონი აშშ-ს წინააღმდეგ“ (114) - უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ნაფიცი მსაჯულები უნდა შეთანხმდნენ, კონკრეტულად რომელი უკანონო ქმედებები იქნა ჩადენილი და უშუალოდ, ქმედებების დაკონკრეტების გარეშე, მარტივად არ დაადგინონ, რომ განსასჯელმა ნარკოტიკული დანაშაული არაერთგზის ჩაიდინა. სპეციალისტების აზრით, ამგვარი მოთხოვნა ართულებს განგრძობადი კრიმინალური ბიზნესის შესახებ კანონის საფუძველზე ბრალის წაყენებას (114).

მას შემდეგ, რაც განხილულ იქნა ორგანიზებული დანაშაულობის სფეროში მოქმედი ძირითადი საკანონმდებლო აქტები, სასურველია მათი ეფექტურობის შეფასება.

როგორც ნათლად გამოჩნდა, თითოეულ საკანონმდებლო მეთოდს გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. თვით „რიკო“, რომელიც უდავოდ ყველაზე ეფექტური ნორმატიული აქტია ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის

სფეროში, არ არის უნაკლო და ხშირად მისი გამოყენება ისეთ საქმეებზე ხდება, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო რეკეტთან. სწორედ ამიტომ, სპეციალისტები ბევრს საუბრობენ რეფორმის აუცილებლობაზე (51, 499). ჯეიმს ფინკენაუერი თავის წიგნში აცხადებს, რომ „ჩვენ, საზოგადოებამ უნდა განვსაზღვროთ, ამართლებს თუ არა მიზანი საშუალებას და მივიღეთ დასკვნამდე, რომ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში შეიძლება მიზანმა საშუალება გაამართლოს“ (49, 341). აღნიშნული, თავისთავად, კარგია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო ნორმის თუ პრაქტიკული მეთოდის ნაკლის შეფასებისას აუცილებელია პროპორციულობის მომენტის გათვალისწინება. თუ აცდენილი საფრთხე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მიყენებული ზიანი, ამ შემთხვევაში თითოეული ნორმის ან მეთოდის მოქმედება შეიძლება გამართლებული იყოს. ის ფაქტი კი, რომ აშშ-ში მაფიას დიდი ხანია ხერხემალი გამოეცალა, ნათლად მიუთითებს დანერგილი მეთოდების წარმატებულობაზე.

4.2 იტალია

ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლა იტალიაში სერიოზული თავისებურებებით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ მაფიას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, დიდ ხნის მანძილზე ქვეყნის ხელისუფლება არათუ ებრძოდა, არამედ საერთოდ მის არსებობასაც არ აღიარებდა. სპეციალისტების აზრით, გადაჭარბებული არ არის მოსაზრება, რომ მაფია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან მშვიდობიანად თანაარსებობს (119). რეალური ძვრები ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში 1982 წლიდან, რამდენიმე თანამდებობის პირის მკვლელობის შემდეგ დაიწყო. 1982-1992 წლებში მიღებულია 114 ნორმატიული აქტი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიმართულია ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია 1982 წლის 13 სექტემბრის №646 კანონი, რომელსაც ავტორების

პატივსაცემად „რონიონი-ლა ტორეს“ სახელწოდებით მოიხსენებენ. გარდა ამისა, ძირითადი საკანონმდებლო აქტი ორგანიზებული დანაშაულობის სფეროში არის 1965 წლის 31 მაისის „კანონი მაფიის წინააღმდეგ“ (ანტიმაფია), რომელშიც სიტყვა „მაფია“ პირველად იქნა გამოყენებული საკანონმდებლო დონეზე, აგრეთვე, ცალკეული დებულებები მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსსა და სხვა საკანონმდებლო აქტებში.

ძირითად ანტიმაფიურ საკანონმდებლო აქტად მიიჩნევა 1965 წლის 31 მაისის №575 „კანონი მაფიის წინააღმდეგ“ (ანტიმაფია), რომელმაც შემდგომ განიცადა არსებითი ცვლილებები. იგი ეხება პირებს, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან მაფიური ტიპის დაჯგუფებების, „კამორასა“ თუ სხვა გაერთიანებათა წევრობაში მათი ადგილობრივი დასახელების მიუხედავად, რომლებიც მაფიური გაერთიანების ინტერესებისთვის იღწვიან და შესაბამისი მეთოდებითვე მოქმედებენ (44, 17).

ის, თუ რა ითვლება „მაფიოზური დაჯგუფებისათვის დამახასიათებელ მიზნად“, კანონით განსაზღვრული არ არის. ამ შემთხვევაში, ორგანიზებული დანაშაულობის განმარტებას უნდა დავეყრდნობთ და მაფიის მიზნად უკანონო შემოსავლის მიღება მივიჩნიოთ. რაც შეეხება მეთოდებს, რომლებზეც იმავე მუხლშია მითითებული, ზოგადი ცნებიდან გამომდინარე, ასეთად ითვლება ძალადობა ან ძალადობის მუქარა, ნებისმიერ საქმიანობაში მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვება, წევრთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პირთა მოსყიდვა და ა.შ.

კანონის დანარჩენი ნორმები ეხება ქონების კონფისკაციისა და მისი სახელმწიფოსათვის გადაცემის პროცედურას. კანონი საკუთრებაში აერთიანებს უძრავ და მოძრავ ქონებას, მათ შორის, ფასიან ქაღალდებს. პროკურორის ან კვესტორის (პოლიციის უფროსი) მოთხოვნის საფუძველზე ტრიბუნალი იღებს გადაწყვეტილებას ქონების დაყადაღების შესახებ, რომელიც დაექვემდებარება კონფისკაციას, თუ ბრალდებულმა არ დაადასტურა მისი კანონიერი წარმომავლობა. ყადაღის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე მისი წარმოშობის უკანონობას ამტკიცებს პროკურორი ან კვესტორი. ესაა მტკიცების ტვირთის შერეული სახე (10, 5). ჩამორთმეული ქონების მართვისათვის დანიშნული ადმინისტრატორის მოვალეობას შეადგენს დაყადაღებული საკუთრების დაცვა, შენახვა და ადმინისტრირება, ასევე, შესაძლებლობის შემთხვევაში, ქონების

გაზრდა. ყოველივე ეს ხორციელდება მოსამართლის უშუალო ზედამხედველობით. მკაცრადაა განსაზღვრული ადმინისტრატორის საქმიანობის რეგლამენტი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჩამორთმეული ქონების განკარგვა მისი უწინდელი მფლობელის მიერ. მას ეკრძალება მთელი რიგი ქმედებების განხორციელება, კერძოდ: მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე სესხის აღება, გარიგების დადება, საარბიტრაჟო შეთანხმება, თავდებობა, ქონების იპოთეკით დატვირთვა, სასამართლო პროცესზე მხარედ გამოსვლა. ჩამორთმეული ქონების მოვლისა და შენახვისათვის საჭირო ან აუცილებელ ხარჯებს ანაზღაურებს ადმინისტრატორი საამისოდ გამოყოფილი თანხებიდან. თუ არ მოიპოვება დაყადაღებული ქონების სამართავად საკმარისი თანხა, მაშინ ამ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, ხოლო ყადაღის გაუქმების შემთხვევაში – ქონების მართვისა და დაცვისათვის გაღებული ხარჯები არ ანაზღაურდება. ქონების კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ადმინისტრატორის მიერ გაწეული საქმიანობის, მისი მომსახურების, აგრეთვე, მის მიერ დამხმარე პირებზე გაცემული ხარჯები ანაზღაურდება ჩამორთმეული ქონების ადმინისტრირების ანგარიშიდან. თუ არსებული თანხა ვერ ფარავს ზემოხსენებულ ხარჯებს, მათ ნაწილობრივ ან მთლიანად ანაზღაურებს სახელმწიფო უკუანაზღაურების უფლების გარეშე.

1996 წლის 7 მარტს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომელიც ჩამორთმეული ქონების შემდგომ განკარგვას შეეხება. „ამან კონფისკაციას სავსებით რეალური და იმავდროულად კეთილშობილური დანიშნულება შესძინა. კერძოდ, ცვლილება აყალიბებს რაციონალურ მექანიზმს კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონების შემდგომი განკარგვისათვის. ამგვარი ქონების მართვისას შემოსული ფულადი სახსრები აკუმულირდება პრეფექტურასთან არსებულ ფონდში, რათა შემდგომ ჩამორთმეული უძრავი ქონება შესაძლებლობის ფარგლებში გაიცეს ინსტიტუციონალური, სოციალური და საჯარო ინტერესების განსახორციელებლად, ადმინისტრირების პროექტების, თუნდაც, ნაწილობრივ დასაფინანსებლად, ასევე, ისეთი სპეციფიკური საქმიანობისათვის, როგორცაა: დაზიანებული საცხოვრებელი რაიონების აღდგენა, სიღარიბისა და სეგრეგაციის აღმოფხვრა, სკოლებში მართლწესრიგის შემსწავლელი კურსების დანერგვა, უმუშევარ ახალგაზრდათა შორის სამეწარმეო კულტურისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა. ეს თანხები და უძრავი ქონება, აგრეთვეემსახურება ნარკომანიასთან ბრძოლას,

ნარკომანთა მკურნალობასა და მათ რეაბილიტაციას, რისთვისაც ისინი გადაეცემა სხვადასხვა სოციალური ფუნქციის მქონე იურიდიულ პირებს, თუ ისინი აკმაყოფილებენ გარკვეულ პირობებს. ამდენად, კანონი საზოგადოებისათვის უსამართლოდ წართმეულ ამა თუ იმ სიკეთეს საზოგადოებასვე უბრუნებს“ (10, 5).

1982 წლის 13 სექტემბერს მიღებულ იქნა „დებულებანი ქონებრივი ხასიათის აღმკვეთი ღონისძიებების შესახებ“, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ „რონიონი-ლატორეს“ სახელწოდებით იხსენიებენ პროექტის ავტორების - ქრისტიან-დემოკრატი შინაგან საქმეთა მინისტრის ვირჯინიო რონიონისა და იტალიის კომუნისტური პარტიის ლიდერის - პიო ლა ტორეს პატივსაცემად.

მითითებულმა კანონმა შემოიტანა ორი სიახლე – მოდიფიცირებულ იქნა სისხლის სამართლის 416-ე მუხლი, რის შედეგადაც მოხდა „მაფიური ტიპის გაერთიანების“ კრიმინალიზაცია და გაფართოვდა სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილება ეჭვმიტანილ პირებზე თვალთვალის განხორციელებასა და მათთვის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვაზე.

სისხლის სამართლის კოდექსის 416-ბის მუხლის შესაბამისად, დაჯგუფება ითვლება მაფიოზური ტიპის დაჯგუფებად, თუ იგი შედგება სამი წევრისაგან მაინც, რომლებიც იყენებენ დაშინებას, ადგენენ მორჩილებისა და დუმილის პირობებს, რაც ემსახურება დანაშაულის ჩადენას, ეკონომიკური საქმიანობის მენეჯმენტის, კონცესიების, ლიცენზიების, სახელმწიფო კონტრაქტებისა და საჯარო სამსახურის პირდაპირ ან არაპირდაპირ დაქვემდებარებას ან მასზე კონტროლის უშუალო ან ირიბ განხორციელებას, თავისთვის ან სხვა პირებისათვის უკანონო შემოსავლების ან უპირატესობის მისაღებად (44, 28).

დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა ან გამოყენება, ასევე, უკანონოდ მოპოვებული შემოსავლების მეშვეობით ეკონომიკურ საქმიანობაზე კონტროლის მოპოვება ან შენარჩუნება (44, 28).

აღნიშნული ნორმატიული აქტის საფუძველზე მსჯავრდებული პირები კარგავენ საპოლიციო, ვაჭრობის, ბითუმად ვაჭრობის, სააუქციონო ბროკერობის, საზოგადოებრივი წყლების კონცესიის ლიცენზირების, ასევე, საჯარო ადმინისტრაციის კუთვნილ სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელ

კონტრაქტორთა სიაში რეგისტრაციის უფლებას. ამ მუხლის დებულებანი ასევე შეეხება „კამორასა“ და სხვა გაერთიანებებს, რომლებიც იყენებენ დაშინებას და გააჩნიათ მაფიოზური ტიპის დაჯგუფებათა მსგავსი მიზნები.

„რიონიონი-ლა ტორეს“ მე-3 თავი ფინანსურ დებულებებს, კონკრეტულად კი ქონების ჩამორთმევის პროცედურას შეეხება. ფინანსური გვარდიის საგადასახადო პოლიციის სამსახური სავალუტო და კორპორაციულ დანაშაულთა გახსნის მიზნით ქვემდებარეობის პრინციპით ახორციელებს იმ პირების ფინანსური მდგომარეობის გამოძიებას, რომელთა მიმართაც გამოტანილია თუნდაც არასაბოლოო განაჩენი ზემოთმითითებული ქმედებების ჩადენისათვის ან რომელთა მიმართაც მიღებულია თუნდაც არასაბოლოო გადაწყვეტილება აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ, „ანტიმაფიის“ საფუძველზე. განაჩენის ან აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების ასლი საამისოდ უფლებამოსილი კანცელარიის მიერ გადაეცემა ამ მუხლის 1-ელ ნაწილში მითითებულ ფინანსური გვარდიის საგადასახადო პოლიციის სამსახურს. გადაწყვეტილების გაუქმება, რომლის საფუძველზეც პირს შეეფარდა აღმკვეთი ღონისძიება, არ წარმოადგენს დაბრკოლებას გამოძიებისას გამოაშკარავებული მონაცემების საფინანსო გამოძიების მიზნით გამოყენებისათვის. მაფიის წევრობაში მსჯავრდებული პირები ვალდებული არიან, საგადასახადო პოლიციას აცნობონ თავიანთი ქონების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღემატება 20.000.000 ლირას (დაახლოებით 13.000 აშშ დოლარს). თუ საფინანსო პოლიციის მიერ განხორციელებული შემოწმებისას გამოვლინდება ფინანსური ხასიათის დანაშაული, პროკურორი აწარმოებს სისხლისსამართლებრივ დევნას. პირის დაკავება ყოველთვის სავალდებულოა ფინანსური, სავალუტო ან კორპორაციული ხასიათის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, რომლებიც სასჯელის ზომის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას და ჩადენილია იმ პირთა მიერ, რომელთა მიმართაც გამოტანილია საბოლოო განაჩენი მაფიოზური ტიპის დაჯგუფების წევრობისათვის ან საბოლოო გადაწყვეტილებით მათ მიმართ უკვე მოქმედებს აღმკვეთი ღონისძიება „ანტიმაფიას“ საფუძველზე. წინასწარი დაკავების ვადა განისაზღვრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით, რაც არც ერთ შემთხვევაში შეიძლება აღემატებოდეს დანაშაულისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელის ორ მესამედს. თუ პირის მიერ

ფინანსურ, სავალუტო ან კორპორაციულ დანაშაულთან ერთად ჩადენილია სხვა კრიმინალური ქმედება, პროცესის გაერთიანება დაუშვებელია. ფინანსური, სავალუტო ან კორპორაციული დანაშაულის საქმეს, ნებისმიერ შემთხვევაში, განიხილავს იგივე სასამართლო, რომელმაც ამ პირს შეუფარდა აღმკვეთი ღონისძიება ან დაადგინა მისი კუთვნილება მაფიოზური დაჯგუფებისადმი.

„რონიონი–ლა ტორეს“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია მე-4 თავი, რომელიც ითვალისწინებს მაფიასთან საბრძოლველად საპარლამენტო კომისიის შექმნას, რომლის მიზნებია:

- მაფიასა და მის კავშირებთან დაკავშირებით მიღებული ამ კანონისა და სხვა სახელმწიფო კანონების აღსრულებაზე კონტროლის დაწესება;
- მოქმედი ნორმებისა და საჯარო ხელისუფლების ორგანოთა მიერ სათანადო რეაგირების კონტროლი, ასევე, მაფიის სახეცვლილებებთან დაკავშირებით, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხასიათის წინადადებების ფორმულირება, რათა გაძლიერდეს სახელმწიფოს ინიციატივა;
- ყოველწლიურად და განსაკუთრებულ შემთხვევებში - პარლამენტისათვის ანგარიშის წარდგენა.

რაც შეეხება კომისიის სტრუქტურას, იგი შედგება ოცი სენატორისა და ოცი დეპუტატისაგან, რომლებსაც ირჩევენ რესპუბლიკის სენატის პრეზიდენტისა და პალატის პრეზიდენტის მიერ საპარლამენტო ჯგუფების წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რათა დაცულ იქნეს პარლამენტის ორივე პალატის ყოველი ჯგუფის წარმომადგენლობა. კომისიის თავმჯდომარეს ირჩევენ ორი ასამბლეის პრეზიდენტთა საერთო თანხმობის საფუძველზე პარლამენტის ორივე პალატის წევრთაგან. კომისია ირჩევს ორ ვიცე-პრეზიდენტსა და ორ მდივანს (10. 40).

კომისიის საქმიანობა ემყარება თავად კომისიის მიერვე მიღებულ შიდა რეგლამენტს. რეგლამენტში ცვლილებების შეტანა დასაშვებია ნებისმიერი წევრის ინიციატივით.

გარდა ზემოთგანხილული ორი უმნიშვნელოვანესი სპეციალური კანონისა, ორგანიზებულ დანაშაულობასთან დაკავშირებული ცალკეული დებულებები

რამდენიმე საკანონმდებლო აქტშია გაბნეული. მათ შორის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 416-ე მუხლი ორგანიზებულ დანაშაულობას მარტივად, სამი ელემენტის: ჯგუფურობის, ორგანიზებულობისა და დანაშაულებრივი პროგრამის საფუძველზე განსაზღვრავს. რაც შეეხება მაფიოზური ტიპის დაჯგუფებას, აღნიშნული ცალკეა განსაზღვრული „რონიონი-ლა ტორეს“ საფუძველზე (127).

ამგვარად, ნათელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ცნებას აკლია ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელი ისეთი არსებითი ნიშნები, როგორცაა იძულების გამოყენება და დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

ასევე, მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე – 323-ე მუხლები, რომლებიც შეეხება ქრთამის აღებას და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რადგანაც თანამდებობის პირებისა და სამართალდაცავი ორგანოს თანამშრომლების მოსყიდვა მაფიის საქმიანობის ჩვეულებრივი ფორმაა. კოდექსი ცალკე გამოყოფს ქრთამის აღებას უკანონო სასამართლო მოქმედებებისათვის.

ფულის გათეთრება იტალიური კანონმდებლობით 1978 წლიდან ისჯება. სისხლის სამართლის კოდექსის 648-ე მუხლის მიხედვით, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის გზით მიღებული ფულის, ქონების ან სხვა სარგებლის გადაცვლა ან გადარიცხვა, ან ამ ქმედებათა ჩადენა სხვა ოპერაციების განხორციელებით, რომლებიც ხელს უშლის მათი დანაშაულებრივი წარმომავლობის დადგენას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ოთხიდან თორმეტი წლამდე და 2-დან 30000000 ლირამდე ჯარიმის დაკისრებით. 20 000 000 ლირაზე მეტი თანხის ნებისმიერი ტრანსფერი საჭიროებს დეკლარირებას.

1993 წლის 28 აგვისტოს №328 კანონი დიდ წილად იმეორებს ფულის გათეთრების შესახებ ევროპული კონვენციის დებულებებს. აღნიშნული აქტის საფუძველზე ფულის გათეთრებას წარმოადგენს ნებისმიერი დანაშაულის და არა მხოლოდ ოთხი დანაშაულის (ნარკოტიკებით ვაჭრობა, ადამიანების გატაცება, ყაჩაღობა და დამძიმებელ გარემოებში, გამოძალვა) შედეგად მიღებული შემოსავლების რეინვესტირება, როგორც ეს მანამდე მოქმედი კანონმდებლობით იყო დადგენილი,

მაგრამ კვლავ მოუგვარებელი რჩება სმარფინგის პრობლემა. „არ არსებობს ფინანსური ტრანზაქციებისათვის თვალყურის სადევნებლად ერთიანი სისტემა. შესაძლებელია მოხდეს თანხის დაყოფა 20 000 000 ლირაზე ნაკლებ ოდენობებად და ამგვარად განხორციელდეს ტრანსფერი“ (127).

ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის პროცესში განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების როლს. მაფია საზოგადოებრივი ფენომენია და, პირველ რიგში, სწორედ საზოგადოება უნდა აღუდგეს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევა არსებით შედეგს ვერ გამოიღებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზებული დანაშაულობა, „მძიმე სენად“ ისე არსად ქცეულაროგორც იტალიაში. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია იმ ღონისძიებების მიმოხილვა, რომლებიც თავად საზოგადოების „მკურნალობისკენაა“ მიმართული.

იტალიაში, კონკრეტულად - პალერმოში მაფიის წინააღმდეგ საზოგადოების გააქტიურება ორ სახელს უკავშირდება: ჯოვანი ფალკონესა და პაოლო ბორსელინოს. 1992 წელს სწორედ მათმა მკვლელობამ აამხედრა პირველად მოსახლეობა და დასაბამი დაუდო ე.წ. „კულტურულ რევოლუციას“. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, რას ნიშნავს „კულტურული რევოლუცია“ და რა კავშირი აქვს მას მაფიის წინააღმდეგ ბრძოლასთან, შევეცდებით მიმოვიხილოთ ამ რევოლუციამდე მიმდინარე და მისი გამომწვევი პროცესები.

ფალკონე და ბორსელინო პალერმოელი მაგისტრატები იყვნენ. ისინი 80-იან წლებში დიდი წარმატებით ახორციელებდნენ სასამართლო გამოძიებებს. რამდენიმე კოლეგასა და პოლიციის ოფიცრებთან ერთად, მათადმოაჩინეს და გაანადგურეს მაფიის ის სტრუქტურა, რომელიც ადრე მისტიკის ბურუსით იყო მოცული და, ფაქტობრივად, ხელშეუხებლად ითვლებოდა. მათი წყალობით განხორციელდა ცნობილი სასამართლო ე.წ. „მაქსი პროცესი“ (Maxi trial) მაფიის წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც დანაშაულებრივი დაჯგუფების ასობით წევრი იქნა მხილებული და მსჯავრდებული.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის, მაფიამ ძალაუფლების მწვერვალს მიაღწია, მოიხვეჭა უსაზღვრო სიმდიდრე და თავის სტატუსში დარწმუნებული დაუსჯელად მოქმედებდა. „გარეგნულად ფრიად უიმედო სიტუაციიდან ამოტივტივდა ერთი შემთხვევა, რომელიც მაფიის თვითგანადგურების მარცვალს შეიცავდა. ალბათ, ეს იყო საკუთარი ძალაუფლების გადაჭარბებული რწმენა, რამაც უბიძგა ერთ-ერთი მაფიოზური კლანის – ე.წ. „კორლეონელების“ დაჯგუფების ხელმძღვანელ სალვატორე - „ტოტო“ რინას, შიდა ომი გაეჩაღებინა ორგანიზაციაზე მთლიანი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, რამაც გამოიწვია ათასამდე ადამიანის მკვლელობა (17, 153). 80-იანი წლების პირველ ნახევარში „კორლეონელებმა“ უმოწყალოდ დახოცეს ასობით მაფიოზი და მათი ახლობლები, მათ შორის, ქალები და ბავშვები; სისხლიან ნუსხაში „ბრწყინვალე გვამებიც მოხვდნენ“: მოსამართლეები, პოლიციელები, კარაბინერები (სამხედრო პოლიცია), პოლიტიკური მოღვაწეები და ჟურნალისტები (44, 27), რომლებიც იმის გამო დახოცეს, რომ საფრთხეს უქმნიდნენ მათ ორგანიზაციას ან მათ ბიზნესს წინ ეღობებოდნენ. „კორლეონელებმა“ ვერ გააცნობიერეს, რომ სწორედ მათმა ქედმაღლობამ გაუჩინა ბზარი ერთ დროს შეუღწევად დამცავ სისტემას, რომელსაც მაფია წლების განმავლობაში ქმნიდა თავისი მოღვაწეობით“ (9, 50) 1982 წელს ოჯახის შვიდი წევრის მკვლელობის შემდეგ კორლეონელების მოწინააღმდეგე ერთ-ერთი მაფიოზური კლანის „კაპომ“ (იგივე „Capodecina-მ“ - ათმეთაურმა, რომელიც მაფიოზური ოჯახის შიგნით აკონტროლებს „ჯარისკაცთა“ განსაზღვრულ ოდენობას) (51, 339) – ტომაზო ბუშეტამ თანხმობა განაცხადა პოლიციასთან თანამშრომლობაზე. რეალურად ეს „ომერტას“ (დუმილის კანონი) დარღვევას ნიშნავდა.

ამავე პერიოდში განგაში ატყდა სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკურ სამყაროში. ამდენი მამაცი სამართალდამცავისა და პატიოსანი ადამიანის მკვლელობით გამოწვეულმა საყოველთაო აღშფოთებამ ბიძგი მისცა მრავალ ანტიმაფიოზური ასოციაციების ჩამოყალიბებას, რომელთაც სათავეში ჩაუდგნენ პედაგოგები, რელიგიური მოღვაწეები და სხვა მოხალისეები. ბოლოსდაბოლოს კათოლიკურმა ეკლესიამაც დაარღვია დუმილი და ღიად დაგმო მაფიის საქმიანობა (9, 50).

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად 1992 წლის 31 იანვარს საკასაციო სასამართლოს განაჩენით, მაფიის ყველა ბოქსი, ციხეში მყოფსა თუ მიმალულს, სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

ამის შემდეგ მოვლენები სწრაფად განვითარდა: 1992 წლის თებერვალში სახელმწიფო სექტორში არსებული კორუფციის საქმეები გაიხსნა, რაც საღვო ლიმას, ევროპარლამენტის წევრისა და ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის სიცილიის რეგიონის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლის მკვლელობით დასრულდა. არსებული ინფორმაციით აღნიშნული ფაქტი გამოიწვია „კორლეონელების“ ლიდერის – ტოტო რინას განრისხებამ, რომ პირმა, რომელიც წლების განმავლობაში მათი მხარდაჭერით სარგებლობდა, ვერ დაიცვა ისინი, როდესაც საკასაციო სასამართლო მაქსი-პროცესის გადაწყვეტილებას ამტკიცებდა (32, 34). ამავე წელს მაფიის მიერ ორგანიზებულ აფეთქებას ემსხვერპლა ჯოვანი ფალკონესა და მისი მეუღლის სიცოცხლე სამ პირად მცველთან ერთად (17, 156).

ხალხის რეაქცია, რომელიც ფალკონეს მკვლელობას მოჰყვა, წარმოდგენელი იყო. ფალკონესა და პალერმოელებს შორის არსებობდა განსაკუთრებული დამოკიდებულება. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის დიდი შოკი, რომელიც ქალაქმა მისი მკვლელობით განიცადა. ამავე ასპექტით აიხსნება ხალხის მძაფრი რეაქციაც, რაც გამოიხატა მაფიის წინააღმდეგ მოწყობილ დემონსტრაციებში, რომლებშიც ორმოციათასამდე ადამიანი იღებდა მონაწილეობას (88, 3). პროტესტის სწორედ ამ ტალღას უწოდებს ენცო ლოდატო „კულტურულ რევოლუციას“, რადგანაც ეს მართლაც იყო ხალხის აზროვნების შეცვლა, თუმცა, მაფიამ მოვლენები სათანადოდ ვერ შეაფასა. იმავე წელსხუთ პირად მცველთან ერთად მოკლულ იქნა პალერმოს მთავარი პროკურორის მოადგილის პოსტზე ფალკონეს შემცველი - პაოლო ბორსელინო (88, 5). შეიძლება ითქვას, რომ ეს ფაქტი ბოლო წვეთი აღმოჩნდა. ჯოვანი ფალკონესა და პაოლო ბორსელინოს მკვლელობები ათასობით იტალიელის მიერ აღქმულ იქნა როგორც დიდი პირადი ტკივილი საკუთარი მეგობრების დაკარგვის გამო. ხალხი ხელისუფლებისაგან სათანადო რეაგირებას მოითხოვდა. საზოგადოების ზეწოლის შედეგად ეროვნულმა მთავრობამ დაიწყო მასშტაბური ანტიმაფიური კამპანია, რომლის ფარგლებშიც პალერმოს ქუჩებში შეყვანილ იქნა 7.000 სამხედრო პირი (93, 4). შედეგად დააპატიმრებულ

იქნენ მაფიის მთავარი ფიგურები. აღნიშნულის მიუხედავად, მაინც არსებობდა ხელისუფლების ყურადღების მოდუნებისა და მაფიის გაძლიერების საფრთხე.

სწორედ ამ რისკის თავიდან ასაცილებლად გაჩნდა „პალერმოს აღორძინების“ იდეა, რომელიც სხვადასხვა მიმართულების პროექტებს მოიცავდა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისადმი ნდობის დაბრუნება, რასაც პალერმოს ახალმა საქალაქო საბჭომ წარმატებით გაართვა თავი. მთავარი, რაც კრიმინალების დიდი ხნის ბატონობის შემდეგ საზოგადოებას სჭირდებოდა, სამოქალაქო აზროვნების ჩამოყალიბება და კანონისადმი პატივისცემის ამალგები იყო. სწორედ ამ მიზნით ახალმა საბჭომ საქმიანობა სამი მიმართულებით წარმართა. მოქმედების სფეროებად შეირჩა სკოლა, ქალაქის დაგეგმარება და კულტურა.

ცხადია, სკოლა უმნიშვნელოვანესი საფეხურია პირის მოქალაქედ აღზრდის პროცესში. „სასკოლო კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობების გამოყენებით და პალერმოს სკოლების სამმართველოს მიერ კანონიერების საკითხებში განათლების მხარდაჭერით ქალაქის განათლების განყოფილებამ აღესანდრა სირაგუზას ხელმძღვანელობით მთელი რიგი ფართომასშტაბიანი ღონისძიებები განახორციელა, რამაც სასიკეთო შედეგები გამოიღო“ (9, 56).

ანტიმაფიის საპარლამენტო კომისიის ზეწოლის შედეგად 1993 წლიდან სკოლების სასწავლო პროგრამაში შეტანილ იქნა მასალა „კარგ მოქალაქედ აღზრდისა“ და „ანტიმაფიის“ შესახებ. უკვე 1998 წლისათვის დაახლოებით 620-მა სკოლამ წამოიწყო აღნიშნული პროგრამებისა და მასთან დაკავშირებული ათასამდე პროექტის განხორციელება. პროექტებში 8000 მასწავლებელი და 800000-მდე მოსწავლე მონაწილეობდა (44, 149).

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს წარმოადგენდა 1992 წლის დეკემბერში „ევროპის თანამეგობრობის“ პატრონაჟით სამხრეთ იტალიაში დაწყებული პროექტი - „სკოლა შვილად იყვანს ძეგლს“, რომელიც 1994 წლისათვის გავრცელდა მთელ იტალიაში, მოიცვა რა 65 ქალაქის საბჭო, 100 სკოლა და 600.000-მდე მოსწავლე. პროგრამა სთავაზობდა სკოლას, რომ მოეწოდებინა ისტორიული ძეგლისათვის. ამასთან ერთად, მოსწავლეები აგროვებდნენ ინფორმაციულ და საილუსტრაციო მასალებს, ადგენდნენ რუკებსა და პლაკეტებს, აწვობდნენ გამოფენებს „შვილობილი“ ძეგლის

ისტორიის თემაზე, ასევე, მეგზურობას უწევდნენ ძეგლების დათვალიერების მსურველებს.

1998 წლისათვის პალერმო იყო ერთადერთი იტალიური ქალაქი, სადაც მითითებული პროექტის ფარგლებში აკადემიურიწლის განმავლობაში ქალაქის 124-მა სკოლამ „იშვილა“ 121 მონუმენტი.

ამავე პერიოდს უკავშირდება ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგეკლესიის გააქტიურება. უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს წარმოადგენდა 1992 წლის ოქტომბერში ეკლესიის დოქტრინალური დადგენილებით ჩამოყალიბებული, 21-პუნქტიანი დოკუმენტი - „მაფია და ქრისტიანობის გავრცელება (evangelization)“, რომლის შესაბამისადაც, მაფიოზებად ცნობილ პირებს ეკრძალებოდათ ქრისტიანულ საიდუმლოებებთან ზიარება, თუ არ მოინანიებდნენ და არ დაამტკიცებდნენ თავიანთ გულწრფელობას. მათ ერთმეოდათ ნათლიობის უფლება, ასევე, მაფიის წევრები, რომლებიც დაიღუპებოდნენ შეიარაღებული დაპირისპირების დროს ან ციხეში მონანიების გარეშე, რჩებოდნენ რელიგიური წესის აუგებლად.

ცხადია, ყოველივე ამას კავშირი არ აქვს ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლასთან, მაგრამ ასეთი ღონისძიებების გატარება აუცილებელი იყო საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებისა და სოციალური კულტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, რაც, თავისთავად, ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საფეხური გახდა მაფიის დამარცხების გზაზე. ყველა ამ პროექტს ერთი საერთო მიზანი ჰქონდა: „1992 წლის რევოლუციური მომენტის გამოყენება და ამ ენერჯის გარდაქმნა დადებით და ნაყოფიერ შედეგად თუ კონკრეტულ ქმედებად. დეგრადაციიდან აღდგენისაკენ, იზოლაციიდან ერთიანობისაკენ, კორუფციიდან გამჭირვალობისაკენ, მაფიოზური კულტურიდან სამართლის კულტურისაკენ, სკეპტიციზმიდან რწმენისაკენ, სიბნელიდან სინათლისაკენ – სწორედ ეს არის აღორძინების ის გზები, რომლითაც განაგრძობს სვლას ქალაქი არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ყველა ფენის (სამღვდელოება, ასოციაციები, სკოლები, პრესა, პროფკავშირები და სხვა სამთავრობო სააგენტოები) დახმარებით, რომლებიც მუნიციპალიტეტის ყოველგვარი ჩარევის გარეშე დამოუკიდებლად ვიდოდნენ იმავე გზებით“ (9, 67).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება შემდეგი: ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია სამი მომენტის ერთიანობა, ესენია: 1) სახელმწიფოს პოლიტიკური ნება, შეინარჩუნოს სიფხიზლე და მუდმივად ებრძოლოს ორგანიზებულ დანაშაულს; 2) მოქალაქეთა მტკიცე სურვილი, გათავისუფლდნენ კრიმინალების ზეწოლისაგან, მათ შორის, ფსიქოლოგიური ზეწოლისაგან და იკისრონ სამოქალაქო პასუხისმგებლობა და 3) მთავრობის ნება და უნარი, ხელი შეუწყოს სამოქალაქო მოძრაობას. სამივე მათგანი აუცილებელია შედეგის მისაღწევად.

რასაკვირველია, მაფია და კორუფცია ბოლომდე არ მოისპო იტალიაში, მაგრამ ეს ბუნებრივიცაა - ორგანიზებულ დანაშაულობას ფესვები ერთ დღეში არ გაუდგამს და ვერც ასე სწრაფად ამოიძირკვებოდა, მაგრამ წარმატება, რომ მიღწეული იყო, ამას პალერმოს მაგალითიც კი ცხადყოფდა.

ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის პროცესში საზოგადოების როლის მიმოხილვის შემდეგ აუცილებელია, შეფასდეს სახელმწიფოს ქმედების ეფექტურობა ამ მიმართულებით. სახელმწიფოს ქმედება ამ შემთხვევაში მოიცავს როგორც საკანონმდებლო პროცესებს, ისე სხვა ტიპის ღონისძიებებსა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას. ის ფაქტი, რომ ათწლეულების მანძილზე მაფიის არსებობა აღიარებული არ იყო და მხოლოდ მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო მათ წინააღმდეგ რაიმე სახის ღონისძიებების გატარება, სახელმწიფოს სასარგებლოდ არ მეტყველებს. წლების მანძილზე ხსენებული დანაშაულებრივი სინდიკატი და ხელისუფლება მშვიდობიანად თანაარსებობდნენ, ცალკეული პირების ძალისხმევა, მიმართული მაფიის დასამარცხებლად, მათი მკვლევლობით სრულდებოდა.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან მაფიამ ლეგალურ ბიზნესში შეღწევა დაიწყო, მაგრამ რეალური ქმედებები აღნიშნული პროცესის საწინააღმდეგოდ მხოლოდ 1982 წელს დაიწყო. იტალიის ანტიმაფიურ ღონისძიებებს ერთი საერთო ნიშანი ჰქონდა - მათი გატარება ხდებოდა ნაჩქარევად, მითითებული კრიმინალური ორგანიზაციის მიერ რაიმე საზარელი დანაშაულის ჩადენის შემდეგ. „თამამად შეიძლება ითქვას, რომ იტალიური კანონმდებლობა მაფიას არაადეკვატურად ებრძვის და, ფაქტობრივად, არ არსებობს კონკრეტული გეგმა ამ დანაშაულებრივი

ორგანიზაციის რთული სქემის ყველა ასპექტის ამოსაძირკვად. ყველა საკანონმდებლო აქტი შეიძლება ჩაითვალოს სიმბოლურ კანონად, რადგანაც მიღებულია უშუალოდ ჩადენილი მძიმე დანაშაულის საპასუხოდ, სასწრაფოდ, მრავალი პრაქტიკული ასპექტის გაუთვალისწინებლად“ (127).

უმბერტო სანტინო თავის სტატიაში საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს მაფიის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებს და თავად მაფიის დამარცხების ფაქტს. „იტალიურ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ მაფია არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა საზარელი მკვლევლობები ხდება, სინამდვილეში კი მკვლევლობების არარსებობა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ორგანიზებული დანაშაულობის საქმიანობა უპრობლემოდ მიედინება“ (127). ამგვარი დამოკიდებულება, შესაძლოა, ცოტა გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ ის, რომ მაფიის საბოლოოდ დამარცხებაზე საუბარი ნაადრევია, ფაქტია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფალკონესა და ბორსელინოს მკვლევლობის შემდეგ სიცილიაში მაფიის წინააღმდეგ ღონისძიებების გასატარებლად არმია გაიგზავნა. თვით ეს მოქმედებაც სიმბოლური იყო, მაფიის მიერ ტერიტორიული კონტროლის გათვალისწინებით. პალერმოს მაქსი-პროცესებიც არ იყო ეფექტური. ყველა, რეპრესიული ღონისძიება იმ პერიოდისათვის ჩადენილი საზარელი მკვლევლობების პასუხსწარმოადგენდა. მაქსი-პროცესების პირველი ეტაპი არცთუ წარმატებულად დასრულდა, რადგანაც საკასაციო სასამართლომ ქვემდგომი ინსტანციების მიერ დადგენილი სასჯელები შეამცირა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მაფიოზური დაჯგუფებები დამოუკიდებელი, ავტონომიური ჯგუფები იყვნენ, რის შედეგადაც მათ კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე საუბარიც ზედმეტი იყო. აღნიშნული შეხედულება მხოლოდ 1992 წლიდან შეიცვალა.

თვით „მაფიის წინააღმდეგ“ კანონისა და „რონიონო – ლა ტორეს“ გამოყენებას პრაქტიკაში ბევრი ხარვეზი ახლავს. მათგან მთავარი არის ქონების დაყადაღებისა და ჩამორთმევის პროცესების არასწორად წარმართვა. პრობლემა ამ შემთხვევაში ისაა, რომ ქონების დაყადაღება მეტისმეტად ნაჩქარევად ხდება, როგორც წესი, მაფიის მიერ ჩადენილ მძიმე დანაშაულზე საპასუხოდ, თუმცა, სასამართლოს განაჩენით ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი მაფიას უკან უბრუნდება.

ამგვარად, როგორც გამოიკვეთა, იტალიის ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის მეთოდები ეფუძნება პრინციპს - „თავდასხმა, თუ მაფია გიტევს“. დანარჩენ დროს კი სახელმწიფო მშვიდობიანად თანაარსებობს მაფიასთან. ყველა ის მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც წინამდებარე პარაგრაფში იქნა განხილული, მხოლოდ საზოგადოების ზეწოლით იყო გამოწვეული. რასაკვირველია, ეს მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ჯერ კიდევ შორია მაფიისა და შესაბამისად კორუფციის დამარცხებამდე.

4.3 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (პალერმო, 2000 წლის 15 ნოემბერი)

ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო აქტს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“, რომელიც მიღებულ იქნა 2000 წლის 15 ნოემბერს და მისივე 38-ე მუხლის თანახმად, ძალაში შევიდა 2003 წლის 29 სექტემბერს. აღნიშნული კონვენცია საქართველოს სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილ იქნა 2000 წლის 13 დეკემბერს, ხოლო მისი რატიფიცირება მოხდა 2006 წლის 7 ივნისს.

პირველ რიგში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხსენებული კონვენცია ორგანიზებული დანაშაულობის დეფინიციას არ ადგენს, თუმცა მასში დეტალურადაა განმარტებული მითითებულ კრიმინალთან დაკავშირებული ტერმინები და ასევე მკაფიოდ არის გადმოცემული მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები.

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის მე-2 მუხლით ამავე აქტის მიზნებისათვის განმარტებულია ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი, მძიმე დანაშაული, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფი, ქონება, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალი, ყადაღა, ამოღება, კონფისკაცია, კონტროლირებადი მიწოდება და ა.შ. კონვენციის ტერმინების განმარტებას აქვს ერთი, მეტად მნიშვნელოვანი დატვირთვა. კერძოდ, ხსენებული საერთაშორისო აქტი თავისი შინაარსით, დანიშნულებითა და გამოყენების სფეროებით ერთგვაროვნად უნდა იქნეს აღქმული ამავე კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოს მიერ, რათა თანამშრომლობის პერიოდში მისი იმპლემენტაციისა თუ პირდაპირი გამოყენების ეტაპზე არ წარმოიშვას კითხვები კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობის შემადგენლობასთან დაკავშირებით, რაც, თავისთავად, ეჭვქვეშ დააყენებს აღნიშნული საერთაშორისო აქტის გამოყენების ეფექტურობას. კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულობების ცნებების განმარტებებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველო კონვენციის იმ მონაწილე სახელმწიფოების რიცხვს განეკუთვნება, რომლებმაც ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ეროვნულ დონეზე საკანონმდებლო ნორმების შემუშავებისას აღნიშნული კონვენციის ცნებებით იხელმძღვანელეს. მაგალითისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული ორგანიზებული ჯგუფის განმარტება კონვენციით გათვალისწინებული ორგანიზებული ჯგუფის ცნების იდენტურია.

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციით განსაზღვრულია მისი მოქმედების სფერო. კერძოდ, იგი გამოიყენება, რათა აღიკვეთოს, გამოძიებულ იქნეს და სისხლის სამართლებრივ დევნას დაექვემდებაროს:

- დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა;
- დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრება;
- კორუფცია;
- მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა.

მითითებულთან ერთად კონვენციის მოქმედების სფეროში ასევე ექცევა ნებისმიერი მძიმე დანაშაული, თუ იგი ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს და ჩადენილია ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების მიერ. „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის მიხედვით, მძიმე დანაშაულს წარმოადგენს დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც სასჯელის მაქსიმალური ზღვარი წარმოადგენს არანაკლებ ოთხ წელს (146). რაც შეეხება კრიმინალური ქმედების ტრანსნაციონალურობას, აღნიშნული ასევე განმარტებულია მითითებული კონვენციით, რომლის შესაბამისადაც, დანაშაულებრივი საქმიანობა ტრანსნაციონალურია, თუ იგი

- ჩადენილია ერთზე მეტ სახელმწიფოში;
- ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი მომზადების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობის ან კონტროლის არსებითი ნაწილი განხორციელდა სხვა სახელმწიფოში;
- ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა ერთზე მეტ სახელმწიფოში;
- ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი არსებითი შედეგები ვლინდება მეორე სახელმწიფოში (146).

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, გარდა კონკრეტულად განსაზღვრული დანაშაულებებისა, მითითებული კონვენციის მოქმედების სფეროში ასევე ხდება ნებისმიერი კრიმინალური ქმედება, რომლის ჩადენისთვისაც სასჯელის მაქსიმუმი წარმოადგენს არანაკლებ ოთხ წელს, ოღონდ ამასთან ერთად იგი განხორციელებული უნდა იყოს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ და ატარებდეს ტრანსნაციონალურ ხასიათს.

იმისათვის, რომ დეტალურად მოხდეს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის იურისდიქციის დადგენა, სასურველია, ცალ-ცალკე იქნეს განხილულითვითოეული დანაშაულებრივი ქმედება, რომელზედაც ვრცელდება წინამდებარე საერთაშორისო აქტი.

მითითებული კონვენციის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, დანაშაუთა ორგანიზებული ჯგუფი ნიშნავს ერთი ან რამდენიმე მძიმე დანაშაულის ან ამ კონვენციის მიერ ასეთად მიჩნეული დანაშაულის ჩადენის მიზნით დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულ და შეთანხმებულად მოქმედ სტრუქტურული ფორმის მქონე, სამი ან მეტი პირისაგან შემდგარ ჯგუფს, რომლის მიზანია, პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღოს ფინანსური ან სხვაგვარი სარგებელი (146). ამავე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, მძიმეა დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც სასჯელის მაქსიმუმი წარმოადგენს არანაკლებ ოთხ წელს, ხოლო რაც შეეხება სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფს, „ც“ პუნქტის შესაბამისად, მითითებულს წარმოადგენს ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული ფუნქციები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა (146).

ზემოთ მითითებულის განხილვის შედეგად თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ორგანიზებულ ჯგუფთან დაკავშირებული დეფინიციები შექმნილია სწორედ ამ კონვენციის დებულებათა გავლენით, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად. მითითებულ მუხლს კონვენციისაგან განსხვავებს მხოლოდ ის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არ არის დაკონკრეტებული ჯგუფში წევრების მინიმალური ოდენობა, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება, თუ რა კატეგორიის დანაშაულის ჩასადენად შეკავშირდნენ კრიმინალები, ხოლო შემოსავლის მიღების სახე კი დაკონკრეტებულია, კერძოდ, სარგებელი მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ უკანონო გზით.

წინამდებარე კონვენციით, იმისათვის, რომ დანაშაულებრივი გაერთიანება ჩაითვალოს ორგანიზებულ ჯგუფად:

- იგი უნდა არსებობდეს დროის განსაზღვრულ პერიოდში;
- მასში წევრთა ოდენობა არ უნდა იყოს სამზე ნაკლები;

- ჯგუფის მოქმედება უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული;
- ჯგუფს უნდა გააჩნდეს სტრუქტურული ფორმა;
- წევრები უნდა გაერთიანდნენ ერთი ან მეტი მძიმე დანაშაულის ჩასადენად;
- მიზანს უნდა წარმოადგენდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი, ფინანსური ან სხვა სახის სარგებლის მიღება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მოქმედების სფეროში ექცევა დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა. ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების გარკვევის შემდეგ ასევე სასურველია, დეტალურად განვიხილოთ, თუ რა სახის მონაწილეობაა დასჯადი მითითებულ კრიმინალურ გაერთიანებაში.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კონვენცია ყველა მონაწილე სახელმწიფოს ავალდებულებს, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომა, რომელთა შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები ჩაითვლება დანაშაულად განზრახ ჩადენის შემთხვევაში:

1. ქვემოთ დასახელებულ ქმედებათაგან ერთ-ერთი ან ორივე დანაშაულებრივ ქმედებათა განხორციელება იმისდა მიუხედავად, ჩადენილ იქნა მცდელობა, თუ დასრულებული დანაშაული:
 - ერთ ან რამდენიმე პირთან შეთანხმება მძიმე დანაშაულის ჩასადენად, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით და თუ ამას ითვალისწინებს შიდა კანონმდებლობა, ასევე მოიცავს რომელიმე მონაწილის მიერ შეთანხმების სისრულეში მოსაყვანად გარკვეული ქმედების შესრულებას ან ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობაში ჩაბმას;
 - პირისაქტიური მონაწილეობა, რომელიც აცნობიერებს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიზანს და საერთო დანაშაულებრივ

საქმიანობას, ან ამ ჯგუფის განზრახვას, ჩაიდინოს შესაბამისი დანაშაულები:

- ა. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობაში;
 - ბ. ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში სხვაგვარი საქმიანობა იმის წინასწარი შეცნობით, რომ ამგვარი მონაწილეობა ხელს უწყობს გაერთიანების კრიმინალური მიზნის მიღწევს.
2. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ მძიმე დანაშაულის ჩადენის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, ხელშეწყობა, წაქეზება, დახმარება ან რჩევის მიცემა (146).

როგორც მითითებულიდან ჩანს, კონვენცია ავალდებულებს ხელმძღვანელ სახელმწიფოებს, რომ მიიღონ ზომები, რომელთა საფუძველზეც დანაშაულად ჩაითვლება პირთა შეთანხმება მძიმე დანაშაულის ჩასადენად პირდაპირი ან არაპირდაპირი მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ამ შეთანხმების სისრულეში მოსაყვანად გარკვეული ქმედების შესრულება, ან დანაშაულებრივი გაერთიანების საქმიანობაში ჩართვა, ასევე, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მიღება გაერთიანების მიზნის მიღწევაში დასახმარებლად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი, ზემოთ ჩამოთვლილი ქმედება განხორციელებულ უნდა იქნეს განზრახ და დამნაშავეს გაცნობიერებული ჰქონდეს ქმედების არსი, ხოლო წინასწარი შეცნობის, განზრახვის, ჩანაფიქრისა, თუ მიზნის დადგენა უნდა მოხდეს საქმის ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შედეგად. აქვე ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ, კონვენციის თანახმად, ასევე დასჯადად უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ უშუალოდ მონაწილეობის მიღება ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობაში, არამედ კრიმინალური გაერთიანების მონაწილეობით მძიმე დანაშაულის ჩადენის ხელმძღვანელობა, ორგანიზება, ხელშეწყობა და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ გაცნობიერებულია რა ორგანიზებული დანაშაულობის დიდი საფრთხე, კონვენციით ხდება საწინააღმდეგო ზომების გატარება არამხოლოდ უშუალოდ

ორგანიზებულ ჯგუფში ჩართულ პირთა მიმართ, არამედ ნებისმიერის, რომელიც თავის ქმედებით ხელს შეუწყობს კრიმინალური გაერთიანების მიზნის მიღწევას.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მე-6 მუხლით ხდება დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების კრიმინალიზაცია. მითითებული ნორმით კონვენციის ყველა წევრ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომელთა შედეგად დანაშაულად იქნება აღიარებული შემდეგი განზრახი ქმედებები:

- წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების გარდაქმნა ან გადაცემა ამ ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის ან დამალვის მიზნით ან დახმარების გაწევა ნებისმიერი პირისათვის, რომელიც მონაწილეობდა „ძირითადი სამართალდარღვევის“ ჩადენაში, რათა თავიდან აირიდოს მის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე სამართლებრივი პასუხისმგებლობა;
- წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ნამდვილი ხასიათის, წყაროს, ადგილმდებარეობის, გადაადგილების, ქონებაზე უფლების ან მისი კუთვნილების დაფარვა ან შეცვლა (146).

როგორც მითითებულიდან ჩანს, წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, განახორციელონ სხვადასხვა ზომები, რომელთა საფუძველზეც წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემის პროცესში მონაწილეობა ჩაითვლება დანაშაულად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის ნორმები უფრო შორსაც მიდის და უკანონო ქონების ლეგალიზაციის პროცესში მონაწილეობის გარდა, დასჯადად აცხადებს ასევე:

- წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექმნას, ფლობასა და გამოყენებას;
- ზემოთ მითითებული დანაშაულების ჩასადენად შეკავშირებას, ჩადენის მცდელობასა და მის ჩასადენად დახმარებას, წაქეზებას, უზრუნველყოფასა და რჩევის მიცემას (146).

ამდენად, კონვენციით განსაზღვრულია, რომ არა მხოლოდ აქტიური ქმედება უნდა დაისაჯოს უკანონო შემოსავლის გათეთრების პროცესში, არამედ ისეთი პასიური, „უმნიშვნელო“ ქმედებაც, როგორცაა მაგალითად, სამართალდამრღვევისათვის რჩევის მიცემა საქმიანობის განსახორციელებლად.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, კონვენციის შესაბამისად, ზემოთ მითითებული ქმედებები ჩაითვლება დასჯადად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი განხორციელდა განზრახ და წინასწარი შეცნობით, ხოლო ამავე მუხლის „ფ“ პუნქტით განმარტებულია, რომ დანაშაულებრივი ქმედებების მითითებული შემადგენელი ელემენტები უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ საქმეზე გარემოებათა ობიექტური გამოკვლევის შედეგად.

კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ მათ საკანონმდებლო ზომების გარდა განახორციელონ სხვა ქმედებებიც, რომლებითაც აღიკვეთება დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ლეგალიზაცია. აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფოთა მოვალეობას წარმოადგენს ერთიანი, ყოველმხრივი რეგულაცია და ისეთი რეჟიმის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება დანაშაულებრივი შემოსავლის გათეთრების წინააღმდეგ და გათვლილი იქნება ბანკებისა და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტებისათვის, ასევე, ორგანიზაციებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველი არიან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თვალსაზრისით. აღნიშნული რეჟიმის ფარგლებში უნდა მოხდეს კლიენტთა იდენტიფიცირება, ასევე, საეჭვო ტრანზაქციების დაფიქსირება და შეტყობინება.

კონვენციის შესაბამისად, წვერი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, ხელი შეუწყონ მითითებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ურთიერთთანამშრომლობას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული მიზნის სრულყოფილად განსახორციელებლად სავალდებულოა, ფინანსური დაზვერვის სამსახურის შექმნა, რომელიც ფულის გათეთრების შემთხვევებში იმოქმედებს როგორც ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და გავრცელების ეროვნული ცენტრი.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, წვერ სახელმწიფოებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ განახორციელონ სხვადასხვა დონის დიებები თავიანთ საზღვარზე ნაღდი

ფულადი სახსრებისა და შესაბამისი საბრუნავი დოკუმენტების გადაადგილების გამოვლენისა და კონტროლის მიზნით. თუმცა, აქვე მითითებულია, რომ მიღებული ინფორმაცია არავითარ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული კანონიერი კაპიტალის ნებისმიერი გზით გადაადგილების ხელის შესაშლელად.

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრობის დასჯადობის გარდა, მითითებული კონვენცია ასევე ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, განახორციელონ სხვადასხვა ზომები, რათა დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ლეგალიზაცია ჩაითვალოს დანაშაულად. მითითებულს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, როგორც ცნობილია, ორგანიზებული დანაშაულობის მიზანს, პირველ რიგში, წარმოადგენს შემოსავლის მიღება, ხოლო იმისათვის, რომ მოპოვებული რესურსები გამოყენებულ იქნეს, საჭიროა მისთვის კანონიერი სახის მიცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დანაშაულებრივ საქმიანობას აზრი ეკარგება. შესაბამისად, კონვენცია ადგენს ვალდებულებებს წევრი სახელმწიფოებისათვის, რათა განსაკუთრებით გაამკაცრონ ბრძოლა როგორც უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის, ასევე მათი გადაადგილების წინააღმდეგ.

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენცია ასევე დიდ ყურადღებას უთმობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. აღნიშნული სწორედაც რომ მეტად მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, რადგანაც კორუფცია ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების არსებობის ერთ-ერთი ბერკეტი. კრიმინალების მიერ ხდება საჯარო პირთა მოსყიდვა, შესაბამისად, დამნაშავეებს ოფიციალური მოხელეები მფარველობენ, რაც ძალიან ართულებს ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლას.

კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად, თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომელთა შედეგად დანაშაულად ჩაითვალოს:

- საჯარო მოხელისათვის პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის სასარგებლოდ, იმისათვის, რომ ამ მოხელემ თავისი თანამდებობრივი მოვალეობის

შესრულებისას განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს მისი შესრულებისგან;

- პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა საჯარო მოხელის მიერ, პირადად ამ მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის სასარგებლოდ იმისათვის, რომ ამ მოხელემ თავისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისაგან (146).

კონვენცია ასევე მიუთითებს, რომ ასეთი ქმედების უშუალოდ შემსრულებლის გარდა, დანაშაულად მიჩნეულ უნდა იქნეს აღნიშნულ ქმედებებში თანამონაწილეობაც. კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად მიიჩნიონ უცხო ქვეყნის საჯარო მოხელის ან საერთაშორისო სამოქალაქო სამსახურში მყოფი პირის მიერ განხორციელებული ზემოთ აღნიშნული ქმედებები.

როგორც ვხედავთ, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია დიდ ყურადღებას უთმობს კორუფციას და მასთან ბრძოლის საკითხებს, რაც, უდავოდ, გასათვალისწინებელია ცნობილი მიზეზების გამო. ყოველგვარი ვალდებულების მიუხედავად, რომელთაც კონვენცია უწესებს წევრ სახელმწიფოებს, კორუფცია ისედაც დასჯადია ყველა ქვეყანაში. კორუფციის კრიმინალიზაციაზე აქცენტის გაკეთებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მითითებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების როლს ორგანიზებული დანაშაულობის სისტემაში და მის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის წარმოების საჭიროებას.

კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის კრიმინალიზაციას. წევრ სახელმწიფოებს ვალდებულება ეკისრებათ, გაატარონ ღონისძიებები, რომელთა შედეგად დანაშაულად ჩაითვლება განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებები:

- ფიზიკური ძალის, მუქარის ან დაშინების გამოყენება ან არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება, ყალბი ჩვენების მიცემაზე დაყოლიების ან ჩვენების მიცემაში ან მტკიცებულების წარდგენაში ჩარევის მიზნით, მითითებული კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებულ სამართალწარმოების პროცესში;
- ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებულ სამართალწარმოების პროცესში სასამართლო ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს თანამდებობის პირის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებაში ჩარევის მიზნით ფიზიკური ძალის, მუქარის ან დაშინების გამოყენება. თუმცა, აღნიშნული არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, შექმნას კანონმდებლობა სამართალწარმოების სხვა მონაწილეთა დასაცავად (146).

როგორც მითითებულიდან ჩანს, კონვენცია ზემოთ მითითებულ ქმედებას იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ მას ისეთი მძიმე დანაშაულების გვერდით აყენებს, როგორცაა, ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებაში მონაწილეობა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და კორუფცია, რაც საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ არის, რადგან ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებისას როგორც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთათვის, ასევე მოწმეთათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ მათ თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი თავს შეიკავებენ სამართალწარმოებაში აქტიურად მონაწილეობისაგან, რაც მნიშვნელოვნად შეასუსტებს ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტურობას.

ზემოთ მითითებულის პარალელურად კონვენცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, რომ უზრუნველყონ სხვადასხვა ზომების მიღება მოწმეთა (საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, პიროვნებისა და ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოება და ა.შ.) და დაზარალებულთა დასაცავად სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით.

გარდა დანაშაულებრივი ქმედებებისა, რომელთაც ყველზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, წინამდებარე კონვენცია ასევე ადგენს რეკომენდაციებს საერთაშორისო თანამშრომლობის

თვალსაზრისით, რაც აღნიშნულ აქტს კიდევ უფრო მეტ ღირებულებას სძენს. წევრ სახელმწიფოებს საშუალება აქვთ, განახორციელონ სამართლებრივი დახმარება, აწარმოონ ერთობლივი გამოძიება და დამნაშავეთა ექსტრადიცია იმისდა მიუხედავად, გააჩნიათ თუ არა მათ ურთიერთშორის რაიმე სხვა შეთანხმება. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კონვენცია ითვალისწინებს როგორც წევრი ქვეყნების სამართალდამცავთა შორის პრაქტიკის გაზიარებას, ასევე ერთმანეთის კადრების პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, დეფინიციიდან გამომდინარე, სცილდება ერთი კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს. შესაბამისად, მსგავს დაჯგუფებაში შეიძლება მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის კრიმინალები, რომელთაც საქმიანობის საკუთარი მეთოდები გააჩნიათ. ცხადია, ასეთ დროს ფასდაუდებელია დამნაშავეის წარმოშობის ქვეყნის სამართალდამცავი სისტემის როგორც გამოცდილება, ასევე მომზადებისა და გადამზადების კურსები, რომლებშიც კარგადაა გაანალიზებული და შესწავლილი ადგილობრივი დანაშაულობის თავისებურებანი.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კონვენციის შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, განიხილონ სასჯელის შემცირების შესაძლებლობა იმ პირისათვის, რომელიც არსებითად თანამშრომლობს გამოძიებასთან. მითითებული გარემოების აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ უმეტეს შემთხვევაში ტრადიციული ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი დაჯგუფებების საქმიანობა, მათი წესები და წევრთა შემადგენლობა არის გასაიდუმლოებული. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოებისათვის უკიდურესად ძნელი ხდება მათ წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან არ გააჩნიათ ინფორმაცია დაჯგუფების შიდა საქმიანობისა თუ სტრუქტურის შესახებ. მითითებული დანაწესი განსაკუთრებით ღირებული და ეფექტურია თანამედროვე ეტაპზე. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ლიდერები მაქსიმალურად არიან იზოლირებული რიგითი წევრებისაგან და ისინი უშუალოდ არავითარ დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებენ, თუმცა სწორედ მათ მიერ ხდება დანაშაულებრივი სინდიკატის საქმიანობის პოლიტიკის შემუშავება და მათი დავალებით ხორციელდება კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები. მითითებულიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, არსებობს პირი, რომელიც წარმართავს

დანაშაულებრივი დაჯგუფების საქმიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება თითქმის შეუძლებელია, რადგან უშუალოდ იგი კრიმინალურ ქმედებას არ სჩადის. შესაბამისად, ასეთ დროს ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულებრივი გაერთიანების წევრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომელსაც, ცხადია, ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნების მოტივი უნდა გააჩნდეს. საამისოდ კი სასჯელის შემცირება აპრობირებული მეთოდია, რომელიც, თუ გაეითვალისწინებთ საერთაშორისო პრაქტიკასა და საქართველოს გამოცდილებას, დანაშაულთან ბრძოლის საქმეში საკმაოდ ეფექტურად მუშაობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტია მითითებული სახის კრიმინალთან ბრძოლაში. წინამდებარე კონვენცია აკონკრეტებს, თუ რომელ ქმედებებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება ტრანსნაციონალური კრიმინალური დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლისას. ასევე მნიშვნელოვანი ის ფაქტიც, რომ კონვენციის წევრი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, მოახდინონ განსაზღვრული ქმედებების კრიმინალიზაცია შიდა კანონმდებლობაში, რაც ხელს შეუწყობს ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ერთობლივ ბრძოლას, რადგან, ცხადია, რომელიმე ქმედება თუ დასჯადია ერთ ქვეყანაში, ხოლო მეორეში კი არა, ისინი ვერ ითანამშრომლებენ მითითებული სახის კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეკომენდაციებს, რომელიც შეეხება თანამშრომლობას წევრ სახელმწიფოთა შესაბამის ორგანოებს შორის. აღნიშნული გადამწყვეტია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მსგავსი ხასიათის კრიმინალის განმახორციელებელი ორგანიზებული დაჯგუფება არასდროს მოქმედებს ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე. შესაბამისად, თუ არ იქნება ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, დანაშაულობის ბოლომდე დამარცხება შეუძლებელი იქნება. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეებს ეძლევათ საშუალება, განახორციელონ სამართლებრივი ურთიერთდახმარება და დამნაშავეთა ექსტრადიცია, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რიგ

შემთხვევაში შეიძლება ქვეყნებს არ გააჩნდეთ შეთანხმება მსგავს საკითხებში თანამშრომლობის შესახებ. ასეთ დროს საჭირო ხდება კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით შეთანხმების გაფორმება, რასაც ხანგრძლივი დრო სჭირდება, ხოლო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში ოპერატიულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს წვერი სახელმწიფოების მოვალეობა ერთმანეთის კადრების მომზადების შესახებ. მითითებული ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რადგან სპეციალური ცოდნის გარეშე, რაც უნდა აქტიურად განხორციელდეს ქმედებები კრიმინალთან საბრძოლველად, ბრძოლა ეფექტური ვერ იქნება, რადგან ყოველი კონკრეტული დაჯგუფების დასამარცხებლად ბრძოლის განსხვავებული მეთოდებია საჭირო. შესაბამისად სწორედ ამ მეთოდებისა და წესების შეწავლა იქნება შესაძლებელი პარტნიორი ქვეყნის სამართალდამცავთა სპეციალურ სასწავლებლებში.

4.4 ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციები ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში

4.4.1 საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია – ინტერპოლი

თანამედროვე პერიოდში ორგანიზებული დანაშაულობა უფრო და უფრო ტრანსნაციონალურ ხასიათსიღებს, კერძოდ, სხვადასხვა კრიმინალური გაერთიანებების საქმიანობის სფეროები სცილდება ერთი რომელიმე სახელმწიფოს ფარგლებს. ისინი ერთმანეთთან ამყარებენ მჭიდრო კავშირს, რაც ხელს უწყობს მათ დანაშაულებრივ საქმიანობას. იმისათვის, რომ კრიმინალური სამყაროს მიმართ სახელმწიფოთა მხრიდან ადეკვატური პასუხი იქნეს გაცემული, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოთა ინტენსიურ, კოორდინირებულ საქმიანობას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია – ინტერპოლი, რომელიც

სხვადასხვა ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობას უზრუნველყოფს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური კავშირები არ არსებობს.

ინტერპოლის შექმნის მიზნით პირველი ნაბიჯი 1914 წელს კრიმინალური პოლიციის პირველ საერთაშორისო კონგრესზე გადაიდგა. აღნიშნულ შეხვედრაზე 14 ქვეყნის პოლიციის მაღალჩინოსნები, იურისტები და მოსამართლეები დაკავების პროცედურის, იდენტიფიცირების ტექნიკის, ერთიანი კრიმინალური ისტორიისა და ექსტრადიციის პროცედურის შექმნის საკითხებს იხილავდნენ. სწორედ ამ შეკრების დროს გაუღერდა პირველად პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის ინიციატივა, თუმცა, სამწუხაროდ, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ხსენებული იდეის ხორცშესხმის პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა. პოლიციის პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია 1923 წელს დაარსდა და ეწოდა საერთაშორისო კრიმინალური პოლიცია (სკპ). ორგანიზაციის შტაბ-ბინა ვენაში მდებარეობდა.

1938 წლიდან სკპ-ს კონტროლი მთლიანად ნაცისტების ხელში აღმოჩნდა, რის შედეგადაც წვერი ქვეყნების უმრავლესობამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა შეწყვიტა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1946 წელს, ბელგიის ინიციატივით, ორგანიზაცია აღდგა. მისი შტაბ-ბინა სენ-კლუში (პარიზის გარეუბანში) განთავსდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც ამ ეტაპისათვის განხორციელდა, სტრუქტურულ მოწყობას უკავშირდებოდა, კერძოდ, შემოღებულ იქნა ორგანიზაციის მმართველი ორგანოების არჩევის დემოკრატიული პროცედურა.

1956 წელს მიღებულ იქნა ინტერპოლის განახლებული კონსტიტუცია. ორგანიზაციას ეწოდა „საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია – ინტერპოლი“, შემოკლებით სკპ-ინტერპოლი ან უბრალოდ ინტერპოლი (International Criminal Police Organization – Interpol, ICPO-Interpol). გარდა ამისა, ორგანიზაცია არ არის დამოკიდებული და სრულად ავტონომიურია წვერი ქვეყნებისაგან საწევროების აკრეფითა და ძირითადი წყაროს ინვესტიციების ხარჯზე. 1971 წელს გაერომ ინტერპოლი საერთაშორისო ორგანიზაციად აღიარა (121).

სიდიდის თვალსაზრისით, ინტერპოლი საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის გაეროს შემდეგ მეორეა. იგი აერთიანებს 188 წევრ-ქვეყანას. ორგანიზაციის შტაბ-ბინა საფრანგეთში, ქალაქ ლიონში მდებარეობს.

რაც შეეხება ორგანიზაციის სტრუქტურას, ინტერპოლის მმართველობის უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელიც ყველა წევრი-ქვეყნის მიერ არჩეული დელეგატებისაგან შედგება და წელიწადში ერთხელ იკრიბება. რიგგარეშე სხდომის მოწვევა შესაძლებელია აღმასრულებელი კომიტეტის ან წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით.

გენერალური ასამბლეის ძირითადი ფუნქციებია:

- ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად ღონისძიებებისა და პრინციპების განსაზღვრა;
- გენერალური სამდივნოს მიერ მომზადებული წლიური პროგრამის შესწავლა და დამტკიცება;
- საჭიროებისამებრ სხვადასხვა ინსტრუქციებისა და წესების მიღება;
- ორგანიზაციის კონსტიტუციით განსაზღვრული თანამდებობის პირების არჩევა;
- რეზოლუციებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
- ორგანიზაციის ფინანსური პოლიტიკის განსაზღვრა;
- ორგანიზაციასთან ნებისმიერი ხასიათის შეთანხმების დამტკიცება (122).

გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა წევრი ქვეყნებისათვის.

გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების განხორციელებისათვის ორგანიზაციაში იქმნება აღმასრულებელი კომიტეტი. იგი შედგება ორგანიზაციის პრეზიდენტის, სამი ვიცე-პრეზიდენტისა და ცხრა დელეგატისაგან. კომიტეტის წევრები სხვადასხვა ქვეყნებიდან უნდა იყვნენ.

პრეზიდენტი აირჩევა ოთხი წლის ვადით, ვიცე-პრეზიდენტები - სამი წლით. დაუშვებელია მათი არჩევა ზედიზედ ერთზე მეტი ვადით.

ორგანიზაციის პრეზიდენტი უძღვება გენერალური ასამბლეისა და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს, წარმართავს დისკუსიას; უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისობას გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებებთან; ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს გენერალურ სამდივნოსთან.

კომიტეტის ცხრა დელეგატს სამი წლის ვადით ირჩევს გენერალური ასამბლეა. დაუშვებელია მათი ზედიზედ ერთზე მეტი ვადით არჩევა. აღმასრულებელი კომისიის ყველა წევრი მოქმედებს როგორც ორგანიზაციის და არა თავისი ქვეყნის წარმომადგენელი.

აღმასრულებელი კომიტეტის ფუნქციებია:

- გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობა;
- გენერალური ასამბლეისათვის დღის წესრიგის მომზადება;
- გენერალური მდივნის საქმიანობის ზედამხედველობა;
- გენერალური ასამბლეის მიერ დელეგირებული ნებისმიერი სხვა ფუნქციის შესრულება (122).

ორგანიზაციის მუდმივმოქმედი დეპარტამენტები ქმნიან გენერალურ სამდივნოს. გენერალურ სამდივნოს ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი, რომელსაც აღმასრულებელი კომიტეტის წარდგინებით ირჩევს გენერალური ასამბლეა 5 წლის ვადით. მისი არჩევა შესაძლებელია რამდენიმე ვადით, თუმცა, თანამდებობიდან უნდა გადადგეს 65 წლის ასაკის მიღწევისთანავე. გენერალური მდივნობის კანდიდატი უნდა იყოს პოლიციის საქმიანობაში კომპეტენტური პირი. განსაკუთრებულ შემთხვევებში, აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით, გენერალურ სამდივნოს შეუძლია გენერალური მდივნის თანამდებობიდან გათავისუფლება.

გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს აპარატს, ახორციელებს ბიუჯეტის ადმინისტრირებას, ორგანიზებას უწევს და ხელმძღვანელობს მუდმივმოქმედ დეპარტამენტებს. მას შეუძლია გენერალურ ასამბლეას ან აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგინოს პროექტები ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებით.

გენერალური სამდივნოს ფუნქციებია:

- გენერალური ასამბლეისა და აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების რეალიზება;
- დანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო ცენტრის ფუნქციის შესრულება;
- საინფორმაციო და ტექნიკური ცენტრის როლის შესრულება;
- ორგანიზაციის ეფექტური ადმინისტრირების უზრუნველყოფა;
- ეროვნულ და საერთაშორისო სტრუქტურებთან კავშირის დამყარება;
- ინტერპოლის საქმიანობასთან დაკავშირებული პუბლიკაციების გამოცემა;
- ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ან აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე სამდივნოს ფუნქციის შესრულება;
- მომავალი წლისათვის სამოქმედო პროგრამის შემუშავება.

გენერალური მდივანი და სამდივნოს თანამშრომლები საქმიანობის პროცესში დამოუკიდებლები არიან რომელიმე ქვეყნის მთავრობის, ორგანიზაციის ან, რომელიმე უწყების ინსტრუქციების ან ჩარევისაგან.

ინტერპოლის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია ეროვნული ცენტრალური ბიურო (ეცბ). საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის ორგანიზაციას ესაჭიროება წევრი ქვეყნების მუდმივი და აქტიური თანამშრომლობა. საკუთარი შესაძლებლობებისა და კანონმდებლობის გათვალისწინებით თითოეულმა მათგანმა უნდა უზრუნველყოს, სრული მონაწილეობა ორგანიზაციის საქმიანობაში. ამგვარი თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ ქვეყანაში იქმნება ორგანო, რომელიც ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მოვალეობას შეასრულებს. ბიუროს ფუნქციაა თავისი ქვეყნის სხავდასხვა ორგანოებთან, სხვა

ქვეყნების ეროვნულ ბიუროებსა და ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთან კავშირის უზრუნველყოფა (122).

საჭიროების შემთხვევაში, სამეცნიერო ხასიათის საკითხებზე კონსულტაციის მიზნით, აღამსრულებელ კომიტეტს შეუძლია მრჩეველების დანიშვნა. მათი ფუნქცია წმინდა საკონსულტაციო-სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

და ბოლოს, შედარებით ახალი სტრუქტურული ერთეულია ინტერპოლის საქმეთა კონტროლის კომისია, რომელიც დამოუკიდებელი ორგანოა და ზედამხედველობას უწევს ორგანიზაციის მიერ პერსონალური მონაცემების გაცვლას.

რაც შეეხება ინტერპოლის საქმიანობას, იგი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, ორგანიზაცია არ ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს. მისი საქმიანობა მოიცავს ადმინისტრაციული კავშირის დამყარებას და მონაცემთა ბაზებით სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების უზრუნველყოფას. საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლის პროცესში ამგვარ თანამშრომლობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ბიუროკრატიული თუ ფორმალური ბევრი მოთხოვნის აცილების საშუალებას იძლევა. ინტერპოლის მონაცემთა ბაზები სამართალდამცავ ორგანოებს, საერთაშორისო კრიმინალის სრულ სურათსაძლევს, რადგან შესაძლებლობა აქვს, თვალყური ადევნოს კრიმინალურ სამყაროს მსოფლიო მასშტაბით. გენერალურ სამდივნოში თავმოყრილია თითის ანაბეჭდების, მოპარული ავტოსატრანსპორტო საშუალებების, ძეხნილი პირების, ღნმ-ის, დაკარგულ კულტურულ ფასეულობათა და ა.შ. მონაცემთა ბაზები.

ადამიანის უფლებების დაცვისა და ასევე კონსტიტუციის მე-3 მუხლთან მიმართებით საინტერესოა, რომ ინტერპოლი თანამშრომლობს რუანდისა და ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალებთან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

იმისათვის, რომ ინტერპოლმა შეინარჩუნოს მაქსიმალური პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, 1938-1945 წლების გამოცდილების გათვალისწინებით, კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, ორგანიზაციას მკაცრად ეკრძალება რელიგიური, რასობრივი, პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათის დანაშაულებთან დაკავშირებით რაიმე მოქმედების განხორციელება.

აღნიშნული მუხლის მიზანი იყო, ინტერპოლს არანაირი შეხება ჰქონდა ამ ტიპის დანაშაულებთან, თუმცა, მოგვიანებით, მიღებული სამი რეზოლუციის საფუძველზე, დადგინდა მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლები. ზემოაღნიშნული მუხლი ზღუდავს როგორც ეროვნულ ბიუროს, ისე გენერალურ სამდივნოს. ამ უკანასკნელს ეკრძალება მე-3 მუხლის პრინციპებთან შეუსაბამო მოთხოვნების შესრულება, რაც შეეხება ეროვნულ ბიუროებს, თითოეული სახელმწიფო ინტერპოლში გაწევრებისას იღებს ვალდებულებას, დაემორჩილოს ორგანიზაციის კონსტიტუციის მოთხოვნებს. ამგვარად, კონსტიტუციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოთხოვნების ინტერპოლის ქსელის მეშვეობით გავრცელება დაუშვებელია.

იმისათვის, რომ დადგინდეს, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა მე-3 მუხლის პირობებს, მოქმედებს შეფასების ორი სქემა. პირველი აერთიანებს დანაშაულებს, რომლებიც, თავისი არსით პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური ან რასობრივი ხასიათისაა, მაგალითად: პრესის შესახებ კანონმდებლობის დარღვევა, დეზერტირობა, რომელიმე რელიგიის ქადაგება. ეს დანაშაულები ავტომატურად ექცევა მე-3 მუხლით დადგენილი შეზღუდვის ფარგლებაში.

რაც შეეხება მეორე მიმართულებას, ამ შემთხვევაში ხდება მოთხოვნის სკრუპულოზური შესწავლა, რათა განისაზღვროს, რომელი ტიპის დანაშაული დომინირებს. ამ დროს ფასდება ბრალდებული პირის მიზნებსა და მსხვერპლს შორის კავშირი. მხედველობაში მიიღება დანაშაულის ჩადენის ადგილი, მსხვერპლის სტატუსი და დანაშაულის სიმძიმე. შეფასების იგივე სქემა მოქმედებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევის საქმეებზეც.

ამგვარად, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რომელი დანაშაული ჩაითვლება სამხედროდ, რასობრივად ან რელიგიურად აღნიშნული მუხლის მიზნებისათვის. რაც შეეხება პოლიტიკურ დანაშაულს, ასეთად მიიჩნევა სახელმწიფოს უშიშროების წინააღმდეგ მიმართული ყველა დანაშაული, პოლიტიკური კორუფცია, ჩადენილი მოქმედი ან უკვე გადამდგარი პოლიტიკური ფიგურის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული (მაგალითად, მკვლელობა) ჩადენილია მოქმედი პოლიტიკოსის, როგორც ფიზიკური პირის მიერ, მე-3 მუხლით დადგენილი შეზღუდვა არ გამოიყენება. თუ პირი რამდენიმე დანაშაულისათვის იძებნება, მათ შორის, იმ დანაშაულებისთვის, რომელთა ნაწილი მე-3 მუხლის

რეგულირების რეჟიმში ექცევა, ხოლო ნაწილი კი აღნიშნული მუხლის ფარგლებს სცილდება, ინტერპოლის არხებით ქებნის გამოცხადება მხოლოდ იმ ნაწილშია შესაძლებელი, რომელი დანაშაულებიც მე-3 მუხლის ფარგლებს სცილდება.

რაც შეეხება ტერორიზმს, ინტერპოლი განასხვავებს მოთხოვნებს, რომლებიც შეეხება ტერორიზმში ბრალდებული ან მსჯავრდებული პირების დაკავებას, ექსტრადიციას და ტერორიზმის პრევენციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. პრევენციის შემთხვევაში შეფასების მეორე სქემა არ გამოიყენება, თუმცა ინფორმაციის გავრცელების გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მონაცემებს, რომლებიც ადასტურებს პირის ჩართულობას ტერორისტულ საქმიანობაში და არა მხოლოდ რომელიმე ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფისადმი მის კუთვნილებას.

2002 წლიდან ინტერპოლში ამოქმედდა ვებ-გვერდზე დაფუძნებული უსაფრთხო საკომუნიკაციო სისტემა I-24/7. სისტემა ეროვნულ ბიუროებს ინტერპოლის მონაცემთა ბაზებსა და გენერალური სამდივნოს სამსახურებთან უშუალო წვდომის საშუალებას აძლევს.

ინტერპოლის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლა. ამ შემთხვევაში ინტერპოლი მონაცემების მთავარი საცავისა და ორგანიზებულ დანაშაულობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, ანალიზის პროცესების ძირითადი ორგანოა. იგი ახდენს ორგანიზებული დანაშაულობის გლობალურ მონიტორინგს და კოორდინაციას უწევს საერთაშორისო გამოძიებას.

ორგანიზებულ დანაშაულთან მიმართებით ინტერპოლის ფუნქციაა წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის წარმართვა, ამ სფეროში მოქმედი ყველა ეროვნულ თუ საერთაშორისო უწყებას შორის ინფორმაციის გაცვლა ორგანიზებული დანაშაულისა და მასთან დაკავშირებული კორუფციის შესახებ. უფრო კონკრეტულად, ინტერპოლი ეხმარება წევრ ქვეყნებს:

- ამ სფეროში ექსპერტების მოძიებასა და კონტაქტის დამყარებაში;
- კრიმინალური ორგანიზაციების საქმიანობის სპეციფიკურ სფეროებთან დაკავშირებული ინფორმაციის მონიტორინგსა და ანალიზში;

- პოტენციური გლობალური კრიმინალური საშიშროების იდენტიფიცირებაში;
- სხვადასხვა ორგანიზაციებთან სტრატეგიული თანამშრომლობის წარმართვაში;
- სამართალდამცავი ორგანოებისათვის პრობლემების დაძლევის დახმარებაში;
- გენერალური სამდივნოს მიერ ეცბ-ებისაგან, ღია წყაროების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვათა მიერ მიწოდებული ინფორმაციის შეფასებასა და დამუშავებაში;
- ღია წყაროებისაგან მიღებული ინფორმაციისა და ანგარიშების მონიტორინგში;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის სხვადასხვა პროგრამების ინიცირებაში, წარმართვასა ან მონაწილეობის მიღებაში;
- სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ან სამართალდამცავ ორგანოებთან ერთობლივი პროექტების განხორციელებაში;
- მიმდინარე საერთაშორისო გამოძიების ფარგლებში წევრი ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენაში.

ამგვარი თანამშრომლობა ხელს უწყობს შიდაეროვნული სამართალდამცავი ორგანოების მიერ წარმოებულ საქმეებზე კავშირის დადგენას.

ამჟამად, ინტერპოლი 5 პროექტს ახორციელებს, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულობასა და სხვა სპეციფიურ კრიმინალურ საქმიანობას მოიცავს. ესენია:

- პროექტი - „მილენიუმი“ - ევრაზიული კრიმინალური ორგანიზაციების შესახებ;
- პროექტი - „ეი-ოუ-სი“ - აზიური კრიმინალური ორგანიზაციების შესახებ;

- პროექტი - „სქრიმი“ - სერიული მკვლელობებისა და გაუპატიურებების შესახებ;
- პროექტი - „ბადა“ - საზღვაო მკობრობის შესახებ;
- პროექტი - „ფინქ პანტერსი“ - საიუველირო ნაწარმის შეიარაღებული ძარცვა, ჩადენილი ყოფილი იუგოსლავიის მოქალაქეების მიერ.

დასავლეთ ევროპული ორგანიზებული დანაშაული ფენომენია, რომელიც მთელ მსოფლიოში აგავრცელებული. გლობალიზაციის პროცესებისა და განსაკუთრებით, საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამ, ორგანიზებული დანაშაულობა უფრო მეტად ტრანსნაციონალური გახდა, ვიდრე ოდესმე. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, „დიდი რვიანის“ ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოები ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის მიზნით ერთობლივი პროექტის შექმნის გადაწყვეტილებამდე მივიდნენ. ვინაიდან ინტერპოლს განსაკუთრებული მდგომარეობა აქვს სხვა პოლიციურ სტრუქტურებთან შედარებით, გააჩნია საუკეთესო საკომუნიკაციო სისტემა, მონაცემთა ბაზები, ანალიტიკური სამსახურები და ჰყავს ექსპერტთა დიდი ჯგუფი, გადაწყდა, რომ პროექტი „მილენიუმი“ ამ ორგანიზაციის ფარგლებში განხორციელებულიყო. პროექტის უმთავრესი მიზნებია:

- ტრანსევროპული ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ ინფორმაციის მოძიება ანალიზისა და შედარებისათვის;
- ერთიანი, გლობალური, ამომწურავი და უსაფრთხო მონაცემთა ბაზის შექმნა დანაშაულებრივი ორგანიზაციებისა და მათი წევრების შესახებ.
- კრიმინალური ორგანიზაციების წევრების, იერარქიის, საქმიანობის სფეროებისა და მეთოდების დადგენა;
- პროექტის მონაწილე ქვეყნებისათვის ანგარიშისა და ინფორმაციის წარდგენა;
- მონაწილე ქვეყნების დახმარება საგამოძიებო ინფორმაციის გაცვლის პროცესში;

- საკონტაქტო პირების დადგენა თითოეულ წევრქვეყანაში.

პროექტის საქმიანობა ორი მიმართულებით ხორციელდება: სტრატეგიული და ოპერატიული. სტრატეგიული საქმიანობა მოიცავს მონაცემთა ანალიზის განხორციელებას, კვლევების, შეხვედრებისა და კონფერენციების ჩატარებას. რაც შეეხება ოპერატიული ხასიათის საქმიანობას, აღნიშნული მოიცავს ოპერატიულ ანალიზს, მონაცემების გაცვლას, ინტერპოლის საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან დაშვებას, მწვანე ცირკულარების გამოცემას (ინტერპოლის სპეციალური ნიშანი, რითაც წევრ ქვეყნებს მიეწოდებათ ინფორმაცია პიროვნების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს სავარაუდო საფრთხეს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის) და სხვა სახის დახმარებას.

საქართველო ინტერპოლის წევრია 1993 წლიდან. აზერბაიჯანმა დააყენა შუამდგომლობა ინტერპოლის გენერალური სამდივნოს წინაშე, რომლის საფუძველზეც განხილულ იქნა საერთაშორისო კრიმინალურ პოლიციის ორგანიზაცია – ინტერპოლში საქართველოს გაწევრების საკითხი 62-ე გენერალური ასამბლეის სესიაზე (111).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საქმიანობის ყველაზე ნაყოფიერ ეტაპად 2006 წლის შემდგომის პერიოდი უნდა ჩაითვალოს, როდესაც სახელმწიფომ დამნაშავეთა წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით ბრძოლის პარალელურად იმ კრიმინალთა წინააღმდეგ დაიწყო აქტიური ღონისძიებების განხორციელება, რომელთაც საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები უკვე დატოვებული ჰქონდათ. ამავე პერიოდში, კერძოდ, 2007 წლის 12 თებერვალს, ხელი მოეწერა პრეზიდენტის ბრძანებულებას, რომლითაც დამტკიცდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საქმიანობისა და მასთან თანამშრომლობის წესი“, რის შედეგადაც კიდევ უფრო ეფექტური და მოქნილი გახდა აღნიშნული სტრუქტურის საქმიანობა და თანამშრომლობა სხვა ორგანოებთან.

სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული დანაშაულობისათვის 2005 წლიდან გამოცხადებულ ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ინტერპოლის ეროვნულმა ცენტრალურმა ბიურომ. მისი მეშვეობით გამოცხადდა

საერთაშორისო ძეგნა წითელი ცირკულარით (ინტერპოლის სპეციალური ნიშანი, რომლითაც პიროვნება იძებნება დაკავებისა და ექსტრადიციის მიზნით) არაერთ ცნობილ კრიმინალზე. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ პერიოდში დაიწყო საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ მწვანე ცირკულარების გამოყენებაც. მითითებულს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთი უმთავრესი წარმომადგენლების – კანონიერი ქურდების ინსტიტუტი, ცნობილი იყო მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში. შესაბამისად, სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში გავლენის სფეროების გაფართოებისათვის ჩასული კრიმინალური ელიტის წარმომადგენლები სამართალდამცავთა მხრიდან ყოველგვარი ხელის შეშლის გარეშე იწყებდნენ დანაშაულებრივ საქმიანობას. ცხადია, მათთან ბრძოლა ძალიან გართულდებოდა კრიმინალური ავტორიტეტების გაძლიერების შემდეგ. შესაბამისად, ზემოთ მითითებული მწვანე ცირკულარების გამოცემით ხდებოდა სხვადასხვა ქვეყნების გაფრთხილება, თუ რა საფრთხის წინაშე შეიძლება დამდგარიყვნენ ისინი ქურდული სამყაროს ელიტის მათ ტერიტორიაზე გადასვლის შემთხვევაში. საქართველოში ინტერპოლის ეროვნულმა ცენტრალურმა ბიურომ აქტიურად დაიწყო სხვადასხვა ქვეყნის ოპერატიულ სტრუქტურებთან ინფორმაციის გაცვლა ორგანიზებულ დანაშაულობასთან დაკავშირებით და შემდგომ მათთან ქართველი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების დაკავშირება.

აღნიშნულთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროექტ „მილენიუმის“ სამუშაო ჯგუფის შეხვედრას საქართველოში, რომელზედაც სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად მოწვეულ იქნენ ასევე საქართველოს სხვადასხვა ოპერატიული დანაყოფების ხელმძღვანელები. მითითებულმა შეხვედრამ დადებითი შედეგი გამოიღო, კერძოდ, ერთი მხრივ, ჩამოყალიბდა მჭიდრო ურთიერთობა საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის ოპერატიულ დანაყოფებს შორის, რაც შემდგომში აქტიურად იქნა გამოყენებული ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, კერძოდ, ქართველ ოპერატიულ თანამშრომელთა მიერ მიწოდებული ინფორმაციების საფუძველზე არაერთი წარმატებული სპეცოპერაცია ჩატარდა ესპანეთში ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, ხოლო, მეორე მხრივ კი, უცხო ქვეყნის სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებმა ქართველი კოლეგების მიერ წარმოდგენილი

ინფორმაციების საფუძველზე გააცნობიერეს, თუ რას წარმოადგენდნენ კანონიერი ქურდები და რა კონტროლებების მიღება შეიძლებოდა მათ წინააღმდეგ.

როგორც ვხედავთ, ინტერპოლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში. სწორედ მითითებული ორგანიზაციის დამსახურებაა ის, რომ სხვადასხვა ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, მიუხედავად იმისა, აღნიშნულ ქვეყნებს გააჩნიათ თუ არა ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობები. როგორც ზემოთ აღინიშნა, ინტერპოლის საქმიანობა მრავალმხრივია. იგი ეყრდნობა როგორც საერთაშორისო წყაროებიდან მოპოვებულ, ასევე, შიდა ეროვნულ დონეზე დამუშავებულ ინფორმაციას, რომლის ანალიზის შედეგადაც იქმნება საერთაშორისო დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში საჭირო და გამოსადეგი საინფორმაციო ბაზები. როგორც ზემოთ აღინიშნა, ორგანიზებულმა დანაშაულობამ თანამედროვე პერიოდში მოქმედების არეალი და მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიფართოვა და განსაკუთრებულად ტრანსნაციონალური ხასიათი შეიძინა. შესაბამისად, გაიზარდა მასთან ბრძოლის გაძლიერების საჭიროება, რაც მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, პრაქტიკულად, შეუძლებელია. სწორედ აღნიშნულმა ობიექტურმა საჭიროებამ განაპირობა სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოთა ერთობლივი, კოორდინირებული საქმიანობა და ინტერპოლის ქსელის აქტიურად გამოყენება.

დასასრულს კი უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც ქვეყნის შიდა, ასევე ზოგადად - საერთაშორისო თანამშრომლობის დონეზე ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში.

4.4.2 ევროპული პოლიციის სამსახური (ევროპოლი)

ევროპოლი არის ევროპის კავშირის სამართალდამცავი ორგანო. როგორც ცნობილია, აღნიშნულ თანამეგობრობას სამსვეტიანი ბერძნული ტაძრის სახით გამოხატავენ. სახურავი ევროკავშირია, პირველი და მეორე სვეტი ევროპის

თანამეგობრობა, ხოლო მესამე სვეტი თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებსა და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესებში. სწორედ ამ მესამე სვეტის მიზნებისათვის შექმნილი ორგანოა ევროპოლი.

მითითებული ორგანიზაციის მთავარი მიზანია ევროპის უსაფრთხოების უზურნველყოფა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოებისათვის დახმარება საერთაშორისო დანაშაულსა და ტერორიზმთან ბრძოლაში. ევროპოლი არა მარტო ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, არამედ პარტნიორ სახელმწიფოებთანაც თანამშრომლობს, მათ შორის აშშ-თან, კანადასთან, ავსტრალიასა და ნორვეგიასთან, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის ინტერპოლთან.

ევროპოლის მიზნები და მის კომპეტენციაში შემავალი დანაშაულებრივი ქმედებები ამომწურავადაა ჩამოთვლილი მისი შექმნის შესახებ ევროპის კავშირის ხელშეკრულების (118) მე-2 მუხლში, რომლის თანახმად, ევროპოლის მიზანია, მითითებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით ევროკავშირის წევრი ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებს შორის თანამშრომლობის უზურნველყოფა საერთაშორისო დანაშაულის დამარცხების ან პრევენციის მიზნით, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს უტყუარი ფაქტები ან დასაბუთებული ვარაუდი, რომ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობს კრიმინალური ორგანიზაცია და ორი ან მეტი წევრი სახელმწიფო არის ამ ორგანიზაციის საქმიანობის ობიექტი. იმავე მუხლშია ჩამოთვლილი, თუ რა ითვლება „სერიოზულ საერთაშორისო დანაშაულად“. ესენია:

- ტერორისტული ქმედებები;
- ნარკოტიკებით ვაჭრობა;
- ფულის გათეთრება;
- ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებით უკანონი ვაჭრობა;
- არალეგალური ემიგრანტების კონტრაბანდული გზით შემოყვანა;
- ადამიანებით ვაჭრობა;

- ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცება.

ამრიგად, ნათელია, რომ ევროპოლი უშუალოდ ორგანიზებულ დანაშაულობაზეა ფოკუსირებული. მისი კომპეტენცია, ფაქტობრივად, მოიცავს კრიმინალური ორგანიზაციების საქმიანობის ყველა მნიშვნელოვან სფეროს.

ევროპოლის საქმიანობის ძირითადი ფორმები ჩამოთვლილია აღნიშნული ორგანიზაციის შექმნის შესახებ ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-3 მუხლში. ესენია:

- წევრ-სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა;
- ინფორმაციისა და კრიმინალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი;
- წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებისათვის მათთვის სასარგებლო ან რომელიმე დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება;
- წევრი სახელმწიფოების შესაბამისი ორგანოების მიერ წარმართული გამოძიების დახმარება საჭირო ინფორმაციის მიწოდების გზით;
- მონაცემთა ბაზებისა და ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული სისტემის შექმნა;
- ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში მონაწილეობა;
- რამდენიმე წევრი სახელმწიფოსათვის გამოძიების კოორდინირების შესახებ თხოვნით მიმართვა.

რაც შეეხება ევროპოლის სტრუქტურას, მისი ძირითადი ორგანოებია: მმართველთა საბჭო, დირექტორატი, ფინანსური კონტროლის სამსახური და ფინანსური კომიტეტი.

ევროპოლის მმართველთა საბჭო შედგება წევრი სახელმწიფოების თითო წარმომადგენლისაგან. ზოგიერთი სახელმწიფო შეიძლება წარმოდგენილი იყოს ალტერნატიული წევრით, რომელიც სრულუფლებიანი წევრის არყოფნის

შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს. მმართველთა საბჭოს ხელმძღვანელობს იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც ევროპის თანამეგობრობის საბჭოს თავმჯდომარეობს. საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ მაინც. ყოველი წლის ბოლოს მმართველთა საბჭო ერთპიროვნულად ამტკიცებს ევროპოლის მიერ წინა წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშსა და მომავალი წლის საქმიანობის ძირითად პროგრამას.

მმართველთა საბჭოს ძირითადი ფუნქციებია:

- სერიოზულ საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლის პროცესში ევროპოლის პრიორიტეტების განსაზღვრა;
- ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში ევროპოლის მონაწილეობის ადმინისტრაციული საკითხების განსაზღვრა. ამ საკითხების გადაწყვეტა ხდება კვალიფიციური უმრავლესობით;
- მეკავშირე ოფიცრების უფლებებისა და მოვალეობების ერთპიროვნულად განსაზღვრა;
- თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ დასანიშნი მეკავშირე ოფიცრების რაოდენობის ერთპიროვნულად განსაზღვრა;
- მონაცემთა გაცვლის პირობების დადგენაში მონაწილეობა;
- მონაცემთა მართვის წესების შემუშავება;
- ევროპოლის მიერ მესამე სახელმწიფოებთან ურთერთობის წესების განსაზღვრა;
- დირექტორის მიერ საკუთარი მოვალეობების სათანადოდ შესრულებაზე ზედამხედველობა;
- კვალიფიციური უმრავლესობით ევროპოლის დოკუმენტებთან დაშვების წესის განსაზღვრა;
- კონფიდენციალურობის შესახებ შეთანხმების მიღებაში მონაწილეობა;

- ერთობლივი საზედამხედველო კომიტეტის მიერ წამოჭრილი პრობლემების განხილვა;
- კონვენციით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება (118).

ევროპოლს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს ევროპული გაერთიანების საბჭო, მმართველთა საბჭოს მოსაზრების გათვალისწინებით, 4 წლის ვადით. განმეორებით არჩევა დაიშვება მხოლოდ ერთხელ. დირექტორს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც, ასევე, საბჭო ნიშნავს 4 წლის ვადით.

ევროპოლის დირექტორის მოვალეობაა:

- ევროპოლის ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფა;
- ყოველდღიური ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება;
- პერსონალის მართვა;
- მმართველთა საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულება;
- ბიუჯეტის, 5-წლიანი ფინანსური გეგმის პროექტის მომზადება;
- მმართველთა საბჭოსათვის ინფორმაციის სისტემატურად მიწოდება;
- კონვენციით ან მმართველთა საბჭოს მიერ განსაზღვრული სხვა ნებისმიერი მოვალეობის შესრულება (118).

ევროპოლის დირექტორი, მოადგილეები და თანამშრომლები თავის საქმიანობაში დამოუკიდებლები არიან და არ ღებულობენ მითითებებს რომელიმე ქვეყნის ან სხვა ორგანიზაციის მხრიდან. დირექტორი ხელმძღვანელობს მოადგილეებსა და თანამშრომლებს.

თითოეულ წევრ სახელმწიფოში იქმნება ევროპოლის ეროვნული ორგანო, რომელიც ერთადერთი მეკავშირეა ევროპოლსა და შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტურ თანამდებობის პირებს შორის. ეროვნულ ორგანოსა და სახელმწიფოს შესაბამის უწყებებს შორის ურთიერთობა ქვეყნის შიდა კანონმდებლობით რეგულირდება.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მეკავშირე ოფიცრების ქსელი. თითოეულმა ეროვნულმა ორგანომ უნდა დანიშნოს სულ მცირე ერთი წარმომადგენელი მაინც, რომლის ფუნქციაა ევროპოლისათვის ეროვნული ორგანოს მიერ გადაცემული ინფორმაციის მიწოდება და პირიქით - ასევე ხსენებულ საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა ინფორმაციის მიწოდებისა და ანალიტიკურ საკითხებზე მოსაზრებების წარდგენით.

გარდა აღნიშნულისა, ევროპოლს კიდევ ორი ორგანო აქვს: ეროვნული საზედამხედველო და ერთობლივი საზედამხედველო კომისიები. მათი ფუნქციები განხილულ იქნება პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად.

ევროპოლის საქმიანობა ბევრი მიმართულებით ინტერპოლის ანალოგიურია. ისევე, როგორც საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია, არც ევროპოლი ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს. მისი ძირითადი მოვალეობა წევრებს შორის თანამშრომლობის წარმართვა და საინფორმაციო ბაზების შექმნაა. მონაცემთა შეგროვება და დამუშავება ევროპოლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. ორგანიზაციას გააჩნია საკუთარი საინფორმაციო სისტემა. აღნიშნულ სისტემაში მონაცემების შეტანა შეუძლიათ უშუალოდ ეროვნულ ერთეულებს და მეკავშირე ოფიცრებს, ასევე, ევროპოლის საინფორმაციო სისტემაში თავს იყრის მესამე მხარეებისაგან მიღებული ინფორმაციებიც. მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომია ეროვნული ერთეულებისათვის, მეკავშირე ოფიცრებისათვის, ევროპოლის ორგანოების და სპეციალურად უფლებამოსილი თანამდებობის პირებისათვის.

საინფორმაციო სისტემაში დასაშვებია მხოლოდ იმ ტიპის ინფორმაციის შეტანა, რომელიც საჭიროა ევროპოლის მიზნების განხორციელებისათვის. ბაზებში განთავსებული მონაცემები უნდა შეეხებოდეს:

- პირებს, რომლებიც, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, ეჭვიმტანილნი ან მსჯავრდებულნი არიან ევროპოლის კომპეტენციაში შემავალი რომელიმე დანაშაულის ჩადენაში ან თანამონაწილეობაში;
- პირებს, რომელთა მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ შეიძლება ჩაიდინონ ევროპოლის კომპეტენციაში შემავალი რომელიმე დანაშაული.

ევროპოლის დამფუძნებელი ხელშეკრულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პერსონალური მონაცემების დაცვას. ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავებისას ევროპოლი ხელმძღვანელობს ევროპის საბჭოს 1981 წლის კონვენციითა და იმავე ორგანიზაციის მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 17 სექტემბრის რეკომენდაციით.

მონაცემთა ბაზებში შეიძლება მხოლოდ შემდეგი ხასიათის პერსონალური ინფორმაციის შეყვანა:

- სახელის, გვარის, ზედმეტსახელის (არსებობის შემთხვევაში);
- დაბადების თარიღისა და ადგილის;
- მოქალაქეობის;
- სქესის;
- აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა მახასიათებლების, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს პირის იდენტიფიცირების თვალსაზრისით.

გარდა აღნიშნულისა, ასევე შესაძლებელია საქმის ფაბულასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტანა.

მონაცემთა ბაზებთან უშუალო დაშვება აქვს ევროპოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეებს, ეროვნულ ერთეულს, მკავშირე ოფიცრებს და სხვა სპეციალურად უფლებამოსილ პირებს. მონაცემების შეცვლა შეუძლია მხოლოდ იმ ორგანოს, რომელმაც ისინი ბაზაში შეიტანა.

ინფორმაციის გაცვლის პროცესი მუდმივად კონტროლდება ეროვნული საზედამხედველო და ერთობლივი საზედამხედველო კომიტეტების მიერ.

თითოეული წვერი სახელმწიფო ნიშნავს ეროვნულ საზედამხედველო კომიტეტს. კომიტეტი ახორციელებს ამ სახელმწიფოს მიერ ევროპოლისათვის მიწოდებული ინფორმაციის დამოუკიდებელ მონიტორინგს პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით, ასევე, მონაცემთა სუბიექტი პირების უფლებების დაცვის კუთხით. ამ მიზნებისათვის კომიტეტს უნდა ჰქონდეს დაშვება ეროვნული ერთეულის ან მკავშირე ოფიცრის მიერ ევროპოლის ბაზაში შეყვანილ ინფორმაციასთან.

ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს ეროვნულ კომიტეტს მის შესახებ ევროპოლის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის კანონიერების შესწავლის მოთხოვნით.

რაც შეეხება ერთობლივ საზედამხედველო კომიტეტს, მისი ფუნქციაა ევროპოლის მიერ მონაცემების შეგროვებისა და შენახვის შედეგად ადამიანის უფლებების დაცვა და ამ მიზნით ევროპოლის საქმიანობის ზედამხედველობა. მითითებული ორგანო ასევე ახორცილებს ევროპოლის მიერ გაგრძელებული მონაცემების მონიტორინგს. ერთობლივი საზედამხედველო კომიტეტი შედგება ეროვნული საზედამხედველო კომიტეტების არაუმეტეს ორ-ორი წარმომადგენლისაგან. მათგან ერთ-ერთი პირი აირჩევა თავმჯდომარედ. თუ ერთობლივი კომიტეტი აღმოაჩენს დარღვევას პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, იგი მიმართავს ევროპოლის დირექტორს და აძლევს ვადას პასუხის გასაცემად. დირექტორმა აღნიშნულის თაობაზე მმართველთა საბჭოს უნდა აცნობოს. სირთულეების წარმოშობის შემთხვევაში კომიტეტი მმართველთა საბჭოს მიმართავს.

მონაცემთა ბაზების შექმნის გარდა, ანალიტიკური საქმიანობა ევროპოლის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა. ორგანიზაციაში დასაქმებულია 100-ზე მეტი მაღალკვალიფიციური ანალიტიკოსი. წვერი ქვეყნებისა და პარტნიორებისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ევროპოლი რეგულარულად ამზადებს ანალიტიკურ ანგარიშებს ევროპაში ტერორიზმსა და მის კომპეტენციაში შემავალ სხვა დანაშაულებთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ.

ევროპოლის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში მონაწილეობა. დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-4 მუხლის მიხედვით, ევროპოლის ოფიცრებს შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების საქმიანობაში. ევროპოლის მონაწილეობის პირობები განისაზღვრება დირექტორსა და წვერი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყების ხელმძღვანელს შორის შეთანხმების საფუძველზე. ევროპოლის ოფიცრები საქმიანობენ ერთობლივი ჯგუფის ლიდერის ხელმძღვანელობით ზემოაღნიშნული შეთანხმების პირობების დაცვით. მათ მიერ მოძიებული ინფორმაცია, მიმწოდებელი ქვეყნის თანხმობით, შეიძლება განთავსდეს ევროპოლის მონაცემთა ბაზაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილება, რომელიც ევროპოლს გააჩნია, არის თითოეული წვერი სახელმწიფოსათვის გამოძიების დაწყების, ჩატარების ან

კოორდინირების მოთხოვნის უფლება. ამგვარი მიმართვა სავალდებულოა წვერი ქვეყნებისათვის, თუმცა მათ შეუძლიათ, უარი განაცხადონ გამოძიების ჩატარებაზე/კოორდინირებაზე იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული ქვეყნის უშიშროებას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ან რისკის ქვეშ დააყენებს მიმდინარე გამოძიება. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე უნდა ეცნობოს ევროპოლს.

და ბოლოს, მართალია, ევროპოლი ევროკავშირის ორგანოა, მაგრამ იგი აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან თუ ორგანიზაციებთან.

ევროპოლი აფორმებს ორი ტიპის შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ: სტრატეგიულს და ოპერატიულს. ოპერატიული შეთანხმება ითვალისწინებს სრულ თანამშრომლობას, მათ შორის, პერსონალური ინფორმაციის გაცვლასაც. საფიქრებელია, რომ ამ ტიპის შეთანხმების გაფორმებისას მხედველობაში მიიღება კონკრეტულ ქვეყანაში თუ ორგანიზაციაში პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტი. ამ ტიპის შეთანხმება ევროპოლს გაფორმებული აქვს ინტერპოლთან და ევროჯასტთან, ქვეყნებიდან კი აშშ-სთან, კანადასა და ნორვეგიასთან.

რაც შეეხება სტრატეგიულ თანამშრომლობას, ამ ტიპის შეთანხმებები გაფორმებულია იმ ორგანოებთან, რომლებიც რაიმე ფორმით უკავშირდებიან ევროპოლის კომპეტენციაში შემავალ დანაშაულებს. სტრატეგიული შეთანხმებები არ ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების გაცვლას. იგი მხოლოდ ზოგადი თანამშრომლობით და თეორიული ხასიათის ინფორმაციის გაცვლით შემოიფარგლება.

როგორც ყოველივე აღნიშნულიდან ჩანს, ინტერპოლსა და ევროპოლს შორის ბევრი მსგავსებაა:

- ამ ორ ორგანიზაციას დაახლოებით ერთნაირი სტრუქტურა აქვს (ცენტრალური ორგანოები, ეროვნული წარმომადგენლობა, მეკავშირე ოფიცრების ქსელი);
- არც ერთი მათგანი ახორციელებს ოპერატიულ საქმიანობას;
- ორივე ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა ინფორმაციის გაცვლის გზით წვერი ქვეყნების პოლიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობის

გაადვილება, მონაცემთა ბაზების შექმნა და კრიმინალური მონაცემების ანალიზი.

რაც შეეხება განსხვავებებს, ინტერპოლის იურისდიქცია გაცილებით ფართოა, ევროპოლი კი მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებით შემოიფარგლება. შესაბამისად, გაცილებით უფრო მოცულობითია ინტერპოლის მონაცემთა ბაზებიც და გლობალურ სურათს ასახავს. ორგანიზებული დანაშაულობის თვალსაზრისით ყველა პრობლემური ზონა ინტერპოლის საქმიანობის ფარგლებში ექცევა. საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციას უფრო დიდი კომპეტენცია გააჩნია. მას, ფაქტობრივად, ყველა დანაშაულთან დაკავშირებით შეუძლია თანამშრომლობა, გარდა კონსტიტუციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. ევროპოლის კომპეტენციაში შემავალი კრიმინალური ქმედებები კი ამომწურავადაა ჩამოთვლილი მის დამფუძნებელ ხელშეკრულებაში, თუმცა, მისი საქმიანობა, შესაძლოა, უფრო ეფექტურიც აღმოჩნდეს, ვინაიდან ევროპოლი უფრო ფოკუსირებულია ორგანიზებულ დანაშაულობაზე-ეფექტურობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ევროპოლი ჯერ-ჯერობით „ახალგაზრდა“ ორგანიზაციაა და ისეთი შთაბეჭედავი სტატისტიკა არ გააჩნია, როგორც ინტერპოლს. ეს უკანასკნელი, ამ ეტაპზე პოლიციის ორგანოების საერთაშორისო თანამშრომლობისა და კონკრეტულ საქმეებზე გაწეული დახმარების თვალსაზრისით, ასევე, მის ხელთ არსებული საშუალებების გათვალისწინებით, უდავო ლიდერია.

5. ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის გამოცდილება საქართველოში

ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილებისა თუ მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საქართველოს არ გააჩნია დიდი გამოცდილება. აღნიშნული განპირობებულია, პირველ რიგში, იმითი, რომ ქვეყანა ათეული წლების

განმავლობაში გაერთიანებული იყო საბჭოთა კავშირში, სადაც, არსებული იდეოლოგიის შესაბამისად, არ შეიძლებოდა ორგანიზებულ დანაშაულობას ეარსება; არც ადგილობრივი ორგანოები ახორციელებდნენ რაიმე ღონისძიებებს ამ მიმართულებით.

რაც შეეხება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, 1990-იანი წლებიდან მოყოლებულ 2004 წლამდე პერიოდს, სახელმწიფოს მიერ არავითარი ქმედება ხორციელდებოდა ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ, რაც გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული კორუფციით, კერძოდ, სახელმწიფო მოხელეები ქრთამის მიღების სანაცვლოდ არათუ ებრძოდნენ, არამედ რიგ შემთხვევაში მფარველობდნენ კიდევ კრიმინალებს.

ფაქტობრივად, საქართველოს გამოცდილება ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის საქმეში მოიცავს სულ რაღაც 6-7 წელიწადს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოკლე დროის მიუხედავად, ამ მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებები იმდენად კომპლექსურად და მიზანმიმართულად განხორციელდა, რომ ნამდვილად საჭიროა მათი დეტალური განხილვა როგორც დაშვებული შეცდომების აღმოჩენის, ასევე, მომავალში რეკომენდაციების შემუშავების სრულყოფის მიზნით.

5.1 ორგანიზებული დანაშაულობის პრევენცია და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა მასთან მიმართებით

თანამედროვე პერიოდში სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების დაცვის გეგმებსა თუ სტრატეგიებში დანაშაულობის პრევენციის როლი პერმანენტულად იზრდება. მითითებული მიმართულებით კონცეფცია დაფუძნებულია იდეაზე, რომლის შესაბამისადაც დანაშაული და ვიქტიმიზაცია გამოწვეულია სხვადასხვა ძირითადი და შემთხვევითი ფაქტორებით. აღნიშნული, თავის მხრივ,

განპირობებულია მრავალი გარემოებით, რომლებიც გაველენას ახდენს როგორც კონკრეტულ ადამიანებზე, ასევე მთლიანად მათ ოჯახებზე, რადგან ისინი იზრდებიან გარემოში, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენასა და ვიქტიმიზაციას (128).

დანაშაულობის პრევენციას გააჩნია საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია. დროთა განმავლობაში აღნიშნულთან დაკავშირებით იცვლებოდა შეხედულებები და მიდგომები. შესაბამისად, საზოგადოება დანაშაულის თავიდან აცილების სხვადასხვა ზომებს მიიხნევედა უფრო ეფექტურად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთ უძველეს მიდგომას წარმოადგენდა შეხედულება, რომელიც „კანონთა წარმოშობის რელიგიურ იდეას და დანაშაულს მორალური პასუხისმგებლობის შემოქმედის წინაშე ცოდვის თვალსაზრისით განიხილავდა“ (4, 144). აღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულის თავიდან აცილებისათვის ხდებოდა ადამიანებზე ფსიქოლოგიური გავლენის მოხდენა ღვთისგან მოვლენილი სასჯელით, ხოლო თვითონ ზემოქმედების ფორმა კრიმინალზე განიხილებოდა სამაგიეროს მიზღვად. დროთა განმავლობაში განვითარდა სხვა შეხედულებებიც, რომელთაგან გამოსარჩევია ჰუმანისტური მოდელი, რომლის შესაბამისადაც ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამო ბრალი ედება იმ საზოგადოებას, რომელშიც ხდება პიროვნების აღზრდა – შესაბამისად, კრიმინალის თავიდან აცილებისათვის სწორედ გარემო პირობების სრულყოფა უნდა მომხდარიყო. ასევე აღსანიშნავია სოციალისტური მიდგომა, რომლის მიხედვითაც, დანაშაულობის მიზეზს წარმოადგენდა საზოგადოებრივი სისტემის უსამართლობა, რის გამოსწორებაც მხოლოდ კერძო საკუთრების გაუქმებით იქნებოდა შესაძლებელი. საბოლოოდ, დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიდგომას წარმოადგენდა სოციოლოგიური პრინციპი, რომლის შესაბამისადაც ჩამოყალიბდა კრიმინალის თავიდან აცილების ახალი იდეები, რომლებსაც კავშირი აღარ აქვს სასჯელის ტრადიციულ კონცეფციასთან და ეფუძნება პიროვნების საშიში მდგომარეობის ცნებას (4, 152). მითითებული შეხედულებების შესაბამისად, კრიმინალის თავიდან აცილების საქმეში აქცენტი დანაშაულის ჩამდენიდან გადავიდა ადამიანზე, რომელსაც შეიძლება ჩაედინა კრიმინალური ქმედება, ანუ დანაშაულის შემდგომი ჩადენის თავიდან აცილება ხდებოდა არა კონკრეტულ პირზე ზემოქმედების მეშვეობით, არამედ მუშაობა მიმდინარეობდა ადამიანებზე,

რომლებიც წარმოადგენდნენ საფრთხის წყაროს კრიმინალის განხორციელების თვალსაზრისით, რათა მათ ხელი აეღოთ დანაშაულებრივ ქმედებაზე, რაც უდავოდ წინ გადადგმულ, პოზიტიურ ნაბიჯს წარმოადგენდა.

მეცნიერებაში არსებული შეხედულებით, დანაშაულის პრევენციის თეორია შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან. ზოგადი ნაწილი მოიცავს დანაშაულობის პროფილაქტიკის ცნებასა და საგანს, მის სუბიექტებს, სისტემას, გადასაჭრელი საკითხების დონით განსაზღვრული დონისძიებების სპეციფიკას, პრევენციული საქმიანობის ორგანიზების, მართვის, დაგეგმარებისა და კოორდინაციის საკითხებს, სისტემის განვითარების პროგნოზირებას და ა.შ. კერძო ნაწილის კომპეტენციაა დანაშაულობის ცალკეული სახეობისა და ფორმის თავიდან აცილების სპეციფიკის დადგენა და მისი კრიმინოლოგიური მახასიათებლების შემუშავება (13, 333).

რაც შეეხება საერთაშორისო აქტებს, „დანაშაულობის პრევენციის ხელშეწყობისთვის“ გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 2002 წლის რეზოლუციის შესაბამისად, „დანაშაულის პრევენცია მოიცავს სტრატეგიებსა და ზომებს გატარებულს დანაშაულის ჩადენის რისკის, აგრეთვე, ინდივიდუალურ პირებსა და საზოგადოებაზე ამ კრიმინალური ქმედების უარყოფითი გავლენის, მათ შორის, დანაშაულის შიშის შესამცირებლად, აქტიური ჩარევითა და კრიმინალის გამომწვევ მრავალრიცხოვან მიზეზზე ზემოქმედების საშუალებით“ (147).

ნარკოტიკული ნივთიერებებისა და დანაშაულის შესახებ გაეროს ოფისის მიერ ჩამოყალიბებული შეხედულების შესაბამისად დანაშაულის პრევენცია შეიძლება იყოს ოთხგვარი:

- დანაშაულის პრევენცია სოციალური განვითარების გზით;
- საზოგადოების, ან კონკრეტული ტერიტორიული ნიშნით განხორციელებული დანაშაულის პრევენცია;
- სიტუაციური დანაშაულის პრევენცია;
- რეინტეგრაციის პროგრამა (128).

აღნიშნული საკითხის უკეთ გასარკვევად, სასურველია ზემოთ მითითებული შეხედულებები უფრო დეტალურად იქნეს მიმოხილული.

სოციალური განვითარების გზითდანაშაულის პრევენცია მოიცავს სოციალურ, განათლების, ჯანმრთელობისა და სხვა პროგრამებს, რომელთა მიზანია, მხარი დაუჭიროს და განავითაროს სოციალური ჩვევები რისკჯგუფში შემავალ ბავშვებსა და მათ ოჯახებში. რიგ შემთხვევაში პროგრამის არეალში შესაძლებელია მოექცეს ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფი, მაგალითად, ქუჩის ბავშვები, ან ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ არაოფიციალურ დასახლებებში, სახიფათო რაიონებში.

საზოგადოების ან კონკრეტული ტერიტორიის ნიშნით განხორციელებული დანაშაულის პრევენციის სამიზნეს წარმოადგენს ადგილები, სადაც დიდი რისკია იმისა, რომ ადამიანი ჩათრეულ იქნეს დანაშაულის ჩადენაში, ან გახდეს კრიმინალის მსხვერპლი, ანუ რაიონები, სადაც კონცენტრირებულია როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური პრობლემები. აღნიშნული პროგრამების მიზანს წარმოადგენს ხსენებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელთათვის უსაფრთხოების განცდის წარმოშობა, ასევე, მითითებულ ადგილებში არსებულ საზოგადოებაში სოციალური ერთიანობის, ურთიერთნდობის, საერთო ღირებულებების, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. მითითებულ პროექტებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ თვითონ მაცხოვრებლებიც, რომელთა დახმარებითაც ხდება სწორედ ადგილობრივი პრიორიტეტებისა და მათ განსახორციელებლად ღონისძიებების განსაზღვრა.

სიტუაციური პრევენციის მიზანს წარმოადგენს დამნაშავეებისათვის კრიმინალური ქმედების განსახორციელებლად საშუალებებისა და შემოსავლების მიღების მაქსიმალური შეზღუდვა, ასევე, დაპატიმრების შესაძლებლობების გაზრდა. არსებობს სიტუაციური პრევენციის ხუთი სტრატეგია:

- ღონისძიებები, რომლის შედეგადაც დამნაშავეებს უხდებათ ძალისხმევის გაზრდა კრიმინალური ქმედების განსახორციელებლად;
- დანაშაულებრივი საქმიანობისათვის რისკის გაზრდა;
- დამნაშავეთათვის შემოსავლის მიღების შესაძლებლობის შეზღუდვა;

- დანაშაულის მაპროვოცირებელი მიზეზების შემცირება;
- დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის შემცირების გამორიცხვა (128).

რაც შეეხება რეინტეგრაციას, აღნიშნული ეხება ყველა ბავშვს, ახალგაზრდასა თუ ზრდასრულ ადამიანს, რომელთაც უკვე დაკისრებული ჰქონდათ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ზემოთ მითითებული პირები სასჯელის მოხდის შემდეგ რისკჯგუფში ხვდებიან და შესაძლებელია, დანაშაული ხელახლა ჩაიდინონ. შესაბამისად სწორედ მათ მიმართ უნდა განხორციელდეს რეინტეგრაციის პროგრამა, რომლის საფუძველზედაც მოხდება აღნიშნულ პირთა შემოტრიალება კანონიერი ცხოვრებისაკენ. მითითებული ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს ყოფილი მსჯავრდებულების სამსახურით, განათლებით, საცხოვრებელი პირობებით, ალტერნატიული ცხოვრების წესით უზრუნველყოფას.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებულ ყველა მეთოდს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. სასურველია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწორად მოხდეს სტრატეგიის შერჩევა და სრულყოფილი გამოყენება.

დანაშაულობის პრევენციის ძირეულად შესასწავლად, სტრატეგიებთან ერთად სასურველი იქნება მისი განხორციელების პრინციპების განხილვაც. „დანაშაულობის პრევენციის ხელშეწყობისთვის“ გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 2002 წლის რეზოლუციის შესაბამისად კრიმინალის თავიდან აცილების ძირითად პრინციპებს წარმოადგენს:

- მთავრობის წამყვანი როლი, რაც გულისხმობს აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტურ მოქმედებას დანაშაულობის პრევენციის სტრატეგიის განსახორციელებლად, ასევე, ინსტიტუციონალური საფუძვლების შექმნა და შენარჩუნება მითითებული სტრატეგიების იმპლემენტაციისათვის;
- სოციო-ეკონომიკური განვითარება, რომლის შესაბამისადაც დანაშაულობის პრევენციის ღონისძიებები ინტეგრირებულ უნდა იქნეს ყველა შესაბამის

სოციალურ და ეკონომიკურ პროგრამებში, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს განათლებას, უმუშევრობას, ჯანდაცვას, სიღარიბეს და ა.შ.

- თანამშრომლობა, რაც გულისხმობს ურთიერთობას სამინისტროებს, სხვადასხვა სამთავრობო თუ არა სამთავრობო ორგანიზაციებს, ბიზნესსა და კერძო სექტორს შორის ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით;
- მდგრადობა/ანგარიშვალდებულება, რომლის შესაბამისადაც დანაშაულობის პრევენციის მყარად განსახორციელებლად აუცილებელია გარკვეული თანხა, რისი განკარგვაც უნდა მოხდეს გამჭვირვალედ, მკაცრი ანგარიშვალდებულების პირობებში;
- ცოდნის ბაზა, ანუ კრიმინალის პრევენციის სტრატეგიები, პოლიტიკა, პროგრამები, მოქმედებები დაფუძნებული უნდა იყოს დანაშაულობის პრობლემატიკის, მიზეზებისა და პრაქტიკის ფართო, მრავალმხრივ ცოდნაზე;
- ადამიანის უფლებებისა და კანონიერების პრინციპი, რომლის შესაბამისადაც დანაშაულობის პრევენციის განხორციელებისას, ერთი მხრივ, დაცული უნდა იყოს საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები, ხოლო მეორე მხრივ კი წინ უნდა იქნეს წამოწეული კანონიერების კულტურა;
- ურთიერთ დამოკიდებულება, ანუ დანაშაულობის პრევენციის სტრატეგიის დაგეგმვისას საჭიროებიდან გამომდინარე გათვალისწინებულ უნდა იქნეს კავშირი ქვეყნის შიდა და საერთაშორისო დანაშაულს შორის;
- დიფერენციაცია, რომლის შესაბამისადაც დანაშაულობის პრევენციის განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თავისებურებანი, რომლებიც გასათვალისწინებელია იმისდა მიხედვით, თუ ადამიანთა რომელი ჯგუფის მიმართ ხორციელდება ხსენებული ზომები (კაცები, ქალები, ბავშვები და ა.შ.) (147).

თეორიული დებულებებისა და მიმართულებების მიმოხილვის შემდეგ, საინტერესოა განხილულ იქნეს ის პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება

საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისა და ხსენებული საქმიანობის ეფექტურობისათვის.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილების საქმეში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს პოლიტიკური ნება, ანუ სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობის პირთა სურვილი მითითებული სახეობის კრიმინალის დასამარცხებლად. ხსენებული მოსაზრების დასადასტურებლად ქვეყანაში 2004 წლამდე არსებული მდგომარეობის მოყვანაც კმარა, როდესაც არათუ პრევენცია, არამედ უმნიშვნელო საწინააღმდეგო მოქმედებებიც კი არ ხორციელდებოდა ზოგადად დანაშაულობის, განსაკუთრებით კი ორგანიზებული ვინააღმდეგ. მითითებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილების ერთ-ერთ უპირველეს საწყისს წარმოადგენს პოლიტიკური ნება, რაც ნათლად ჩანს საქართველოში ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ აღებული კურსიდან, უშუალოდ პრეზიდენტისა და სხვა სახელმწიფო პოლიტიკური მოხელეების მიერ გაკეთებული განცხადებებითა თუ განხორციელებული აქტიური ქმედებებით.

როგორც აღინიშნა, ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილების საქმეში მნიშვნელოვანი ფაქტორია პოლიტიკური ნება, თუმცა, მხოლოდ იგი ვერ იქნება გადამწყვეტი, თუ არ განხორციელდა სხვადასხვა ქმედებებიც, რისთვისაც საჭიროა, შეიქმნას შესაბამისი საფუძველი. ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლაში და მისი პრევენციის დროს, საწყის ეტაპზე მრავალი პრინციპული და მტკიცეული გადაწყვეტილებებია მისაღები, რომელთა განხორციელებასაც ქვეყანა, მიუხედავად მმართველი გუნდის ნებისა, ვერ შეძლებს, თუ ქვეყნის შიგნით არ იქნება პოლიტიკური სტაბილურობა. ხსენებულის მაგალითად შესაძლებელია, მოყვანილ იქნეს 2005 წელს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ ფულის გამოძალვის ფაქტზე ცნობილ მოჭიდავეთა დაკავების გამო წამოწყებული არეულობა და საპროტესტო აქცია. ბრალდებულთა მომხრეები აქცენტს აკეთებდნენ სპორტსმენტა მიერ საქართველოს სახელით მიღწეულ წარმატებებზე, მათ მხარს უჭერდა საზოგადოების გარკვეული ნაწილი და იმ პერიოდისათვის საქართველოში პოლიტიკური სტაბილურობა, რომ არ ყოფილიყო დამყარებული, აღნიშნულს შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყოლოდა. ცხადია, კანონის დამრღვევის ქმედება აღკვეთილ უნდა იქნეს, მაგრამ მაშინ, როდესაც ამას შეიძლება მოჰყვეს გარკვეულ

წილად ცუდი რეზონანსი, საზოგადოების ნაწილის პროტესტი (რიგ შემთხვევაში - ძალადობრივიც კი), გადაწყვეტილება არც თუ იოლი მისაღებია და პოლიტიკურ ნებასთან ერთად უნდა ემყარებოდეს პოლიტიკურ სტაბილურობას, შემდგარი ქვეყნის საფუძველს, რათა იოლად მოხდეს თანამდგევი უარყოფითი შედეგების აღკვეთა.

ზემოთ მითითებულთან ერთად, ორგანიზებული დანაშაულობის პრევენციისათვის ასევე უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში კორუფციის აღმოფხვრა, რაც, თამამად შეიძლება ითქვას, წარმატებით განხორციელდა საქართველოში. ამის მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს საერთაშორისო გამჭვირვალობის კვლევის - „გლობალური კორუფციის ბარომეტრი 2010-ის“ შედეგები, რომლის მიხედვითაც, საქართველო იმყოფება მე-5 ადგილზე პოლიციაში კორუფციის დაბალი დონის მიხედვით (112), მაშინ, როდესაც 2004 წლამდე ქვეყნის სამართალდამცავ სტრუქტურებში გამეფებული იყო კორუფცია და ეს, ცხადია, ყველა სხვა სამთავრობო სტრუქტურასაც ეხებოდა. რაც შეეხება აღნიშნული საკითხის გადაჭრას, იგი განხორციელდა კომპლექსურად, სხვადასხვა დონისძიებების გატარების გზით. მათ შორის პირველს და ერთ-ერთ მთავარს წარმოადგენდა კონტროლის გამკაცრება სტრუქტურებში შიდა ზედამხედველობასთან ერთად, ასევე, კორუფციასთან პოლიციის შესაბამისი დანაყოფების ეფექტური და შეურიგებელი ბრძოლა, რის შედეგადაც სახელმწიფო მოხელეებში გაქრა დაუსჯელობის სინდრომი. ცხადია, მხოლოდ სასჯელის შიშით კორუფციის აღმოფხვრა არარეალური იქნებოდა. შესაბამისად, პარალელურ რეჟიმში გაიზრდა ხელფასები იმ ოდენობით, რომ შესაძლებელი გახდა საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენა. წინააღმდეგ შემთხვევაში თეორიულადაც კი წარმოუდგენელი იქნებოდა ქრთამის მოსპობა. ზემოთ მითითებულ დონისძიებებთან ერთად განხორციელდა სამთავრობო ორგანოების სტრუქტურული რეფორმებიც, რის შედეგადაც გაუქმდა დაწესებულებები, რომლებიც დაკავებული იყვნენ მხოლოდ მოქალაქეთაგან თანხის გამოძალვით და რომელთა კონტროლის საგანს წარმოადგენდა იმ პერიოდისათვის მიუღწეველი სტანდარტები. ასევე, რიგ შემთხვევაში მოხდა სხვადასხვა დანაყოფების გაერთიანება, რამაც კადრების ოპტიმიზაციასთან ერთად გამოიწვია კორუფციული გარემოს შესუსტება. კონკრეტული ქმედების განსახორციელებლად მოქალაქეს მანამდე სჭირდებოდა რამდენიმე ორგანიზაციაში მისვლა, რომელთაგან

ყველა, ცალ-ცალკე, სძალადაა ფულს, ამჟამად ეს ორგანიზაციები გაერთიანებულია ერთ სტრუქტურულ დანაყოფში, სადაც მრავალი ოფიციალური დოკუმენტის წარდგენა აღარ არის საჭირო და გარდა ამისა, სტრუქტურის გაკონტროლებაც ბევრად უფრო ადვილია.

ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილების საქმეში სტრუქტურული რეფორმების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალდამცავ და პენიტენციურ ორგანოებში. რეფორმის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ლიკვიდაცია და მისი ფუნქციების გადაცემა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის. სამოხელეო დანაშაულებთან ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით მოხდა სტრუქტურული ცვლილებები და ფუნქციების გადაცემა კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტისათვის. მის პრიორიტეტულ ამოცანად დაისახა კორუფციასთან ბრძოლა. ასევე შეიქმნა სრულიად ახალი, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რაც შეეხება სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირებას, აქ შეიცვალა შიდა საქმიანობის პოლიტიკა, რაც გამოიხატა ციხე-კოლონიებში კონტროლის გამკაცრებით. აღნიშნულს გააჩნდა სასიცოცხლო მნიშვნელობა ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან ასაცილებლად, რადგან ფაქტობრივად სასჯელაღსრულების დაწესებულებები კონტროლდებოდა ორგანიზებული დანაშაულობის ლიდერების – კანონიერი ქურდების მიერ. მათ განსაკუთრებული პრივილეგიები ჰქონდათ, სასჯელს იხდიდნენ 49-ე ცნობილ საკანში, რომელშიც შექმნილი იყო კომფორტის ყველა პირობა. ამასთან ერთად, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, წარემართათ ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა ციხიდან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კი დროებით გამოსულიყვნენ დაწესებულებიდან. აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ 2005 წელს განხორციელებული სპეც ოპერაცია, რომლის დროსაც თბილისში, ე.წ. „ჭრელ აბანოებში“ დაკავებულ იქნა კანონიერი ქურდი დავით ქურასბელიანი, იგივე „წრიპა“, რომელიც ბადრაგს ჰყავდა გამოყვანილი ციხიდან მისივე მოთხოვნით. დანაშაულებრივი ლიდერები ატერორებდნენ სხვა პატიმრებს და აიძულებდნენ, ემოქმედათ მათი მითითებების შესაბამისად. განხორციელებული რეფორმის ფარგლებში მოხდა კანონიერი

ქურდების მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში ერთად გადაყვანა, ჩამოერთვათ მობილური ტელეფონები, რომლებსაც ისინი კანონდარღვევით ატარებდნენ და რომელთა მეშვეობითაც ახდენდნენ დანაშაულების ორგანიზებას. ასევე, კონტროლი გამკაცრდა პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებზეც, რომელთა უდიდესი უმრავლესობა დაკავებული იყო კორუფციით. შედეგად, ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენლებს მოესპოთ საშუალება, გაეკონტროლებინათ როგორც ციხეები, ასევე კრიმინალური დაჯგუფებები სასჯელაღსრულების დაწესებულებათა გარეთ. ამჟამად მექრთამეობა პენიტენციალურ სისტემაში ფაქტობრივად აღმოიფხვრა.

ცხადია, ყველა ზემოაღნიშნული ზომა არაეფექტური იქნებოდა, თუ მიღებული არ იქნებოდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რადგან მიუხედავად სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში წესრიგის დამყარებისა და პოლიციის მიერ კრიმინალთან ბრძოლის გააქტიურებისა, შეუძლებელი იქნებოდა ორგანიზებული დანაშაულობის ლიდერების გისოსებს მიღმა მოხვედრა, რადგან, როგორც წესი, მათ მიერ ხდებოდა კრიმინალური აქტების დაგეგმვა და არა აღსრულება. შესაბამისად, 2005 წლის 20 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“. კანონით მოხდა „კანონიერი ქურდის“, „ქურდული სამყაროსა“ და „რეკეტის“ განმარტება და განისაზღვრა სანქციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში იმავე თარიღით შეტანილი ცვლილებებით; შევიდა დამატებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენელთათვის უკანონო გზით შეძენილი ქონების ჩამორთმევა. მითითებული საკანონმდებლო ცვლილებებითა და დამატებებით ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი პრევენცია, ფაქტობრივად, სრულიად ახალ საფეხურზე გადავიდა. განისაზღვრა ქვეყნისათვის პრობლემატური - კრიმინალური მიმართულება და მის თავიდან ასაცილებლად გამოინახა ეფექტური ბერკეტები.

ორგანიზებული დანაშაულობის პრევენციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს მომავალ თაობასთან მუშაობა, რათა ისინი კანონმორჩილ მოქალაქეებად აღიზარდონ. ცნობილია, რომ დანაშაულებრივი სინდიკატის სიძლიერე დამოკიდებულია მასში გაწევრების მსურველთა რიცხვზე. შესაბამისად,

იმისათვის, რომ ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილება განხორციელდეს, მიზანმიმართული ქმედებებით უნდა მოხდეს მომავალი თაობის აღზრდა კრიმინალის მიმართ უარყოფითი განწყობით. ბავშვის ფსიქოლოგია და ღირებულებები ოჯახთან ერთად დიდწილად საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კერძოდ, სკოლაში ყალიბდება. სადავო არაა ის ფაქტი, რომ სკოლის მოსწავლეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ეგრეთ წოდებული „ქურდული გაგება“ და „კაი ბიჭობა“, რომელთა შემდგომ საფეხურს წარმოადგენს სწორედ „ქურდული სამყაროს“ წევრობა. ცხადია, მითითებული მისწრაფებები ახასიათებდათ მხოლოდ მოსწავლეთა მცირე ნაწილს, რომელთა გავლენის ქვეშ, შიშის თუ სხვა გარემოებათა გამო, ექცეოდნენ სხვებიც. ამიტომ სახელმწიფოს მიერ განისაზღვრა სტრატეგია, რომლის თანახმადაც, ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან ასაცილებლად მუშაობა დაიწყებოდა სასკოლო ასაკის ბავშვებთან. აღნიშნული განხორციელდა განათლების სამინისტროში სტრუქტურული ცვლილებებით, რომლის შედეგადაც შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „სკოლის მანდატური“. კონკურსის საფუძველზე რიგით მოქალაქეთაგან შეირჩა კანდიდატები, რომელთაც გააჩნდათ ბავშვთან კომუნიკაციისა და მასზე დადებითი გავლენის მოხდენის უნარი. მათ გაიარეს სპეციალური მოსამზადებელი კურსები და მიიღეს ის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭირო იქნებოდა ხსენებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. სამი მანდატურით დაკომპლექტებული ჯგუფები გადანაწილდნენ სხვადასხვა სკოლებში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროექტი სრულიად ახალია და, რა თქმა უნდა, ეტაპობრივად კიდევ დაიხვეწება, შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმატებულია, რადგან არსებული მონაცემებით შეუდარებლად შემცირდა სკოლებში ძალადობა, დისციპლინის დარღვევა და სკოლის უმიზეზო გაცდენა, რომლის დროსაც მოზარდები დროს ქუჩაში ატარებდნენ.

ცხადია, ორგანიზებული დანაშაულობის პრევენციისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებათ სახელმწიფო სტრუქტურებს, მაგრამ მხოლოდ მთავრობა ვერაფერს გახდება თუ ამ ღონისძიებებში ჩართული არ იქნება მოსახლეობაც. ამისთვის აუცილებელი იყო მოქალაქეებში სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ ნდობის აღდგენა. მითითებულ საკითხში, სხვა მრავალ მიმდინარე რეფორმასა და ცვლილებებთან ერთად, საზოგადოებრივ განწყობაზე უმნიშვნელოვანესი გავლენა

მოახდინა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ჩამოყალიბებამაც. აღნიშნული ჩაენაცვლა საგზაო პოლიციას, რომელიც ხალხში კორუფციასთან და ფულის გამოძალვასთან ასოცირდებოდა. ფაქტობრივად, ხსენებული რეფორმით მიღწეულ იქნა ის, რომ მოქალაქეთათვის საძულველი დანაყოფის – საგზაო ინსპექციის ნაცვლად შეიქმნა შესაბამისი ცოდნის მქონე თანამშრომლებით დაკომპლექტებული, მოსახლეობის დასახმარებლად ყოველთვის მზადყოფი სტრუქტურა. ცხადია, ამ რეპუტაციის მოსაპოვებლად გარკვეული დრო იყო საჭირო, თუმცა იმ ფაქტმა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები არ იყვნენ კორუმპირებულნი, ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ხალხს და ებრძოდნენ სამართალდამრღვევებს, ეტაპობრივად ადადგინა ნდობა არა მხოლოდ მათ, არამედ მთლიანად - შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, რამაც ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილების საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ორგანიზებული დანაშაულობის პრევენციისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეთა რესოციალიზაციას და მათ შემდგომ ინტეგრაციას პატიოსან მოქალაქეთა რიგებში. ეს უფრო მეტად ეხება არასრულწლოვანებს და ახალგაზრდებს, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო მოხვდნენ საპატიმრო დაწესებულებებში. ცხადია, ისინი შედიან რისკჯგუფებში, რომლებმაც შემდგომში შესაძლებელია შეავსონ კრიმინალთა რიგები. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, ახალგაზრდა პატიმარს მიეცეს დაშვებული შეცდომის გამოსწორების საშუალება და არ იგრძნოს თავი გარიყულად საზოგადოებისგან. აღნიშნული მიმართულებით მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს განათლების სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამა, რომლის მეშვეობითაც პატიმრებს საშუალება მიეცათ, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ჩაებარებინათ მისაღები გამოცდები და მიეღოთ განათლება. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, სასჯელის მოხდის პარალელურად პატიმარი ცოდნას იღრმავებს, პროფესიას იძენს და პატიოსანი ცხოვრებისათვის ემზადება. ასევე, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრო ნაკლებად მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულ პირებს საშუალებას აძლევს პენიტენციალური დაწესებულების გარეთ, მეთვალყურეობის ქვეშ, იმუშაონ და შეიძინონ შრომითი უნარ-ჩვევები. შესაბამისად, დიდია იმის შესაძლებლობა, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ მათ განაგრძონ პატიოსანი ცხოვრება და არ დაუბრუნდნენ კრიმინალურ საქმიანობას.

ყოველივე მითითებულთან ერთად, ასევე, მეტად მნიშვნელოვანია ორგანიზებული დანაშაულობის პრევენცია და მასთან ბრძოლა იდეოლოგიურ დონეზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსახლეობის მონაწილეობის გარეშე კრიმინალის თავიდან აცილება ვერ იქნება ეფექტური. შესაბამისად, აუცილებელია მოქალაქეთათვის ორგანიზებული დანაშაულობის უარყოფითი გავლენასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე მითითება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომელთა გამოყენებაც უნდა მოხდეს სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირთა მიერ, რათა მოსახლეობამდე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიტანილ იქნეს ინფორმაცია კრიმინალთა მიერ გამოწვეული უარყოფითი შედეგებისა და მათი თავიდან აცილების შემთხვევაში უკეთესი გარემოს შექმნის შესახებ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ მითითებულ სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად, აღნიშნულიც ეფექტურად განხორციელდა საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის მიერ. ხშირად შესაბამისი თანამდებობის პირები პირადად ესაუბრებოდნენ მოსახლეობას ორგანიზებული დანაშაულობის უარყოფით მხარეებზე, რომლებიც, ერთი შეხედვით, რთულად აღსაქმელი იყო. განმარტავდნენ, რომ მითითებული სახეობის კრიმინალი უშუალოდ განხორციელებულ ქმედებებზე არანაკლებად აყენებდა ზიანს ქვეყანას, რადგან ორგანიზებული დანაშაულობის დამარცხების გარეშე წარმოუდგენელია სახელმწიფოს განვითარება, ეკონომიკის წინსვლა, ბიზნესის თავისუფლება, ინვესტიციების მოზიდვა და სხვა მრავალი, რაზედაც დაფუძნებულია მოსახლეობის კეთილდღეობა.

ქვეყანაში ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისათვის განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, კრიმინალური სამყარო ბოლომდე დამარცხებული არაა, და არც შეუქცევად ხასიათს ატარებს. პირველ რიგში, უნდა შენარჩუნდეს რეფორმებით მიღებული შედეგები და ამასთან ერთად ეტაპობრივად, დამატებით განხორციელდეს ახალი ღონისძიებები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია სოციალური პროგრამების გატარება. მოსახლეობის დიდი ნაწილის ფინანსური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, რამაც შესაძლებელია მოახდინოს მათი განსაზღვრული ოდენობით კრიმინალურ საქმიანობაში ჩართვის პროვოცირება. შესაბამისად, პირველ რიგში, უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, რაც გამოიწვევს მოქალაქეთათვის შემოსავლის წყაროს გაჩენასა თუ გაზრდას. ამასთან,

განვითარებული ეკონომიკა სოციალურ ფონს გააუმჯობესებს, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება მთელ მოსახლეობაზე. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მომავალი თაობისათვის დახმარება განათლების მიღებაში, რაც ასევე შეუწყობს ხელს არა მხოლოდ ორგანიზებული, არამედ, საერთოდ, ყველა სახის კრიმინალის აღკვეთას. დასასრულს კი უნდა აღინიშნოს, რომ განსახორციელებელია ერთ-ერთი ურთულესი მიზანი - ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა! აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოს ეკონომიკის განსავითარებლად, ასევე იმ ტერიტორიების გასაკონტროლებლად, რომლებიც არალეგიტიმური რეჟიმების მმართველობის ქვეშაა და სადაც ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ვითარდება ორგანიზებული დანაშაულობა. ცხადია, დროთა განმავლობაში აღნიშნული წარმოშობს საფრთხეს საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მთელი ტერიტორიისა და მოსახლეობისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, ორგანიზებული დანაშაულობის პრევენცია საქართველოში ხორციელდება ერთობლივად - სახელმწიფო სტრუქტურებისა და მოსახლეობის მიერ. აქვე ხაზი კიდევ ერთხელ უნდა გაესვას იმას, რომ მიუხედავად მითითებული მიმართულებით ამ ეტაპზე მიღწეული სერიოზული წარმატებისა, ძალისხმევა არ უნდა შემცირდეს, რადგან საბოლოო მიზნამდე, ანუ ორგანიზებული დანაშაულობის ბოლომდე დამარცხებამდე ჯერ კიდევ შორია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა რომ, დღეისათვის მთელს მსოფლიოში უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულობის პრევენციას. არსებული შეხედულებიდან გამომდინარე, უფრო ეფექტურია, ებრძოლო დანაშაულის წარმოშობის მიზეზებს, ვიდრე - მის შედეგებს. როგორც ზემოთ აღვნიშნა, პრევენციის განსახორციელებლად არსებობს უამრავი მეთოდი და პრინციპი, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებები, შესაბამისად, არ არსებობს ერთი, უნივერსალური გზა კრიმინალის თავიდან ასაცილებლად. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რათა დანაშაულის პრევენცია წარმატებულად წარიმართოს, აუცილებელია ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, ზუსტად იქნეს შერჩეული კრიმინალის თავიდან აცილების ხერხები. ამასთან, საინტერესო სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ, თუ ადრე დამკვიდრებული შეხედულებების შესაბამისად, დანაშაულობის პრევენცია

წარმოადგენდა მხოლოდ სამართალდამცავ უწყებათა პრეროგატივას, ამჟამად მიიჩნევა, რომ აღნიშნული მიმართულების წარმატებით განსახორციელებლად საჭიროა როგორც სამათავრობო სტრუქტურების, ისე არასამთავრობო, ბიზნესის, თუ კერძო სექტორების ეფექტური ქმედება და ურთიერთთანამშრომლობა.

5.2 ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საკანონმდებლო ნორმები

საქართველოში ორგანიზებულ დანაშაულობასთან საკანონმდებლო დონეზე ბრძოლას დიდი ისტორია არ აქვს. ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ჩვენს ქვეყანაშიც მიიჩნეოდა, რომ კომუნისტურ ეპოქაში არ შეიძლებოდა ეარსება მსგავსი ხასიათის კრიმინალს და არ არსებობდა შესაბამისი ნორმატიული აქტები, თუმცა ცდილობდნენ, რომ აღნიშნული ვაკუუმი შეევსოთ ცნებით - „ჯგუფური დანაშაული“, რაც ნამდვილად არ იყო ორგანიზებული დანაშაულობის ეკვივალენტი, რადგან თავისი ბუნებით ჯგუფური დანაშაული ბევრად უფრო ფართო ხასიათისაა და ქმედებათა მეტ სახეობებს მოიცავს, ვიდრე ორგანიზებული დანაშაული. ჯგუფური დანაშაული, ზოგადად, გულისხმობს თანამონაწილეობას კრიმინალური ქმედების განხორციელებაში, ორგანიზებული დანაშაულობა კი ბევრად უფრო რთული ინსტიტუტია, რომელიც გამოირჩევა ქმედების განმახორციელებელი ჯგუფის შემადგენლობით, სტრუქტურით, გაერთიანების სიმყარით და სხვა ნიშნებით.

მსგავსი ტენდენცია გაგრძელდა საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც, როდესაც მიღებულ იქნა ახალი ნორმატიული აქტები ეროვნული საკანონმდებლო ორგანოს მიერ. თუმცა არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის (ჯგუფური დანაშაული) მე-3 ნაწილი, რომელიც მეტნაკლებად ახდენდა ორგანიზებული დანაშაულობის ცნების არარსებობის კომპენსირებას ქართულ სამართალში.

მითითებულ ნორმაში განმარტებულია, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად. სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის აღნიშნული ნაწილის მიხედვით: „დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონო მიღება“. ამავე მუხლის ბოლოს კი შენიშვნის სახით მითითებულია, თუ რა ითვლება სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად: „ამ მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა“. მითითებული ნორმების საფუძველზე, შესაძლებელია განისაზღვროს ორგანიზებული ჯგუფის ნიშნები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით:

1. ჯგუფი უნდა არსებობდეს დროის განსაზღვრულ პერიოდში;
2. ჯგუფის მოქმედება უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული;
3. ჯგუფს უნდა გააჩნდეს სტრუქტურული ფორმა;
4. ჯგუფის წევრები წინასწარ უნდა შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად;
5. მიზანი უნდა იყოს პირდაპირი, ან არაპირდაპირი ფინანსური, ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონო მიღება.

შევეცდებით, სათითაოდ განვიხილოთ ზემოთჩამოთვლილი ნიშნები. იმისათვის, რომ ჯგუფი ჩაითვალოს ორგანიზებულად, ამისათვის პირველ რიგში საჭიროა, რომ:

იგი არსებობდეს დროის გარკვეულ პერიოდში, ანუ ჯგუფის შექმნიდან დანაშაულის ჩადენამდე გასული უნდა იყოს დროის განსაზღვრული მონაკვეთი. ცხადია, ჯგუფური დანაშაულის შემთხვევაში კრიმინალური ქმედების ჩადენას

ყოველთვის წინ უსწრებს ადამიანთა შეკავშირება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც უშუალოდ ქმედების განხორციელებისას წინასწარ შეუთანხმებლად, ისე წინასწარი შეთანხმებით, მაგრამ ორგანიზებული ჯგუფის შემთხვევაში იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში არსებობს, როგორც დანაშაულებრივი განზრახვით გაერთიანებული პირთა ერთობა. დროის აღნიშნულ პერიოდში ხდება დანაშაულთა დეტალური დაგეგმვა, ფუნქციათა გადანაწილება და ა.შ.

ჯგუფის მოქმედება უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული, ანუ ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა არ ხდება სპონტანურად, მისი წევრების თითოეული ნაბიჯი არის წინასწარ შეთანხმებული, კარგად დაგეგმილი და ყოველივე ამის შემდეგ ხდება ქმედების განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღება, რაც ძალიან ეფექტურს ხდის ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობას.

ჯგუფს უნდა გააჩნდეს სტრუქტურული ფორმა. მითითებული ნიშნის განმარტებისას სასურველია განვიხილოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის შენიშვნაც, რომლის შესაბამისადაც, ჯგუფის სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად ჩასათვლელად აუცილებელია, რომ იგი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად არ იყოს შემთხვევით შექმნილი. აუცილებელი არაა, ფორმალურად განაწილებული იყოს ფუნქციები წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა. როგორც მითითებული შენიშნიდან ჩანს, იმისათვის, რომ ჯგუფი ჩაითვალოს სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად, იგი არ უნდა შეიქმნას შემთხვევით დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად, ანუ მითითებული გაერთიანების ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს, როგორც წესი, გამოცდილ კრიმინალთა მყარი ერთობა. რა თქმა უნდა, მიზნები არის დანაშაულებრივი, მაგრამ ამ მიზნების მიღწევა ხდება კარგად დაგეგმილი და განსაზღვრული ქმედებების განხორციელებით. ორგანიზებულ ჯგუფში პირთა კავშირი არა მარტო წინასწარია, ე.ი. დანაშაულის ჩადენამდეა ორგანიზებული, არამედ განსაკუთრებით მყარია, იმდენად მტკიცეა, რომ მის მიერ დანაშაულის ჩადენას წინ არაფერი უდგას (7, 225). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კანონმდებელი არ მიიჩნევს აუცილებლად წევრთა შორის როლების ფორმალურ გადანაწილებას, მკაცრ სუბორდინაციას, რადგან შესაძლებელია, ჯგუფი შექმნას ერთმა პირმა, მოამზადოს დანაშაულის

ჩასადენად, ხოლო უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედება ჯგუფმა განხორციელოს მეორე წევრის ხელმძღვანელობით. ზემოაღნიშნული შენიშვნის თანახმად, ასევე არაა აუცილებელი, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი. ერთი მხრივ, მითითებული ნიშანი სავალდებულო არაა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზებული ჯგუფი, როგორც წესი, იქმნება რამდენიმე მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის განხორციელებლად, გამორიცხული არაა, რომ იგი ჩამოყალიბდეს მხოლოდ ერთი დანაშაულის ჩასადენად (14, 297). შესაბამისად, ამ კრიმინალური ქმედების განხორციელების შემდეგ ჯგუფი იშლება და წევრობაც შეწყდება. მეორე მხრივ, წევრები იცვლებიან ორგანიზებულ ჯგუფშიც, რომელიც შექმნილია არაერთი დანაშაულის ჩასადენად, რაც შეიძლება განპირობებული იყოს იმ ფაქტით, რომ თვით ორგანიზებული ჯგუფის შექმნა მიუთითებს წევრების მიზანზე - განსაკუთრებით რთული დანაშაულების განხორციელება. რადგან ყოველი კრიმინალური ქმედება და მისი შემადგენლობა ინდივიდუალურია, მათი განხორციელება მოითხოვს სხვადასხვა ხერხების შერჩევას. შესაბამისად, საჭირო ხდება ყოველი კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად სპეციალური ცოდნის მქონე პირების გამოყენება. ამდენად, მათ წინაშე არსებული ამოცანებიდან გამომდინარე, ცვლილებები ორგანიზებულ ჯგუფში შეიძლება შეეხოს პირებს, რომლებიც დასპეციალებული არიან სხვადასხვა კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებაში, თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჯგუფში წევრთა ცვალებადობა მიმდინარეობს მკაცრი კონტროლისა და კონსპირაციის პირობებში, რათა ამ ჯგუფის საქმიანობა სხვა პირებისათვის უცნობი დარჩეს, ან მასში არ შეაღწიონ შემთხვევითმა პირებმა, რომლებმაც შეიძლება ჯგუფის დეზორგანიზაცია გამოიწვიონ (8, 225).

ჯგუფის წევრები წინასწარ უნდა შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად, ანუ ჯგუფი არ უნდა შეიქმნას მყისიერად დანაშაულის ჩასადენად. წევრები უნდა გაერთიანდნენ წინასწარ. გაერთიანება, როგორც წესი, ხდება რაიმე კონკრეტული ნიშნით (ნათესაობა, დამნაშავეობის გარკვეული სფეროს წარმომადგენლობა, მსგავსი შეხედულებები და ა.შ.) და, რაც მთავარია, დაჯგუფება უნდა შეიქმნას ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად, ანუ გაერთიანების მიზანი არის დანაშაულებრივ ქმედებათა განხორციელება.

მიზანი უნდა იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონო მიღება. აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მთავარ ნიშანს. საბოლოო ჯამში, ორგანიზებული ჯგუფის შექმნის იდეა და მიზანი, პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღებაა (3, 210). ფაქტობრივად, მითითებული შეიძლება გავაიგივოთ ორგანიზებული ჯგუფის წევრების მიზანთან, რომლებიც წინასწარ ერთიანდებიან ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად, რადგან კოდექსი ორგანიზებული ჯგუფის მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მხოლოდ ერთ – უკანონო ქმედებას უშვებს, ანუ შემოსავლის მიღებას კანონის დარღვევით, რაც რა თქმა უნდა, დანაშაულია.

აღნიშნული მიმართულებით მუშაობის ახალი ეტაპი დაიწყო 2006 წლის დასაწყისში, როდესაც ამოქმედდა საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“. საქართველოს ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მიღებულ იქნა საკანონმდებლო აქტი უშუალოდ განსაზღვრული სახის კრიმინალთან ბრძოლის თაობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად დასახელებისა, არც ეს კანონი ადგენს ორგანიზებული დანაშაულის ცნებას, თუმცა მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

მითითებული ნორმატიული აქტის მიზანს წარმოადგენს, ორგანიზებული დანაშაულის, ქურდული სამყაროს, რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ხელის შეწყობა და მისი თავიდან აცილება, აგრეთვე, ქურდული სამყაროს წევრების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად. როგორც ვხედავთ, კანონის მოქმედების ძირითად ობიექტებს წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაული, რეკეტი და ქურდული სამყარო. განსხვავებით ბოლო ორისაგან, მითითებული ნორმატიული აქტი არ ადგენს ორგანიზებული დანაშაულის ცნებას, შესაბამისად, გონივრული იქნება, მისი განსაზღვრის მიზნით მივმართოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომელიც ეხება დანაშაულის ჩადენას ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად; „რეკეტი არის შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატიურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებული განზრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა“ (141, 2). როგორც მითითებულიდან ჩანს, ამ დანაშაულებრივი ქმედების ძირითადი მიზანია შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღება, რომელიც წარმოადგენს უმთავრეს მახასიათებელს. ცხადია, მხოლოდ შემოსავლის მიღება არაა საკმარისი იმისათვის, რომ ქმედება ჩაითვალოს რეკეტად. ამისათვის აუცილებელია, რომ იგი განხორციელდეს სისტემატიურად, ანუ ამავე კანონის თანახმად - 2-ჯერ მაინც 5 კალენდარული წლის განმავლობაში. როგორც ვხედავთ, ამ კანონით, ქმედების სისტემატიურობა დაკონკრეტებულია და განსაზღვრულია, რომ მითითებული მოქმედება უნდა იყოს ორგანიზებულიც. როგორც ზემოთ აღინიშნა, თვითონ ამ კანონში არაა განმარტებული სიტყვა „ორგანიზებული“. ამ შემთხვევაში კვლავ შეგვიძლია ვიხედებოდეთ სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

გარდა იმისა, რომ ეს ქმედება დაკავშირებულია შემოსავლის მიღებასთან, ასევე არის არაერთჯერადი და ორგანიზებული, იგი უნდა იყოს დაკავშირებული განზრახი დანაშაულის ჩადენასთან, ანუ გამორიცხულია მისი განხორციელება დანაშაულებრივი თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება რეკეტად.

აქვე გასათვალისწინებელია კანონის დანაწესი, რომლის შესაბამისადაც, სისტემატიურობის ელემენტის დასადგენად, ვადის გამოთვლისას ხუთწლიან პერიოდში, რომლის განმავლობაშიც ორჯერ მაინც უნდა იქნეს დანაშაული ჩადენილი, არ უნდა ჩაითვალოს დრო, როდესაც რეკეტური იმყოფებოდა პატიმრობაში, ან იხდიდა სასჯელს. კანონი იმპერატიულად არ მოითხოვს, რომ პირი მაინცდამაინც რეკეტისთვის უნდა იყოს სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მოხვედრილი. აქ მნიშვნელოვანია მხოლოდ პატიმრობის ან სასჯელის მოხდის ხანგრძლივობა.

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად: „რეკეტულ დაჯგუფებად ითვლება თავისი საქმიანობით რეკეტთან დაკავშირებული იურიდიული პირი, აგრეთვე, ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთანებისმიერი გაერთიანება“ (141, 2). როგორც განმარტებიდან ჩანს, რეკეტულ დაჯგუფებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობით დაკავშირებულია რეკეტთან. ასევე, რეკეტულ დაჯგუფებას წარმოადგენს ამავე ქმედებით დაკავებული იურიდიულ და/ან ფიზიკურ პირთა გაერთიანებებიც. მითითებულ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს თვითონ იურიდიული პირის საქმიანობის ძირითად მიმართულებაზე, რადგან რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, რეკეტულ დაჯგუფებას კანონიერ მომსახურებას უწევდეს (მაგალითად წარმომადგენლობა სასამართლოში) რომელიმე იურიდიული ფირმა. ამ შემთხვევაში არსებობს საქმიანი კავშირი რეკეტულ დაჯგუფებასა და იურიდიულ პირს შორის, მაგრამ, ცხადია, ეს იურიდიული პირი ვერ ჩაითვლება რეკეტულ დაჯგუფებად, რადგან იგი ახორციელებს ქმედებას თავისი საქმიანობის შესაბამისად და, რაც მთავარია, იგი არის კანონიერი.

რეკეტული დაჯგუფების შემდეგ სასურველია განხილულ იქნეს რეკეტირი, ანუ ის, რომელიც საქმიანობს ამ დაჯგუფებებში. „რეკეტირი არის პირი, რომელიც დამოუკიდებლად, ან სხვა პირთან (პირებთან) ერთად წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას, ან სხვაგვარად მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში და მისთვის ცნობილია, რომ ეს დაჯგუფება რეკეტული დაჯგუფებაა, აგრეთვე, უკანონოდ წყვეტს რეკეტულ დაჯგუფებებს ან რეკეტულ დაჯგუფებებსა და სხვა პირთა შორის დავებს, ან მონაწილეობს ასეთი დავების გადაწყვეტაში“ (141, 2). მითითებული ნორმის თანახმად, რეკეტირად ჩაითვლება პირი, რომელიც მარტო ან პირთა ჯგუფთან ერთად ხელმძღვანელობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, იურიდიული პირის ხელმძღვანელი, ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა გაერთიანების ლიდერი, რომელიც ოფიციალურად საერთოდ არ იყოს დაკავშირებული იურიდიული პირის საქმიანობასთან, ანუ ეს არის გაერთიანების ხელმძღვანელი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს დაჯგუფების კრიმინალურ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ზემოთ მითითებულის გარდა, რეკეტირს წარმოადგენს ასევე პირი, რომელიც სხვაგვარად მონაწილეობს დაჯგუფების საქმიანობაში, ანუ არაა სავალდებულო,

რომ იგი მაინცდამაინც წარმართავდეს გაერთიანების ქმედებებს, ან იღებდეს გადაწყვეტილებებს. აქ საუბარია დანაშაულში უბრალო მონაწილეობის მიღებაზე, თუმცა, კანონი ასევე ადგენს სავალდებულო პირობებს, კერძოდ, ამ პირისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ეს დაჯგუფება არის რეკეტული დაჯგუფება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ვერ განვიხილავთ რეკეტირად და სამართლიანადაც, რადგან, როგორც რეკეტის განმარტებისას აღინიშნა, იგი დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან.

რეკეტირია ასევე პირი, თუ იგი უკანონოდ წყვეტს დავებს რეკეტულ დაჯგუფებებს, ან რეკეტულ დაჯგუფებებსა და სხვა პირთა შორის. აქ იგულისხმება, რომ დავების გადაწყვეტა უნდა სცილდებოდეს კანონიერების ფარგლებს. ამის ერთ-ერთი ნაირსახეობა შეიძლება იყოს ქურდული გარჩევაც. გარდა ამისა, სადავო თემაც არ უნდა ხვდებოდეს კანონიერების ფარგლებში, ანუ ეს შეიძლება იყოს რეკეტისათვის გავლენის სფეროების გადანაწილება და სხვა ნებისმიერი უკანონო საკითხი. აქვე აღსანიშნავია, რომ რეკეტირად უნდა ჩაითვალოს პირი, რომელიც მხოლოდ მონაწილეობით შემოიფარგლება ასეთი დავების გადაწყვეტაში, ანუ სავალდებულო არაა, რომ მაინცდამაინც თვითონ წყვეტდეს დავას, უბრალოდ გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებაც კი ქმნის რეკეტის შემადგენლობას. ამის მაგალითი შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც დავას წყვეტს ერთი პირი და მეორე მხარს უჭერს მას, ან თავის თავზე იღებს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, ანუ ახორციელებს მუქარას შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად: „ქურდული სამყარო არის: პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი/აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებაში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზებით, მისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება“. ფაქტობრივად, მითითებული მუხლი აღებულია რეალობიდან, რადგან საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ კანონიერი ქურდები და, აგრეთვე, პირები, რომლებიც თვლიან, რომ ცხოვრობენ ე.წ. „ქურდული ცხოვრებით“, მკაცრად იცავენ, ყოველ შემთხვევაში, უნდა იცავდნენამ სამყაროს დადგენილ მოთხოვნებს ქურდული

იდვის შესაბამისად, მაგრამ თანამედროვე რეალობა გვიჩვენებს, რომ ისინი მხოლოდ მათთვის სასარგებლო წესებსღა იყენებენ, ხოლო სხვებს კი უგულვებელყოფენ (საკუთარი ქონების შექმნას, ოჯახის შექმნის აკრძალვას, მხოლოდ დანაშაულებრივი გზით შემოსავლის მიღებას და ა.შ.), ანუ მითითებული დეფინიციის თანახმად, პირთა ერთობა რომ განვიხილოთ ქურდულ სამყაროდ, ის აუცილებლად უნდა მოქმედებდეს მათ მიერვე დადგენილი წესების შესაბამისად, თუმცა, მხოლოდ ეს ნიშანი არ არის საკმარისი. მითითებულ გაერთიანებას უნდა ჰქონდეს მიზანი - თავისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს ქურდული სამყაროს და ნებისმიერი ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანების უმთავრეს მიზანს, რადგან ისინი იქმნება ერთადერთი მოტივით – მიიღონ უკანონო შემოსავლები.

გაერთიანების მიზნის პარალელურად საინტერესო იქნება ამ სარგებლის მიღების საშუალებისა და გზების განხილვა.

მითითებული კანონის შესაბამისად, ქურდულმა სამყარომ თავისი მიზნების განსახორციელებლად უნდა გამოიყენოს:

მუქარა, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის შესაბამისად, გულისხმობს სიცოცხლის მოსპობის, ან ჯანმრთელობის დაზიანების ან/და ქონების განადგურების მუქარას, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ანუ უნდა არსებობდეს მუქარა, რომელიც მიმართულია ადამიანის ან მისი ქონების წინააღმდეგ და მსხვერპლს რეალურად უნდა გაუჩნდეს მის მიმართ ამგვარი ქმედების განხორციელების შიში, ე.ი. დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის მნიშვნელოვანია დაზარალებულის ფსიქიკური დამოკიდებულება განხორციელებული ქმედებისადმი და არა მხოლოდ კრიმინალის განზრახვა.

იძულება, ანუ ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ე.ი. მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგანაც თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავის ნებასურვილის საწინააღმდეგო მოქმედება, ანუ ქმედება, რომლის შედეგადაც დაზარალებულს ეზღუდება კონტიტუციით მინიჭებული თავისუფლება, კანონის ფარგლებში თავისი

შეხედულებისამებრმოქმედებისა. იძულება შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ იგი უნდა იყოს უკანონო. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პირის იძულება ხდება კანონის ნორმათა შესაბამისად, ეს სცილდება მითითებული მუხლის ფარგლებს.

დუმილის პირობა. აქ საქმე გვაქვს იტალიური მაფიის „ომერტას“ (დუმილის კანონის) ნაირსახეობასთან, რომლის შესაბამისადაც, ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში ადამიანი ისჯებოდა სიკვდილით. ქურდული სამყაროსგან ადამიანი დუმილის დარღვევის შემთხვევაში მაინცდამაინც სიკვდილით დასჯის გამო კი არა, უბრალოდ - მუქარის შიშით იღებს ვალდებულებას, რომ არ გაახმაუროს მიღებული ინფორმაცია.

ქურდული გარჩევა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მითითებული ნიშანი განხილულ იქნეს ოდნავ მოგვიანებით, როდესაც განმარტებული იქნება ზოგადად ქურდული გარჩევა „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლით.

დანაშაულის ჩადენაში არასრულწლოვანთა ჩაბმა. მითითებული ნიშანი ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი კრიმინალური გაერთიანებისათვის, რადგან ჯგუფი თუ არ შეივსო ახალგაზრდა წევრებით, მაშინ იგი განწირულია გასანადგურებლად, რადგან, როგორც საქმიანობის სახიფათო სფეროების, ასევე, სამართალდამცავ ორგანოთა მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, კრიმინალური ორგანიზაციები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში - ქურდული სამყარო - წევრებს ხშირად კარგავენ.

გამომდინარე იქიდან, რომ გაერთიანება არის კრიმინალური, მისი საქმიანობის ძირითად სფეროს სწორედ დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად, ანუ წაქეზება პირის დაყოლიება კრიმინალური ქმედების განსახორციელებლად, რაც კონკრეტულ შემთხვევაში დავალების მიცემითაც შეიძლება გამოიხატოს. მითითებული მეტად პოპულარულია ქურდულ სამყაროში, რადგან, როგორც ცნობილია, კანონიერი ქურდების უმეტესობა თვითონ აღარ ჩადის დანაშაულებს. ისინი ხელმძღვანელობენ დაჯგუფებებს და

ორგანიზებას უწევენ მათი წევრების მიერ კრიმინალური საქმიანობის განხორციელებას, ანუ ამ კანონის შესაბამისად - ახდენენ მათ წაქეზებას.

„ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქურდული სამყაროს წევრი არის ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. პირი, რომ ქურდული სამყაროს წევრად ჩაითვალოს, პირველ რიგში, იგი უნდა აღიარებდეს ამ კრიმინალურ გაერთიანებას, ანუ პატივს სცემდეს დამნაშავეთა მითითებულ ფენას, ცნობდეს მათ მიერ დადგენილ წესებს და ცხოვრობდეს ამ კანონების შესაბამისად, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ხსენებული არ კმარა იმისათვის, რომ პირის მიმართ განხორციელდეს სისხლის სამართლებრივი დევნა. ყველა ზემოთხაზოთვლილის პარალელურად იგი აქტიურად უნდა მოქმედებდეს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. ფაქტობრივად, ეს საკმაოდ ზოგადი მითითებაა, რადგან აქ შეიძლება მოაზრებულ იქნეს ნებისმიერი ქმედება, რომელიც სასარგებლოდ წაადგება როგორც მთლიანად ქურდულ სამყაროს, ისე მის წევრებს, მაგალითად - „საერთო საღაროს“, ე.წ. „ობშიაკის“ აკრეფაში მონაწილეობის მიღება, რაიმე ქმედების დაგეგმვა ან განხორციელება სამართალდამცავი ორგანოების წინააღმდეგ კრიმინალთა სასარგებლოდ და ა.შ.

აღნიშნული კანონი ასევე განმარტავს ქურდული გარჩევის დეფინიციას. ქურდული გარჩევა ნიშნავს ქურდული სამყაროს წევრის მიერ ორ ან ორზე მეტ პირს შორის არსებული დავის გადაწყვეტა, რომელსაც თან ახლავს მუქარა, იძულება, დაშინება ან სხვა უკანონო ქმედება. თუმცა, მხოლოდ ქურდული სამყაროს წევრის მიერ დავის გადაწყვეტა არ გულისხმობს, რომ ეს არის ქურდული გარჩევა. ამ საქმის გადაწყვეტას აუცლებლად უნდა ახლდეს ისეთი უკანონო ქმედებები, როგორცაა მუქარა, იძულება, დაშინება, ასევე, სხვა ნებისმიერი უკანონო ქმედება. როგორც მითითებულიდან ჩანს, განსხვავებით ქურდული სამყაროს განმარტებისაგან, სადაც დაკონკრეტებულია, თუ რა კრიმინალური ქმედებების განხორციელებით მოქმედებს ქურდული სამყარო. ამ შემთხვევაში დანაშაულები მკაცრად არაა განსაზღვრული, ანუ შესაძლებელია ეს იყოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი კრიმინალური საქმიანობა. სავარაუდოდ, საქმის გარჩევისას არ არის აუცილებელი, რომ ფსიქოლოგიური ზემოქმედება განხორციელდეს სიტყვიერი

მუქართ, მაგრამ თუნდაც ის ფაქტი, რომ დავის ერთ-ერთმა მონაწილემ იცის, რომ ამ გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობა გამოიწვევს მის მიმართ რაიმე უკანონო ქმედებას, შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული ხერხის გამოყენებად.

უშუალოდ ქურდული სამყაროს გარდა, მითითებული კანონი ასევე ადგენს ამ დანაშაულებრივი გაერთიანების წევრებთან დაკავშირებულ პირთა განმარტებებსაც. განხილულია, თუ ვინ არიან რეკეტირის, ან ქურდული სამყაროს წევრის ოჯახის წევრები. პირველ რიგში ეს შეიძლება იყოს მეუღლე, ანუ მასთან სამოქალაქო ქორწინებაში მყოფი პირი. ფაქტობრივად, ის მომენტი, რომ პირი არის ამ სამყაროს წევრის მეუღლე, საკმარისია მისი ოჯახის წევრად ჩასათვლელად, იმისდა მიუხედავად, ისინი ერთად ცხოვრობენ თუ არა. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმებიან ოფიციალურად განქორწინებული მეუღლეები. ასევე ოჯახის წევრებად ითვლებიან მათი არასრულწლოვანი გერები და შვილები. გამომდინარე იქიდან, რომ კანონი სხვა მოთხოვნებს არ ადგენს, უნდა ჩავთვალოთ, რომ ამ შემთხვევაში საგაღდებულა მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირი აღიარებული იყოს არასრულწლოვანი ბავშვის მამად. მნიშვნელობა არ აქვს, ბავშვი კანონიერ ქორწინებაშია დაბადებული, ანუ კრიმინალი მის დედასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა თუ არა. შვილთანაა გათანაბრებული არასრულწლოვანი გერიც. განსხვავებით არასრულწლოვანი შვილისაგან, ბავშვი, რომ ჩაითვალოს გერად, ამისათვის აუცილებელია, ქურდული სამყაროს წევრი ან რეკეტირი იმყოფებოდეს რეგისტრირებულ ქორწინებაში არასრულწლოვანის მეორე მშობელთან, ანუ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კრიმინალის იურიდიულად გაფორმებულ ქორწინებას არასრულწლოვანის მშობელთან.

გარდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილისა, რეკეტირის ოჯახის წევრად ჩაითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მასთან ერთად, ანუ აქ ნათესაურ კავშირს და ასაკს არავითარი მნიშვნელობა ენიჭება. უბრალოდ, განმსაზღვრელია ის ფაქტი, რომ პირი მუდმივად ცხოვრობს ქურდული სამყაროს წევრთან. რა თქმა უნდა, „მუდმივად“ არ ნიშნავს, რომ მხოლოდ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მასთან მცხოვრები პირები უნდა განვიხილოთ ასეთად. ამ შემთხვევაში, უნდა ვიხელმძღვანელოთ გონივრული ვადიდან გამომდინარე, რომელიც ემთხვევა, ასევე, ქურდული სამყაროს წევრის კრიმინალურ აქტივობას.

აღნიშნული კანონით ასევე განსაზღვრულია, თუ ვინ არის კანონიერი ქურდი: „ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს, ან პირთა გარკვეულ ჯგუფს“ (141, 3). როგორც აღნიშნულიდან ჩანს, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ კანონიერ ქურდად, პირველ რიგში, იგი უნდა იყოს ქურდული სამყაროს წევრი, ანუ უნდა აღიარებდეს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მონაწილეობდეს მისი მიზნების განხორციელებაში. მაგრამ, ცხადია, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არაფრით იქნებოდა განსხვავებული ამ სამყაროს რიგითი წევრისაგან. ამის პარალელურად, კანონიერი ქურდის სენებულები გაერთიანების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, ნებისმიერი ფორმით უნდა მართავდეს ან ორგანიზებას უწევდეს მთლიანად ქურდულ სამყაროს, ან პირთა გარკვეულ ჯგუფს. ფაქტია, რომ არსებული რეალობიდან გამომდინარე, არ არსებობს პირი, რომელიც ერთპიროვნულად ორგანიზებას უწევდეს ან მართავდეს ქურდულ სამყაროს, მაგრამ, თუ ასეთი გამოჩნდება, იგი აუცილებლად მოექცევა ამ ნორმის მოქმედების ფარგლებში. რაც შეეხება მითითებული მუხლის მე-2 პუნქტს, პირი უნდა მართავდეს პირთა გარკვეულ ჯგუფს, ანუ აქ საგაღმდებლო არაა, რომ ეს პირები მაინცდამაინც კანონიერი ქურდები იყვნენ, ან კანონიდან გამომდინარე, თუნდაც ყველა იყოს ქურდული სამყაროს წევრი. ასეთ შემთხვევაში განმსაზღვრელია მათი მართვის მეთოდები, ანუ პირი მათ უნდა მართავდეს ქურდული სამყაროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, ხოლო ამ წესების მიხედვით, პირთა წრის მართვა, რომ არ მოხდება კანონის საფუძველზე, ეს ცალსახად ცხადია.

რეკეტირისა და ქურდული სამყაროს წევრის ოჯახთან ერთად ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი ახლო ნათესავების გამორკვევას, რადგან რიგ შემთხვევაში შეიძლება კანონიერ ქურდს ან რეკეტირს ნათესავებთან ოჯახის წევრებზე არანაკლები ურთიერთობა გააჩნდეს. რეკეტირის ან ქურდული სამყაროს წევრის ახლო ნათესავი არის პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, და და ძმა, აგრეთვე, მშობლისა ან შვილის გერები, მეუღლის და, ძმა და მშობელი. როგორც მითითებულიდან ჩანს, პირველ რიგში, რეკეტირის ან ქურდული სამყაროს წევრის ახლო ნათესავებად ჩაითვლებიან აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავები, ანუ ეს ნიშნავს,

როგორც მის უფროს თაობას, ანუ დედ-მამას, ბებია-პაპას, ასევე, შვილებს, ნაშვილებს, შვილიშვილებს.

ასევე ახლო ნათესავებად უნდა ჩაითვალოს და და ძმა, მშობლებისა და შვილების გერები. როგორც ზემოთ აღინიშნა, იმისათვის, რომ პირი გერად ჩაითვალოს, ამ შემთხვევაშიცგადაამწვევტი მნიშვნელობა ენიჭება რეგისტრირებულ ქორწინებას.

ახლო ნათესავების სია სრულდება მეუღლის ნათესავებით, კერძოდ, ესენი არიან მეუღლის და, ძმა და მშობლები.

რეკეტირთან და ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირთა ჯგუფი არ ამოიწურება მხოლოდ ოჯახის წევრებითა და ნათესავებით. „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე ადგენს მათთან დაკავშირებული პირის ცნებას: „რეკეტირთან ან ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირი არის პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ იგი მიღებულია რეკეტის ან ქურდული სამყაროს წევრის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად და ამ ქონებით სარგებლობს რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრი“ (141, 3), ანუ დაკავშირებული პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება, რომელიც არსებული მტკიცებულებებით მიღებულია რეკეტისან ქურდული სამყაროს წევრის დანაშაულებრივი საქმიანობით. აღნიშნულის დასამტკიცებლად მოწმდება ქონების მფლობელის კანონიერი შემოსავლები, ანუ შეეძლო თუ არა მას კანონიერი გზით შეეძინა მითითებული ქონება. აღნიშნულთან ერთად, ასევე უნდა დადგინდეს ის ფაქტიც, რომ ამ ქონებით სარგებლობს რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრი. შეიძლება რეკეტირი პირადად არ იყენებდეს ამ ქონებას, მაგრამ თუ ამ ქონებით სარგებლობა ხდება კანონიერი ქურდის ან ქურდული სამყაროს წევრის ინტერესების შესაბამისად, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ხსენებული მუხლი. აღნიშნულ კანონში ტერმინს „ქონება“ ენიჭება ფართო მნიშვნელობა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად, ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (მოთხოვნები და უფლებები), რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლია ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, ანუ შესაძლებელია ეს იყოს, როგორც

მოძრავი, თუ უძრავი ნივთი, ასევე თანხა, ფასიანი ქაღალდები, აქციები, უფლება, რომლის საფუძველზეც სარგებელის მიღებაა შესაძლებელი, (მაგალითად - ვალის მოთხოვნის უფლება) და ა.შ.

მითითებული კანონით ცალკე არის განმარტებული, თუ რა ჩაითვლება რეკეტულ ქონებად. პირველ რიგში, მითითებულია, რომ ასეთად ჩაითვლება რეკეტიდან მიღებული ქონება, ანუ ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც მიღებულია რეკეტის შედეგად. ასევე, რეკეტულად ჩაითვლება ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, ანუ შესაძლებელია დანაშაულებრივი სამყაროს წევრის მიერ მოხდეს მითითებული შემოსავლის გარკვეული სახით დაბანდება, მაგალითად, თანხის ჩადება ბიზნესში, უძრავი ნივთის შემთხვევაში - მისი გაქირავება და ასე შემდეგ, ანუ ასეთ შემთხვევაში რეკეტულ ქონებად ჩაითვლება არა მხოლოდ რეკეტის შედეგად მიღებული ქონება, არამედ ამ ქონების შესაბამისად გამოყენებით მიღებული შემოსავალიც (ქირა, მოგება, პროცენტი).

ამავე სახეობის ქონებას მიეკუთვნება რეკეტული ქონებიდან მიღებული შემოსავლით შექმნილი ქონება, ანუ რამდენჯერაც არ უნდა მოხდეს უკანონო შემოსავლისათვის სახის შეცვლა, პასუხისმგებლობაზე იგი გავლენას ვერ მოახდენს. თუ საწყისი კაპიტალი იყო კრიმინალური გზით შექმნილი, ვერანაირი პროცედურა და ე.წ. „გათეთრება“ ვერ მისცემს ამ ქონებას კანონიერ სახეს.

ამავე სახეობის ქონებას განეკუთვნება რეკეტული დაჯგუფების, რეკეტორის, რეკეტორის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან მასთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, თუმცა, ამისათვის საჭიროა, რომ არ არსებობდეს მითითებული ქონების მართლზომიერი საშუალებით მიღების დამადასტურებელი საბუთი, ან სხვა მტკიცებულება, ანუ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება მითითებული ქონების კანონიერი გზით შექმნის დამადასტურებელი მტკიცებულება, ხსენებული კანონის მოთხოვნები ვეღარ იქნება გამოყენებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ დროს ქონების მართლზომიერი საშუალებით მიღების მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება. ერთი შეხედვით, ეს კანონიერი ქმედებაა და ხელშეკრულებაც ადასტურებს ქონების მართლზომიერი გზით მიღებას, მაგრამ ამ შემთხვევაში მითითებული

ხელშეკრულების გამოყენება უფრო შესაძლებელი იქნება იმის დასადასტურებლად, რომ ქონება არის რეკეტული დაჯგუფების, რეკეტორის, რეკეტორის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის საკუთრება, ხოლო, რაც შეეხება მისი შეძენის მართლზომიერების დადასტურებას, პირველ რიგში, წარმოადგენილ უნდა იქნეს ამ ქონების შესაძენი თანხების ლეგალურად მიღების მტკიცებულებები და ა.შ.

ანალოგიურადაა განმარტებული ქურდული სამყაროს წევრის ქონების დეფინიციაც. კერძოდ, ქურდული სამყაროს წევრის ქონებად ითვლება როგორც თვითონ მისი, ასევე, ახლო ნათესავის, დაკავშირებული პირის ქონება და ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი და ისევე, როგორც რეკეტული ქონების შემთხვევაში, არ უნდა არსებობდეს ამ ქონების მართლზომიერი საშუალებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება.

რეკეტული და ქურდული სამყაროს წევრის ქონება ექვემდებარება ჩამორთმევას. ფაქტობრივად, ამ კანონის მიღების ერთ-ერთ ძირითად მიზანს სწორედ ეს წარმოადგენდა და, შესაბამისად, აქვეა განსაზღვრული, რომ მითითებული ქმედების განხორციელების წესს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ანუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოხდება დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა.

ჩამორთმეული დაუსაბუთებელი ქონება მესამე პირების ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ანუ მიუხედავად იმისა, რომ ქონება დაუსაბუთებელია, კანონმდებლის მიერ, პირველ რიგში, ხდება მესამე პირების კანონიერი ინტერესების (იპოთეკა, გირაო და ა.შ) გათვალისწინება და სწორედ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, რომ ქონება გადაეცეს კანონიერ მფლობელს. აღსანიშნავია, რომ კანონიერი მესაკუთრის დაუდგენლობის შემთხვევაში ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში. მაგალითად, როდესაც ხანგრძლივი კრიმინალური საქმიანობის შედეგად რეკეტორი ან ქურდული სამყაროს წევრი აგროვებს გარკვეულ ქონებას და იმით იძენს სხვა ნივთს, ფაქტობრივად, შეუძლებელია დადგინდეს ამ ნივთის კანონიერი მესაკუთრე, შესაბამისად, იგი გადაეცემა სახელმწიფოს.

როგორც ვხედავთ, „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა საქართველოს წინაშე იმ პერიოდში არსებული

უდიდესი პრობლემის - ქურდული სამყაროსა და ქურდების მიერ განხორციელებული კრიმინალური საქმიანობის აღსაკვეთად. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, უდავოდ, პოზიტიურიყო, რადგან მიუხედავად აღნიშნული კრიმინალური საზოგადოების არსებობის ხანგრძლივი პერიოდისა, აქამდე არ არსებობდა ნორმატიული აქტი, რომელიც მიმართული იქნებოდა უშუალოდ მითითებული სამყაროს წევრების, მათი ლიდერების, ასევე, მათთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ, რაც ძალიან ამცირებდა სამართალდამცავთა წარმატების შანსებს ქურდული სამყაროს წარმომადგენლებთან ბრძოლაში, რადგან ისინი უშუალოდ იშვიათად სწადიან სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებებს და მხოლოდ დანაშაულის ორგანიზებისათვის კი უკიდურესად რთული იყო მათ წინააღმდეგ მტკიცებულებების შეგროვება. ასევე სიახლეს წარმოადგენს „დაკავშირებული პირის“ ცნების შემოღება, რაც მეტად გონივრული სვლაა დანაშაულებრივ სამყაროსთან ბრძოლაში, რადგან კრიმინალები, ფაქტობრივად, ქონებას ოფიციალურად არასოდეს იფორმებენ. ამისათვის ისინი იყენებენ სხვადასხვა პირებს. შესაბამისად, ნორმატიული საფუძვლების უქონლობის გამო, შეუძლებელი ხდებოდა მათ წინააღმდეგ სამართლებრივი პროცედურების განხორციელება. მითითებული კანონით განსაზღვრულ იქნა დაუსაბუთებელი ქონების დეფინიცია, რომელიც ექვემდებარება ჩამორთმევას კანონიერი მესაკუთრის ან სახელმწიფოს სასარგებლოდ, რაც, ასევე, მეტად წარმატებული ნაბიჯია საქართველოში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, რადგან კრიმინალთა ძირეულ მიზანს წარმოადგენს შემოსავლის მიღება და სწორედ ამ უკანონოდ მიღებული შემოვლების ჩამორთმევაა ყველაზე ეფექტური მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგან ამით, ფაქტობრივად, საფუძველი ეცლება მათ დანაშაულებრივ საქმიანობას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ კანონის მიღება წარმატებული გამოდგა. მითითებული ნორმების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ათეულობით კანონიერი ქურდის მიმართ და მრავალი მათგანი მიცემულ იქნა პასუხისგებაში. დაუსაბუთებელი ქონების სახით კრიმინალებს ჩამოერთვათ ათეულობით მილიონ ლარად ღირებული ქონება (მაგ., ზაქარია კალაშოვის ოცდაათ მილიონ აშშ დოლარად შეფასებული საცხოვრებელი სახლი დაბა წყნეთში). აღნიშნული კანონის შემოღებითა და

ამოქმედებით ფაქტობრივად გამანდგურებელი დარტყმა მიადგა ქურდულ იდეოლოგიას საქართველოში, რის შედეგადაც, გარდა კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლისა, მიღწეულ იქნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი, კერძოდ, ახალგაზრდები, რომლებიც მანამდე აქტიურად ცდილობდნენ, გამხდარიყვნენ ქურდული სამყაროს წევრები,ამჟამად თავს არიდებენ ამ დანაშაულებრივ ორგანიზაციას, ანუ მომავალ თაობაში გადაფასდა ქურდული ღირებულებები და შემცირდა მათკენ სწრაფვის ტენდენცია.

ამრიგად, შესაძლებელია ითქვას, რომ „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება იყო უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში. აღნიშნული საფუძველზე გამანდგურებელი დარტყმა მიადგათ როგორც ქურდული სამყაროს წევრებს, ასევე მათ ფინანსურ ინტერესებს. გარდა იმისა, რომ ამ ბრძოლამ დადებითი შედეგი მოიტანა სახელმწიფოსათვის და, ფაქტობრივად კანონიერმა ქურდებმა სრული შემადგენლობით დატოვეს ქვეყნის ფარგლები ან აღმოჩნდნენ გისოსებს მიღმა, აღნიშნული დადებითად აისახა მომავალ თაობაშიც. თანამედროვე პერიოდში შეუდარებლად შემცირდა ქურდული სამყაროს პოპულარობა ახალგაზრდებს შორის, შესაბამისად, მათი უმრავლესობა ასცდა დანაშაულებრივ ცხოვრებას. ასევე, საგრძნობლად გამოსწორდა კრიმინოგენური ვითარება, რაც გამოიწვია კრიმინალური ლიდერებისათვის საქმიანობის აკრძალვამ, რადგან სწორედ მათ მიერ ხდებოდა დანაშაულებრივი აქტების ორგანიზება. საზოგადოებაში გამყარდა სახელმწიფოს მხრიდან დაცულობის შეგრძნება, შეიქმნა ბევრად უფრო სასურველი ვითარება ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისათვის - ბიზნესმენებს მიეცათ საშუალება ემოქმედათ კანონიერი ქურდების ზეწოლისა და მათთვის წილის გადახდის გარეშე. ყოველივე აღნიშნულმა ხალხში გაზარდა ნდობა სამართალდამცავი ორგანოებისადმი, რადგან 2003 წლამდე მოსახლეობისათვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა პოლიციელთა და ქურდულ სამყაროს წევრთა ახლო ურთიერთობა, ხოლო რიგ შემთხვევაში - საერთო ინტერესების ქონაც. დღეს ნათლად გამოიკვეთა სახელმწიფო ხელისუფლების მკაცრი პოლიტიკა ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლაში.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, ორგანიზებული დანაშაულობა ასწლეულებს ითვლის. საუკუნეების განმავლობაში, გარემო პირობების შეცვლასთან ერთად, იცვლებოდა მისი საქმიანობის ხერხები, მეთოდები, მიმართულებები, სფეროები. მიუხედავად სხვადასხვა ქვეყნებში ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების ისტორიის განსხვავებულობისა, ამ მოვლენას მსგავსი ნიშნებიც ახასიათებს. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ორგანიზებული დანაშაულობის ძირითად მიზანს წამოადგენდა უკანონო შემოსავლის მიღება, მას არ ამოძრავებდა პოლიტიკური მიზნები. მოგვიანებით ამას დაემატა ხელისუფლებაზე გავლენის მოპოვების მცდელობაც, მაგრამ ამით დაჯგუფებებში არაიდეოლოგიურობის პრინციპი არ შეცვლილა - პოლიტიკური გავლენის მოპოვება პირდაპირ იყო დაკავშირებული ორგანიზებული დანაშაულობის წევრების ხელშეუხებლობასა და უფრო დიდი ოდენობით შემოსავლის მიღებასთან.

მსოფლიოში მოქმედ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს გააჩნიათ როგორც საერთო, ასევე განმასხვავებელი ნიშნებიც. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არსებული, დიდი კრიმინალური გაერთიანებების უმეტესობა ჩინური, იაპონური, იტალიური, რუსული ორგანიზაციები ტრადიციულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს წარმოადგენს. თვითოეულ მათგანს გააჩნია ცხოვრებისა და საქმიანობის მკაცრად განსაზღვრული წესი, რომლებიც აღიარებულია მათი წევრების მიერ; აქვთ წევრად მიღების სპეციფიური რიტუალები და, რაც მთავარია, არც ერთი კრიმინალური გაერთიანება პატიობს თავის წევრებს აღიარებული წესების, მითუმეტეს - დუმილის დარღვევას. ზემოთ მითითებული სინდიკატების წევრობა დაკავშირებულია გარკვეულ პრივილეგიებთან და ითვლება, რომ ისინი წარმოადგენენ „საკაბიო საზოგადოებებს“. ამასთან, ტრადიციული ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებიან. მაგალითად, იაპონურ „იაკუძას“ საქმიანობისას ახასიათებს საჯაროობა, ფაქტობრივად, მოქმედებს, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია და დაჯგუფების შიგნით მიმდინარე მოვლენების შესახებ რიგ შემთხვევებში

პრესკონფერენციებსაც კი მართავს. მითითებული არაა დამახასიათებელი სხვა გაერთიანებებისათვის, ხოლო ზოგიერთ მათგანში, განსაკუთრებით რუსულ და იტალიურ მაფიოზურ დაჯგუფებებში, მსგავსი მოქმედება კატეგორიულად იკრძალება და მკაცრად იხჯება. ტრადიციული ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების პარალელურად მოქმედებენ კოლუმბიური კარტელები და მექსიკური კრიმინალური გაერთიანებები. აღნიშნული ორგანიზაციები ძირითადად ორინტირებულიარნიან ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობაზე. მრავალრიცხოვნობით და განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევიან კოლუმბიური კრიმინალური გაერთიანებები. კიდევ ერთი თვისება, რაც მათ სხვა დანაშაულებრივი სინდიკატებისაგან გამოარჩევთ, ეს არის ღია კონფრონტაციაში შესვლა სახელმწიფოს წარმომადგენლებთან, რაც რიგ შემთხვევებში სისხლის ღვრაშიც გადაზრდილა, ანუ თუ სხვა კრიმინალური ორგანიზაციების ძირითადი იარაღი სახელმწიფოსთან კორუფციულიერთობაა, კოლუმბიური კარტელებიწინა პლანზე ძალადობას აყენებდნენ.

საბოლოო ჯამში, შესაძლებელია ითქვას, რომ ეთნიკური და ტერიტორიული კუთვნილების მიუხედავად, ყველა ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაცია საქმიანობის სფეროები მეტ-ნაკლებად წააგავს ერთმანეთს. ესენია: ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობა, რეკეტი, პროსტიტუცია, სექსუალური გამოყენების მიზნით ადამიანების ტრეფიკინგი, უკანონო აზარტული თამაშები, ფულის გათეთრება, აღნიშნული ქმედებების წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად და სახელმწიფო სტრუქტურებისაგან ხელშეუხებლობის მოსაპოვებლად ძალადობისა და კორუფციის აქტიურად გამოყენება.

ორგანიზებული დანაშაულობის საქმიანობის სფერო საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. მიუხედავად სხვადასხვა ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების განსხვავებული ქმედების, მეთოდებისა და ტერიტორიებისა, ძირითადი მიზანი უცვლელია – დიდი ოდენობით შემოსავლების მიღება. ცხადია, ამ უკანონო საქმიანობებს კრიმინალური ორგანიზაციები სხვადასხვა საშუალებებით ახერხებენ, მაგალითად, ერთნი აქცენტს აკეთებენ ძალადობაზე, მეორენი - ოფიციალურ პირთა მოსყიდვაზე, სხვები ორივე მეთოდს ერთდროულად იყენებენ. ასევე განსხვავებულია მათი როლი - ზოგი უშუალოდ ასრულებს დანაშაულებრივ

საქმიანობას, ზოგი მფარველობს მათ ან უფლებას აძლევს, იმოქმედონ მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და ამაში იღებენ წილს მათი შემოსავლებიდან. თუმცა, მეთოდებისა და საქმიანობის სტილის მიუხედავად, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს კრიმინალური საქმიანობის წარმატებასა და მის გაფართოებას, ეს არის ადამიანების სისუსტე, მათი მოთხოვნილება უკანონო საქონლისა და მომსახურების მიმართ. რა ღონისძიებაც არ უნდა გატარდეს ხელისუფლების მხრიდან, როგორც იდეალურიც არ უნდა იყოს სახელმწიფო აპარატი, განსაკუთრებით - სამართალდამცავი სისტემა, მითითებული ვერ უზრუნველყოფს ამ დანაშაულებრივი საქმიანობების აღმოფხვრას - ვიდრე არსებობს მოთხოვნა, იარსებებს მიწოდებაც. მისი მასშტაბიც დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რის საშუალებას მიცემს კონკრეტული სახელმწიფო თავისი იურისდიქციის ქვეშ მოქმედ ორგანიზებულ დანაშაულობას. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ცხოვრების დაბალი ეკონომიკური დონე, ანუ როდესაც ადამიანი თავისი და ოჯახის წევრების სარჩენად სხვა გზას ვერ პოულობს და იძულებული ხდება, ჩაერთოს დანაშაულებრივ საქმიანობაში. აქვე არანაკლებ მნიშვნელოვანია თვითონ სახელმწიფო აპარატის პოზიცია, საქმიანობა და, ცხადია, ბევრია მასზე დამოკიდებული. კორუმპირებული ოფიციალური მოხელეების არსებობა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ორგანიზებული დანაშაულობის ბიზნესის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ კი მათი უმოქმედობა ხალხში თესავს უიმედობის განცდას, რაც იწვევს მოსახლეობის წაქეზებას კრიმინალში მონაწილეობის მისაღებად ისინი აღარ ცდილობენ, მიმართონ სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლებს, როდესაც მათ ზიანი ადგებათ დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობიდან, თუმცა, საბოლოოდ, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების ძირითად პირობას მაინც წარმოადგენს ხალხის მოთხოვნა უკანონო საქონელსა და მომსახურებაზე.

რაც შეეხება ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლას, როგორც ნაშრომში აღინიშნა, ამ მიმართულებით წარმატების მისაღწევად აუცილებელია როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების გაერთიანებული ძალისხმევა. ხსენებული ფენომენის სირთულიდან გამომდინარე, მხოლოდ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საკანონმდებლო თუ სხვა ზომები ვერ გახდება მისი დამარცხების საწინდარი. ორგანიზებული დანაშაულობის ტრანსნაციონალური

ხასიათიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო თანამშრომლობა, რადგან იგი არასოდესაა ერთი ქვეყნის პრობლემა.

მითითებული მიმართულებით ასევე უმნიშვნელოვანესია ორგანიზებული დანაშაულობის პრევენცია. ცხადია, შედარებით იოლია, ებრძოლო კრიმინალს ჩანასახში, ან განახორციელო მისი თავიდან აცილების ღონისძიებები, ვიდრე დაუპირისპირდე უკვე ჩამოყალიბებულ დანაშაულებრივ სინდიკატებს.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნორმატიულ საფუძველს. სწორედ იგი გვევლინება უმთავრეს იარაღად ამ მიმართულებით მოქმედებისას. თანამედროვე საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება ვიმსჯელოთ „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მნიშვნელობაზე, რომლის საფუძველზეც ძირითადად მოხდა ქურდული სამყაროს დამარცხება. თუმცა, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ისევე, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი მსგავსი კანონები, ეს ნორმატიული აქტიც საჭიროებს ეტაპობრივ ცვლილებებსა და დამატებებს, რათა მის საფუძველზე ორგანიზებული დანაშაულობის მიმართ წარმოებული ბრძოლა ეფექტურად გაგრძელდეს.

დასასრულს, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები, რომელიც ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლისათვის სასარგებლო იქნება:

1. ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხისადმი საჭიროა სისტემური მიდგომა, რაც გულისხმობს ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და ზოგადსოციალური მოვლენების შესწავლასა და კომპლექსური ღონისძიებების შეთანხმებულად გატარებას.
2. საქართველოს კანონში ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ უნდა ჩამოყალიბდეს პრევენციის სუბიექტების მკაფიო ჩამონათვალი თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე. დისერტაციის ავტორის აზრით, აღნიშნული კლასიფიკაცია უნდა მოიცავდეს:

- ზოგადი პრევენციის სუბიექტების კატეგორიას, რომელშიც შედის უზენაესი პოლიტიკური და საკანონმდებლო სტრუქტურები (პრეზიდენტი და პარლამენტი);
 - კერძო პრევენციის სუბიექტებს - ძალოვან და სასამართლო სტრუქტურებს (შსს-ს, იუსტიციის სამინისტროს, მთავარ პროკურატურას, უზენაეს სასამართლოს, სახელმწიფო ფონდს), საერთაშორისო და ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ფონდებს;
 - ინდივიდუალური პრევენციის სუბიექტებს - სამეცნიერო, საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.
3. ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისას აუცილებელია ზემოთჩამოთვლილი პრევენციის სუბიექტების მჭიდრო თანამშრომლობა და მათი საქმიანობის კოორდინაცია.
 4. საკანონმდებლო დონეზე უნდა აღიკვეთოს კრიმინალების, განსაკუთრებით "კანონიერი ქურდების" სახელმწიფო ხელისუფლებაში მოსვლის შესაძლებლობა. ამ მიზნით, ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის კანონში აუცილებელია დაწესდეს გარკვეული იურიდიული შეზღუდვები პირებისთვის, რომლებიც ნასამართლევნი არიან რეკრუტულ ან ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული ქმედებებისათვის. ასეთ პირებს, მაგალითად, უნდა აკრძალეთ არჩევნებში მონაწილეობა, ასევე უნდა გამოირიცხოს მათი საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშვნა.
 5. კანონიერ კურდებს და მათთან დაახლოებულ პირებს სამართლებრივად უნდა აკრძალეთ პოლიტიკური პარტიის დაფუძნება, მისი წევრობა, დაფინანსება ან საარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური აქციების ჩატარებაზე ორიენტირებული აქტივობა.
 6. გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე პირობებთან ადაპტაციის მიზნით ორგანიზებული დანაშაულობა მუდმივად განიცდის ტრანსფორმაციას და ხევეს დანაშაულებრივი საქმიანობის ფორმებს, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას სამეცნიერო კვლევების საორგანიზაციო სისტემის მექანიზმი, რომელშიც

აისახება: კვლევის სუბიექტი (ინსტიტუტი ან მკვლევართა ჯგუფი), კვლევის თეორიული და ემპირიული მეთოდები, მიღებული შედეგების პრაქტიკაში დანერგვისა და პოპულარიზაციის საკითხები, დაფინანსების წყაროები.

7. იმისათვის, რომ დღის წესრიგში აღარ დადგეს ალტერნატიული (არალეგალური) არბიტრებისა და სადავო საკითხების მომგვარებელი სხვა პირების (კანონიერი ქურდების ან კრიმინალური ავტორიტეტების) მონაწილეობა, აუცილებელია რომ, ერთი მხრივ, მაქსიმალურად შემცირდეს ჩრდილოვანი ურთიერთობების წილი ეკონომიკაში, ნაღდი ანგარიშსწორება და ვირტუალური ვალები, მეორე მხრივ კი მოხდეს სამეურნეო სუბიექტების დავებთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურების მაქსიმალურად გამარტივება და გაიაფება.
8. საზოგადოებაში სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნდობის შენარჩუნებისა და ამაღლებისათვის, აუცილებელია მკაცრი მონიტორინგი საზოგადოებრივ აზრსა და განწყობებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა ვერ იქნება ეფექტური, რადგან მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის გარეშე ამ ნეგატიური სოციალური მოვლენის დამარცხება წარმოუდგენლად რთულია. ამისათვის შესაძლებელია, განხორციელდეს სხვადასხვა პროექტი, რომლებშიც საკუთარი სურვილის შესაბამისად მოსახლეობაც მიიღებს მონაწილეობას;
9. საყოფაცხოვრებო დონეზე ქურდული ტრადიციების შესუსტების კუთხით პრევენციული მნიშვნელობა ექნებოდა ეკლესიის გააქტიურებას (რაც შეიძლება გამოიხატოს მრევლთან განმარტებითი მუშაობის ჩატარებაში, საეკვლო შემოწირულობებზე უარის თქმაში, ქურდული ტრადიციების ცოდვად შერაცხვასა და სხვა ქმედებებში). მსგავსი გამოცდილება აქვს ეკლესიას იტალიაში, რომელმაც, სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო მაფიასთან ბრძოლის საქმეში.
10. ორგანიზებული დანაშაული არ წარმოადგენს ცალკე, რომელიმე ერთი ქვეყნის პრობლემას. თანამედროვე მსოფლიოში ის სულ უფრო და უფრო მეტად იძენს ტრანსნაციონალურ ხასიათს. ამ გარემოების გათვალისწინებით, აღნიშნულ მოვლენასთან საბრძოლველად საჭიროა როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება;

11. ამ კუთხით სასურველი იქნება საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს როლის გაზრდა და მისი შესაძლებლობების სრული გამოყენება;
12. ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავებს შორის გაცვლითი პროგრამების განხორციელება, მათი პარტნიორი სახელმწიფოების სამუშაო ჯგუფებში ჩართვა, სპეციალური მომზადების ცენტრებში სწავლება, რაც ხელს შეუწყობს დაგროვილი გამოცდილების გაზიარებას, ბრძოლის მეთოდების დახვეწას, კანონმდებლობების კარმონიზაციასა და ერთობლივი ოპერატიული ღონისძიებების დაგეგმვას;
13. არასრულწლოვნებსა და ახალგაზრდებს შორის კრიმინალური მენტალიტეტის ფორმირების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სკოლებსა და უნივერსიტეტებში დაინერგოს პერმანენტული სპეციალური სემინარების ჩატარება, რომლებზეც მათ მიეცემათ კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორ არ გახდნენ გამოძალვის, შანტაჟისა და სხვა დანაშაულის მსხვერპლნი, მიეწოდებათ ზოგადი ინფორმაცია კრიმინალურ დაჯგუფებებზე, ასევე იმ სანქციებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ორგანიზებული დანაშაულის ხელშეწყობისა და კრიმინალუბთან თანამშრომლობისთვის;
14. ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ზომებია მისაღები უპატრონო ბავშვებთან მიმართებით, რადგან ისინი შეადგენენ უმნიშვნელოვანეს რისკ-ჯგუფს მომავალში დანაშაულებრივი საქმიანობის პერსპექტივის კუთხით. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია მათი საარსებო პირობების გაუმჯობესება;
15. გამომდინარე იქიდან, რომ ორგანიზებული დანაშაულობის საბოლოო დამარცხებაზე საუბარი საფუძველს მოკლებულია, არ უნდა შეწყდეს კრიმინალური საქმიანობის წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო კამპანია;
16. მოსახლეობას პერმანენტულად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ორგანიზებული დანაშაულობის მდგომარეობის, სტატისტიკისა და მასთან ბრძოლის შედეგების

შესახებ, რათა არ მოდუნდეს საზოგადოების ყურადღება მოცემული მოვლენის მიმართ;

17. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის აუცილებელია მკაცრად გაკონტროლდეს და სპეციალურ რეგლამენტირებას დაექვემდებაროს აზარტული თამაშების ინდუსტრია. ბევრ ქვეყანაში (აშშ, რუსეთი და სხვა) ეს სფერო მკაცრად რეგულირდება და იზღუდება სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილი ტერიტორიებით.
18. უკანონო შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, სასურველია, შეიქმნას ცენტრალიზებული ორგანო, რომელიც განახორციელებს კონტროლს ქვეყანაში საექვო ფინანსურ ტრანზაქციებზე, მოახდენს მითითებული ინფორმაციის ანალიტიკურ დამუშავებას და საჭიროების შემთხვევაში მონაცემებს მიაწვდის შესაბამის ორგანოებს, რაც ხელს შეუშლის კრიმინალური შემოსავლების გამოყენებას და კიდევ ერთ დარტყმას მიაყენებს ორგანიზებულ დანაშაულობას;
19. როგორც ნაშრომში აღინიშნა, ორგანიზებული დანაშაულობა მუდმივად ცდილობს თანამედროვე რეალობასთან ადაპტირებას, შეიმუშავებს კონტრლონისძიებებს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განხორციელებული მოქმედებების საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, კრიმინალურ ორგანიზაციებთან ეფექტური ბრძოლის განსახორციელებისთვის აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის პერმანენტული სრულყოფა. აღსანიშნავია, რომ უნდა გამოიკვეთოს სასამართლო ხელისუფლების როლიც, რადგან ერთია კანონის მიღება და მასში ცვლილებების განხორციელება, ხოლო მეორეა - მისი გამოყენების პრაქტიკა, რომლის წარმოებაც სასამართლო ხელისუფლების პრეროგატივაა.

ბიბლიოგრაფია

1. ბაძალუა მ. 1998. *ჯგუფური დანაშაული*. თბილისი: ფარი;
2. გაბიანი ა., გვენეტაძე ნ. 2007. *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი*. თბილისი: მერიდიანი;
3. გამყრელიძე ო. 2008. *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება*. თბილისი: საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია;
4. გოძიაშვილი ი. 1998 *კრიმინოლოგია*. თბილისი: შპს პოლიგრაფისტი;
5. დაუთაშვილი პ. 2003. *სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)*. თბილისი: იურიდიული აზრი;
6. დაუთაშვილი პ. 2003 *სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი)*. თბილისი: იურიდიული აზრი;
7. ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ. 2006. *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი*. თბილისი: მერიდიანი;
8. ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ. 2006. *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე*. თბილისი: მერიდიანი;
9. ლოდატო ენცო, პალერმოს კულტურული რეკონსტრუქცია და ქალაქის მართვის განახლების პროექტი. მორგოშია ა. 2004. *იტალიის ანტიკორუფციული და ანტიმაფიური კანონმდებლობა – ქონების კონფისკაციის საკითხებიდან*. თბილისი: პოლიგრაფი;
10. მორგოშია ა. 2004. *იტალიის ანტიკორუფციული და ანტიმაფიური კანონმდებლობა – ქონების კონფისკაციის საკითხები*. თბილისი: პოლიგრაფი;
11. ლლონტი გ. 2005. *ადამიანებით ვაჭრობა საქართველოში*. თბილისი: IREX;

12. ღლონტი გ. 2009. *კანონიერი ქურდები საქართველოში*. თბილისი: შპს პოლიგრაფი;
13. ღლონტი გ. 2008. *კრიმინოლოგია*. თბილისი: თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი;
14. ტურავა მ. 2008. *სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა*. თბილისი: ბონა კაუზა;
15. შსს საარქივო სამსახური. 2005. *თელნი*. თბილისი: შსს სტამბა;
16. წულაია ზ. 2003. *კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი)*. თბილისი: ინტელექტი;
17. Abadinsky H. 2003. *Organized Crime 7th edition*. New York: Thomson Wadsworth;
18. Ashbury H. 1940. *The Franch Quarter: An Informal History of the New Orleans Underworld*. New York: Alfred A. Knopf;
19. Batista P. A. 1987. *Civil RICO*. New York: John Wiley & sons;
20. Bigel H. and Biegel A. 1977. *Beneth The Badge: A Story of Police Corraption*. New York: Harper & Row;
21. Bonano J. 2003. *A Man of Honor, The Autobiography of Joseph Bonanno*. New York: St. Martin's Paperbacks;
22. Booth M. 1990. *The triads: The Growing Global Threat From The Chinese Criminal Societies*. New York: St Martin's Press;
23. Booth M. 2000. *The Dragon Syndicates*. New York: Carrol & Graf Publishers Inc;
24. Bowden M. 2001. *Killing Pablo, The Hunt for the World's Greatest Outlaw*. New York: Penguin Books;
25. Browning F., Gerassi J. 1980. *The American Way of Crime*. New York: Putnam & Sons;
26. Carlson K. and Finn P. 1993. *Prosecuting Criminal Enterprises*. Washington DC: Bureau of Justice Statistics;

27. Catanzaro R. 1992. *Men of Respect: A Social History of Sicilian Mafia*. New York: Free Press. Translated by Raymond Rosenthal;
28. Coates R. 1930 *The Outlaw Years: The history of the Land Pirates of the Natchez Trace*“. New York: Literary Guild of America;
29. Committee on the Office of Attorney General. 1974. *Prosecuting Organized Crime*. NC: NaTional Associatin of Attorneys Generale, Raleigh;
30. Cressey D. R. 1969. *Theft of the Nation*. New York: Harper & Row;
31. Davis J. H. 1994. *Mafia Dynasty, the Rise and Fall of the Gambino Crime Family*“. New York: Harpertorch;
32. Della Porta d. and Vanucci A. 1999. *Corrupt Exchanges: Actors, Resources and Mechanizm of Political Corruption*. New York: Walter de Geruiter;
33. DeStefano A. 2007. *King of the Godfathers: Joseph Massino and the Fall of the Bonanno Crime Family*. New york: Pinnacle;
34. Dintino J. J. and Martens F. T. 1983. *Police Inteligence Systems and Crime Control*. Springfield IL: Charles C. Thomas;
35. Eddy P. Sabogal H. Walden S. 1988. *The Cocain Wars*. New York: Norton;
36. Finckenauer J. O. Waring E. J. 1998. *Russian Mafia In America*. pensilvania, york: Maple Press Compani;
37. Galeotti M. 2001. *Russian and Post Soviet Organized Crime*. Wiltshire, Trowbridge: The Cromwell Press;
38. Gambetta D. 1993. *The Sicilian Mafia: The Business of Private Protection*. Cambridge, MA: Harvard University Press;
39. Gambino R. 1974. *Blood of My Blood: The Dilemma of The Italian-American*. New York, Garden City: Doubleday;

40. Giuliani, R. 1987. *Legal Remedies for Attacking Organized Crime. Major Issues in Organized Crime Control*. Washington D.C.: Government Printing Office. 1987;
41. Glazov Y. 1976. *Thives in the USSR – A Social Phenomenon.Survey*. in Galeotti M. 2001. *Russian and Post Soviet Organized Crime*. Wiltshire, Trowbridge: The Cromwell Press;
42. Goldstock R. and Coenen D. 1978. *Extortionate and Usurious Credit Transactions: Background Materials*. Itacha, New York: Cornell Institute on Organized Crime;
43. Gugliota G., Leen J. 1989. *Kings of Cocaine: Inside the Medellin Cartel – An Astonishing True Story of Murder, Money and International Corrraption*. New York: Simon and Schuster;
44. Jamieson A. 2000. *The Antimafia*. Whiltshire, Chipenham: Antony Rowe Ltd;
45. Hobsbawm E. 1959. *Social Bandits and Primitive Rebels*. Glencoe, IL: Free Press;
46. Karchmer, C. and Ruch D. 1992. *State and Local Money Laundering Control Strategie*. Washington, DC: National Institute of Justice;
47. Karraker C. H. 1953. *Piracy was a Business“*. Rindge, NH: Richard R. Smith,;
48. Katz L. 1973. *Uncle Frank: The Biography of Frank Costello*. New York: Drake Publishers;
49. Kenny D. J., Finckenauer J. O. 1994. *Organized Crime in America*. USA:Wadsworth Publishing Company, An International Thomson Publishing Company;
50. Lewis N. 1964. *The Honoured Society*. New York, Putnam’s;
51. Lyman M. D., Poter G. W. 2000. *Organized Crime, 2nd edition*. New Jersey, Upper Sadle River: Prentice-Hall;
52. Maas P. 1968. *The Valachi Papers*. New York: G. P. Putnam & Sons;
53. McConaghy J. 1931. *From Cain To Capone: Racketeering Down the Ages*.New York: Brentano’s;
54. Moore W. 1974. *The Kefauver committee and the politics of crime*. Columbia, MO: University of Missouri Press;

55. Mori Cesare. 1933. *The Last Struggle with the Mafia*. London: Putnam's;
56. National Task Force on organized Crime. 1976. *Report of the task force on organized crime*. Washington, DC: Government printing office;
57. Neff J. 1989. *Mobbed Up: Jackie Presser's High Wire Life in the Teamsters, the Mafia, and FBI*. New York: Atlantic Monthly Press;
58. Nelli H. 1976. *The Business of Crime*. New York: Oxford University Press;
59. Newell B. W. 1961. *Chicago and the Labor Movement: Metropolitan Unionism in the 1930*. Urbana: University of Illinois Press;
60. Orlando L. 2001. *Fighting the Mafia and Renewing Sicilian Culture*. San Francisco: Encounter Books, 2001;
61. Peterson V. 1983. *The mob: 200 Years of Organized Crime in New York*. Ottawa, IL: Green Hill;
62. Raab S. 2006. *Five Families*. New York: St. Martin's Press;
63. Rankin H. *The Golden Age of Piracy*. New York: Holt, Rinechart & Winston;
64. Reid E., Demaris O. 1953. *The Shame of New York*. New York: Random House;
65. Reuter P., Rubinstein J., Wynn S. 1983. *Racketeering in Legitimate Industries: Two Case Studies. Executive Summary*. Washington D.C.: U.S. Government Printing Office;
66. Rey G., Savona E., 1993. *The mafia: An International Enterprise?*. Milan, Italy: United Nations;
67. Rhodes R. 1984. *Organized Crime: Crime Control vs. Civil Liberties*. New York: Random House;
68. Romoli K. 1941. *Colombia*. Garden City, NY: Doubleday, Doran;
69. Sciascia L. 1963. *Mafia Vendetta*. New York: Knopf;
70. Seidman H. 1938. *Labour Tsars: a History of Labour Racketeering*. New York: Liveright;

71. Sherry F. 1986. *Raiders and Rebels*. New York: Hearst Marine Books;
72. Simon C., Wittie A. 1982. *Beating the System: Underground Economy*. Boston: Auburn House;
73. Smith, D. 1975. *The Mafia Mistique*. New York: Basic Books;
74. Smith R. N. 1982. *Thomas E. Dewey and His Time.*, New York: Simon and Shuster;
75. Stewart R. 1980. *Identification and Investigation of Organized Criminal Activity*. Houston: National College of District Attorneys;
76. Stille A. 1995. *Excellent Cadavers, the Mafia and the Death of the First Italian Republic*. New York: Pantheon Books;
77. Houghton Mifflin Company. 2000. *The American Heritage Dictionary*. NY: Dell;
78. United States General Accounting Office 1984. *Witness Security Programme: Prosecutive Results and Partisipant Arrest Data*. Wasington, DC: Government Printing Office;
79. Vazeze F. 2001. *The Russian Mafia*“. Great Britain, Cornwall: International LTD Padstow;
80. Webster B., McCampbell M. 1992 *International Money Laundering: Research and Investigation Join Forces*. Washington D.C.: National Institute of Justice;
81. Глonti Г. 1998. *Организованная преступность, как один из основных источников насильственной преступности и этнических конфликтов*. Тбилиси: Азри;
82. Попов В.А. 2001. РИКО – современные тенденции применения и перспективы. *Журнал Российского права*, №2, 92;
83. Разинкин, В.С. 1995. *Воры в законе и преступные кланы*. Москва:Юрист;
84. Brook J. 1995. Colombia Marvels at Drug Kingpin: A Chain saw Killer Too? *New York Times*, June 21, 7;
85. Brook J. 1990. In The Capital of Cocaine, Savagery is the Habite. *New York Times*, June 7, 4;
86. Campana J. 1981. Chains, Wheels, and Single Conspiracy: Conclusion. *FBI Law Enforcement Bulletin*, September, 24-31;

87. Chaiken D. 1991. Money Laundering: An Investigatory Perspective. *Criminal Law Forum* 2, spring, 467-510;
88. Cowel A. 1992. Defying Fear of Reprisal, 40.000 in Palermo Protest Mafia's Grip. *New York Times*, June 22, 6;
89. De Genaro G. The influences of Mafia Type Organizations on Government, Business and Industry. *Trends in Organized Crime*, 1, Winter, 36-42;
90. Gall C. 2001. Macedonia Village Is Center of Europe Web in Sex Trade. *New York Times*, June 28, 8;
91. Golden T. 1999. Top Mexican Off-Limits to U.S. Drug Agents. *New York Times*, March 16, 10;
92. Habrman C. 1985. Tv Funeral for Japan's Slain Godfather. *New York Times*, February 1, 6;
93. Hundley T. 1998. Anty-Mafia Sweep Helps Sicilian Capital Clean Up Its Act. *Chicago Tribune*, November 8, 4;
94. Johnson E. 1963. Organized Crime: Challenge to the American Legal System. *Criminal Law, Criminology and Police Science*, March, 1-29;
95. Keene L. 1989. „Asian Organized Crime“, FBI Law Enforcement Bulletin, 58, 12-17;
96. Kirk D. 1981. Death of Japan Crime Boss Breeds Fear. *Miami Herald*, July 27, 17;
97. Krauss C. and Douglas F. 1995. Cali Drug Cartel Using U.S. Business to Launder Cash. *New York Times*, October 30, 13;
98. Light I. 1977. The Ethnic Vice Industry 1880-1944. *American Journal of Sociology*, June, 464-479;
99. Lynch G. 1990. A Conceptual, Practical, and Political guide to Rico Reform. *Vanderbilt Law Review*, 43 (3), 769-803;
100. Myers W. H. 1995. Orb Weavers – The Global Webs: The Structure and Activities of Transnational Ethnic Chinese Groups. *Transnational Organized Crime*, 1 (Winter) 1-36;

101. Paoli, L. 1995. An Underestimated Criminal Phenomenon: The Calabrian ndrangheta. *European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice*, 2 (3), 212-238;
102. President's Commission on Organized Crime. 1986. *America's Habit: Drug Abuse, Drug Trafficking and Organized Crime*. Washington, DC: Government Printing Office;
103. President's Commission on Organized Crime. 1984. *Organized Crime of Asian Origin*. Washington, DC: Government Printing Office;
104. President's Commission on Organized Crime. 1984. *The Cash Connection: Organized Crime, Financial Institutions and Money Laundering*. Washington D.C.: Government Printing Office;
105. President's Commission on Organized crime. 1986. *The impact: Organized crime today*. Washington, DC: Government Printing Office,;
106. President's Commission on Law Enforcement and Administration of Justice, Task Force on Organized Crime. 1967. *Task Force Report: Organized crime*. Washington, DC: Government Printing Office;
107. Serao E. 1911. The Truth about Camorra. *Outlook* 98, July 28, 717-26;
108. Serio Joseph D., Raznikin V. 1995. Thives Professing Code: The Traditional Role of Vory v Zakone in Russia's Criminal World and Adaptations in New Social Reality. *Law Intensity Conflict & Law Enforcement*, 4, 72-88;
109. Shannon E. 1991. New Kings of Coke. *Time*, July 1, 29-33;
110. კანონიერი ქურდები დააკავეს.
http://www.rustavi2.com/news/news_textg.php?id_news=35616&pg=1&im=main.
<http://www.rustavi2.com/>. (10.09.2011);
111. საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია – ინტერპოლი.
<http://police.ge/index.php?m=260>. <http://police.ge>. (10.09.2011);
112. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. საერთაშორისო რეიტინგები საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.
<http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=2200>; <http://www.police.ge>. (10.09.2011);

113. Camorra. <http://en.wikipedia.org/wiki/Camorra>. <http://en.wikipedia.org/>. (10.09.2011);
114. Cornell University Law School. Richardson v. United States. <http://www.law.cornell.edu/supct/html/97-8629.ZS.html>; <http://www.law.cornell.edu>. (10.09.2011) ;
115. Cornell University Law School. Olmsted et al. v. United States. Green et al. v. Same Mcinnis v. Same. http://www.law.cornell.edu/supct/html/historics/USSC_CR_0277_0438_ZD.html. <http://www.law.cornell.edu>. (10.09.2011);
116. Cornell University Law School. Charles Katz, Petitioner, v. United States. http://www.law.cornell.edu/supct/search/display.html?terms=GOLDMAN%20V.%20UNITED%20STATES&url=/supct/html/historics/USSC_CR_0389_0347_ZD.html. <http://www.law.cornell.edu>. (10.09.2011);
117. Cornell University Law School. U.S. Code. http://www.law.cornell.edu/uscode/718/usc_sec_18_00001961----000-.html. <http://www.law.cornell.edu>. (10.09.2011);
118. Europol: European Police Office. Council Act of 26 July 1995 drawing up the Convention on the establishment of a European Police Office (Europol Convention). http://europa.eu/legislation_summaries/justice_freedom_security/police_customs_cooperation/114005b_en.htm. <http://europa.eu>. (10.09.2011);
119. Franco Roberti. Effective measures to combat organized crime in criminal processes. http://www.unafei.or.jp/english/pdf/RS_No58/No58_14VE_Roberti.pdf. <http://www.unafei.or.jp/english/>. (10.09.2011);
120. Golden Triangle (Southeast Asia). [http://en.wikipedia.org/wiki/Golden_Triangle_\(Southeast_Asia\)](http://en.wikipedia.org/wiki/Golden_Triangle_(Southeast_Asia)). <http://en.wikipedia.org/>. (10.09.2011);
121. Interpol General Secretariat. Brief History of Interpol. <http://www.interpol.int/Public/icpo/governance/sg/history.asp> <http://www.interpol.int/> (10.09.2011);

122. Interpol General Secretariat. Constitution and General Regulations.
<http://www.interpol.int/About-INTERPOL/Legal-materials/The-Constitution>.
www.interpol.int/ (10.09.2011);
123. Interpol General Secretariat. The hawala alternative remittance system and its role in money laundering.
<http://www.interpol.int/public/financialcrime/moneylaundering/hawala/default.asp>
<http://www.interpol.int/> (10.09.2011)
124. Ndrangheta. <http://en.wikipedia.org/wiki/%27Ndrangheta>. <http://en.wikipedia.org/>.
 (10.09.2011);
125. Sicilian Mafia.
http://en.wikipedia.org/wiki/Cosa_nostra. <http://en.wikipedia.org/>.
 (10.09.2011);
126. The Colombian Cartels.
<http://www.pbs.org/wgbh/pages/frontline/shows/drugs/business/inside/colombian.html>;
<http://www.pbs.org/>.)_10.09.2011;
127. Santino U. Law Enforcement in Italy and Europe against mafia and organized crime.
<http://www.centroimpastato.it/otherlang/mcdonald.php3>. <http://www.centroimpastato.it>.
 (10.09.2011);
128. United Nations Office on Drugs and Crime. Handbook on the crime prevention guidelines.
http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/10-52410_Guidelines_eBook.pdf. <http://www.unodc.org/>. (10.09.2011);
129. United States of America, Appellee, v. Herbert Sperling et al., Appellants..
<http://openjurist.org/506/f2d/1323/united-states-v-sperling>. <http://openjurist.org>.
 (10.09.2001);
130. U.S. Supreme Court Center. United States v. Turkette.
<http://supreme.justia.com/us/452/576/case.html>; <http://supreme.justia.com/>. (10.09.2011);
131. U.S. Supreme Court Center. Russello v. United States.
<http://supreme.justia.com/us/464/16/case.html>. <http://supreme.justia.com/>. (12.09.2011);

132. Zalisko W. PMCI Group. Russian Organized Crime and Trafficking in Women.
<http://www.policeconsultant.com/index6.htm>. <http://www.policeconsultant.com>. (10.09.2011);
133. Бабушкин Василий Степанович. <http://criminalnaya.ru/photo/24-0-1461>.<http://criminalnaya.ru/>. (10.09.2011);
134. Вор в загоне: Смерть в законе Тариэлу Ониани - приговор Япончика, Деда Хасана и славянских воров в законе.
http://criminalnaya.ru/news/smert_v_zakone_dlja_tariehl_oniani_prigovor_japonchika_deda_khasana_i_slavjanskikh_vorov_v_zakone_foto/2009-10-05-13247.<http://criminalnaya.ru>. (10.09.2011)
135. Максимов А. Красное колесо на юге Москвы. http://www.compromat.ru/page_24506.htm. .
<http://www.compromat.ru/> (10.09.2011);
136. Самодуров В. Воры в законе: короли криминального мира.
http://copypast.ru/2007/11/22/forfriend-1-vory_v_zakone_koroli_kriminalnogo_mira_7_foto.html. <http://copypast.ru>. (10.09.2011);
137. Угловная Империя.http://aferizm.ru/criminal/crime_kingdom.htm. <http://aferizm.ru/>. (10.09.2011);
138. Уралмашевская ОПГ.http://www.compromat.ru/page_9389.htm. <http://www.compromat.ru/>. (10.09.2011);
139. Эволюция Воров в Законе в Постсоветской России.
http://www.memoid.ru/node/Ehvoljuciya_vorov_v_zakone_v_postsovetskoj_Rossii.
<http://www.memoid.ru/>. (10.09.2011);
140. საქართველო. პარლამენტი. 2011. კონსტიტუციური კანონი. კონსტიტუცია. (24.08.1995). თბილისი. ბონა კაუზა;
141. საქართველო. პარლამენტი. 2011. კანონი. ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ. (№2354. 20.12.2005). თბილისი. ბონა კაუზა;
142. საქართველო. პარლამენტი. 2011. კანონი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. (№1106. 14.11.1997). თბილისი. ბონა კაუზა;

143. საქართველო. პარლამენტი. 2011. კანონი. სისხლის სამართლის კოდექსი(№2287. 22.07.1999). თბილისი. ბონა კაუზა;
144. საქართველო. პარლამენტი. 2011. კანონი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. (№1772. 09.10.2009).თბილისი. ბონა კაუზა;
145. European union Convention on Establishment European Police Office (Europol).
http://europa.eu/legislation_summaries/justice_freedom_security/police_customs_cooperation/114005b_en.htm. (10.09.2011);
146. United Nations Convention Against Transnational Organized Crime.
http://www.unodc.org/pdf/crime/a_res_55/res5525e.pdf. (10.09.2011);
147. United Nations ECOSOC Resolution 2002/13 Action to promote effective crime prevention.
http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/resolution_2002-13.pdf. (10.09.2011);
148. USA.internal Revenue Code.
http://www.law.cornell.edu/uscode/usc_sup_01_26.html. (10.09.2011);
149. USA. Money Laundering Suppression Act;<http://www.law.cornell.edu/uscode/>. (10.09.2011);
150. USA. Omnibus Crime Control and Safe Streets Act of 1968;http://transition.fcc.gov/Bureaus/OSEC/library/legislative_histories/1615.pdf. (10.09.2011);
151. USA. The Annunzio-Wylie Money Laundering Act;http://www.ffiec.gov/bsa_aml_infobase/documents/regulations/Annunzio_Wylie.pdf. (10.09.2011);
152. USA.The Consumer Credit Protection Act.
<http://www.dol.gov/whd/regs/statutes/garn01.pdf>. (10.09.2011);
153. USAThe Continuing Criminal Enterprise Statute .
<http://codes.lp.findlaw.com/uscode/21/13/I/D/848>. (10.09.2011);

154. USA. The Hobbs Act.

http://www.justice.gov/usao/eousa/foia_reading_room/usam/title9/131mcrm.htm.
(10.09.2011);

155. USA. The Racketeer Influenced and Corrupt Organizations Act (RICO).

<http://www.law.cornell.edu/uscode/18/p1ch96.html>. (10.09.2011).